რიონის ხეობის ბრძოლა

პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ველში: სადავო ინფრასტრუქტურები და განვითარების პოლიტიკა

ლელა რეხვიაშვილი

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

რიონის ხეობის ბრძოლა პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ველში: სადავო ინფრასტრუქტურები და განვითარების პოლიტიკა

ავტორი: ლელა რეხვიაშვილი
რედაქტორი: ალექსანდრა არაშვილი

Struggle for the Rioni Valley in between Political and Civil Society Terrains: Contested Infrastructures and Development Politics

Author: Lela Rekhviashvili
Editor: Aleksandra Aroshvili

The content of the publication is the sole responsibility of the author and can in no way be taken to reflect the views of the Heinrich Boell Foundation Tbilisi Office – South Caucasus Region.

პუბლიკაცია მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ენობრივი რედაქტირება და კორექტურა: ნინო საითიძე
ყდის დიზაინი: თათია ნადარეიშვილი
დაკაბადონება და დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე

© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი, 2022
© ლელა რეხვიაშვილი, 2022

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

ლელა რეხვიაშვილი პოლიტიკური ეკონომიის და რეგიონალური გეოგრაფიის მკვლევარია ლაიბნიცის რეგიონალური გეოგრაფიის ინსტიტუტში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ტრანზიციის პოლიტიკურ ეკონომიას, არაფორმალურ ეკონომიკურ პრაქტიკებს, სოციალურ მოძრაობებს, ყოველდღიურ წინააღმდეგობასა და ურბანულ მობილობას. ბოლო წლებში ლელას კველები დიდ ინფრასტრუქტურებზე ორიენტირებულ განვითარების პოლიტიკას, და მსგავსი პოლიტიკის წარმოებაში სოციალისტური და კაპიტალისტური მოდერნულობის პროექტებზე არსებული წარმოდგენების როლს უკავშირდება.

ალექსანდრა არაშვილი დამოუკიდებელი მკვლევარია ძირითადად სოციალური პოლიტიკისა და პოლიტეკონოომიის, პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციების, არაფორმალური და ატიპიური შრომის, ქალთა ემანსიპაციის, მიგრაციების, ექსტრაქტივიზმისა და ეკოლოგიის საკითხების ურთიერთკვეთის შესახებ. წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა სოციალური მოძრაობებისა და საზოგადოებრივი კამპანიების დამფუძნებელი და აქტივისტი; ასევე, რამდენიმე ონლაინ-გამოცემის რედაქტორი.

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა 6

შესავალი 9

1. კვლევის მეთოდოლოგია: მონაწილის დაკვირვება 19

2. ვინ შეეწინააღმდეგება კაპიტალიზმს? სუბალტერნული წინააღმდეგობის თეორიზება სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოების ველს შორის 27

3. პრეისტორია და უწყვეტი პროტესტის დაწყება 33

4. სახელმწიფოს მაქტიურება საჯარო დისკურსში: არგუმენტების ომის დასაწყისი (14 ნოემბერი – 30 იანვარი) 41

5. მრავალვადიანი ომი: პროტესტის აღმასვლა და მაფართოება რეპრესიისა და მოლაპარაკების ცრუ მცდელობების წინააღმდეგ (30 იანვარი – 24 აპრილი) 53

6. სოლიდარობის და პოლიტიკური ნარატივის მაფართოება დისკრედიტაციის მანქანის ამუშავების ფონზე (24 აპრილი – 5 ივლისი) 86

7. რიონის ხეობის მოძრაობისა და ხელისუფლების მარცხი და მიღწევები: „პრაიდი“, მედიაცია და „ენკას“ მასვლა (5 ივლისი – 25 ოქტომბერი) 100

დასკვნა: სუბალტერნული ბრძოლა პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოების ველს შორის 115

ბიბლიოგრაფია 123

STRUGGLE FOR THE RIONI VALLEY IN BETWEEN POLITICAL AND CIVIL SOCIETY TERRAINS: CONTESTED INFRASTRUCTURES AND DEVELOPMENT POLITICS 125

პროტესტის ქრონოლოგია

1

რამდენიმე ადგილობრივ მცხოვრებს, ნამოხვანში, იმ ადგილას, სადაც მდინარე რიონზე ერთ-ერთი კაშხლის მშენებლობა იგეგმება, **2020 წლის 25 ოქტომბრიდან** სადღეღამისო მორიგეობა აქვს დაწესებული. ისინი ცდილობენ ყურადღება მიიქციონ, თანამოაზრეები შემოიკრიბონ და ერთობლივი ძალებით მოახერხონ, რომ მდინარე რიონზე ნამოხვანის ჰესების კასკადი არ აშენდეს. პირველი, შედარებით მოზრდილი საპროტესტო აქცია, რომელშიც 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა და ნამოხვანის ჰესების კასკადის მშენებლობის შეწყვეტას ითხოვდა, ნამოხვანში **2020 წლის 29 ოქტომბერს** გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ერთ-ერთი კაშხალი უნდა აშენდეს და სამუშაოებია დაწყებული, რკინის დიდი ჯვარი დადგეს.

მეორე, **2020 წლის 14 ნოემბრის** აქცია, როცა ჯაჭვით ჩაბმულმა აქციის მონაწილეებმა ქუთაისისა და ლეჩხუმის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდი გადაკეტეს, პოლიციამ დაშალა. **2020 წლის 22 ნოემბერს**, სოფელ ჟონეთში მონაწილეები მესამე, შედარებით დიდი აქციის ორგანიზებას ახერხებენ.

2

3

პროტესტს გამოკვეთილი ლიდერები ყავს: ვარლამ გოლეთიანი, მაკა სულაძე, მარიტა მუსელიანი.

პროტესტის მონაწილეები კარვებში მორიგეობენ, პერიოდულად აორგანიზებენ საპროტესტო აქციებს, ავრცელებენ პეტიციებს, აგროვებენ ხელმოწერებს, სხვადასხვა გზით ცდილობენ მომხრეების მობილიზებას.

4

5

2021 წლის 7 თებერვალს ხეობაში კიდევ ერთი აქცია იმართება, რომლის შემდეგაც, **28 თებერვალს** აქციამ ქუთაისში გადაინაცვლა. პროტესტის მონაწილეებმა ქუთაისში ათასობით ადამიანის შეკრება შეძლეს და საქართველოს მთავრობას **14** მარტამდე მისცეს ვადა, რომ უარი თქვას ნამახვანჰესის მშენებლობაზე, თურქულ კომპანია „ენკას“ დაატოვებინოს რიონის ხეობა და გააუქმოს ერთი წლის წინ მიღებული დადგენილება, რომლითაც „ენკას“ ნამახვანის ჰესების კასკადისთვის ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში, ასობით ჰექტარი **99** წლით გადასცეს.

2021 წლის აპრილში რიონის ხეობის მოძრაობის წევრების მიერ ხეობაში გამართული კარავი პოლიციამ დაშალა. პროტესტის მონაწილეები იძულებულნი არიან კარვები გუმათის ხეობაში გადაიტანონ. პოლიციამ აქტივისტებს ნამოხვანში გადაადგილება აუკრძალა, გუმათჰესთან კი რკინის ბარიკადები აღმართა.

6

„ნამახვანჰესის“ მშენებლობის წინააღმდეგ ნახევარწლიანმა პროტესტმა **2021 წლის 23 მაისს** დედაქალაქში გადმოინაცვლა. რიონის ხეობის მოძრაობას შემდეგი მოთხოვნები ქონდა:

- გაწყდეს **2019 წ. 25** აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და კომპანია „ენკას“ შორის მდინარე რიონზე დაგეგმილი ნამოხვანის ჰესების კასკადის მშენებლობის შესახებ და კომპანიამ დატოვოს რიონის ხეობა.
- გაუქმდეს საქართველოს მთავრობის **2019** წლის **21** ნოემბრის **#2405** განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ენკა რინიუებლზისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.
- გაუქმდეს ნამოხვანის ჰესების კასკადზე **2015** წელს გაცემული სამშენებლო ნებართვა და ყველა სხვა მასზე დაფუძნებული დოკუმენტი.
- თანამდებობიდან გადადგეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა.

7

2021 წლის ივნისში ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების წარმომადგენლობა ნამახვანი ჰესის გარშემო მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ე.წ. მედიაციის პროცესს იწყებს. მედიაციაში მოძრაობაც ერთვება, მაგრამ რამდენიმე თვეში ეთიშება პროცესს. მოძრაობის წევრები აცხადებენ, რომ მედიაციის პერიოდში მათთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი რიგი საკითხების გადაწყვეტა ვერ მოხერხდა.

8

2021 წლის 5 ივლისს „რიონის ხეობის მცველები“ უერთდებიან პარაკლისს, რომელსაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო „თბილისი პრაიდის“ ფარგლებში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ ატარებს. ლგბტქი+ „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფები თავს ესხმიან **50**-ზე მეტ ჟურნალისტს, ლგბტქი+ აქტივისტებს და მხარდამჭერებს. ამ მოვლენის შემდეგ, რიონის ხეობის მოძრაობის მხარდამჭერი ორგანიზაციები ერთმანეთის მიყოლებით აკეთებენ განცხადებებს რიონის ხეობის მოძრაობასთან თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ.

"რიონის ხეობის მცველები" პრაიდის საწინააღმდეგო პარაკლისს უერთდებიან

5 ივლისი, 2021 • მიხეილ გვაძაბია • 1173

9

2022 წლის მარტში ცნობილი ხდება, რომ ნამახვანჰესის მშენებელი კომპანია „ენკა“ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან ხელშეკრულებას ოფიციალურად წყვეტს და რიონის ხეობას ტოვებს.

10

ფოტოები 1, 3, 4, 5, 6 აღებულია „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ფეისბუქ გვერდიდან
ფოტოები 2, 7, 8, 10 აღებულია „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ ფეისბუქ გვერდიდან
ფოტო 9. https://netgazeti.ge/news/552189/

რედაქტორის წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი წელიწად-ნახევრის განმავლობაში მიმდინარე უწყვეტი ბრძოლის, ყოველდღიური, რუტინული შრომისა და იმ ჯერ ისევ დაუსრულებელი შინაგანი ტრანსფორმაციის ამოძახილია, რომელიც ნაშრომის ავტორთან, ლელა რეხვიაშვილთან ერთად, მე და სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის გაერთიანებულმა, ჩვენი კოლექტივის სხვა წევრებმა – რიონის ხეობის გადარჩენისთვის დაწყებულ მოძრაობაში გამოვიარეთ. თუმცა, ის ამავდროულად მტკიცე და მუხლჩაუხრელი ინდივიდუალური ძალისხმევის შედეგიცაა, როგორც მნიშვნელოვანი საავტორო ნაშრომი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამჟამად გაჩენილი, წარსული თუ მომავალი სოციალური მოძრაობების პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პოზიციონირების; ბრძოლის, როგორც მეთოდის; წარმატებისა თუ დამარცხებების გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი შესაძლებლობებისა თუ ლიმიტების გამორკვევის შესახებ.

მართალია, ნაშრომი კოლექტიური შრომის, ყოველდღიური საერთო ბრძოლის გამოცდილებაზე დგას და სწორედ ამ კუთხით, ის ვერ ჩაითვლება მხოლოდ თეორიულ, აკადემიურ ან სამეცნიერო რეფლექსიის მცდელობად კონკრეტულ ბრძოლასა თუ მოძრაობაზე, კვლევის ღია და ექსპერიმენტული მეთოდოლოგია და უნიკალური საავტორო პრაქტიკა, რაც ფაქტობრივად შლის საზღვარს კვლევასა და მონაწილეობას შორის იმგვარად, რომ თან ბოლომდე შეინარჩუნოს (თვით)კრიტიკული მიდგომა; ასევე, ნაშრომში მოცემული ავტორისეული თეორიული განაზრებები და დაშვებები, რომლებიც იქამდე არსებული წინააღმდეგობის გამოცდილებების, არსებული მოლოდინისა თუ აღქმის ჩარჩოს, ფაქტობრივად, პრაქტიკაში მიმდინარე, რეალურად ხელშესახებ პროცესში ჩართვით მიუახლოვდება, გამოცდის და გადაამოწმებს, როგორც ცოცხალ, უტყუარ გამოცდილებას, განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია დღევანდელ საქართველოში უკვე არსებული თუ მომავალი – მარგინალიზებული, დღის წესრიგიდან უკვე გარიყული თუ მომავალში გარდაუვლად გარიყვადი – სოციალური მოძრაობების მტკიცე მხარდაჭერისა და მათთვის ერთგვარი პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობის თვალსაზრისით – რაც, ამ შემთხვევაში, რიონის ხეობის გადარჩენისთვის დაწყებული და წარმატებით დასრულებული უპრეცედენტო ბრძოლის მრავალმხრივი პროცესის ანალიზის მაგალითზე გახდა შესაძლებელი.

ამიტომ, ეს წიგნი – რომელიც ღია კითხვას სვამს ადგილობრივ კონტექსტსა თუ რეგიონულ – მსგავსი პოლიტეკონომიური წესრიგების კონტექსტში წინააღმდეგობის პოლიტიკის ბედზე, მის განხორციელებადობასა და წარმატების/მარცხის კონკრეტულ შესაძლებლობებსა თუ დაბრკოლებებზე, დიალოგის საფუძველი უნდა გახდეს იმ თეორიული ჩიხებისთვისაც, რომლებიც, უკვე ათწლეულებია, პერიფერიულ კაპიტალისტურ ქვეყნებში წინააღმდეგობის პოლიტიკას ბოლომდე პესიმისტურ განაჩენს გამოუტანენ ან არაადეკვატურად ოპტიმისტურ, მხოლოდ თეორიაში შესაძლებელ, რეალობასთან დაშორებულ მოთხოვნებსა და სტრატეგიას დაუდგენენ ან წაუყენებენ.

რიონის ხეობის გადარჩენა მასში აქტიურად ჩართული ათასობით ადამიანისთვის არ ყოფილა მხოლოდ რესურსების, საარსებო გარემოს, ამ გარემოში არსებული კულტურუ-

ლი ღირებულებებისა და საგანძურის შენარჩუნების სამუშაო; არამედ, სწორედ იმიტომ, რომ ათასობით ადამიანისთვის თანამედროვე საქართველოში ის გახდა, ასევე, პოლიტეკონომიური თვითგამორკვევის, ძალაუფლების რეალური ვექტორების – ჩვენი ქვეყნის კოლონიური ყოფისა და აქ მიმდინარე ველური-საბაზრო ბატალიების აღმოჩენისა და თანმიმდევრული გამოაშკარავების, მხილების საფუძველი; გარკვეულ დროს ის იქცა ადამიანებში შიგანაგად დაწყებული ტრანსფორმაციის, საკუთარ თავთან შეპირისპირებისა თუ დაჯახების ნაპერწკლადაც, რომელმაც იქამდე ათწლეულების განმავლობაში მიჩქმალული ფუნდამენტური – შედარებით ზედაპირული და მანიპულაციური შინაარსებითა და დაპირისპირებებით გადაფარული – უსამართლობის სურათი და მისი სიცხადე სახალხო ტრიბუნაზე გამოიტანა. სწორედ ამიტომ, ამ პროცესში, ჩვენ ყველას მოგვიწია მწვავე, კრიტიკული და ხშირად მტკივნეული კითხვების დასმა საკუთარი თავებისადმი, საკუთარი აზროვნებისა თუ ერთმანეთისადმი დამოკიდებულებისადმი, ერთმანეთის მხარდაჭერის, ერთმანეთის გარიყვისა თუ განსჯის ჩვენში ფესვგადგმული პრაქტიკებისადმი, რომლებმაც ამ ცოცხალ პროცესში საკუთარი არაერთი სიმცდარე, სწორხაზოვნება თუ ჩაკეტილობა აჩვენა.

ამიტომაც, ეს პროცესი ტრანსფორმაციული იყო არა მხოლოდ მასში ჩართული ათასობით ადამიანისთვის, არამედ რიგითი პოლიციელების, სპეცრაზმელების, ჟურნალისტების, ორგანიზაციების, ინტელექტუალებისა თუ მოძრაობებისთვისაც; ისევე, როგორც ძალაუფლების ვექტორებისთვის – რომელთაც არაერთხელ მოუწიათ უკან დახევა, საკუთარ ლოგიკაში გაჭედვა, მორალური უპირატესობის დაკარგვა და რომლებსაც, შესაბამისად, მსგავს წინააღმდეგობებთან გასამკლავებლად მომავალში კიდევ უფრო დახვეწილი სტრატეგიების შემუშავება მოუწევთ.

ლელა რეხვიაშვილის ეს ნაშრომი ჩემთვის, როგორც არა ამ ბრძოლაში ასევე ჩართული ადამიანისთვის, არამედ, ამ შემთხვევაში, როგორც კონკრეტული წიგნის რედაქტორისთვის – თავდაუზოგავი ბრძოლისა და თეორიული (თვით)კრიტიკულობის იშვიათი მაგალითია თანამედროვე, პოსტსაბჭოთა საქართველოს აქტივისტური თუ აკადემიური წრეებისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თაკო ანთიძეს ბიოლის ფონდიდან, რომლის მხარდაჭერაც ფასდაუდებელი იყო ნაშრომის შექმნისთვის; ჩვენს მეგობრებს რიონის ხეობის მოძრაობიდან: ვარლამ გოლეთიანს, მარიტა მუსელიანს, მაკა სულაძეს, კახა ასათიანს, ირაკლი ივანეიშვილს და ხეობის სხვა მცველებს, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ, ჩვენთან ერთად დაუსრულებლად ემსჯელათ წიგნის თითოეულ პარაგრაფში მოცემულ საკითხზე. მადლობას ვუხდით ჩვენს კოლექტივს „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“, განსაკუთრებით ნინო გოგუას, ირინე ჯორჯაძეს, ლუკა ნახუცრიშვილს; დანარჩენ წევრებს – კოტე ერისთავს, თეონა რეხვიაშვილს, მარიამ პაიჭაძეს, ანა ბერიას, ანანო ნიქაბაძეს მხარდაჭერისთვის და წიგნში წყაროებად გამოყენებული მასალების ფაქტობრივად, შექმნისთვის – მათზე კოლექტიურად მუშაობისთვის. ასევე, ლინა ღვინიანიძეს, ბექა ნაცვლიშვილს, თათული ჭუბაბრიას; ლიკა ჯალაღანიასა და თამთა ხალვაშს კომენტარებისა და რჩევებისთვის. მადლობას ვუხდით მოძრაობაში ჩართულ უამრავ ადამიანს, ჯგუფს თუ ორგანიზაციას, რომელთა სიაც გრძელი და ჩამოუთვლე-

ლია, თუმცა, არაერთხელ ვასახელებთ თავად წიგნში. სწორედ მათ დაუღალავ შრომას, მუდმივ ფიქრსა და დიალოგში ყოფნას ეყრდნობა როგორც თავად ბრძოლისას დაბადებული ახალი გამოცდილებები, ისე ნაშრომში მოყვანილი ფაქტობრივი მონაცემები თუ ანალიტიკური მიდგომები.

დაბოლოს, ვინაიდან მოცემული ნაშრომი პირველი მცდელობაა ამ უზარმაზარი პროცესისა და უნიკალური გამოცდილების ანალიზისა, მას გთავაზობთ, როგორც დასაწყისს მომავალი განაზრებებისთვის, როგორც გამხსნელ ტექსტს ნაშრომში დასმულ, – როგორც ცალკე საქართველოს კონტექსტისთვის, ისე, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპისთვის პოლიტიკურად მუდამ აქტუალურ თეორიულ კითხვებზე პრაქტიკაში გამოცდილი და სამომავლოდ გამოსაცდელი პასუხების ძებნისა და გაცემისთვის.

ალექსანდრა არეშვილი

შესავალი

ვინ და როგორ შეეწინააღმდეგება დღეს კაპიტალიზმს? ვინ შეეწინააღმდეგება კაპიტალიზმს საქართველოში ან აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის იმ პერიფერიულ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმთან შეწინააღმდეგების ცენტრალური აგენტი – სამოქალაქო საზოგადოება – მეინსტრიმული (ძირითადად ლიბერალი) თუ კრიტიკული შემფასებლების დაკვირვებით, სუსტი, დაყოფილი და საზოგადოებას მოწყვეტილია (Foa and Ekiert, 2017; Howard, 2012)?

ამ ნაშრომში გიყვებით რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლის ამბავს, განსაკუთრებით კი, 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდის დეტალურ ისტორიას, რითაც ვცდილობ სწორედ ამ ისტორიულ, ფართო თეორიულ და პოლიტიკურად მუდამ მნიშვნელოვან კითხვას შევეხმიანო. თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ამ უნიკალური ბრძოლის შესწავლაზე დაყრდნობით, ანტონიო გრამშისა და პარტა ჩატერჯეს **სუბალტერნულობის, სამოქალაქო** და **პოლიტიკური საზოგადოების კონცეპტებთან** დიალოგით, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო, ერთი მხრივ, კაპიტალისტური ჰეგემონიის წარმოების პროცესს, მეორე მხრივ კი, არსებულ ჰეგემონიურ განვითარების პოლიტიკასთან შეწინააღმდეგების პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ნაშრომი აღწერს, თუ რა გზებითა და ხერხებით ცდილობენ არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ელიტები არსებული განვითარების პოლიტიკის ლეგიტიმაციას და მისდამი წინააღმდეგობის საჯარო სივრციდან გარიყვას. ის ასევე აკვირდება, თუ რა გზებით ხერხდება ან შეიძლება მოხერხდეს – თუნდაც დროებით, ან ნაწილობრივ – ზემოხსენებულ **ჰეგემონიურ წესრიგთან** – ადამიანისა და ბუნების, ადგილობრივი კულტურებისა და მემკვიდრეობების, საარსებო გარემოს შეუქცევადი განადგურებისა თუ სასტიკი ექსპლუატაციისადმი წინააღმდეგობის გაწევა და მეტიც, ალტერნატიული ფასეულობების, ალტერნატიული განვითარების გზების დასახვა და სახელდება.

ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დაკვირვებებით, ჩემი მთავარი სათქმელი ასეთია: საქართველოში წინააღმდეგობის პოლიტიკის უდიდესი წილი, ისევე როგორც, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის დიდ ნაწილში – სამოქალაქო საზოგადოების მიღმა, როგორც პატრა ჩატერჯე უწოდებს, პოლიტიკური საზოგადოების ველში მიმდინარეობს. **სამოქალაქო საზოგადოება** – წინააღმდეგობის პოლიტიკის ეს ცენტრალური ავატარი, ერთგვარი ბრძოლის ველია, მასში – ანუ უფლებების მქონე, ლეგიტიმური, ორგანიზებული მოქალაქეების სიაში ჩაწერა და ამ სიიდან გარიყვა კი – ბრძოლის ველის ცენტრალური მახასიათებელი. ამ დაკვირვებას გარდამტეხი დატვირთვა აქვს როგორც არსებული ლიტერატურისთვის, ისე, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლებისთვის პოსტსოციალისტურ სივრცეში და მის მიღმა. დღემდე, მუდმივი დავა მიმდინარეობს იმაზე, თუ რატომ არის სამოქალაქო საზოგადოება სუსტი, ელიტური და მოსახლეობის უმეტესობის ტკივილებისაგან მოწყვეტილი (Gagyi and Ivancheva, 2019). რეგიონზე მომუშავე ავტორების ნაწილის აზრით, სამოქალაქო საზოგადოების ცნება საერთოდ ჩამოსაშორებელია; ავტორების მეორე ნაწილი კი ირჩევს სამოქალაქო საზოგადოების ცნების გაფართოებას, რათა მან მოიცვას არა მხოლოდ პოსტსოციალისტურ საჯარო სივრცეებში სამოქალაქო საზოგადოებად აღიარებული

აქტორები – იქნება ეს არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ფორმალური ასოციაციები – არამედ ასევე მარგინალიზებული ბრძოლები და ყოველდღიური წინააღმდეგობის ფორმები (Jacobsson, 2016; Jacobsson and Korolczuk, 2019). ჩემი მტკიცებით, ორივე მიდგომა თეორიულად და პოლიტიკურად უკიდურესად პრობლემურია.

რიონის ხეობის მაგალითზე გაჩვენებთ, რომ ძალაუფლებასთან შეწინააღმდეგებული ჯგუფების სამოქალაქო საზოგადოებიდან განდევნა და მათი ბრძოლის ლეგიტიმურობის უარყოფა, არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტებისთვის ჰეგემონიის შენარჩუნების მთავარი იარაღია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეული ჯგუფების **სუბალტერნულობა,** მათი **ეპისტემური (მათი შეცნობადობის) უარყოფა,** მათი არსებულ პოლიტიკურ ველთან შეუსაბამობის ხაზგასმა, უფლებების ჩამორთმევა და საჯარო სივრცეში ხმის წართმევა სწორედ სამოქალაქო ორგანიზების ველიდან განდევნით ხორციელდება. სუბალტერნული მდგომარეობა მხოლოდ მატერიალურ დეპრივაციას არ ნიშნავს, მისი მთავარი განმსაზღვრელი კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში ჰეგემონიური წესრიგიდან მატერიალური და დისკურსული განდევნა, ცოდნის წარმოებიდან მოწყვეტა, პოლიტიკური ხმის და ინტერესების საჯარო სივრცეში გაჟღერების შესაძლებლობის მიზანმიმართული ჩამორთმევაა. მსგავს განდევნილ ჯგუფებს, ვისაც ძალაუფლების არსებული სისტემა დემოკრატიული ჩართულობის მექანიზმებიდან და სამოქალაქო უფლებების სივრციდან გარიყავს, უწევთ **პოლიტიკური საზოგადოების ველში** – ანუ არსებული ინსტიტუციებიდან და სტრუქტურებიდან ამოგლეჯილ, ალტერნატიულ ღირებულებით ველში ყოფნა და ალტერნატიული, ექსტრაინსტიტუციური ხერხებით ბრძოლა. საპირწონედ, კონტრჰეგემონიური ძალებისთვის, პოლიტიკური საზოგადოების ველში განდევნილი ჯგუფებისთვის, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკულად და კონტრჰეგემონიურად განწყობილი ძალებისთვის, სწორედ მსგავსი დელეგიტიმაციის გადალახვა ხდება მთავარი გამოწვევაც და ბრძოლის სიძლიერის განმსაზღვრელიც. ერთი სიტყვით, **პოლიტიკური საზოგადოება სამოქალაქო საზოგადოების ცნებიდან განდევნილი, სუბალტერნული ჯგუფების ორგანიზების ველია.** ამ ველის გადალახვა და სამოქალაქო საზოგადოების კანქვეშ შეღწევა, თავად სამოქალაქო საზოგადოების ცნების დესტაბილიზაცია – და არა სამოქალაქო საზოგადოების „გაძლიერება", ან ამ იარლიყის უბრალოდ მიკვრა საკუთარ თავზე – გვევლინება, სწორედ, პრაქტიკაში დღეს ჰეგემონიურ წესრიგთან რეალურად შეპირისპირების გზად. ამ პროცესებთან დაკავშირებული არსებული თეორიული გამოსავლები კი: მარგინალიზებული, სუბალტერნული ბრძოლების პირდაპირ სამოქალაქო საზოგადოებად გაფორმება მკვლევრების მიერ, ან, სხვა შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების ცნების ბოლომდე უარყოფა და დავიწყება, შეიძლება ითქვას, დიდწილად ან სრულიად აცდენილია რეალობას. ორივე მიდგომა უგულებელყოფს უმნიშვნელოვანეს, ყოველდღიურ ბრძოლებში, პრაქტიკაში მიმდინარე პროცესს, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოებიდან განდევნა ან ამ ცნებაში თავის მოაზრება გადამწყვეტი ბრძოლის საგანი ხდება არაერთი სუბალტერნული ჯგუფისთვის.

ამ გრძელ თეორიულ და მრავალფეროვანი ცნებებით დატვირთულ ფიქრის ხაზს რომ მეტი სიცხადე შევძინო, შესავლის სახით ვეცდები შევაჯამო ამ წიგნში ვრცლად განხილული ბრძოლის ქრონოლოგია რიონის ხეობაში – ის, რამაც ამ ფიქრებამდე მიმიყვანა.

რიონის ხეობის ბრძოლის დისკრედიტაციისთვის სახელმწიფოსა და ლობისტების მიერ გაწეულ შრომაზე დაკვირვება ნათლად აჩვენებს, თუ როგორ იწარმოება ჰეგემონია და სუბალტერნულობა; როგორ ცდილობს სახელმწიფო და უფრო ზოგადად, ლიბერალურ კონსენსუსზე დამყარებული პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა, განვითარების არსებული პოლიტიკის წინააღმდეგობების მოგერიებას.

ლიბერალური კონსენსუსი ამ კვლევაში გამოწრთობილი მარტივი ცნებაა, რითაც ვცდილობ აღვწერო, რომ ერთი შეხედვით ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებული პოლიტიკური ძალები, ფაქტობრივად, სრულ თანხვედრაში არიან განვითარების პოლიტიკის ხედვებთან დაკავშირებით. დღევანდელ საქართველოში, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, ისევე, როგორც მათთან დაკავშირებული მეინსტრიმული მედიები და ეკონომიკური ელიტები, დაურეგულირებელი და კერძო ინტერესებით მართული საბაზრო ეკონომიკის, ამ ეკონომიკასთან მიბმული სოციო-ეკონომიკური უთანასწორობების, შრომისა და გარემოს თავზეხელაღებული ექსპლუატაციის უპირობო მომხრენი არიან და სრულიად ორგანიზებულად, ერთხმად განდევნიან ამ ხედვებთან და მათზე დაფუძნებულ სისტემასთან დაპირისპირებულ აქტორებს.

პერიფერალიზებულ ლეჩხუმის რეგიონში ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მოსახლეობის უკმაყოფილებასა და მობილიზებას სახელმწიფო წლების განმავლობაში უბრალოდ დუმილით და იგნორირებით იგერიებდა. სახელმწიფოს მხრიდან უგულებელყოფის **სტრატეგიას** ამაგრებდა მსგავს პერიფერიულ მხარეში გახმოვანებული უკმაყოფილების მარგინალურობა საჯარო, პოლიტიკურ სივრცეში. სწორედ ამ მარგინალურობის დასტურია ის, რომ 2020 წლის ნოემბერში კარვებში მუდმივი პროტესტისა და პოლიციის დარბევების დაწყებამდე, რიონის ხეობაში მიმდინარე პროტესტზე ინფორმაცია ქართულ საჯარო სივრცეში უკიდურესად მწირი იყო, მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილ ჰესის პროექტს ადგილობრივი მოსახლეობა უკვე წლებისა და ათწლეულების განმავლობაში აპროტესტებდა. ქვემოთ ვაჩვენებ, რომ გარკვეული ჯგუფების, მოსახლეობისა თუ მთელი რეგიონების პერიფერალიზაცია და მათი მოსახლეობების სუბალტერნულ მდგომარეობაში ჩაყენება არა უბრალო მოცემულობაა, არამედ, აქტიურად იწარმოება ძალაუფლების მქონე სტრუქტურების მიერ. რიონის ხეობის პერიფერალიზაციის საფუძველი, ერთი მხრივ, ათწლეულების მანძილზე ამ რეგიონისთვის საბაზისო სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ხეობის მატერიალური დეპრივაცია და დასუსტება იყო, მეორე მხრივ კი, ადგილობრივი მოსახლეობისთვის დემოკრატიული ჩართულობის, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების აქტიური ჩამორთმევა[1]. სანამ მოსახლეობის წუხილი საჯარო სივრცეში შეაღწევს და სახალხო მხარდაჭერას მოიპოვებს, სახელმწიფოს ურჩევნია უბრალოდ არ შეიმჩნიოს პროტესტი, უკიდურეს შემთხვევაში კი, მას ადგილობრივად – საჯარო ხილვადობას მოკლებულ კონტექსტში საპოლიციო ძალის მეშვეობით გაუმკლავდეს. ასე მიუჩენს წინააღმდეგობას სუბალტერნულ ადგილს, საიდანაც სამოქალაქო უფლებების გამოყენება თითქმის შეუძლებელი ხდება და ალტერნატივად მხოლოდ მშენებლობის ფიზიკური შეჩერება, კონსტიტუციურ უფლებებს მიღმა

1 ამ უკანასკნელს კარგად აჩვენებს 2019-2020 წლებში კრიტიკულად განწყობილი მოსახლეობის ნაწილის ჩამოშორება პროექტის სავალდებულო საჯარო განხილვებიდან, მათი კითხვების უპასუხოდ დატოვება და პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გასაიდუმლოება.

დარჩენილი ბრძოლის იარაღების გამოყენება – ანუ პოლიტიკური საზოგადოების ველში მოქმედებაღა რჩება.

რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლა საინტერესო და თავიდან ბოლომდე პარადიგმულია იმიტომ, რომ ის არ დარჩენილა ამ ველში სახელმწიფოს ზემოთ მოყვანილი სტრატეგიის მრავალმხრივი და მრავალჯერადი განხორციელების მიუხედავად. ეს გამოცდილება გვაჩვენებს, რომ მას შემდეგ, რაც წინააღმდეგობა ახერხებს საჯარო მხარდაჭერისა და წამყვანი მედიების ყურადღების მობილიზებას – ამ ველიდან გამოღწევას; სახელმწიფო, არსებული პოლიტ-ეკონომიკური ელიტები და მათთან დაკავშირებული მედიები პროტესტის **დისკრედიტაციას** სხვადასხვა იარლიყით იწყებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობა მეტწილად წარმატებით იგერიებდა მსგავს ბრალდებებს, დისკრედიტაციის ეს მექანიზმები, რომლებიც ნაშრომში დეტალურადაა განხილული, უკიდურესად საგულისხმოა ჰეგემონიისა და სუბალტერნულობის წარმოებისთვის. სხვადასხვა ბრალდების წამყვანი და ყველაზე რეზონანსული გზავნილი პროტესტში ჩართული ჯგუფების განვითარების, პროგრესის, მოდერნიზაციის უკიდურესად ძლევამოსილ წარმოდგენებთან შეპირისპირებაა. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო სუბალტერნულ ჯგუფებს ლეგიტიმურობას და, შესაბამისად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე წვდომას წაართმევს, მოლოდინი აქვს, რომ მსგავსი ჯგუფების **რეპრესია** არავის გულისწყრომას არ გამოიწვევს. რიონის ხეობის ბრძოლის შემთხვევაში, ეს დაშვება დიდი ხნის განმავლობაში არ გამართლდა. რეპრესიის ყველა გამოვლინებას პროტესტის მეტად გაძლიერება და ფართო, მრავალფეროვანი მოძრაობის ჩამოყალიბება მოჰყვა, თუმცა, ხელისუფლება ამ სტრატეგიას მაინც განსაკუთრებული მონდომებით და დაჟინებით მიმართავდა, მათ შორის, დისკრედიტაციისა და რეპრესიის სხვადასხვა წრეს. რეპრესიული აპარატის ამუშავებამდე, ის ყველა ჯერზე ასევე იყენებდა **მოჩვენებითი მოლაპარაკების** სტრატეგიას, თუმცა, მოლაპარაკება ისევ დისკრეტიდაციის მიზნით თამაშდებოდა, რათა საზოგადოებისთვის რიონის ხეობის მცველების „ურჩობა და/ან არაცივილურობა“ ეჩვენებინა.

როცა რიონის ხეობის მოძრაობის მაგალითზე სახელმწიფოს ამ მრავალნაცადი სტრატეგიის მარცხი აშკარად გამოჩნდა, მან, ერთი მხრივ, დისკრედიტაციის მცდელობა გააგრძელა, მეორე მხრივ კი, პარალელურად, საჯარო უკან დახევა არჩია, შეცდომების აღიარება დაიწყო და პირდაპირი რეპრესიული ძალის გამოყენებაც შედარებით შეზღუდა. ამგვარი **უკან დახევა** სოციალური მოძრაობის წინაშე, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში შეიძლება არც იყოს პირველი, მაგრამ ის ნამდვილად უპრეცედენტოა პერიფერიულ რეგიონში, სუბალტერნული ჯგუფებიდან წამოსული პროტესტის მიმართ[2]. ამის შემდეგ კი, ხელისუფლება აამუშავებს კიდევ ერთ, ასევე უპრეცედენტო სტრატეგიას უკვე ევროკავშირის ენერგოგაერთიანების მედიაციის პროცესში მოწვევით[3].

2 მსგავს რეგიონებში შეიძლება პოლიტიკური საზოგადოების ველიდან მებრძოლ ჯგუფებს შეეჩერებინათ კონკრეტული პროექტები, მაგრამ საჯარო ველში სახელმწიფოს საჯარო უკან დახევა რიონის ხეობის ბრძოლამდე არ გვინახავს.

3 მართალია, მედიაციის პროცესშიც მთავრობის მიზანი პროტესტის შენელება და ჰესის მშენებლობის პროცესის აღდგენა იყო, მაგრამ თავად ამ პროცესის წამოწყება ცხადად აჩვენებდა იმას, რომ მთავრობა არსებული სტრატეგიების ლიმიტს აღიქვამდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი ორიენტირდება ბრძოლის დასაწყისიდან – ბოლომდე, განსაკუთრებით კი, აქტიური ქუჩის პროტესტის პერიოდის დეტალურ ქრონოლოგიაზე და არ გამოარჩევს საკუთარ ფოკუსად კონკრეტულ მოვლენებს, მასში მოყვანილი თეორიული განაზრებების გამტკიცებისთვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რიონის ხეობის მოძრაობის ლიდერების მიერ 2021 წლის 5 ივლისს დაგეგმილი „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო განცხადების გაკეთებამ, შემდეგ კი, მათმა გამოჩენამ ამავე მოვლენის წინააღმდეგ გამართულ კონტრაქციაზე, რომელიც ძალადობრივი შედეგებით დასრულდა და ამის ნიადაგზე, ფართო მოძრაობაში გარკვეული განხეთქილებები გააჩინა. ამ განხეთქილებამ ხელი გაუხსნა როგორც ხელისუფლებას, ისე ლიბერალური კონსენსუსის მაწარმოებელ ყველა ძალას მოძრაობის დისკრედიტაციის სტრატეგიის ხელახლა და იქამდელ პერიოდთან შედარებით, გაცილებით წარმატებით ასამუშავებლად. მართალია, მთავრობამ და ლობისტებმა ვერ მიაღწიეს ცენტრალურ მოკლევადიან მიზანს, „ნამახვანჰესის“ მრავალმხრივ პრობლემური პროექტის კომპანია „ენკას“ ხელით აღსრულებას, მაგრამ 5 ივლისის შემდგომ გამოყენებული დისკრედიტაციის მექანიზმებით, მათ, გარკვეულწილად, საზოგადოების ნაწილის თვალში მაინც შეძლეს მოძრაობისთვის კვლავ სუბალტერნული ადგილის მიჩენა და განვითარების არსებული პოლიტიკის წინააღმდეგ რიონის ხეობის მოძრაობის მიერ გაჩენილი კრიტიკის ნაწილობრივი მიჩქმალვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფომ არასაკუთარი ხელით, თუმცა კარგად გამოიყენა იქამდე დიდი ხნით ადრე მომზადებული დისკრედიტაციის მექანიზმი, კერძოდ, მოძრაობის ლიბერალურ-კონსერვატიულ ჩიხში მოქცევა.

ლიბერალურ-კონსერვატიული ჩიხი ამ წიგნში განვითარებული კიდევ ერთი მარტივი ცნებაა არსებული პოლიტიკური სივრცის ცრუ ლიბერალურ-კონსერვატიული დავიწროების საჩვენებლად. ამ ჩიხს და თავად ლიბერალურ-კონსერვატიულ დაპირისპირებას „ცრუს“ ვუწოდებ იმდენად, რამდენადაც არსებული კონსერვატიული ღირებულებების სახელით მობილიზებული ულტრამემარჯვენე ჯგუფები, ლიბერალური ჰეგემონიის არა ალტერნატივა, არამედ ხშირად მისივე უფრო მახინჯი და ავტორიტარული ერთგვარი ალტერ-ეგოა – არც საქართველოში და არც სხვა, ევროპულ კონტექსტში, ულტრამემარჯვენე/ფაშისტურად განწყობილი ჯგუფები ნეოლიბერალურ ჰეგემონიას ფუნდამენტურად არ უპირისპირდებიან, არსებულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს კი გაცილებით უფრო ეშინია შედარებით სუსტი მემარცხენე ძალების, ვიდრე ადვილად მობილიზებადი ულტრამემარჯვენე ჯგუფების. რიონის ხეობის მოძრაობის შემთხვევაში, სახელმწიფო ერთი ხელით – მოძრაობის კონსერვატიულობაზე ხაზგასმით – მის დისკრედიტაციას ცდილობდა, მეორე ხელით კი, სახელმწიფოს მიერვე თავის ნებაზე მიშვებული და, სავარაუდოდ, ასევე კონტროლირებადი ულტრამემარჯვენე თუ საეკლესიო წრეებთან დაახლოებული ჯგუფების ხელით, ირიბად, მოძრაობის ლიბერალურ ძალად შერაცხვას. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ლიბერალური ძალების მიმართ მკვეთრად უარყოფითი სახალხო სენტიმენტი საზოგადოებაში ათწლეულების განმავლობაშია გაღვივებული, რაც, ერთი მხრივ, უკავშირდება სწორედ არსებული განვითარების პოლიტიკის ანტისახალხო შედეგებს, მეორე მხრივ კი, მისი ამგვარი სახელდების შეუძლებლობის გამო, კვებავს ულტრამემარჯვენე მობილიზაციას უფრო მეტად კულტურულ, საზოგადოებრივად სკანდალურ საკითხებზე.

ის, რომ ლიბერალურ-კონსერვატიულმა ჩიხმა რიონის ხეობის მოძრაობა გარკვეულწილად დააზიანა, გასაკვირი არ არის, რადგან ეს ჩიხი საქართველოში (და არამხოლოდ) არაერთ მოძრაობას და სოციალურ პროტესტს შეინწირავს ხოლმე. მაგრამ ამ პროცესში საინტერესო და უფრო საკვირველი სწორედ საპირისპიროა, თუ როგორ მოახერხეს მოძრაობის ადგილობრივმა ლიდერებმა და ფართო მოძრაობამ ერთად დისკრედიტაციის სტრატეგიების ზიანის არიდება ამ თარიღამდე. როგორ მოხერხდა, რომ პატარა, სუბალტერნული, პოლიტიკური საზოგადოების ველში გაძევებული ადგილობრივი პროტესტი გადაიზარდა ფართო სახალხო მხარდაჭერის მქონე ლეგიტიმურ, სამოქალაქო საზოგადოების ველიდან არა გარიყულ, არამედ მასში შეღწეულ, მისი გამოყენებით მებრძოლ მოძრაობად, რომელიც ახერხებდა, მეინსტრიმული მედიების მთავარი დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოფილიყო თვეების განმავლობაში? ერთი სიტყვით, კვლავ რომ დავუბრუნდეთ თავში დასმულ კითხვას, მოცემული ნაშრომი რეფლექსირებს სწორედ იმაზე, თუ როგორ შეიძლება დღეს ლიბერალურ ჰეგემონიასა და კაპიტალიზმთან თუნდაც დროებით, მაგრამ რეალურად შეწინააღმდეგება და რა გაკვეთილებს ვსწავლობთ რიონის ხეობის ბრძოლის წარმატებებისა და ლიმიტების ანალიზით.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დასაწყებად, უნდა ითქვას, რომ რიონის ხეობის მოძრაობის უპრეცედენტო წარმატება ყველაზე მეტად ორი სახის აქტორის, სუბალტერნული ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების ან მედიის კრიტიკული და (ნაწილობრივ მაინც) კონტრჰეგემონიური ნაწილების აქამდე არნახულად მჭიდრო, მაგრამ ერთმანეთის ავტონომიის პატივისცემაზე დაფუძნებულმა თანამშრომლობამ განსაზღვრა[4]. ამ თანამშრომლობამ, ერთი მხრივ, მოძრაობას შეაძლებინა შეენარჩუნებინა სახალხო ხასიათი, მოეპოვებინა სხვა სუბალტერნული ჯგუფებისა და ინდივიდების მხარდაჭერა (აქ განსაკუთრებით ხაზგასასმელია ემიგრანტების უპრეცედენტო მობილიზება), მაგრამ, ამასთან ერთად, ასევე შეაძლებინა, შეეღწია ლიბერალური კონსენსუსით დომინირებულ საჯარო ველში, მოეპოვებინა ფართო მედიადაფარვა და საჯარო ლეგიტიმურობა.

ამ ორმაგი წარმატების, რიონის ხეობის მცველებისა და ყველა სხვა ჩართული აქტორის მხრიდან – რაც მოცემულ ნაშრომში მოხსენიებულია, როგორც რიონის ხეობის გადარჩენისთვის ფართო მოძრაობა – დისკრედიტაციის მექანიზმების, მათ შორის, ზემოხსენებული **ლიბერალურ-კონსერვატიული ჩიხის** არიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი მოძრაობის ადგილობრივი ლიდერების, ანუ რიონის ხეობის მცველების მიერ შემუშავებული **ორმაგი გამიჯვნის პოლიტიკა** იყო. ბრძოლის დასაწყისიდან კარვებით პროტესტის დასრულებამდე, ისინი მუდმივად ცდილობდნენ და ძირითადად შესაშურად ახერხებდნენ ავტონომიურობის შენარჩუნებას და ნებისმიერ გამოკვეთილ პოლიტიკურ ძალასთან დისტანცირებას. ამიტომ, მცველების მხარდამჭერად და ბრძოლის განუყრელ ნაწილად ბოლომდე სწორედ ისეთი მედიები და სამოქალაქო აქტორები დარჩნენ, ვინც

4 უნდა ითქვას, რომ კრიტიკული სამოქალაქო საზოგადოების ამ ან სხვა ჯგუფებს მანამდეც არაერთხელ დაუჭერიათ მხარი სუბალტერნული და პოლიტიკური საზოგადოების ველში მებრძოლი ჯგუფებისთვის (Qeburia and Chubabria, 2017), თუმცა რიონის ხეობის მოძრაობის შემთხვევაში თავად ლიდერების გადაწყვეტილებებმა და, სავარაუდოდ, წინა სუბალტერნული ბრძოლების გამოცდილებების გადააზრებამ გაცილებით უფრო მასშტაბური სახე შესძინა ამ თანამშრომლობას, ვიდრე მსგავსი კოოპერაციის მაგალითები აქამდე გვინახავს.

არც თავად ცდილობდა ბრძოლაში ავანგარდისტული პოზიციის დაჭერას და ბრძოლის საკუთარ და ხშირად ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებზე დაქვემდებარებას[5]; მაგრამ კონკრეტულად ლიბერალურ-კონსერვატიული ჩიხის ასარიდებლად და ამ ჩიხის მაწარმოებელ აქტორებთან დისტანცირებისთვის, მცველებმა დროთა განმავლობაში შეიმუშავეს და უკვე თბილისში ორგანიზებულ აქციებზე საჯაროდ განსაზღვრეს და მკვეთრად გამოხატეს მიდგომა, რომელსაც მე ამ წიგნში ორმაგი გამიჯვნის პოლიტიკას ვუწოდებ.

ორმაგი გამიჯვნის პოლიტიკა პროტესტის სივრცეებში თვეების განმავლობაში იწრთობოდა. ის, ერთი მხრივ, მიემართებოდა ულტრამემარჯვენე ან, უფრო ფართოდ, ბრძოლის უფრო აგრესიული ან/და ძალადობრივი ფორმით გადაჭრის მომხრეებს და მათგან ბრძოლის მშვიდობიანი ხასიათის მხარდაჭერასა და თვითდისციპლინას ითხოვდა; ხოლო მეორე მხრივ, ასევე მიემართებოდა ლიბერალიზმთან ასოცირებული, მაგრამ არა აუცილებლად ლიბერალური კონსენსუსის თანამონაწილე თვითგამოხატვის ფორმებისადმი, განსაკუთრებით კი, არანორმატიული გენდერული და სექსუალური იდენტობის მქონე ან მხარდამჭერ ჯგუფებს, რომლებსაც მოძრაობა იდენტობის ხილვადობის შეზღუდვას, კერძოდ, პროტესტში მონაწილეობისას შესაბამისი სიმბოლიკის გვერდზე გადადებას სთხოვდა. ამ მოთხოვნების შედეგად, თბილისში გაზრდილი დაძაბულობის ფონზე, სიმბოლური მაგალითის მისაცემად, მათ თავად დაუწესეს საკუთარ თავს შეზღუდვა, როდესაც მოძრაობის ერთ-ერთმა სახემ, მაკა სულაძემ თბილისის აქციების მსვლელობაში დიდი ვაზის ჯვრით მონაწილეობაზე თქვა უარი. არადომინანტური სიმბოლიკის აკრძალვის საპირწონედ დომინანტური სიმბოლიკის აფიშირებისგან თავის შეკავებით ხეობის მცველებმა თვალსაჩინოდ მოახერხეს არა მხოლოდ ჩიხის კონსერვატიულ, პრობლემურ ნაწილთან დისტანცირება, არამედ იდენტობის პოლიტიკის ყველაზე ცხად, ასევე პრობლემურ ლიბერალურ სტრატეგიასთან – ხილვადობის პოლიტიკასთან გამიჯვნაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება გამოწვევა და, გარკვეულწილად, დათმობა სწორედ ბრძოლის კონტრჰეგემონიური სამოქალაქო საზოგადოების ნაწილისთვის უნდა გამხდარიყო, ორმაგი გამიჯვნის პოლიტიკის წინააღმდეგ ყველაზე მწვავე პროტესტი არა ამ ჯგუფებმა, არამედ ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა გამოხატეს. ნაშრომში ვნახავთ, თუ როგორ შევიდა შემდგომ ეს პოლიტიკა თავადვე ჩიხში, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამ სტრატეგიამ ძალიან საინტერესო პრეცედენტი შექმნა, როგორც სუბალტერნული ბრძოლის კონტრჰეგემონიურ სამოქალაქო საზოგადოებასა და კონტრჰეგემონიურ მედიასთან თანამშრომლობის მნიშვნელოვანი გამოცდილების საფუძველი.

როცა მოძრაობის ადგილობრივ ლიდერებსა და სამოქალაქო საზოგადოებასა თუ მედიის კრიტიკულ ნაწილს შორის გაჩენილ ამ თანამშრომლობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ პროცესში პროტესტის ლიდერები ყოველთვის რჩებოდნენ წამყვან სტრატეგებად და ბრძოლის ფილოსოფიის ჩამომყალიბებლებადაც. მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანი და ქართული პოლიტიკური ველისთვის საკმაოდ უჩვეულო და

5 ეს უკანასკნელი ახასიათებთ როგორც ულტრამემარჯვენე ჯგუფებს, ისევე ლიბერალური კონსენსუსის თანამონაწილე სამოქალაქო საზოგადოებას, მედიებსა და პოლიტიკურ პარტიებს – სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიბერალურ-კონსერვატიული ჩიხის მაწარმოებელ აქტორებს, და ასევე, ზოგჯერ, მემარცხენეების გარკვეულ ნაწილს – უფრო მეტად დისკურსულ, იდეოლოგიურ ნაწილში.

დასამახსოვრებელია, რიონის ხეობის მცველების ბრძოლის პოლიტიკური ფილოსოფია არ დაკმაყოფილებულა არც მხოლოდ დისკრედიტაციის მოგერიების განსაკუთრებული ხერხებით და არც მხოლოდ „ნამახვანჰესის“ პროექტის ირგვლივ კარგად ნაკვლევი და დასაბუთებული არგუმენტების გაჟღერებითა და საჯარო სივრცეში თანმიმდევრული ამოტანით. ბრძოლის პროცესში ხეობის მცველებმა განავითარეს, ერთი მხრივ, ძალაუფლების კრიტიკის ზოგადი ინსტრუმენტები, მეორე მხრივ კი, ალტერნატიული, როგორც ამ ნაშრომში ვუწოდებ, დეკოლონიური; ღირებულებითი, ნორმატიული და ეთიკური მიდგომები განვითარების, სახელმწიფოებრიობის, ზოგადად ადამიანის სოციალური არსებობისა და ბუნებასთან თანაარსებობის შესახებ. თანამედროვე ქართული სახელმწიფოს კოლონიურობის კრიტიკა, მისი საერთაშორისო კაპიტალის ინტერესებზე დაქვემდებარების გამოვლენა, საჯარო თუ საერთო სიკეთეებზე, რესურსებსა და ფასეულობებზე საუბარი და მსგავსი დისკუსიის მეინსტრიმულ საინფორმაციო ველში შეტანა არა მხოლოდ უნიკალურია, არამედ, ჩემი მტკიცებით, სრულიად ცვლის პოლიტიკური შესაძლებლობების ველს მანამდე ტაბუდადებული, ან მხოლოდ მარგინალიზებულ სივრცეებში გამოთქმული კრიტიკული პოზიციების საჯარო ველში გაჟღერებითა და მათთვის სახალხო ლეგიტიმურობის შეძენით.

2021 წლის ივლისამდე განვითარებული მოვლენების განხილვის საფუძველზე ვასაბუთებ, რომ სწორედ ამ ორმაგი ძალით აღჭურვილი – კონტჰეგემონიური სამოქალაქო საზოგადოებისა და სუბალტერნული სახალხო ბრძოლის რესურსების გაერთიანება ქმნის მოცემულ კონტექსტში, პერიფერიულ კაპიტალიზმთან არა ფსევდო, არამედ ფუნდამენტური დაპირისპირების შესაძლებლობას და ხსნის დეკოლონიური ალტერნატივების განხილვის სივრცეს, მიუხედავად იმისა, რომ 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა ამ ორმაგი ძალით აღჭურვილი ბრძოლის, ისევე როგორც მცველების ორმაგი გამიჯვნის სტრატეგიის ლიმიტებიც გვაჩვენა. 2021 წლის ივლისიდან მოძრაობის შედარებითი დაღმასვლის, ინტენსივობის შემცირების ან ნაწილობრივ უბრალოდ კანონზომიერ, ნაწილობრივ კი სახელმწიფოს სტრატეგიებით დამდგარი შედეგების ანალიზისას, მაინც გამოვყოფთ 5 ივლისის მოვლენებით გამოწვეული ზიანის როლს, რომელიც, ნაშრომში განვითარებული მსჯელობის მიხედვით, სწორედ მოძრაობის წარმატების ყველაზე ცენტრალურ ასპექტს – სუბალტერნული, სახალხო ხასიათის ბრძოლისა და სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული ნაწილის ურთიერთთანამშრომლობის გამოწვევას, თუმცა, ასევე, ამ გამოწვევის ნაწილობრივ გადალახვის პროცესს აჩვენებს.

ეს ნაწილობრივი გადალახვის პროცესი, პირველ რიგში, აჩვენებს მსგავსი თანამშრომლობის სიმყიფეების გადალახვის შესაძლებლობებს და, რაც კიდევ უფრო მთავარია, მის საჭიროებას. 5 ივლისის მოვლენების შემდეგ, რიონის ხეობის მოძრაობა გაცილებით უფრო მოწყვლადი გახდა დისკრედიტაციის მანქანის წინააღმდეგ, ვიდრე ოდესმე საკუთარი ბრძოლის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებულ პოლიტიკურ სივრცეში თავად მთავრობას შეუძლია, ხელ-ფეხი გაუხსნას ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივ ქმედებებს, რიონის ხეობის მოძრაობის ლიდერების ამ ჯგუფებთან ახლოს დადგომა საკმარისი იყო იმავე მთავრობისთვის, რომ მოძრაობის ჩამორჩენილობისა და არაცივილურობის ნარატივი გაეძლიერებინა და თავად ჰესის უკიდურესად გაუმართა-

ვი, უამრავი დარღვევითა და მართლაც კაბალური პირობებით წარმართული პროექტის ჩავარდნაც ბოლოს სწორედ მოძრაობისთვის დაებრალებინა. მოძრაობის მხარეს კი, მცველების ქმედებებმა – როგორც თავად ხშირად ამბობენ, ერთიანობის შენარჩუნების მოტივით – სინამდვილეში სწორედ ზემოხსენებული თანამშრომლობისთვის საჭირო ერთიანობისა და ნდობის სულისკვეთება დააზიანა. მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მანამდე კბილებით იცავდნენ მოძრაობის ლიდერების თითოეულ სვლას, ძალიან გაუჭირდათ და კონკრეტულად ამ თარიღთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე არც სურდათ მათი დისკრედიტაციისგან დაცვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს გამოცდილება მნიშვნელოვანია, რადგან გადამწყვეტი უნდა გახდეს თავად სუბალტერნული ჯგუფებისთვის, რომლებმაც მომავალში თავიდან უნდა აიცილონ პოლიტიკური საზოგადოების ველში მათი განზრახ ჩატოვება ან გადასროლა.

როგორც ვთქვით, მიუხედავად გარკვეული ზიანისა, მოძრაობის ლიდერებსა და სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკულ ნაწილებს შორის ალიანსი 5 ივლისის მოვლენებს სრულად არ გაუნადგურებია. ამ ორმა მხარემ – ან ამ მხარეების გარკვეულმა ნაწილმა – მოახერხა თანამშრომლობა, მათ შორის, პარალელურად მიმდინარე მედიაციის პროცესში და არ დაუთმია საერთო გამოწვევასთან თანმიმდევრული და კოორდინირებული ბრძოლის ველი. შეიძლება ითქვას, მიუხედავად თავის დროზე წარუმატებელი დისკრეტიდაციის თავიდან, წარმატებით ამუშავებისა, რიონის ხეობის ადგილობრივი ლიდერები ხელისუფლებამ პოლიტიკური საზოგადოების ველში ვერ დააბრუნა. მოძრაობის ხილვადობა და ლეგიტიმურობა ნაწილობრივ შემცირდა, თუმცა არ დაკარგულა და მოძრაობამ თავის დასახულ კონკრეტულ მიზანს – კომპანიის მიერ ხეობის დატოვებას ამ პირობებშიც მიაღწია.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ რიონის ხეობის ბრძოლის შიგნით მრავალფეროვანი ჯგუფების თანამშრომლობის გამოცდილება სუბალტერნული ჯგუფებისა და კონტრჰეგემონიური სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობით უპრეცედენტო წარმატების მიღწევის პრეცედენტს ქმნის. ამ თანამშრომლობის ცენტრალური შედეგი სწორედ სუბალტერნული ბრძოლის პოლიტიკური საზოგადოების ველიდან სამოქალაქო საზოგადოების ველში გადაზრდაა, რამაც მოძრაობას ფართო სოლიდარობების და საჯარო ველში სუბალტერნული ხმების ამოტანის შესაძლებლობა და ამ ველის გამოყენების შესაძლებლობა მისცა. რისკების, გამოწვევების, დროებითი მარცხის გამოცდილებების მიუხედავად, მთლიანობაში ამ ბრძოლამ საქართველოს კონტექსტში და მის მიღმა, კოლექტიური მობილიზაციის ძალა გვაჩვენა და საქართველოს უახლეს ისტორიაში პერიფერიული კაპიტალიზმის კოლონიურობის ყველაზე სისტემური და სისტემატური კრიტიკაც განავითარა, რომელსაც იქამდე შეუძენელი საჯარო ხილვადობა შესძინა.

დაბოლოს, როგორც მოცემული ნაშრომის ავტორს, არ მგონია, რომ ყველა სუბალტერნული ბრძოლა ან გადაიზრდება, ან აუცილებლად უნდა გადაიზარდოს სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლად, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დასახული მიზნის მიღწევა ამ გზით გახდა შესაძლებელი. საქართველოს მსგავს, სხვა

სოციო-სივრცითად უთანასწორო სივრცეებში მოძრაობების მსგავსი განვითარება ადვილი არ იქნება. თუმცა, რაც მეტი ბრძოლა მოახერხებს დისკრედიტაციისა და დელეგიტიმაციის შრეების გარღვევას, მით მეტად გახდება შესაძლებელი სამოქალაქო საზოგადოების არსებული ვიწრო ცნების დესტაბლიზაციაც, მისთვის ვიწროდ შემოხაზული დღის წესრიგის გარღვევაც და იქამდე სუბალტერნულისა და უხილავის ხილვადად და საჯაროდ ქცევაც იმ დღის წესრიგში, რომელსაც დღეს ლიბერალურ კონსენსუსზე დამყარებული ძალები მართავენ. იმედს ვიტოვებ, ლიბერალურ-კონსერვატიულ ჩიხთან რიონის ხეობის ფართო მოძრაობის წარმატებისა თუ მარცხის გამოცდილებები ბევრ სუბალტერნულ ბრძოლასაც გამოადგება და სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკულ და კონტჰეგემონიულად განწყობილ ნაწილებსაც, რადგან წინ უამრავი კრიტიკულად მნიშვნელოვანი, გადაუდებელი და გარდაუვალი ბრძოლა გვაქვს.

1. კვლევის მეთოდოლოგია: მონაწილის დაკვირვება

ვინაიდან მოცემული ნაშრომი რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლის პროცესში ავტორის, როგორც უშუალო მონაწილის დაკვირვებებსა და პირად გამოცდილებებსაც ეფუძნება, მისი მიგნებების გაზიარებამდე, საჭიროა ნათლად განისაზღვროს მეთოდოლოგია, რომელიც კვლევის სხვადასხვა ნაწილის – მათ შორის, კონკრეტული მოვლენების ანალიზის ავტორისეული პერსპექტივის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება. ამიტომ, მოცემულ თავში, ვეცდები, შესავლის სახით გამოვყო ძირითადი ასპექტები, რომლებიც კვლევის ამ ექსპერიმენტულ ხასიათსა და მისი განხორციელებისთვის გაჩენილ როგორც უპირატესობებს, ისე პროცესში წარმოშობილ ძირითად წინააღმდეგობებსა და გამოწვევებს აღწერს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევას სპეციფიკური, შეიძლება ითქვას, ნაკლებად ტრადიციული ხასიათი აქვს და ჩემი, როგორც მკვლევრის პირველი გამოცდილებაა, რომელშიც მე ჩართული ვიყავი და ვარ, როგორც მოძრაობის, – და ამ მოძრაობის შიგნით არსებული ერთ-ერთი არაფორმალური კოლექტივის – წევრი და მხოლოდ ამის შემდეგ – როგორც მკვლევარი. აქ მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ პოლიტიკურ ჩართულობაზე მეტად, ამ კვლევას კოლექტიურ შრომაზე დაყრდნობაც განაპირობებს. რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლაში ჩავერთე, როგორც კოლექტივის „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ წევრი. ეს კოლექტივი, როგორც მოძრაობის განუყოფელი ნაწილი, კვლევის საგანიცაა და კვლევის მონაცემების მოგროვების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წყაროც, ამიტომ, მისი წევრობა ყველაზე მეტად განსაზღვრავს ამ ბრძოლის შესახებ ჩემს ცოდნასა და მისდამი დამოკიდებულებას, რადგან რეალურად, კოლექტივმა არაერთი ფუნქცია შეითავსა რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლის საერთო საქმეში. შესაბამისად, ამ ბრძოლასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან ჩემი წვდომაც, უნდა ითქვას, სწორედ ამ კოლექტივში ჩართულობით არის განსაზღვრული. კოლექტივი „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ მოხალისეებისგან შემდგარი არაფორმალური ჯგუფია, რომელიც რიონის ხეობის მცველების 2020 წლის 14 ნოემბრის დარბევის შემდეგ ჩამოყალიბდა, როცა სოციალურ ქსელში შეიქმნა მხარდამჭერი ჯგუფი ნამოხვანში მიმდინარე საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისთვის. მძიმე პანდემიური სიტუაციის გამო, ამ ჯგუფში მოხვედრილი ადამიანები ინფორმაციასა და იდეებს ერთმანეთს, ძირითადად, ვირტუალურად ვუზიარებდით და თვეების განმავლობაში დისტანციურად ვშრომობდით მოძრაობის მხარდაჭერისთვის. ჩვენ განვიხილავდით, თუ რა ფორმებით შეგვეძლო მხარდაჭერის მობილიზება ან მიმდინარე მოვლენებზე რეაგირება მაშინ, როცა პროტესტს ჯერ კიდევ არ ფარავდა თითქმის არცერთი მედია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე რეგიონულ თუ კრიტიკულ მედიასაშუალებას, ფართო საზოგადოებამ კი ამ დროს არაფერი იცოდა ამ ბრძოლაზე. ჯგუფის რამდენიმე წევრმა მალევე შექმნა ბრძოლის მხარდასაჭერი გვერდი და დაიწყო ინფორმაციული პოსტების გაზიარება, ასევე პირველი ვიდეოკამპანია ბრძოლის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, სადაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, აქტივისტები და მხარდამჭერები ნამახვანჰესის პროექტისადმი წინააღმდეგობის საჭიროებასა და ადგილობრივი მოძრაობის მხარდაჭერის აუცილებლობაზე საუბრობდნენ. კოლექტივი „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ არცერთ ეტაპზე არ ყოფილა რაიმე ძალასთან კონკრეტუ-

ლად აფილირებული ან რომელიმე, თუნდაც სამოქალაქო აქტორისგან დაფინანსებული ჯგუფი. მხარდაჭერისა და საინფორმაციო კამპანიებისათვის თანხების მობილიზება ბრძოლის ამ გრძელვადიანი პროცესის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ პირადი შემოწირულებებით, სოციალური ქსელის საშუალებით ხდებოდა. უნდა ითქვას, რომ კოლექტივის ჩამოყალიბების ადრეული ეტაპიდანვე გაჩნდა კოორდინაცია რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის ლიდერებსა და წარმომადგენლებთან. ჩვენი კოლექტივის ზოგიერთ წევრს მანამდეც ჰქონდა მოძრაობის წევრებთან ურთიერთობა, მაგალითად, რეჟისორ ნინო გოგუას, რომელმაც 2020 წლის ზაფხულში, თანაავტორ ეკა წოწორიასთან ერთად, დოკუმენტური ფილმი – „მიწა-წყალი“ გადაიღო და უკვე კარგად იცნობდა ხეობის მცველების ნაწილს. აგრეთვე, მკვლევარ ალექსანდრა არაშვილს, რომელიც ასევე 2020 წლის ზაფხულში, კარვებით პროტესტის დაწყებამდე, ხეობასა და ქუთაისში გამართულ პირველ მცირერიცხოვან აქციებს ესწრებოდა და ინფორმაციის მისაღებად ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივ კონტაქტზე იყო. ამ მოცემულობამ, რომ მოძრაობის აქტიური პერიოდის დაწყებამდე ან მის გარშემო მედიისა და სხვადასხვა ძალის ყურადღების მობილიზებამდე, ჩვენი კოლექტივის წევრებს ჰქონდათ ხეობასთან კავშირი და გულწრფელი მხარდაჭერის სურვილი, შექმნა იმის წინაპირობაც და გამოცდილებაც, რომ კოლექტივი, საბოლოოდ, ფართო მოძრაობის სანდო და განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო.

სოციალურ ქსელში შექმნილი გვერდის „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ მართვის ჯგუფს მე 2020 წლის ნოემბრის ბოლოს შევუერთდი. თვეების განმავლობაში, ამ გვერდის მრავალმხრივ, ანალიტიკურ თუ მულტიმედიურ კონტენტს ყოველდღიურ რეჟიმში, სწორედ ეს 2-3 ადამიანი ვქმნიდით. შემდეგი თვეების მანძილზე კი, როცა მოძრაობა უფრო პოპულარული გახდა და მედიამაც მეტ-ნაკლებად დაიწყო ხეობაში მიმდინარე პროცესების გაშუქება, კიდევ რამდენიმე ადამიანი შემოგვიერთდა. საბოლოოდ, კოლექტივი ათი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფის სახით ჩამოყალიბდა.

ჩვენი კოლექტივისა და ხეობის მცველების დაახლოებამ უკვე განუყრელი სახე 2021 წლის აპრილიდან მიიღო, როცა კოლექტივის წევრების უმეტესობას ქუთაისსა და გუმათში ხანგრძლივად ყოფნა შეგვეძლო. ჩვენი ჩართულობის ფორმატს, ერთი მხრივ, მცველების პოზიციონირება, მეორე მხრივ კი, ჩვენივე პოლიტიკური ხედვა განსაზღვრავდა. ხეობის მცველები ყოველთვის ღია იყვნენ სხვადასხვა ჯგუფსა და ადამიანებთან თანამშრომლობისთვის, მაგრამ ასევე მუდმივად ცდილობდნენ ავტონომიურობის შენარჩუნებას მათი ბრძოლის სტრატეგიიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, მოძრაობა მყარი პოლიტიკური იდენტობების მქონე პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტორებსაც ემიჯნება. ჩვენ პრინციპულად ვეთანხმებოდით მცველების პოზიციას, მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგია მოგვიანებით გარდამტეხი გამოცდის წინაშეც დადგა და, შეიძლება ითქვას, მის საწინააღმდეგოდაც შეტრიალდა 5 ივლისის მოვლენების დროს, სანამ საკუთარ რელსებს კვლავ დაუბრუნდებოდა. ეს წყვეტა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, როგორც ბრძოლის ამ ფილოსოფიის მერყეობის, ისე სხვა, უფრო ზოგადი საფრთხეებისა და რისკების დასანახად, რასაც ნაშრომის შემდეგ ნაწილებში შევეხებით. თუმცა, აუცილებელია ითქვას, რომ ვინაიდან ჩვენ ვიზიარებდით მცველების ავტონომიურობის შენარჩუნების სწორედ ამ დამოკიდებულებას, ყოველთვის ვცდილობდით და ახლაც

ვცდილობთ, ჩვენი რესურსები თუ ცოდნა მოძრაობას მცველების ავტონომიურობის ისეთივე დაცვით მოვახმაროთ, როგორც თავად ვიცავთ და პატივს ვცემთ ჩვენი, როგორც კოლექტივის პოზიციების ავტონომიურობას.

2021 წლის ივნისიდან, ასევე ჩავერთეთ ევროკავშირის ენერგოგაერთიანების მიერ წარმართულ მედიაციის პროცესში, როგორც მოლაპარაკების პროცესის მონაწილე სამოქალაქო მხარის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჯგუფი რიონის ხეობის მცველებსა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად. სოფელ გუმათში კარვებით პროტესტისა და მოგვიანებით, მოძრაობის მიერ თბილისში გამართული დიდი აქციების პროცესში ინტენსიური მონაწილეობის შემდეგ, მედიაციის პერიოდში საკოორდინაციო საქმიანობამ და ყოველდღიურმა კომუნიკაციამ მცველებსა და ორგანიზაციებთან უკვე სხვა ტიპის, თუმცა, კიდევ უფრო ინტენსიური სახე მიიღო. პრემედიაციისა და მედიაციის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე დასწრებისა და ამ შეხვედრებისთვის მომზადების გარდა, სამოქალაქო საზოგადოების სახელით ჩართული ჯგუფები სისტემატურად ვხვდებოდით ერთმანეთს საერთო პოზიციების შესაჯერებლად, პრიორიტეტული საკითხების გამოსაკვეთად და მედიაციის პროცესის შესაფასებლად. ასევე, ვწერდით მედიატორებს ერთობლივ წერილებს და ვრეაგირებდით მათ მიერ გაკეთებულ საჯარო შეჯამებებზე, ვწერდით საერთო საჯარო განცხადებებს მედიაციის პროცესზე საზოგადოების ინფორმირებისთვის და სხვა.

ასეთი პოზიციონირება თითქოს თავისებური ლიმიტია. როგორც მონაწილეს, ამ ბრძოლასთან დაკავშირებით მე გამოკვეთილი პოლიტიკური პოზიცია მაქვს და, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი, როგორც მკვლევრის პოზიცია რამენაირად დამოუკიდებელია – ჩემი, როგორც მოძრაობის წევრის პოზიციისგან. თუმცა, ჩემთვის, როგორც მკვლევრისთვის, არც აქამდე ყოფილა მისაღები პოზიტივისტური ეპისტემოლოგია და კვლევის საგანთან დისტანცირების პრინციპი. შესაბამისად, ამ პროცესში, ისევე, როგორც სხვა დროს, კვლევას აღვიქვამ, როგორც ჩვენი პირადი და პოლიტიკური პოზიციონირებით განსაზღვრულ სივრცესაც და, ასევე, როგორც ამ სივრცის განმსაზღვრელსაც. ჩემი ჩართულობა და დაინტერესებაც, სხვა მიზეზებთან ერთად, სწორედ ჩემმა წინა კვლევებმა და თეორიულმა ინტერესებმა განაპირობა, იმდენადვე, რამდენადაც ჩემმა პირადმა და მოქალაქეობრივმა პოზიციებმა და წუხილმა. სხვაგვარად რომ ვთქვა, ამგვარი მიმართება არის დასაბუთებულად და არგუმენტირებულად მიკერძოებული პოზიცია. ამ კვლევის ვალიდურობას, ერთი მხრივ, მონაცემებთან – მათ შორის, ჩემსავე პირად გამოცდილებებთან – თანმიმდევრული და სისტემატური მიდგომა; მეორე მხრივ კი, ჩემივე პოლიტიკურ და აკადემიურ პოზიციონირებაში ღიაობა განსაზღვრავს.

მოცემული კვლევა თითქმის ერთი წლის მანძილზე შეგროვებულ მრავალფეროვან და სისტემატურ მონაცემებს ეყრდნობა. პირველი და წამყვანი მეთოდი ანთროპოლოგიური მეთოდებისთვის დამახასიათებელი პირდაპირი მონაწილის დაკვირვებაა და ზემოაღწერილ მრავალმხრივ ჩართულობას მოიცავს. მეორე და თანმდევი მეთოდი ფორმალური და არაფორმალური ინტერვიუები და დისკუსიებია. მესამე – სხვადასხვა სახის ეგრეთ წოდებული მეორადი მასალის, ანუ მედია- და კვლევითი რესურსების დამუშავება. მონაცემების შეგროვების წყარო, ერთი მხრივ, მონაწილის

დაკვირვების პროცესში გაკეთებული პირადი ჩანაწერებია (ხელით გაკეთებული, ისევე როგორც ელექტრონული ჩანაწერები) და, მეორე მხრივ, ჩვენი კოლექტივის ფეისბუკგვერდზე შეგროვებული მონაცემები. გვერდზე გაზიარებული მასალების გარდა, ვეყრდნობი გვერდის მუშაობის პროცესში კოლექტიურად წარმოებულ რესურსსაც – გვერდის მორიგეობის დოკუმენტს – სადაც ყველა რელევანტურ ბმულსა და ანგარიშს ვაგროვებთ და შემდეგ, გვერდის მორიგე ადმინისტრატორები ამ რესურსებს ეყრდნობიან პოსტების შესაქმნელად. მიუხედავად იმისა, რომ ამ გვერდისთვის ნამოხვანის ბრძოლაზე ყველა სახის მასალას ვაგროვებდით, როგორც ბრძოლის მხარდამჭერი საინფორმაციო კამპანიის ნაწილი, ჩვენი გვერდი მაინც უფრო მეტად ნამახვანჰესის პროექტის მოწინააღმდეგეების პოზიციებს ცხადყოფს და, ასევე, ამხელს მისი ლობისტების თუ მთავრობის სხვადასხვა დროს გაჟღერებული არგუმენტებისა და პოზიციების წინააღმდეგობრიობას. ბალანსისთვის, ასევე ვეყრდნობი კომპანია „ენკას“ გვერდს, რომელიც სისტემატურად აჟღერებდა თავად კომპანიის, ჰესის დასაცავად მობილისებული სახელმწიფო მოხელეებისა (და მათი საინფორმაციო კამპანიის, გვერდ „ენერგო-მომავლის“) და ჰესის ლობისტების პოზიციას.

მონაცემების ანალიზისთვის ვეყრდნობი ორ ძირითად მეთოდს, დამიწებული ანალიზის თეორიას (grounded theory) და პროცესის გაყოლას (process tracing). ეს მეთოდები, ერთი მხრივ, იძლევა ინდუქციური ანალიზისა და რელევანტური თემების, კონცეპტუალური კატეგორიების მონაცემების ანალიზის პროცესში ამოტანის, მეორე მხრივ კი, მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოვლენის საშუალებას. ამ მეთოდების შესაბამისად, ზემოთ აღწერილი მრავალფეროვანი მონაცემები ანალიზის პროცესში დავალაგე კატეგორიებად. კატეგორიები დამიწებული ანალიზის თეორიის კოდირების პრინციპების მიხედვით მონაცემების კითხვის პროცესში სისტემატურად გამომჟღავნებული კონცეპტებისა და თემების პირველადი სახელდებით დავიწყე. განმეორებადი კატეგორიების გამოვლენის შემდეგ, ხელახლა გავეცანი მონაცემებს და დავიწყე მონაცემების ერთად შეგროვება შესაბამისი კატეგორიების ქვეშ (შესაბამისი ტექსტუალური, ვიდეო-, აუდიო- და ფოტომასალის მითითებით). თავად კატეგორიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ორი კატეგორია, წინააღმდეგობის ტაქტიკა და ჰესის პროექტის დამცველების – განსაკუთრებით სახელმწიფოს – სტრატეგიაა (სტრატეგიისა და ტაქტიკის დეფინიციებისთვის იხ.: Certeau, 1984).

წინააღმდეგობის ტაქტიკა რამდენიმე ქვეკატეგორიას მოიცავს: 1. **ბრძოლის ფილოსოფია** აღწერს, თუ როგორ იცვლებოდა კონკრეტულად ხეობის მცველების დამოკიდებულება, პოლიტიკური პოზიციონირება, თავად პროტესტის ორგანიზების რეპერტუარი და ბრძოლის თეორეტიზება; 2. **არგუმენტები** მოიცავს ჰესის წინააღმდეგ მობილიზებული ცოდნის და ამ ცოდნის დისკურსული ფორმულირების გზებს, ასევე ფარავს როგორც მცველების, ისე სხვა ჩართული აქტორების პოზიციებს; 3. **მხარდაჭერა** აღწერს სოლიდარობის გამოხატვის მრავალფეროვან ფორმებს და ასახავს, თუ როგორ იზრდებოდა (და შემდეგ, იკუმშებოდა ან იყოფოდა) და იცვლებოდა ბრძოლაში პირდაპირ ან ნაწილობრივ ჩართული, ან ბრძოლის მხარდამჭერი მედიის, ორგანიზაციების, ჯგუფე-

ბის პოზიციები.[6] 4. **შეფასება** აგროვებს მხარდამჭერი აქტორების, ფართოდ გაგებული სამოქალაქო საზოგადოების წევრების პოლიტიკურ განაცხადებსა თუ სტატიებს, სადაც ფასდება და ზოგჯერ თეორეტიზდება ნამოხვანის ბრძოლის ხასიათი ან მნიშვნელობა. ჰესის პროექტის დამცველების სტრატეგია აერთიანებს: 5. **სახელმწიფო** მოხელეების განცხადებებს და სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს; 6. **სხვა პოლიტიკოსების** პოზიციებს; 7. **კომპანია „ენკას" ქმედებებს,** განცხადებებს, საინფორმაციო კამპანიასა და ნაბიჯებს, ასევე „ენკას" მიერ მობილიზებული ლობისტების პოზიციებს. დამატებითი კატეგორიები არსებულ კატეგორიებს ავსებს ან მათი ნაწილია, თუმცა გამოყოფილია ასევე ცალკე ქვეპუნქტებად მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ესენია: 8. **მოვლენები,** რომლებიც წინააღმდეგობის ტაქტიკასაც აღწერს და სახელმწიფოს სტრატეგიასაც, ასევე, ინახავს ფაქტობრივ მასალას დემონსტრაციების თარიღებით, კონტრაქტის თუ სხვა ინფორმაციის გასაჯაროებით დაწყებული, დარბევებითა და რეპრესიებით დამთავრებული; 9. **ხუთი ივლისი,** რომელიც რიონის ხეობის მცველების „პრაიდის" საწინააღმდეგო აქციაზე გამოჩენას და მათი გადაწყვეტილების შეფასებებს აგროვებს და 10. მედიაცია, კონკრეტულად მედიაციის პროცესის ირგვლივ არსებული საჯარო დოკუმენტაცია და შეფასებები.

ამ კატეგორიების ქვეშ გამოვლენილ მონაცემებს პროცესის გაყოლის (process tracing) მეთოდის გამოყენებით ვალაგებ ბრძოლის ერთგვარ ქრონოლოგიად, და ასევე, კატეგორიებს – მაგალითად, წინააღმდეგობის ფილოსოფიისა თუ სახელმწიფო სტრატეგიის ცვლილებას აღვწერ ქრონოლოგიური წყალგამყოფების მიხედვით. თავად კატეგორიებს აღვიქვამ, როგორც ინტერაქტიულ ცვლადებს, მაგალითად, რიონის ხეობის მცველების მიერ ბრძოლის მშვიდობიან ხასიათზე ხაზგასმა ინტერაქციაშია სხვა მნიშვნელოვან ცვლადებთან – სახელმწიფოს მიერ წინააღმდეგობის „არაცივილურობაზე" ხაზგასმასთან, მხარდამჭერების ნაწილისგან ბრძოლის ძალადობრივი გადაწყვეტის მოთხოვნასთან და სხვა. ქრონოლოგიზებისთვის ვეყრდნობი მოცემულ, ერთმანეთთან დაკავშირებულ კატეგორიებში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც ქრონოლოგიას კვლევისთვის მნიშვნელოვანი ცვლადების ვარიაციის მიხედვით ქმნის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ბრძოლის ქრონოლოგია შეიძლება მრავალფეროვნად გაიწეროს, მაგრამ მოცემულ ნაშრომში ქრონოლოგიზების მიზანი არა უბრალოდ ბრძოლის ისტორიის მოყოლა ან დაყოფაა, არამედ თავად მნიშვნელოვანი კატეგორიებისა და ცვლადების დროში დაჯგუფება, მათი ინტერაქტიული ცვლილებების სქემატურად დანახვისათვის. ამიტომ, გარკვეული დროითი ინტერვალები ან მოვლენები, კვლევაში, შესაძლოა, სხვადასხვა ქვეთავში შეგვხვდეს.

კვლევის აქტიური პერიოდი 2020 წლის ნოემბერი – 2021 წლის ივლისია. ეს ხაზები კვლევის დროითი ლიმიტებიდან გამომდინარეა შედგენილი, თუმცა, ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ამ ბრძოლის გარდამტეხი

6 მხარდაჭერის კატეგორიაში **ულტრამემარჯვენე ჯგუფებს** ცალკე ადგილი აქვს, რამდენადაც ამ ჯგუფების მხარდაჭერა, სხვა მხარდამჭერების უმეტესობისგან განსხვავებით, გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი იყო ხეობის მცველების პოზიციონირებასთან მიმართებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფებს პროცესების დაფარვის საკუთარი არხები და საშუალებები ჰქონდათ, რომელიც ამ კვლევაში დეტალურად შესწავლილი არ არის, და მხოლოდ იმდენად შემოდის ანალიზში, რამდენადაც რიონის ხეობის მცველებს უწევდათ ამ ჯგუფებზე კომენტირება.

ასპექტების – განსაკუთრებით, ორი მოვლენის, კომპანია „ენკას“ მიერ ნამახვანჰესის პროექტის დატოვება სექტემბერში, იქამდე კი, 5 ივლისს რიონის ხეობის მცველების მიერ „პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციაზე გამოჩენა, – სრულფასოვანი შეფასება ჯერ-ჯერობით რთულია. თუმცა, ნაწილობრივ და ნაკლები სისტემატურობით, მაგრამ კვლევა მაინც ფარავს მონაცემების ყველაზე აქტიური მოგროვების შემდგომ პერიოდს, ანუ 2021 წლის ივლის-სექტემბრის მოვლენებს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია „ენკას“ მიერ პროექტიდან გასვლის დაანონსების შემდეგ, 2021 წლის სექტემბრიდან – მოცემულ მომენტამდე, პროტესტის კარვების ეტაპის დასრულებამდე – 2022 წლის 7 მაისამდე პერიოდს, ბრძოლის ინტენსივობისა და ფორმების ცვლილებისა თუ სამთავრობო, მედიებისა და ლობისტების მხრიდან პროტესტის მიმართ წინააღმდეგობის სტრატეგიის ცვლილების გამო, სჭირდება ცალკე ანალიზი და კვლევა, რომელსაც მოცემული ნაშრომი არ ფარავს.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაზე მუშაობა მხოლოდ მას შემდეგ დავიწყე, რაც რიონის ხეობაში სიტუაცია დასტაბილურდა და ყოველდღიური ბრძოლის კერები შენელდა, ვინაიდან იქამდე, ჩვენ, განსაკუთრებით კი მე, ნინო გოგუასა და ალექსანდრა აროშვილს, რომლებსაც კვლევის ირიბ მონაწილეებად განვიხილავ, შეიძლება ითქვას, ბრძოლაში ინტენსიური ჩართულობის გამო, არც გვქონდა მთელი ამ ერთი წლის მოვლენების სისტემატიზების, დაარქივების, კატეგორიზაციისა და ანალიზის ფუფუნება. მას შემდეგ კი, რაც ეს სამუშაო დავიწყე, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ კვლევის ეთიკის ცენტრალურ პრინციპებს: კვლევასთან დაკავშირებული ადამიანების ინფორმირებას, მათი ავტონომიურობისა და კონფიდენციალურობის პატივისცემას, მონაცემების გამოყენებაზე ინფორმირებულ თანხმობას. კვლევის ეთიკასა და ეპისტემოლოგიაზე კრიტიკული და დეკოლონიური პერსპექტივებიდან გამომდინარე, არ მომიმზადებია ფორმალური თანხმობის წერილები ან რაიმე მსგავსი, ამის საპირწონედ კი, მოძრაობის წევრების ინფორმირება და არაფორმალური, მტკიცე ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული შეთანხმება გამოგვადგა.

ისიც განვიხილეთ, რომ თავად კვლევა შეიძლება ნაწილობრივ დამოუკიდებელი იყოს ჩვენი მოძრაობაში ჩართულობიდან; და რომ შეიძლება, მოძრაობის წევრები არ იზიარებდნენ ჩემი, როგორც უკვე მკვლევრის პოზიციას. თუმცა, ეს გარემოება გამოწვევად არ აღიქმება, მით უფრო იმ დათქმით, რომ კვლევის გამოქვეყნებამდე მის მთავარ მონაწილეებს (მცველებსა და კოლექტივს) შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ მას და გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის საკუთარი მოსაზრებები და რჩევები. ჩემი აზრით, მსგავსი მიდგომა ბევრად უფრო შეესაბამება ამ ბრძოლაში მონაწილეობის რეალურ დინამიკასა და თანასწორი კოორდინაციის პროცესს. თანაც, აძლევს მონაწილეებს სივრცეს, თავად ჩაერთონ კვლევის ფორმირების პროცესში დროთა განმავლობაში. საბედნიეროდ, რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლაზე უკვე არსებობს უამრავი საჯაროდ გაზიარებული მასალა, რაც ამ კვლევის ძირითადი მონაცემიცაა და ეთიკურ გამოწვევებსაც ამცირებს. თუმცა, მე ასევე ვეყრდნობი ჩვენს არაფორმალურ საუბრებსა და დისკუსიებს, რომელთა გამოყენების დროსაც მუდმივად ვაკეთებდით და ახლაც ვაკეთებთ რეფლექსიას, თუ რამდენად გამართლებულია ამ ინფორმაციის საჯარო გამოყენება და, შესაბამისად, ასევე წერის პროცესში, ვცდილობდი ამის მონაწილეებთან გადამოწმებას.

კვლევის მონაცემებიდან ყველაზე მკაფიო და მკაცრი ჩარჩოები მედიაციის პროცესს ეხება ორი მიზეზით. ერთი – მედიაციის პროცესში, რომელშიც მე, ალექსანდრა და ნინო ვიყავით ჩართული, მე არ დამიფიქსირებია ჩემი, როგორც მკვლევრის ჩართულობა მედიაციის მხარეებთან, არამედ, ჩვენ ამ პროცესში ვმონაწილეობდით, როგორც აქტივისტები. შესაბამისად, ამ კვლევაში ვერ და არ გამოვიყენებ როგორც მედიაციის ფორმალური შეხვედრების, ასევე არაფორმალური, სამოქალაქო საზოგადოების შეხვედრების დროს მიღებულ ინფორმაციას. მეორე მხრივ, მედიაცია თავისთავად დახურული პროცესი იყო და ინფორმაციის გასაჯაროების სპეციფიკური პროტოკოლი ჰქონდა, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იყო მხოლოდ შინაარსობრივი საკითხების საჯარო გაჟღერება, კონკრეტული ინდივიდების ან ორგანიზაციების სახელდების გარეშე. ამდენად, მედიაციის დაფარვისას, მე დავეყრდნობი მხოლოდ უკვე საჯაროდ – მედიაში, მედიატორის მიერ ოფიციალურ გვერდზე ან ჩვენ მიერ, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ჯგუფების, მათ შორის, ჩვენი კოლექტივის მიერ საჯაროდ გაზიარებულ ინფორმაციასა და პროცესის კრიტიკას.

გარდა ამისა, ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, თუ როგორ უმკლავდება მოცემული კვლევა აკადემიური კვლევის ეთიკის, ჩემი აზრით, პრინციპულად ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას – კვლევის მაინსტრუმენტალიზებელ, პირდაპირ თუ ვიტყვით, გამომყენებლურ ხასიათს. ეს ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელ მსოფლიოში ცოდნის წარმოების სივრცითი და კლასობრივი უთანასწორობებიდან გამომდინარე, კვლევები სისტემატურად ემსახურება ავტორის კარიერულ წარმატებას, ეძღვნება ვიწრო აკადემიურ წრეებს, ხშირად კონკრეტულად დასავლური ან ინგლისურენოვანი მკითხველისთვისაა განკუთვნილი და ვერაფერს აძლევს, ვერაფერს უბრუნებს კვლევის მონაწილეებს, ვინც დროით, ცოდნითა და ემოციური რესურსებით ეხმარება კვლევას, და ხშირად, ვერც იმ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეს, საიდანაც კვლევა ამოიზრდება (Suyarkulova, 2018). ამ შემთხვევაში, კვლევის ეთიკის ლოგიკა შემობრუნებულია და ჩვენი ჩართულობის ცენტრალური მისია სწორედ პოლიტიკურ სივრცეში კონტრიბუციის შეტანაა. ამ უიშვიათეს შემთხვევაში, ჩვენ აქტიური ჩართულობიდან ვიპარავთ დროს და მონაცემებს კვლევისთვის და არა პირიქით, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, როცა პირველ რიგში კვლევას ვატარებთ, და მერე ვცდილობთ, ცოტა დრო მოვიპაროთ (რამდენადაც აკადემია, როგორც სისტემა, ცოდნის უკან დაბრუნებისთვის დიდ დროს არც ტოვებს) იმისთვის, რომ ასევე გავაზიაროთ ცოდნა პოლიტიკურ და საჯარო სივრცეებში. თავად ამ ნაშრომის მიზანიც, პირველ რიგში, პოლიტიკურად რელევანტური ცოდნის შექმნაა, რომელიც სწორედ რომ არსებული და მომავალი მოძრაობებისთვის მისი ცოცხალი გამოყენების ან მისი ღია განხილვის, დისკუსიის საშუალებას იძლევა. მეორე საკითხია, თუ რამდენად კარგი, ხარისხიანი ან ტრანსფორმაციული გამოვა ეს მცდელობა; თუმცა, ეთიკური მიმართულებით, ჩემთვის დამაიმედებელია თავად კვლევის პოლიტიკური მიზნების ფერხულში ჩაყენება, პოლიტიკური საკითხების კვლევისთვის გამოყენების ნაცვლად.

დაბოლოს, ამავე თავში უნდა გამოვყო მოძრაობის ხანგრძლივი ბრძოლის, სხვადასხვა, ინტენსიური მოვლენით აღსავსე მრავალფეროვან ისტორიაში ერთ-ერთი მოვლენის, მოძრაობის დინამიკიდან ერთგვარი წყვეტის ან ამოვარდნის – და, შესაბამისად, უმნიშ-

ვნელოვანესი გამოწვევის – 5 ივლისს, „პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის შედარებით „მშვიდობიან“ ნაწილში (თუმცა, ამ აქციების საერთო, საკმაოდ მძიმე და ძალადობრივი შედეგების გათვალისწინებით ძალზე პრობლემურ) მონაწილეობასთან დაკავშირებით ჩემი, როგორც არამხოლოდ მკვლევრის, არამედ როგორც კოლექტივის წევრის, მოქალაქისა და როგორც ადამიანის, პირადი გამოცდილება და დამოკიდებულებები, რომელთა გაზიარება მნიშვნელოვანი და აუცილებელია ამ მოვლენის გარშემო მიგნებების გაზიარებამდე, რასაც შესაბამისი ქვეთავი ეძღვნება.

მართალია, ამ კვლევის ყველა ნაწილში ვაღიარებ ჩემი სუბიექტური – პირადი და პოლიტიკურ-თეორიული – მიდგომების გავლენას კვლევის სტრუქტურასა და არგუმენტებზე, მაგრამ 5 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით ცხადად ხაზგასასმელია, რომ ამ პროცესის ინტერპრეტაციასთან კიდევ უფრო ნაკლებად შემიძლია შედარებით დისტანცირებული შეფასების გაკეთება, ვიდრე ბრძოლის სხვა ასპექტებთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ ის პროცესი, რაც მე და ჩემი კოლექტივის წევრებმა 5 ივლისის მოვლენების ირგვლივ გავიარეთ, გაცილებით ნაკლებად ან საერთოდ არ არის ასახული საჯაროდ ხელმისაწვდომ მედია- თუ სხვა ინსტიტუციურ წყაროებში. ამ გარემოებების გამო, 5 ივლისის აღწერა მეტად ეყრდნობა პირად, აქამდე გაუსაჯაროებელ გამოცდილებებს, ვიდრე ამ კვლევაში მოცემული სხვა მოვლენების ანალიზი. დამატებით, როცა ამ მოვლენასთან დაკავშირებულ ქვეთავში ვსაუბრობ „ჩვენობით“, ეს ზოგჯერ მოიაზრებს მხარდამჭერების (მათ შორის, ორგანიზაციების, და ასევე ქვიარ თემის) იმ ნაწილს, რომლისთვისაც მცველების გადაწყვეტილებები და განცხადებები პოლიტიკურ გამოწვევად იქცა, რადგან მიუღებელი იყო. ამ მოვლენებთან მიმართებით, „ჩვენობა“ მოიაზრებს ჩვენს პატარა კოლექტივსაც, რომელიც, ამ გადაწყვეტილებების კრიტიკის მოუხედავად, მცველებს არც ფორმალურად და არც არაფორმალურად არ გამიჯვნია და მეტიც, ეს მოვლენა რიონის ხეობის გადარჩენისთვის ფართო მოძრაობის შიდა დიალოგისა და კრიტიკის პოტენციალად აქცია. ფორმალური გამიჯვნის არიდება, ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, პრინციპული პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, მეორე მხრივ კი, შესაძლოა, ჩვენი და ჩვენი მსგავსი არაფორმალური კოლექტივებისთვის ინსტიტუციური ფორმის არქონის ფუფუნებიდანაც გამომდინარეობდა.

2. ვინ შეეწინააღმდეგება კაპიტალიზმს? სუბალტერნული წინააღმდეგობის თეორიზება სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოების ველს შორის

როგორც კვლევის მეთოდოლოგიას განსაზღვრავს პროცესში ჩემი პირადი და პოლიტიკური ჩართულობა, კვლევის თეორიულ საფუძვლებსაც განსაზღვრავს ჩემი ბოლო ათწლეულში დაგროვილი თეორიული და კონცეპტუალური ინტერესები და შფოთვაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეთავში მძიმე აკადემიური ჟარგონის გამოყენებაც მომიწევს და არაერთი კომპლექსური ცნების ხსენებაც, სინამდვილეში, ცენტრალური თეორიული კითხვა და ამოსავალი წერტილი, საიდანაც ნამოხვანის ბრძოლაში ჩართულობაც და ამ ბრძოლის კვლევაც იწყება, საკმაოდ მარტივი და ცალსახაა და სვამს კონკრეტულ კითხვას, თუ **ვინ და როგორ ეწინააღმდეგება ან შეეწინააღმდეგება დღევანდელ კაპიტალიზმს საქართველოში** ან აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის სხვა ქვეყნებში. ჩემთვის ეს კითხვა რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლის დაწყებამდე დგება და, რა თქმა უნდა, როგორც ასეთი, ის არ არის ახალი. ეს კითხვა, ოღონდ უფრო ფართოდ ფორმულირებული: თუ როგორ ეწინააღმდეგებიან კაპიტალისტური დომინაციის ფორმებს დაქვემდებარებული ჯგუფები ან კლასები – ზოგადად, კრიტიკულ სოციალურ მეცნიერებას წარმართავს, სულ მცირე, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული (იქნება ეს კაპიტალიზმის მემარცხენე კრიტიკა, ფემინისტური გეოგრაფია, ნეოლიბერალიზმის პოსტსტრუქტურული კრიტიკა, სუბალტერნული და პოსტკოლონიური კვლევები თუ კრიტიკული პოსტსოციალისტური კვლევები) (Kothari et al., 2019; Svampa, 2019). თუმცა, ამ კითხვაზე პასუხების თეორეტიზება, ისევე, როგორც ემპირიული სოციო-პოლიტიკური კონტექსტი და მისი აღქმა სხვადასხვა პერსპექტივიდან, მუდმივად იცვლება. შესაბამისად, კითხვაც მუდმივად ხელახლა ისმება და ამ შემთხვევაში, ჩემი მიზანი ამ კითხვის საქართველოს ან/და აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის არსებულ კონტექსტში დასმა და თეორეტიზებაა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მნიშვნელოვანია როგორც არსებული ბრძოლის ტაქტიკის, ისე არსებული დომინაციის სტრატეგიების ანალიზი.

ჩემი დაშვება ან ჰიპოთეზა ჯერ კიდევ 2019 წლის შემოდგომაზე[7] მდგომარეობდა შემდეგში, რომ დღევანდელ კაპიტალისტურ წესრიგს საქართველოში ან საქართველოს მსგავს ქვეყანაში 1. შეეწინააღმდეგება არა (ან არა მხოლოდ) **სამოქალაქო საზოგადოება,** არამედ (მხოლოდ, ძირითადად, ან უმეტესწილად) პოლიტიკური სივრციდან სისტემატურად გარიყული, მარგინალიზებული, ხმაჩამორთმეული ჯგუფების ბრძოლა, ანუ, (პატრა ჩატერჯეს მიხედვით) **პოლიტიკური საზოგადოება** და რომ 2. ამ წინააღმდეგობის განმსაზღვრელი იქნება **პოლიტიკური საზოგადოების ალიანსები და კავშირები სამოქალაქო საზოგადოების შედარებით პატარა, კონტრჰეგემონიურ ნაწილებთან.** სხვაგვარად რომ ვთქვა, დღევანდელ კაპიტალიზმს ეწინააღმდეგება და შეეწინააღმდეგება მართლაც სისტემისგან ჩაგრული, დაქვემდებარებული და გარიყული – ანუ სუბალტერნული – ჯგუფები და არა ჰეგემონიური წესრიგის ნაწილი და განმსაზღვრელი ისეთი ვიწრო ჯგუფი, როგორადაც სამოქალაქო საზოგადოების უდიდესი ნაწილი ჩამოყალიბდა პოსტ-საბჭოთა სივრცეში. გარდა ამისა, ამ წინააღმდეგობის წარმატებას, ჩემი

7 https://socialjustice.org.ge/ka/products/samokalako-sazogadoeba-politikuri-sazogadoeba-da-kontrhegemonia

რწმენით, განსაზღვრავს ისიც, თუ რამდენად შეძლებს სუბალტერნული ბრძოლა პოლიტიკურ ველსა და ცოდნის წარმოებაში შეღწევას სამოქალაქო საზოგადოების მცირე, კრიტიკულად ან (კიდევ უფრო იშვიათ შემთხვევაში) კონტრჰეგემონიურად განწყობილ ნაწილთან ალიანსით, ან (რაც კიდევ უფრო ნაკლებად სავარაუდოა) მის გარეშე.

ეს თეორიული დაშვებები, ერთი მხრივ, დომინაციისა და წინააღმდეგობის გრამშისეულ ანალიზს (Gramsci, 1992), მეორე მხრივ კი, პატრა ჩატერჯეს პოლიტიკური საზოგადოების კონცეპტზე დაყრდნობით (Chatterjee, 2004) პოსტსოციალისტური სამოქალაქო საზოგადოების ჩემეულ ანალიზს ეყრდნობა (Rekhviashvili, 2018). გრამშის ცენტრალური კონტრიბუცია – რომელიც, ფაქტობრივად, წინააღმდეგობის პოლიტიკის შესწავლისთვის ყველა კრიტიკული სკოლის, მათ შორის, პოსტკოლონიური და სუბალტერნული კვლევების საფუძველი ხდება (Chandra, 2015) – ადრეული მარქსისტული დაშვებების კრიტიკა და ალტერნატიული, თუმცა ასევე მარქსისტული წინააღმდეგობის თეორიის ჩამოყალიბებაა (Gramsci et al., 2008; Katz, 2006). გრამში ეწინააღმდეგება მარქსისტულ დაშვებას, რომ დაქვემდებარებული კლასები, მათი ექსპლუატაციისა და ობიექტური მატერიალური დეპრივაციიდან გამომდინარე, აუცილებლად შეეწინააღმდეგებიან მმართველ კაპიტალისტურ კლასს. ის ხსნის, თუ რა მიზეზი აქვს, რომ სინამდვილეში, ეს შეწინააღმდეგება ხშირად საერთოდ არ ხდება ან წარუმატებელია. მისი ანალიზის მიხედვით, ექსპლუატაციაში ყოფნა ყოველთვის ჩაგრული კლასების წინააღმდეგობად არ ითარგმნება, რამდენადაც მმართველი ელიტები ახერხებენ კულტურული და ცოდნითი ჰეგემონიის დამყარებას (ანუ, საჯარო სივრცეში პოლიტეკონომიკური წესრიგის ლეგიტიმაციას) ძირითადად საჯარო ინტელექტუალებზე დაყრდნობით. შესაბამისად, სუბალტერნულობა – გრამშის მიხედვით, არა მხოლოდ კლასობრივი გარიყულობაა მატერიალური ან ეკონომიური საზომებით, არამედ საკუთარი პოლიტიკური ხმის უქონლობა, უხილავობა და ინტერესების არტიკულირების შეუძლებლობა. სუბალტერნულობა თავისთავადი მოცემულობა არ არის – ის აქტიურად, არა ერთჯერადად, არამედ განმეორებით იწარმოება კონკრეტული ჯგუფების მიერ – კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ ან, როგორც სუბალტერნული კვლევების ახალი მიმდევრები ამბობენ: *„დაქვემდებარებული ხმების მოსმენის სოციალური უარყოფა არა პასიური გარიყვაა, არამედ კონკრეტული ხმების აქტიური ჩამოხსნა საჯარო დისკუსიებიდან“ (Speer, 2021, p. 6).* შესაბამისად, გრამშის მიხედვით, სუბალტერნული კლასების ემანსიპაცია მათ მიერ კონტრჰეგემონიური პოზიციების მობილიზებით და „პოზიციების ომში“ შესვლით არის შესაძლებელი. მსგავს მობილიზაციაში, ეგრეთ წოდებული ორგანული ინტელექტუალების მხარდაჭერით, იბადება კონტრჰეგემონიური სამოქალაქო საზოგადოება. გრამშისთვის, ისევე, როგორც მისი მიმდევარი თანამედროვე მკვლევრებისთვის, თავად სამოქალაქო საზოგადოება ორმხრივი რამ არის: ერთი მხრივ, ის არის ჰეგემონიის მაწარმოებელი, მეორე მხრივ კი, ჰეგემონიის შერყევის პოტენციალის მქონეც (Katz, 2006).

გრამშის შრომების შექმნის შემდეგ, უკვე ათწლეულებია, იქმნება ახალი კონცეპტები და თეორიული მიდგომები წინააღმდეგობის პოლიტიკისა და, უფრო კონკრეტულად, სუბალტერნული ჯგუფების წინააღმდეგობის შესასწავლად. ამ კვლევებისა და მათ მიერ შემოთავაზებული მრავალფეროვანი კონცეპტების – როგორიცაა „ყოველდღიური წინააღმდეგობა“ (Scott, 1989), „ჩუმი მიტაცება“ (Bayat, 1997), „აჯანყებული მოქალაქე-

ობრიობა“ (Holston, 2009) თუ სხვა მრავალი – მიღწევა წინააღმდეგობის იმ ფორმების პოლიტიკური მნიშვნელობის დასახელებაა, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებად ან ტიპურ სოციალურ მოძრაობად არ სახელდება. ინდოელი სუბალტერნულობის მკვლევრის, პატრა ჩატერჯეს ცნება „პოლიტიკური საზოგადოება“ სწორედ ერთ-ერთი ასეთი ცნებაა. ჩემი აზრით, კონკრეტულად ეს ცნება პოსტსოციალისტურ კონტექსტში იმით არის მნიშვნელოვანი, რომ პოლიტიკური საზოგადოების განმარტება, მისი ანალიტიკური გამოყოფა სწორედ „სამოქალაქო საზოგადოებასთან“ შეპირისპირებით ხდება; „სამოქალაქო საზოგადოება“ კი, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, პოსტსოციალისტურ კონტექსტში ერთ-ერთ ცენტრალურ ცნებად და ფენომენად იქცა. სამოქალაქოსა და პოლიტიკურ საზოგადოებას შორის შეპირისპირების შესაჯამებლად, ციტატას მოვიყვან ჩემივე ნაშრომიდან:

> *„სამოქალაქო საზოგადოება ჩატერჯისთვის საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც არსებული სამართლებრივი ჩარჩოს შიგნით იბრძვის და ძირითადად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სახელით ახერხებს თვითარტიკულირებას. პოლიტიკური საზოგადოება კი სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა, მის მიჯნაზე, მის ირგვლივ იბრძვის. პოლიტიკური საზოგადოება საზოგადოების სწორედ ის ნაწილია, რომელსაც არსებული წესრიგი, კერძო საკუთრების დასაცავად ჩართული რეპრესიული აპარატი სისტემურად რიყავს. პოლიტიკური საზოგადოების ბრძოლა სწორედ ამ აპარატის მოსარღვევად ან გვერდიდან შემოსავლელად გამართული ბრძოლაა“*[8].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩატერჯეს დაშვება გრამშისგან განსხვავებით ის არის, რომ სუბალტერნული ბრძოლები შეიძლება არც არასდროს გადაიქცეს სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლად; შეიძლება, შეინარჩუნოს კანონის მიღმა, ზოგჯერ ძალადობრივი ხასიათიც, მაგრამ ამ ბრძოლებს თავისი დატვირთვა და პოლიტიკური გავლენა აქვს და გლობალური მასშტაბით უამრავი (შეიძლება ითქვას, უმეტესი) ადამიანისა და კოლექტივისთვის ბრძოლის ცენტრალური ან ერთადერთი ხელმისაწვდომი სივრცეა. შესაბამისად, მისი იგნორირება ან არშემდგარ პოლიტიკურ აქტად დანახვა შეუძლებელია.

გრამშისა და ჩატერჯეს თეორიებზე დაყრნობით, მაგრამ ასევე მათი განვრცობით, ამ დისკუსიაში ასევე ვამტკიცებ, რომ პოსტსოციალისტურ სივრცეში ზღვარი ჰეგემონიურსა და სუბალტერნულ ჯგუფებს, ლეგიტიმურსა და არალეგიტიმურ პოლიტიკურ სუბიექტობას შორის სწორედ სამოქალაქო საზოგადოების დეფინიციების წარმოებით, კონკრეტული ჯგუფების სამოქალაქო საზოგადოებად მონიშვნით და სხვა ჯგუფების სამოქალაქო საზოგადოებიდან გარიყვის ნიშნით იწარმოება. თავად სამოქალაქო საზოგადოების ცნების პოსტსოციალისტურ სივრცეში შემოტანა შეიძლება პირდაპირ დასახელდეს კოლონიურ პროექტად, რომლის ფარგლებშიც, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, დასავლეთი ღირსეულ ან ყურადღების ღირს მოსახლეობას სწორედ სამოქალაქო საზოგადოების სახელით მონიშნავს. მეინსტრიმული, ძირითადად ლიბერალი მკვლევრებისთვის სამოქალაქო საზოგადოება პოსტსოციალისტური საზოგადოებების

8 https://socialjustice.org.ge/ka/products/samokalako-sazogadoeba-politikuri-sazogadoeba-da-kontrhegemonia

ჩამორჩენილობის, კულტურული და მენტალური დევიაციურობის სახელდების საუკეთესო წყაროდ იქცა. ბოლო 30 წლის განმავლობაში, მსგავსი კვლევები პოსტსოციალისტურ საზოგადოებებს დასავლურ საზოგადოებებს ადარებენ იმის გასამეორებლად, რომ პოსტსოციალისტური სამოქალაქო საზოგადოებები „სუსტი“ და „განუვითარებელია“ (Bernhard, 1996; Foa and Ekiert, 2017; Howard, 2012). მემარცხენე მკვლევრების წუხილი კი – ჩატერჯეს მსგავსად – სწორედ ის არის, რომ სამოქალაქო საზოგადოება დემოგრაფიულად ვიწრო, ძირითადად ურბანული საშუალო ფენებისგან შედგება, საზოგადოების მცირე ჯგუფების ინტერესს ახმოვანებს (Hann, 2003) და მუდმივად დამოკიდებული რჩება დასავლელი დონორების პოლიტიკურ დღის წესრიგსა და ეკონომიკურ მხარდაჭერაზე (Gagyi and Ivancheva, 2019). მეტიც, სამოქალაქო საზოგადოება პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის და განვითარების რეცეპტების – მარკეტიზაციის (ანუ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნის), ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის – ჰეგემონიურ დისკურსად და პრაქტიკად ქცევის ერთ-ერთი უმიშვნელოვანესი საყრდენია (Mikuš, 2018). ისევ გრამშის ენით რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოება აწარმოებს კაპიტალისტურ ჰეგემონიას. პოსტსოციალისტური საზოგადოებების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა ისაა, რომ ანტიიმპერიულ, შეიძლება ითქვას, დეკოლონიურ დისკურსს ხშირად ირგებენ ნაციონალისტური და ნეოფაშისტური სამოქალაქო აქტორები და, ასევე, ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალები (Gagyi, 2016). სამოქალაქო საზოგადოების შიგნით მიმდინარე ბრძოლებიც ამ ორს შორის – სწორედ ლიბერალურ სამოქალაქო საზოგადოებასა და ფაშისტურ, ცრუ კონტრჰეგემონიურ სამოქალაქო საზოგადოებას შორის მიმდინარეობს და, შეიძლება ითქვას, სტატუს-კვოს – ანუ პერიფერიული, უთანასწორო, სასტიკი ძალადობით და მოსახლეობის უმრავლესობის გარიყვით განსაზღვრულ კაპიტალისტურ წესრიგს ინარჩუნებს ან ამწვავებს.

თუმცა, უნდა ითქვას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში არ არსებობენ კონტრჰეგემონიური აქტორები. უბრალოდ, სამოქალაქო საზოგადოებად მონიშვნა თავისთავად ბრძოლის საგანია და მასში ჩაწერა რთული ან ხელმიუწვდომელია, ზოგჯერ კი – არასასურველიც სუბალტერნული ჯგუფებისთვის. სუბალტერნული ჯგუფები, თავის მხრივ, მაინც მობილიზდებიან, ქმნიან ალტერნატიული სოციალური და ეკონომიკური კვლავწარმოების სივრცეებს და ზოგჯერ მეტი, ზოგჯერ კი ნაკლები წარმატებით, მნიშვნელოვნად რჩებიან სახელმწიფოსა და მოქალაქეების ყოველდღიური მოლაპარაკების პროცესში. პოლიტიკური საზოგადოების ველში, კანონის მიღმა, მისი შემოვლით მებრძოლთა ჯგუფების მაგალითებად მე მომყავს ხოლმე გარემოვაჭრეები, მძღოლები, დევნილები, მუშები და, ასევე, სწორედ ჰესებისა და დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების წინააღმდეგ მებრძოლი გარემოსდაცვითი მოძრაობები. ამ ბრძოლების ნაწილი, ხშირად, ნაწილობრივ ან ბოლომდე მიდის ხოლმე სამართლებრივი და უფლებრივი ენით საუბართან, სასამართლოს ან პოლიტიკური ჩართულობის ფორმალური გზების სტრატეგიულ გამოყენებასთან და ძირითადად, სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელ რეპერტუარს – პროტესტს და მობილიზაციას იყენებს, მაგრამ მათი სუბალტერნულობის წარმოება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ჰეგემონიური აქტორები გამუდმებით ცდილობენ (და ხშირად წარმატებით ახერხებენ) მსგავსი ჯგუფების სამართლებრივი და უფლებრივი ჩარჩოებიდან გარიყვას, მათ არაცივილურად, ჩამორჩენილად მონიშვნას და სწორედ ამ ნიადაგზე, მათი სამოქალაქო, დემოკრატიული ჩა-

რთულობის უფლებების იგნორირებას. ამ დაკვირვებებზე, დასკვნებსა და მტკიცებებზე დაყრდნობით, 2019 წლის სექტემბერში ჩემი კვლევითი დღის წესრიგის[9] კითხვები ასე გამოიყურებოდა:

- როდის ხდება სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოების ბრძოლების დაახლოება?
- რა გამოწვევები ახასიათებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ საზოგადოებას შორის ალიანსებს, მაგალითად, მემარცხენე ჯგუფების მხრიდან პერიფერიული მშრომელების მობილიზაციის მხარდაჭერას?
- როგორ შეიძლება პოლიტიკური საზოგადოების ანტი ან არაკაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის ფორმების სახელდება?
- რამდენად ან როგორ შეიძლება ამ ფორმების სახელმწიფო პოლიტიკაში ასახვა ან სახელმწიფო ძალადობისგან, და უფრო ზოგადად, ჰეგემონიური წესრიგისგან დაცვა?
- რა შეიძლება ვისწავლოთ პოლიტიკური საზოგადოების ბრძოლებიდან ალტერნატიული მომავლის, ალტერნატიული განვითარების სისტემის წარმოსახვისთვის?[10]

სწორედ ეს კითხვები – ზოგჯერ პირდაპირ და ზოგჯერ ირიბად, განსაზღვრავდა ჩემი, როგორც მკვლევრის დაკვირვების ხასიათს. შესაბამისად, რიონის ხეობის მოძრაობის ისტორიას დღემდე სწორედ ამ თეორიული ჭრილიდან ვხედავ – როგორც დეკოლონიური ხასიათის მოძრაობას, სადაც 1. სუბალტერნულმა, პოლიტიკური საზოგადოების წიაღში წამოწყებულმა პროტესტმა ბევრად უკეთესად მოახერხა საჯარო ცოდნის წარმოების სივრცეში შეღწევა, ვიდრე აქამდე რომელიმე მსგავსმა პროტესტმა საქართველოში (და საქართველოს მიღმაც); 2. რომელთან კავშირი, რომლის მხარდაჭერა, რომლის ნაწილად გახდომაც ბევრად უკეთ მოახერხა სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკულმა ნაწილმა, ვიდრე აქამდე ოდესმე მოუხერხებია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში; და ბოლოს 3. რომელიც ასევე კარგად ავლენს, თუ ზუსტად სად ივლება დღევანდელ პოლიტიკურ მოცემულობაში ხაზი სამოქალაქო და პოლიტიკურ საზოგადოებას შორის, რა საკითხების ირგვლივ ან გამო ხდება ეს ისედაც რთული ალიანსი თითქმის შეუძლებელი და რა საკითხებზე მანიპულაციით ცდილობს – და ნაწილობრივ (თუმცა, შეიძლება დროებით) – ახერხებს კიდეც ძალაუფლების ცენტრი აღზევებული, სუბალტერნულობიდან ლეგიტიმურ პოლიტიკურ სუბიექტად და სამოქალაქო საზოგადოებად ქცეული მოძრაობისთვის ადგილის მიჩენას, საწყის მარგინალურობასთან დაბრუნებას.

9 აქ ალბათ უნდა დავაზუსტო, რომ ეს არ ყოფილა რამე კონკრეტული კვლევითი პროექტი, არამედ დროთა განმავლობაში, სინამდვილეში ძირითადად ჩემი აკადემიური საქმიანობის გვერდით ან პარალელურად განვითარებული თეორიული ინტერესების გამოძახილია სოციალური მოძრაობებით და წინააღმდეგობის პოლიტიკით დაინტერესებაც, მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად კვეთს ჩემს ფორმალურ აკადემიურ საქმიანობას, ძირითადად არასამსახურებრივი, პირდაპირ თუ ვიტყვი, სამუშაო საათების მიღმა, არდადეგების დროს განვითარებული ინტერესია. ზოგჯერ ვცდილობ ამ ინტერესის ძირითად საქმიანობებში ჩაწერას, თუმცა ჯერჯერობით კარგად არ გამომდის. სინამდვილეში ასე მირჩევნია, მაგრამ ისიც ვიცი რომ დროთა განმავლობაში თითქმის შეუძლებელია ამგვარად მუშაობა.

10 https://socialjustice.org.ge/ka/products/samokalako-sazogadoeba-politikuri-sazogadoeba-da-kontrhegemonia

როგორც მრავალი სხვისთვის, ალბათ ჩემთვისაც, რიონის ხეობის მოძრაობა წინასწარ არსებული – თეორიული და პერსონალური – მოლოდინის, შეიძლება ყველაზე უიმედო იმედების აღსრულებაც იყო და მსგავსი იმედების ლიმიტების დანახვაც, მაგრამ, რა ბედიც არ უნდა ეწიოს ჩვენს იმედებს, რიონის ხეობის ბრძოლიდან ნამდვილად შეიძლება დღევანდელ საქართველოში დომინაციის ფორმების სტრუქტურული დახასიათება, სუბალტერნული ჯგუფების გარიყვის, მარგინალიზების, საჯარო სივრცეში დისკრედიტაციის სისტემატური და განმეორებითად გამოყენებული სტრატეგიების სახელდება; მეორე მხრივ კი, ჩემს საწყის კითხვაზე, თუ ვინ ან როგორ შეეწინააღმდეგება დღევანდელ კაპიტალიზმს – პასუხის გაცემის დაწყება მაინც შეიძლება.

3. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ

როცა 2021 წლის თებერვალში რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობამ ორი მრავალათასიანი აქცია გამართა ქუთაისში, ბევრი მედიასაშუალება, ისევე როგორც მოძრაობის ლიდერები, იხსენებდნენ, რამდენად მარტონი და ცოტანი იყვნენ ნახევარი წლით ადრე, 2020 წლის ზაფხულში ქუთაისში გამართული აქციების დროს[11]. ნამოხვანის ბრძოლის ერთ-ერთი პირველი თანმიმდევრულად აღმწერი მედია, „მთის ამბები/რეგინფო“ ასევე იხსენებდა ხეობის მცველების მარტოობას უწყვეტი პროტესტის დასაწყისში. სწორედ „მთის ამბები/რეგინფოს“ 2020 წლის ნოემბერში გაკეთებული სიუჟეტია ერთ-ერთი პირველი წყარო, საიდანაც საზოგადოება ნამოხვანის ბრძოლის გმირებს – მაკას, მარიტას, ვარლამს, ლალის და სხვებს – და მათი შეუწყვეტელი ღამისთევების მიზეზებს ეცნობა. როგორც მაკა სულაძე ამ სიუჟეტში ჰყვება, ლეჩხუმში – ისევე როგორც სვანეთში (Qeburia and Chubabria, 2017) ჰესების წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის წუხილი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის ბოლოს დაიწყო: *„დაბადებიდან დამყვა ეს პრობლემა. როცა დავიბადე, მაშინ თქვეს, რომ აქ დაიბადა, მაგრამ ნამახვანჰესის გამო, შეიძლება სხვაგან გაიზარდოსო. კომუნისტების დროიდან არის ამ პროექტზე ლაპარაკი“*[12].

„ნამახვანჰესის“ პროექტი ერთ-ერთია საბჭოთა პერიოდში დაგეგმილთაგან, რომელიც 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ახალმა მმართველმა ძალამ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააცოცხლა. თუ სვანეთში „ხუდონჰესის“ უკვე დაწყებული მშენებლობა 1989 წელს, საბჭოთა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მოძრაობის მიღწევით შეჩერდა, ლეჩხუმის შემთხვევაში, მშენებლობა არც კი დაწყებულა[13]. დიდი საბჭოთა ინფრასტრუქტურული პროექტების აღდგენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საკმაოდ ხშირი მოვლენაა. მთავრობები აცოცხლებენ საბჭოთა პერიოდის პროექტებს ახალი საერთაშორისო ინვესტორების დახმარებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩინური ინვესტიციები ცენტრალურ აზიაში, სადაც, მკვლევრების დაკვირვებით, ჩინელი ინვესტორები ყველგან ჩნდებიან, სადაც კი საბჭოთა გეოლოგებს უმუშავიათ (Vangeli and Pavlićević, 2019). ეს პროცესი, ერთი მხრივ, გადაფარავს საბჭოთა პერიოდის ბოლოს გაჩენილი და გაძლიერებული გარემოსდაცვითი მოძრაობების ღვაწლს და მიღწევებს, ასევე, წინ წამოწევს პროექტებს, რომლებიც წინააღმდეგობის ფონზე შეჩერდა; მეორე მხრივ კი, ძველი მოძრაობების გაღვიძების ან ახალი გარემოსდაცვითი მოძრაობების შექმნის საფუძველი ხდება.

საქართველოშიც, რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის დაწყებას წინ უძღოდა არაერთი გარემოსდაცვითი ბრძოლა ჰესების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის მეორე ნახევარში, 2008-2009 წლებში, საქართველოს მთავრობა იწყებს ჰესების პროექტების დამუშავებას და ინვესტორების მოძიებას, რასაც წინასაარჩევნოდ ჰესების წინააღმდეგ პოზიციონირების მიუხედავად, აგრძელებს „ქა-

11 Error! Hyperlink reference not valid.; https://publika.ge/foto-qutaisshi-namakhvanhesis-winaaghmdeg-kidev-erti-aqcia-gaimarta/

12 https://mtisambebi.ge/news/ecology/item/1231-rionis-xeobis-darajebi

13 https://www.radiotavisupleba.ge/a/31226889.html; https://www.radiotavisupleba.ge/a/როგორ-იყო-ხუდონჰესის-შემთხვევაში-/31199451.html

რთული ოცნების“ მთავრობა. საერთო ჯამში, 2008-დან 2019 წლამდე, საქართველოს სხვადასხვა მთავრობამ კერძო დეველოპერებთან 187 ურთიერთგაგების მემორანდუმი/ ხელშეკრულება გააფორმა სხვადასხვა ზომის ჰესების ასაშენებლად[14]. მიუხედავად იმისა, რომ ჰიდრორესურსების ამ რადიკალური ათვისების პოლიტიკას ყველგან არ მოჰყოლია პროტესტი, 2013 წლიდან იწყება წინააღმდეგობის კერების გაჩენა: სვანეთში ხუდონჰესისა და ნენსკრა ჰესის წინააღმდეგ, ასევე, აჭარაში, გურიაში, დარიალის ხეობასა და პანკისში[15].

თავად ლეჩხუმშიც წინააღმდეგობა ბევრად უფრო ადრე იწყება, ვიდრე უწყვეტი პროტესტი კარვებში. როგორც მაკა სულაძე ჰყვება, საბჭოთა დროს უკვე არსებობდა ჰესის მშენებლობის მიმართ წინააღმდეგობა. პროტესტის შემდეგი ტალღა 2009 წელს დაიწყო, როცა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კორეულ კომპანიასთან „ნამახვანჰესის“ შესახებ მოლაპარაკებები დააანონსა. მართალია, ამ დაანონსებას ბევრი არაფერი მოჰყოლია, მაგრამ ჰესის პროექტით შეშფოთებულ ადგილობრივ მოსახლეობას, 2011-12 წლებში, „ქართული ოცნება“ ამხნევებდა და ჰესის საწინააღმდეგო განწყობას საარჩევნო მხარდაჭერის მობილიზებისთვის იყენებდა. გამარჯვებიდან სამი წლის თავზე, 2015 წელს, „ქართული ოცნების“ მთავრობამ ჰესის პროექტზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა დადო და მშენებლობის ნებართვაც გასცა[16]. 2015 წელს წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასებები (გზშ) იმდენად უვარგისი იყო, რომ მთავრობამ ახალი შეფასებები ითხოვა, რომელიც კომპანია „ენკამ“ 2019 წელს, და ისიც ნაწილობრივ, მხოლოდ „ქვედა ნამახვანის ჰესის“ პროექტზე წარადგინა. ხეობაში უკვე 2018 წლიდან იმართებოდა პატარა აქციები და საჯარო გამოსვლები, თუმცა ამ გამოსვლების მედიადაფარვა ლიმიტირებული იყო. 2020 წლის თებერვალში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „ქვედა ნამახვანის ჰესის“ პროექტზე დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მიიღო. გაცხადდა ისიც, რომ ხელშეკრულება უკვე დადებული, მაგრამ გასაიდუმლოებული იყო. თავად ხეობაში ჩატარებული აქციების გარდა, 2020 წლის ივნის-ივლისში ქუთაისშიც გაიმართა რამდენიმე აქცია, თუმცა ლეჩხუმელების პროტესტს საზოგადოების დიდი ყურადღება არც მაშინ დათმობია. რამდენადაც პროტესტს სახელმწიფოს მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია, კომპანია „ენკამ“ კი მშენებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მომზადება – ოფისის გახსნა, მშრომელების დაქირავება – და (როგორც თავად ამბობდნენ) მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დაიწყო, ადგილობრივი მოსახლეობის პატარა ჯგუფმა 2020 წლის 25 ოქტომბერს უწყვეტი პროტესტი დაიწყო კარვებში, სოფელ ჟონეთში, მშენებლობის სივრცესთან ახლოს.

14 https://greenalt.org/blogs/ramdeni-wyali-unda-darches-mdinareshi/

15 https://reginfo.ge/politics/item/8484-20-ivliss-pankisshi-saprotesto-aqzia-gaimarteba

16 https://publika.ge/article/mokled-namokhvanis-hesis-darghvevebze/?fbclid=IwAR00jzK5VuaMcMgHdYoixt-4PWBn9LkgbGUBGpv2gLwcWP5beVoovoiHnUs

ადგილობრივი პროტესტის ფილოსოფია და რეპერტუარი: პროტესტის ღია კითხვებზე აგება და მუდმივი ფიზიკური მობილიზების ძაღა

უწყვეტი პროტესტის დაწყებამდე, შეიძლება ითქვას, ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლა პატარა წინააღმდეგობის მოძრაობის ტიპურ რეპერტუარს იყენებდა. მოსახლეობის კრიტიკულად განწყობილი ნაწილი თავდაპირველად ცდილობდა არსებული დემოკრატიული ჩართულობის ჩარჩოების გამოყენებას, მაგალითად, პროექტის საჯარო განხილვებზე დასწრებას, რის საშუალებასაც ადგილობრივი ხელისუფლება მათ ჯერ კიდევ 2019 წლის ბოლოს უზღუდავდა[17]. დარღვევებით მიმდინარე საჯარო განხილვების შემდეგ, 2020 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, როგორც უკვე ვახსენეთ, დაიწყო საჯარო აქციების ორგანიზება. როცა ამ აქციებმაც ხელისუფლებისგან უპასუხოდ ჩაიარა, დაიწყო პროტესტის შედარებით უფრო ნაკლებად გავრცელებული ფორმის, უწვეტი პროტესტის გამოყენება და, ასევე, რეგულარული აქციების გამართვა სოფელ ჟონეთში ყოველ კვირა დღეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობას უწყვეტი პროტესტის დაწყებამდე უკვე გავლილი ჰქონდა ის გზა, რაც სხვა არაერთ ჯგუფს გაუვლია იქამდე – სამოქალაქო უფლებების გამოყენების უშედეგო მცდელობა და, შედეგად, სახელმწიფოს მიერ მათი სუბალტერნულობის წარმოების პირველად მექანიზმებს, მათი ხმის დახშობისა და უგულებელყოფის სტრატეგიასაც უკვე იცნობდა.

კარვებში უწყვეტი პროტესტი მცირე რაოდენობის ადამიანების ღამისთევით დაიწყო, რომლებიც, ძირითადად, ლეჩხუმის სოფლების მოსახლეობის რამდენიმე ოჯახისგან შედგებოდა – ყველაზე აქტიურად ამ პროცესში ჩართული ერთი ოჯახი სოფელ ტვიშს, პროექტის ზემოქმედების არეალს წარმოადგენდა და ლეჩხუმის 28 სოფლის მღვდლის, ლევან გოლეთიანის ოჯახი იყო – ამ ოჯახის წევრები, დედა-შვილი მარიტა მუსელიანი და ვარლამ გოლეთიანი შემდეგში მოძრაობის ლიდერებად და გამოკვეთილ სახეებად იქცნენ. პროტესტში ჩართული ყველაზე აქტიური მეორე ოჯახი მაკა სულაძის ოჯახი იყო სოფელ მექვენადან, უშუალოდ დატბორვის არეალიდან, რომლიდანაც თავად მაკა და მისი შვილი, კახა ასათიანი ასევე იქცნენ რიონის ხეობის მცველების ლიდერებად და გამოკვეთილ და დასამახსოვრებელ სახეებად. ამ ორი ოჯახის გარდა, მოძრაობის საორგანიზაციო ბირთვსა და ღამისთევებში თავიდანვე ჩართული იყო ასევე, რამდენიმე ადამიანი ამავე სოფლებიდან, მათ შორის, ლალი ეფრემიძე სოფელ ნამოხვანიდან, უშუალოდ კაშხლის ტანისა და სადერივაციო გვირაბის მშენებლობის ადგილიდან, რომლის მიწაზეც, მდინარე რიონის ნაპირზე, თვეების განმავლობაში იდგა პროტესტის კარვები, სანამ მათ სახელმწიფო და კომპანია „ენკა“ ერთდროულად დაარბევდა და ხეობიდან გამოდევნიდა.

სწორედ ამ პირველი ღამისთევების პერიოდში ყალიბდება რიონის ხეობის მცველების მდგრადი რეპერტუარების სხვადასხვა ასპექტი. აქტიურდება ჯერ კიდევ 2018 წელს შექმნილი ფეისბუკგვერდი, სახელით „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“,[18] სადაც პროტესტის იმ დროისთვის და დღემდე ყველაზე გამოკვეთილი სახე, ვარლამ გოლეთიანი,

17 https://publika.ge/namakhvanis-hesebis-kaskadis-proeqtis-sajaro-gankhilva-ukheshi-darghvevit-chatarda-ngo-ebi/
18 https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis

იწყებს სისტემატურ ცოცხალ ჩართვებს, რათა გვერდის მიმდევრებმა თავად იხილონ, თუ რა ხდება რიონის ხეობაში. ამ დროს იწყება, ასევე, ტრადიციული ყოველდღიური ფოტოს გადაღება კარვებიდან, რომლებიც გათენებულ ღამეებს ითვლის. გვერდს, რომელსაც დღეს 120 ათასამდე მიმდევარი ჰყავს, ნოემბრის ბოლოს, ჯერ კიდევ, დაახლოებით მხოლოდ 10 ათასამდე მიმდევარი ჰყავდა. ვარლამის პირველსავე ცოცხალ ჩართვებში მჟღავნდება მოძრაობის წევრების მხრიდან კითხვების დასმაზე ორიენტირებული მიდგომა. ამ ჩართვებში ვარლამი მუდმივად ხაზს უსვამს, რომ მისი და მისი თანამებრძოლების პროტესტის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო მათ მიერ დასმულ კითხვებზე ხელისუფლების *მხრიდან პასუხგაუცემლობა და პროექტის დეტალების გასაიდუმლოებული ხასიათია: „პირველი კითხვა, რაც ჩვენგან ისმის ხოლმე, არის ის, რომ თუ მართლა რაიმე დადებითი შეიძლება მოყვეს ამ პროექტს, მაშინ რატომ არის ხელშეკრულება გასაიდუმლოებული?“*

ამავე პერიოდში, ვარლამი აჩვენებს ასევე მუდმივი ფიზიკური მობილიზაციის ძალას და გვიყვება, რომ ბრძოლაში ჩართული რამდენიმე ადამიანის სამშენებლო სივრცეებთან ახლოს მუდმივი ყოფნაც კი მნიშვნელოვნად აფერხებს მშენებლობას. პროტესტის დინამიკის ტრანსფორმაციის პირობებში, ეს ორივე ასპექტი – მოსახლეობის პროტესტის ღია კითხვებზე აგება (რასაც მცველები ხშირად „ლეგიტიმურ კითხვებს“ ეძახიან) და მშენებლობის შეჩერებისთვის მუდმივი ფიზიკური მობილიზების ძალა – კარვების გრძელვადიანი ეტაპის დასასრულამდე პროტესტის ცენტრალურ მახასიათებლებად დარჩა.

პროტესტის დაწყებიდანვე, ასევე იკვეთება მისი რელიგიური, კერძოდ, მართლმადიდებლური სიმბოლიკა და ხასიათი. უწყვეტი პროტესტის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, 2020 წლის 29 ოქტომბერს, ხეობის მცველებმა სოფელ ნამოხვანში, პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯვარი აღმართეს[19]. კომპანია „ენკამ“ კონკრეტულად ამ ადგილიდან ამის შემდეგ სამშენებლო ტექნიკა გაიყვანა. 2020 წლის 14 ნოემბერს, როცა ხელისუფლებამ რიონის ხეობის მცველების აქცია განსაკუთრებული სისასტიკით დაარბია, აქცია დარბევამდე წირვა-ლოცვის თანხლებით მიმდინარეობდა. მის წევრებს ჰქონდათ გადაკეტილი ძირითადი ხიდი, რომლითაც კომპანიის ტექნიკა გადაადგილდებოდა და მის გადასაკეტად რკინის ჯაჭვში იყვნენ ჩაბმული. თუ დარბევამდე აქციის მონაწილეები მთავრობის წარმომადგენლებთან ითხოვდნენ შეხვედრას, დარბევის შემდეგ მათ საქართველოს პატრიარქს მიმართეს და შეხვედრა სთხოვეს[20]. მიუხედავად მათი ამ იმედისა და მოთხოვნისა, საპატრიარქოს მხრიდან ოფიციალურად არცერთხელ არ გაკეთებულა ამ საკითხზე განცხადება და მეტ-ნაკლებად იგრძნობოდა მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი მღვდელმთავრის მხარდაჭერა. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის მართლმადიდებლური სიმბოლიკა, ეკლესიასთან სიახლოვე თუ კონკრეტულად ჯვრის სიმბოლო პროტესტის სხვადასხვა ეტაპზე შედარებით მეორეხარისხოვანი ხდებოდა და პროტესტი სხვადახვა ფაზაში შინაარსობრივად ფართოვდებოდა, ზოგადად, ქრისტიანული სულისკვეთება მნიშვნელოვანი დარჩა ადგილობრივი პროტესტის ყველა ეტაპზე.

19 https://mtisambebi.ge/news/people/item/1282-polizia-tvishshi-rkinis-jvrebs-darajobs,-rom-adgilobrivebma-rionis-xeobashi-ar-agmarton

20 https://reginfo.ge/human-rights/item/20032-poliziam-dashala-aqzia-jonetshi,-sadaz-namoxvanis-besebis-msheneblobas-aprotesteben

მხარდაჭერა და არგუმენტები: ეკოლოგიური და სოციო-კულტურული რისკები

ჰესის წინააღმდეგ ადგილობრივი მოძრაობის გაჩენიდან უწყვეტი პროტესტის დაწყებამდე და 14 ნოემბრის სასტიკ დარბევამდე, ჰესის მოწინააღმდეგეების ცენტრალური არგუმენტები ძირითადად ეკოლოგიურ და სოციო-კულტურულ დანაკარგებსა და საფრთხეებს, დემოკრატიული ჩართულობის შეზღუდვას ეხებოდა და გაცილებით ნაკლები ინტენსივობით – ეკონომიკური ან ენერგეტიკული საჭიროების დაუსაბუთებლობას. დამატებითი წუხილის წყარო პროექტის შემუშავებაში ავარიული და პრობლემური „შუახევიჰესის“ პროექტის ავტორი და განმახორციელებელი კომპანიის, „ქლინ ენერგი გრუფ ჯორჯიას“ ჩართულობა იყო. ეს საკითხები იკითხებოდა როგორც აქციებსა და ცოცხალ ეთერებში, ასევე ონისა და ნამახვანის კასკადების წინააღმდეგ შექმნილ პეტიციაშიც, რომელიც „ნამახვანჰესის“ განსაკუთრებულ გარემოსდაცვით რისკებს უსვამდა ხაზს: *„დაზიანების შემთხვევაში, ნამახვანჰესის კაშხლიდან გამოხეთქილი 34-მეტრიანი ტალღა ქუთაისს 19 წუთში დაატყდება თავს, წყალდიდობით გამოწვეული საფრთხე კი მთელ კოლხეთის დაბლობს დაემუქრება“*[21]. ეს ინფორმაცია ადგილობრივებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მოდელირებიდან ჰქონდათ მიღებული. მართალია, ამ არგუმენტის გაბათილებას კომპანია „ენკას“, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის საინფორმაციო კამპანია ბევრჯერ დაუპირისპირდა, კაშხლის სეისმური და გეოლოგიური საფრთხე ჰესის პროექტის წინააღმდეგ განწყობილი მოქალაქეებისთვის ერთ-ერთ ძირითად საკითხად დარჩა.

პროექტის წინააღმდეგ არგუმენტაციის ამ ძირითადი ასპექტების გამოკვეთაში ჯერ კიდევ 2019 წლიდან აქტიურად იყვნენ ჩართული მცირე რაოდენობის, მაგრამ კარგად ინფორმირებული და თანმიმდევრული კვლევითი გამოცდილების მქონე აქტორები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „მწვანე ალტერნატივის“ წვლილი 2019 წლის „ქვემო ნამახვანის“ და, ასევე, 2015 წლის „ნამახვანის ჰესების კასკადის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) შესახებ შენიშვნების შემუშავებაში. ორგანიზაციის კვლევა ვრცლად, დეტალურად და თანმიმდევრულად წარმოაჩენდა სამი სხვადასხვა გზშ-ის დოკუმენტზე დაყრდნობით ჰესის მშენებლობის პრობლემურობას, ისევე როგორც ამ გზშ-ების ნაკლოვანებებს[22]. ასევე, როგორც აღვნიშნეთ, კონკრეტულად გეოტექნიკური კვლევების სისუსტე შეაფასა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტმა და სეისმური მონიტორინგის ეროვნულმა ცენტრმა, 2020 წლის მარტში კი მთავრობას[23] „ნამახვან ჰესის კასკადის“ პროექტზე წერილით მიმართა[24]. ერთი წლის შემდეგ, როცა ჩვენი კოლექტივი, მოძრაობასთან ერთად, უკვე სტუდენტებთან

21 https://manifest.ge/main/item/3107?fbclid=IwAR3D3HcTldrJ_KkjtqBWEsp7mUEqL9kzTywx-6DFc0_BMGiamR1ay-Fj3hk

22 კვლევა აღწერდა რიგ საკითხებს, რომელსაც გზშ უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ მოიცავს, მაგალითად, ინფორმაციას ეკოსისტემების, ჰაბიტატების შესახებ, ჰაერის ემისიების, ხმაურის, ვიბრაციის გავრცელების შესახებ, ზეგავლენას წყლის რესურსებზე, აგრო-ბიომრავალფეროვნებასა და სოფლის მეურნეობაზე, იხილეთ ვრცლად: https://greenalt.org/app/uploads/2019/11/GA_comments_Namokhvani_HPP.pdf

23 მიმართვა კონკრეტულად მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას სახელზე იყო დაწერილი, რომელიც ოპოზიციურ ძალად მოვლენის შემდეგ მუდმივად ცდილობს, „ნამახვანჰესის“ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა მოიხსნას.

24 https://publika.ge/namakhvan-hesis-kaskadi-da-sheshfotebis-mizezebi-gakharias-ghia-werilit-mimartaven/

შეხვედრებს უწევდა ორგანიზებას, აღმოჩნდა, რომ ნამახვანჰესის პროექტზე ბევრმა სტუდენტმა პირველად სწორედ ილიას უნივერსიტეტის პროფესორის, თეა გოდოლაძის მიმართვებიდან გაიგო. დემოკრატიული ჩართულობის ნაკლებობასა და ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებების ხელისუფლების მიერ განზრახ გაჩუმებას, „მწვანე ალტერნატივასთან“ ერთად, აპროტესტებდნენ ადამიანის უფლებებსა და სოციალურ საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებიც – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (ახლანდელი „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“) საჯარო განცხადებების გზით[25]. ამ პერიოდში, რიონის ხეობის მცველებს უკვე ჰქონდათ გარკვეული კავშირი სხვა ჰესების მოწინააღმდეგე მოძრაობებთან, განსაკუთრებით კი, სვან და პანკისელ აქტივისტებთან, რომლებიც ხშირად მცველების ყოველკვირეულ აქციებზეც ცხადდებოდნენ, თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ და სოლიდარობას უცხადებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ უწყვეტი პროტესტის დაწყებისას უკვე არაერთი საფუძვლიანი ეჭვი, წუხილი თუ კვლევებით გამყარებული არგუმენტი არსებობდა, დასახელებულ პრობლემებს, ისევე როგორც თავად პროტესტს, საჯარო საინფორმაციო სივრცეში ძალიან შეზღუდული ხილვადობა ჰქონდა. გამონაკლისს წარმოადგენდა „მთის ამბები/ რეგინფოს“, ასევე „პუბლიკის“ და ზოგჯერ, „რადიო თავისუფლების“ რეპორტაჟები და ანალიტიკური სტატიები. შეიძლება ითქვას, სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის ამუშავებისას, ადგილობრივი პროტესტის წევრები საკმაოდ მარტონი იყვნენ სახელმწიფოს მხრიდან იგნორირებისა და ძალადობის წინაშე.

უწყვეტი პროტესტის დაწყებამდე სამწლიანი (აქტიური, თუმცა კიდევ უფრო ძველი) წინააღმდეგობისა და თითქმის ერთთვიანი უწყვეტი პროტესტის უხილავობა საქართველოს საჯარო, პოლიტიკურ სივრცეში, რიონის ხეობის მოძრაობას სხვა ჰესების მოწინააღმდეგე მოძრაობების გამოცდილებებთან აერთიანებდა. როგორც წინა კვლევები ავლენს, ჰესების წინააღმდეგ მოძრაობებს წლების განმავლობაში აფერხებდა „როგორც საინფორმაციო წყაროების დეფიციტურობა, ისე პოლიტიკური ველის ექსკლუზიურობა. ცოდნასა და ინფორმაციის სანდოობაზე სრული მონოპოლია აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მობილიზდება მოსახლეობა“ (Qeburia and Chubabria, 2017, p. 175). მიუხედავად იმისა, რომ სვანეთსა და პანკისში ჰესების წინააღმდეგ ბრძოლამ მედიის ნაწილობრივი ყურადღება მიიპყრო, სამოქალაქო აქტორებთან ალიანსები თუ თბილისში მხარდამჭერი აქციებიც შედგა და ამ ბრძოლებმა გარკვეულ წარმატებას და არსებული პროექტების შეჩერებას თუ შეფერხებასაც მიაღწია, ბრძოლის აქტორებისა და მათი მიზნების დისკრედიტაციას, მათ მონიშვნას ცივილურობის მიღმა, სახელმწიფო მაინც წარმატებით ახერხებდა: „ბრძოლის შერჩეული ფორმები (ფიცის დადება სათემო ტრადიციების მიხედვით და რადიკალური ფიზიკური წინააღმდეგობა სამშენებლო ტექნიკის მუშაობის შესაჩერებლად), რომლითაც ადგილობრივები წინააღმდეგობის გავრცობას ცდილობენ, საჯარო პოლიტიკის მიღმაა“ (Ibid, p.175). რიონის ხეობის მცველების მდგომარეობა 14 ნოემბრის დარბევამდე ძალიან ჰგავს აღწერილ მდგომარეობას, თუმცა ამ დარბევის შემდეგ, ის ეტაპობრივად იცვლება.

25 https://publika.ge/namakhvanis-hesebis-kaskadis-proeqtis-sajaro-gankhilva-ukheshi-darghvevit-chatarda-ngo-ebi/

სახელმწიფოს, კომპანიისა და ჰესების ლობისტების სტრატეგია: დუმილი, გასაიდუმლოება და რეპრესია

14 ნოემბრის დარბევამდე და ამ დარბევის შედეგად პროტესტის საჯარო ხილვადობის მეტ-ნაკლებად გაზრდამდე, საქართველოს მთავრობა ადგილობრივი პროტესტის იგნორირებას, ღია თუ ირიბი რეპრესიის გზას, მოსახლეობის დაყოფას და, რაც მთავარია, „ნამახვანის ჰესების კასკადის“ პროექტის უხმაუროდ, საზოგადოების თვალიდან მოშორებით განხორციელებას ირჩევს. თავად კომპანია „ენკა“ და მისი წინამორბედი „ქლინ ენერგი გრუფ ჯორჯიაც“, ძირითადად, ერიდებოდნენ საჯარო ხილვადობას, ან, იშვიათ შემთხვევებში, პროექტის ზედაპირული და არასისტემატური პოპულარიზაციის მცდელობით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმების შესაძლებლობებზე ხაზგასმით შემოიფარგლებოდნენ[26].

მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას პროექტის შესახებ რაც შეიძლება ცოტა რამ სცოდნოდა და საკუთარი ეჭვები თუ კითხვები ვერ გამოეთქვა. გზშ-ის საჯარო განხილვა 2019 წლის დეკემბერში არა პროექტის განხორციელების ადგილზე ან ამ ადგილთან უახლოეს დასახლებაში, არამედ ზეგავლენის ქვეშ მყოფი სოფლებიდან დაახლოებით 50 კილომეტრის დაშორებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში მოეწყო. საჯარო განხილვის თარიღი წინა დღეს შეცვალეს და ის ერთი დღით ადრე გამართეს, სხდომის დარბაზი კი საჯარო მოხელეებითა და კომპანიის წარმომადგენლებით შეავსეს, რომ დაინტერესებული მოქალაქეებისთვის სივრცე და კითხვების დასმის საშუალება არ დაეტოვებინათ. ამის მიუხედავად, შეხვედრაზე მაინც ჩასული ადგილობრივი მოსახლეობა კი, რომელიც შემდგომში „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ მოძრაობად მოგვევლინება, დარბაზში არ შეუშვეს და მათ მხოლოდ ფიზიკური წინააღმდეგობით შეძლეს დარბაზში შეღწევა. გზშ-ის შეფასების საჯარო განხილვა ადგილობრივი და საერთაშორისო ნორმების იმდენად უხეში დარღვევებით წარიმართა, რომ შესაძლოა, დღემდე მხოლოდ ეს დარღვევები იყოს სამართლებრივად საკმარისი, რათა „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ბათილად იქნეს ცნობილი“[27].

მთავრობას გასაიდუმლოებული ჰქონდა როგორც 2019 წლის, გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემამდე დადებული ხელშეკრულება, ასევე სხვა უმნიშვნელოვანესი, კანონით სავალდებულო დოკუმენტები: იუსტიციის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების შეფასება, ასევე, ფინანსთა სამინისტროს შეფასება, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი. მოგვიანებით გაირკვა, რომ კომპანიასთან ხელშეკრულებას ისე მოეწერა ხელი, რომ ეს დასკვნები ან არ არსებობდა, ან არ ყოფილა გათვალისწინებული. 2021 წლის თებერვალში გამომჟღავნდა, რომ დამატებით, კომპანიას სახელმწიფო სიმბოლურ ფასად უფორმებდა სახელმწიფო ქონებაში არსებულ მიწებს სამუდამო ან 99-წლიან მფლობელობაში[28]. მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლიდან და მანამდეც, სახელმწიფო ხელს უწყობდა კომპანია „ენკას“ ადგილობრივი მოსახლეობისგან მიწის ნაკვეთებისა და ქონების გამოსყიდვაში. უწყვეტი პროტესტის დაწყების დროს მოსახლეობის აბსოლუტურ უმეტე-

26 shorturl.at/imTX6

27 shorturl.at/imTX6

28 https://publika.ge/sakhelmwifo-qonebis-ra-nawili-gadaeca-namakhvanhesis-mshenebel-kompanias-gankarguleba/?fbclid=IwAR27z_AI1LGQpSMTrW0p296K2LaNvjO9mpmO0IFq7EOBIAiyzZJD72gH3o0

სობას უკვე გაყიდული ჰქონდა ქონება ისე, რომ პროექტის თაობაზე, ფაქტობრივად, არავითარ ინფორმაციას არ ფლობდა. რიონის ხეობის მცველების გადმოცემით, კომპანია „ენკა“ ცალ-ცალკე აწარმოებდა მოლაპარაკებებს ადგილობრივ მცხოვრებლებთან, ზოგჯერ ქონების ექსპროპრიაციითაც ემუქრებოდა მათ და ურჩევდა, მიწა საკუთარი ნებით გაეყიდათ, სანამ სახელმწიფო ჩამოართმევდათ.

სახელმწიფოს მხრიდან ჰესის პროექტის ხელშეწყობის, ადგილობრივი მოსახლეობის მიწის გაყიდვასთან შეგუების განსაკუთრებულად მანკიერი სტრატეგია ხეობისთვის საბაზისო ინფრასტრუქტურის ხანგრძლივი და თანმიმდევრული დეგრადაცია იყო. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობები ათწლეულების განმავლობაში თავიდან ირიდებდნენ საბაზისო ინფრასტრუქტურისა და სერვისების გამართვას და მიწოდებას ხეობის მოსახლეობისთვის, რითაც მათში ხეობის სამომავლო პერსპექტივის უქონლობა და ჰესის აშენების გარდაუვალობის აღქმა მტკიცდებოდა. ადგილობრივების სასოწარკვეთილება განსაკუთრებით კარგად ჩანს 2021 წლის დასაწყისში ჰესის მხარდამჭერი აქციების გამომსვლელთა სიტყვებში, სადაც ხეობის მცხოვრებთა ნაწილი ჰესის აშენებას საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნის იმედებს, გზის რეაბილიტაციას, საავადმყოფოსა და სკოლების მშენებლობას უკავშირებს[29].

სანამ პროტესტი მეტ-ნაკლებად გაფანტული იყო, მთავრობას საპოლიციო ძალის გამოყენება დიდად არც უცდია. თუმცა, უწყვეტი პროტესტის დაწყების შემდეგ, საპოლიციო ძალების მობილიზება გაიზარდა და, როგორც ვახსენეთ, 2020 წლის 14 ნოემბერს პოლიცია განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა ხეობის მცველებს. ამ კუთხით, რიონის ხეობის მოძრაობის სიტუაცია ასევე უახლოვდება სხვა მოძრაობის გამოცდილებებს, სადაც ჰესების მოწინააღმდეგე მოსახლეობა „სოციალური კონტროლის ობიექტია, ფიზიკური დევნისა და ფინანსური შანტაჟის გზებით“ (Qeburia and Chubabria, 2017, p. 175). უკვე 2021 წლის გაზაფხულზე, როცა ნამახვანჰესის პროექტის ხელშეკრულების კაბალურობის მასშტაბი და მთავრობის მხრიდან პროექტის განხორციელებისას ჩადენილი დარღვევები გამომჟღავნდა, ჩვენ ხშირად ვეკითხებოდით ერთმანეთს, თუ რატომ არ გაითვალისწინა მთავრობამ სავარაუდო წინააღმდეგობა – რატომ არ იფიქრა, რომ ვინმეს შეიძლებოდა, კითხვები დაესვა, რატომ არ დაიზღვია თავი ამ წინააღმდეგობისგან – საკუთარივე კანონებისა და პროცედურების ოდნავ მაინც თანმიმდევრული დაცვით? თუმცა, სახელმწიფოს ასეთი თავდაჯერების და, ასევე, შეიძლება ითქვას, თავზეხელაღებულობის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა, სწორედ ის ყოფილიყო, რომ მან წარმატებით მოახერხა პროექტის განხორციელებამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა საფეხურის, მათ შორის, საჯარო თუ პირად საკუთრებაში არსებული მიწების „ენკასთვის“ გადაცემის პროცესის ჩუმად, პროცესის საჯარო ხილვადობის გარეშე წარმართვა. მიუხედავად ამისა, უწყვეტმა პროტესტმა სახელმწიფოს ამგვარი სტრატეგიის სისუსტეც გამოავლინა და მთავრობას პროექტზე საჯარო საუბრის დაწყებაც აიძულა.

29 https://commersant.ge/ge/post/imeretshi-adgilobrivi-mosaxloeba-namaxvanhesis-msheneblobis-gagrdzelebis-motxonit-aqciaze-gamovida

4. სახელმწიფოს გააქტიურება საჯარო დისკურსში: არგუმენტების ომის დასაწყისი (14 ნოემბერი – 30 იანვარი)

14 ნოემბრის დარბევამ მედიისა და საზოგადოების შედარებით მეტი ყურადღება მიიპყრო და სოლიდარობის მობილიზების მცდელობების ზრდაც გამოიწვია. 2020 წლის 22 ნოემბერს სოფელ ჟონეთში უწყვეტი პროტესტის დაწყებიდან რიგით მესამე, წინა აქციებთან შედარებით უფრო ხალხმრავალი აქცია გაიმართა[30]. მას ესწრებოდნენ როგორც ჰესების მოწინააღმდეგე მოძრაობების წევრები საქართველოს სხვადასხვა მთიანი რეგიონიდან, ასევე, 14 ნოემბრის დარბევის შემდეგ უფრო მეტად გააქტიურებული, ძირითადად მემარცხენე და გარემოსდაცვითი აქტივისტები თბილისიდან. შემდეგ კვირებში, პატარა მხარდამჭერი აქცია თბილისშიც ტარდება. 10 დეკემბერს, ახლად შექმნილი პლატფორმის „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ წევრები ოფიციალური წერილით მიმართავენ მთავრობას და მთავრობის კანცელარიის წინ პირველ საპროტესტო აქციას მართავენ. აქციის ძირითადი მოთხოვნები ონისა და ნამოხვანის კასკადებზე მორატორიუმის გამოცხადება და პროექტის შესახებ საჯარო, საპარლამენტო მოსმენის დანიშვნაა. 29 დეკემბერს, ონისა და ნამოხვანის კასკადების ადგილობრივი მოწინააღმდეგეები და თბილისელი აქტივისტები თბილისის საქალაქო სასამართლოსთან მართავენ აქციას[31]. მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდში ხეობის მცველები სოფელ ჟონეთში უწყვეტი პროტესტის ფონზე წარმატებით აფერხებენ მშენებლობის პროცესს, რაც სახელმწიფოსა და კომპანიის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე ჯერ კიდევ მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ათევს ღამეებს კარვებში.

ამ პერიოდში პროტესტის ხილვადობის ზრდისა და მშენებლობის პროცესის შეფერხების მნიშვნელობის საუკეთესო დასტური საჯარო დისკურსში სახელმწიფოს, კომპანია „ენკას“ და პროექტის სხვა მხარდამჭერების შედარებითი გააქტიურება იყო. თუ მანამდე სახელმწიფოს „ნამახვანჰესის“ პროექტის შესახებ დუმილი და პროექტის გასაიდუმლოებულ კონტექსტში განხორციელება ერჩივნა, 2020 წლის ბოლოს და 2021 წლის დასაწყისში სახელმწიფო ცდილობს პროტესტის დისკრედიტაციას და პროექტისთვის საჯარო მხარდაჭერის მობილიზებას. მსგავს მცდელობებს, თავის მხრივ, მოჰყვება დამატებითი მხარდაჭერის მობილიზება კრიტიკული მედიისა და სამოქალაქო აქტორების მხრიდან რიონის ხეობის მცველების პოზიციისა და არგუმენტების გასამყარებლად. იქამდე, სანამ – 2021 წლის იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში – მიწის გასხვისების დეტალები და კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება გასაჯაროვდება, რაც ფუნდამენტურად შეცვლის არგუმენტების ველს, ჩართული აქტორები არსებულ წყაროებზე დაყრდნობით იწყებენ ინფორმაციის გავრცელებას, გასაიდუმლოებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ვარაუდების გამოთქმას და უკვე ზოგადი პოლიტიკური შეფასებების კეთებას პროექტთან დაკავშირებით.

30 https://www.radiotavisupleba.ge/a/მესამე-დიდი-აქცია-ჟონეთში-ისევ-ნამახვანჰესის-წინააღმდეგ/30963307.html
31 https://business.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/photos/pcb.120140756592073/120133273259488/

ადგილობრივი პროტესტის ფილოსოფია და რეპერტუარი: ლოგიკური კითხვები და სახალხო მხარდაჭერის მობილიზების მნიშვნელობა

ამ პერიოდში, ადგილობრივი პროტესტის ფილოსოფია და რეპერტუარი დიდ ცვლილებებს არ განიცდის, თუმცა უკვე არჩეული მიდგომების გამყარება, მათი დროში შენარჩუნებადი ხასიათი და ბრძოლის თანმიმდევრულობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. ამავე პერიოდში, ნელ-ნელა იკვეთება რიონის ხეობის მცველების ტაქტიკის ერთ-ერთი ცენტრალური ხაზი – აქცენტი ფართო სახალხო მხარდაჭერის მობილიზების მნიშვნელობაზე ბრძოლაში გასამარჯვებლად. ჟურნალ„ინდიგოსთან" ინტერვიუში, ვარლამ გოლეთიანი მედიის მხრიდან მარგინალიზებას და საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევის მნიშვნელობას უსვამს ხაზს: *„გვჭირდება, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივაწვდინოთ ხმა, რომ ჩვენ აქაურობას არ დავტოვებთ, სანამ ეს კომპანია არ წავა აქედან. სოციალური ქსელებით, ტელევიზიებით, ვრცელი ეთერი ჯერ არ ეთმობა ამ თემას, მაგრამ ნელ-ნელა ხალხი მაინც მოდის ჩვენთან. ყოველდღე მოდიან"*[32]. საინფორმაციო ველის გაფართოების საჭიროებაზე საუბრის გარდა, ამ პერიოდში, მცველები ასევე იწყებენ თავიანთი ბრძოლის ფილოსოფიის კიდევ ერთი ხაზის განვითარებას, კერძოდ, კოლექტიურ მოქალაქეობრივ ვალდებულებებზე საუბარს.

> *„ერთ შემთხვევაში გაჭრის ჩვენი პროტესტი – როდესაც საქართველოს ყველა მოქალაქე თავის მოქალაქეობრივ ვალს შეასრულებს და სახელმწიფოებრივად იაზროვნებს; და იფიქრებს, რომ მისი კუთვნილება არ იწყება მისი ეზოდან, მისი ჯიბიდან, მისი სახლის კარიდან. კუთვნილება იწყება მისი სახელმწიფო საზღვრიდან, სანამ მას ყველაფრის დაცვა არ მოეთხოვება და პრობლემას არ დატოვებს რამდენიმე ადამიანის მხრებზე სატვირთავად"*[33].

მაკა სულაძის მხრიდან სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე ხაზგასმა, ერთი მხრივ, თავად რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლის ფილოსოფიის კონტურების ამსახველია, მეორე მხრივ კი, ასევე ცხადყოფს ბრძოლის კავშირს სხვა ჰესების მოწინააღმდეგე ბრძოლების გამოცდილებებთან.

სახელმწიფოებრიობის ცნებაზე ხაზგასმა 2019 წელს, „მწვანე აკადემიის" ფარგლებში მოწყობილი ჰესების მოწინააღმდეგე აქტივისტებთან (სვანეთიდან, აჭარიდან და დარიალის ხეობიდან) შეხვედრიდანაც გვახსოვს. ამ შეხვედრის ერთ-ერთი მომხსენებელი, ზაზა წიკლაური იხსენებდა, თუ როგორ ცდილობდა სახელმწიფო იმის ხაზგასმას, რომ ჰესები სახელმწიფო, სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია, რომლის გამოც ცალკეულმა მოქალაქეებმა პირადი ინტერესები უნდა დათმონ. ზაზა ჰყვებოდა, თუ როგორ შეატრიალეს ეს დისკურსი ჰესის მოწინააღმდეგეებმა, ერთი მხრივ, თავად სახელმწიფოს ცნების დეკონსტრუქციით და სახელმწიფოს, როგორც მოქალაქეების ერთობის დეფინიციით *(„ჩვენ, ხალხი ვართ სახელმწიფო და არა მთავრობა")*, მეორე მხრივ კი, სწორედ

32 https://indigo.com.ge/articles/protestis-31-dge-interviu-namokhvan-hesis-aqtivisttan-varlam-goletiantan/?fbclid=IwAR1gxLgryuDnbrVYq6EXAK_3HPzhK19YaFjDOH-ueJ0ikoJJQe6EJI_hC-k

33 https://www.facebook.com/watch/?v=718933152343712

ჰესის მოწინააღმდეგეების პოზიციების სახელმწიფოებრივი ხასიათის ხაზგასმით მთავრობის მოკლევადიან და ვიწრო პოლიტიკურ და ფინანსურ ინტერესებთან შეპირისპირებით.

ამავე პერიოდში, მცველები გამოკვეთენ ფუნდამენტურ განსხვავებას ხელისუფლების გარემოსთან მიდგომასა და მათი, პროტესტის წევრების გარემოსთან მიდგომას შორის. აჭარის ტელევიზიასთან ინტერვიუში, მაკა სულაძე აღწერს, თუ რამდენად დამორჩილებადი ჰგონია მთავრობას ბუნება:

> *„ერთი სლოგანი აქვთ – „შევთანხმდეთ, იყოს უსაფრთხო", ესე იგი, ბუნებასთან შეიძლება შევთანხმდეთ, იყოს უსაფრთხო. რადგან უნდა ხელისუფლებას, ბუნებაც უნდა შეგვითანხმდეს ჩვენ, რომ ის იქნება უსაფრთხო"*[34].

როგორც ამ, ისე სხვა ინტერვიუებში, მაკა სულაძეც და ხეობის სხვა მცველებიც მუდმივად გამოხატავენ უკმაყოფილებას ბუნების სწორზახოვნად ანთროპოცენტრული ხედვის გამო, ხაზს უსვამენ ბუნების შესახებ ადგილობრივ ცოდნას მასთან თანაარსებობის, მისი მოსმენისა და გათვალისწინების – და არა დამორჩილების შესახებ – ადგილობრივი სოციო-კულტურული გამოცდილებების მნიშვნელობას.

დაბოლოს, ამავე პერიოდში კიდევ ერთხელ მკაფიოდ იკვეთება რიონის ხეობის მცველების მიერ ლოგიკური, არსებულ მონაცემებსა თუ კვლევებზე დაყრდნობილი, ღია კითხვების დასმით განსაზღვრული არგუმენტირების ხასიათი. უკვე 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში, როგორც აქციებზე, ისე ცოცხალ ჩართვებში ხეობის მცველები თანმიმდევრულად კრებენ ფუნდამენტურ კითხვებს ქვეყანაში არსებული ენერგოპოლიტიკის შესახებ და პირველად გამოთქვამენ კრიტიკას, რომელიც 2021 წლის განმავლობაში, ბრძოლისა და პროექტის სხვადასხვა ეტაპებზე მომხდარი ცვლილებების ფონზეც კი, დღემდე მნიშვნელოვანი რჩება. რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლის არგუმენტირებული ხასიათის ერთ-ერთი ცხადი გამოვლინება და, შეიძლება ითქვას, პარადიგმული მაგალითია 23 დეკემბრის ცოცხალი ეთერი ხეობიდან. ამ გამოსვლისას, გარდა უკვე ხშირად და ყველაზე მეტად გამოთქმული წუხილისა – საჯარო დოკუმენტების გასაიდუმლოების, ადგილობრივი მოსახლეობის პროცესიდან გარიყვის, რიონის ხეობის მიკროკლიმატისა და ბიომრავალფეროვნების დაუფასებლობის გამო[35], ვარლამ გოლეთიანი უკვე კითხვის ქვეშ აყენებს:

34 https://www.facebook.com/watch/?v=718933152343712

35 https://www.radiotavisupleba.ge/a/მესამე-დიდი-აქცია-ჟონეთში-ისევ-ნამახვანჰესის-წინააღმდეგ/30963307.html

1. ენერგიის მოხმარების არსებულ პოლიტიკას:
„სად მიდის უკვე არსებული ელექტროენერგია? რატომ არ ვკითხულობთ, ვინ მოიხმარს ელექტროენერგიას დღეს? რატომ მოდის დღევანდელი მოხმარების 10-15% ქვეყნისთვის უსარგებლო ბიტკოინების გამომუშავებაში? იქნებ არ გვჭირდება დამატებითი გამომუშავება, არამედ არსებული ელექტროენერგიის დაზოგვა და გონივრული მოხმარება?“

2. წარმოების არსებული რესურსების აუთვისებლობას:
„რატომ არ ხდება არსებული ელექტროსადგურების რეაბილიტაცია? რატომ არის რეაბილიტაციის არსებული პროექტები მხოლოდ ჰესების ფუნქციონირების შენარჩუნებაზე და არა გამომუშავების ეფექტიანობის ზრდაზე ორიენტირებული? რატომ არ ვითვლით, დაგვჭირდებოდა თუ არა ახალი ჰესების აშენება, ბუნებისა და ადამიანებისთვის ახალი ხარჯების დაკისრება იმ შემთხვევაში, თუ არსებული ჰესების გამომუშავების ეფექტურობა გაიზრდებოდა?“

3. ჰიდრორესურსების ათვისების დაუგეგმავ, არა კვლევასა და საჭიროებებზე, არამედ მოგებაზე ორიენტირებულ ხასიათს:
„რატომ გვჭირდება 154 ჰესი, საიდან ვასკვნით, რომ მაინცდამაინც 154 გვჭირდება და არა 200 ან 5? რატომ ეძლევა მშენებლობის საშუალება ყველას, ვინც სურვილს გამოთქვამს? რატომ არ ვაგებთ ენერგოპოლიტიკას რეალურად არსებულ და დაანგარიშებულ საჭიროებებზე?“

4. ჰესების მშენებლობის არსებულ, დაუდევარ პრაქტიკასა და დამდგარ, ავარიულ შემთხვევებზე სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის არიდებას:
„ვინ არის პასუხისმგებელი, როცა ახალი ჰესების მშენებლობა გაუთვალისწინებელ რისკებსა და ხარჯებს იწვევს? რა სარგებელი მიიღო სახელმწიფომ ბოლო წლებში აშენებული ახალი ჰესებისგან და ვის დაეკისრა პასუხისმგებლობა შუახევჰესის და დარიალჰესის ავარიებზე?“

5. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ჰესების უსარგებლობას:
„როცა ამბობენ, რომ პროექტი ადგილობრივ მოსახლეობას ბევრ სარგებელს მოუტანს, რატომ არ არსებობს არცერთი მსგავსი პრეცედენტი ბოლო ათწლეულის მანძილზე აშენებული ჰესების შემთხვევაში?“ [36]

36 http://bit.ly/2WVE5xU

მხარდაჭერა და არგუმენტები: სარგებლის პრივატიზაცია და რისკის სოციალიზაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ნამახვანჰესის“ წინააღმდეგ არგუმენტების უმეტესობა უკვე არსებობდა უწყვეტი პროტესტის დაწყებისას. 14 ნოემბრის დარბევის შემდეგ, უფრო აქტიურად იწყება არსებული არგუმენტების დამუშავება, გაფართოება და ამ არგუმენტებისთვის მეტი საჯარო ხილვადობის მიცემის მცდელობა – განსაკუთრებით კი იმ ფონზე, რომ ამ პერიოდში მთავრობა და „ენკაც“ იწყებენ საკუთარი არგუმენტების მობილიზებას ჰესის სასარგებლოდ. ასევე, როგორც ვთქვით, იწყება არსებული არგუმენტებისა და კვლევების პოლიტიკურ ჭრილში შეფასება, ანუ „ნამახვანჰესის“ პროექტის განხილვა სახელმწიფოს განვითარების პოლიტიკის კრიტიკიდან გამომდინარე და მისი, როგორც ერთი პროექტის, განზოგადება სხვა უკვე არსებულ თუ დაგეგმილ ენერგეტიკულ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. 14 ნოემბრის დარბევის შემდეგ იქმნება „ნამოხვანის სოლიდარობის ორგანიზების ჯგუფი“ – დახურული ფეისბუკჯგუფი, სადაც ერთიანდებიან როგორც სხვა ჰიდროპროექტებთან ბრძოლაში უკვე გამოცდილი აქტორები, ასევე კრიტიკული მედიის წარმომადგენლები, სხვადასხვა მემარცხენე ბრძოლაში ჩართული აქტივისტები და სხვა დაინტერესებული პირები, რომლებიც ერთმანეთს უზიარებენ ცოდნასა და ინფორმაციას და ცდილობენ მხარდამჭერი აქტივობების კოორდინაციას. ამ აქტივობებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროექტისთვის უფრო ფუნდამენტური კითხვების დასმასა და, ზოგადად, სახელმწიფოს განვითარების პოლიტიკის კურსიდან პროექტის დანახვის შესაძლებლობის გამარტივებაში საზოგადოებისთვის, რასაც ეხმარება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თბილისში პატარა სოლიდარობის აქციების გამართვა და სოფელ ჟონეთში თბილისელი აქტივისტების ხშირი ჩასვლა.

ამ პერიოდში გახმოვანებული, დამუშავებული, გაზიარებული არგუმენტების უმეტესობა რამდენიმე ორგანიზაციისა და რამდენიმე მედიაწყაროს მიერ კონკრეტულად „ნამახვანჰესზე“ და ზოგადად, ენერგოპოლიტიკაზე, ბოლო ათწლეულის განმავლობაშ შექმნილ ცოდნას ეყრდნობა. ეს ცოდნა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს როგორც ადგილობრივი მოძრაობის ნარატივს, ისე სხვა, ახლად გააქტიურებული აქტორების არგუმენტაციასაც. გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, „მწვანე ალტერნატივის“ ზემოხსენებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევების გარდა, მნიშვნელოვანია ორგანიზაციის სხვა კვლევებიც სხვა დიდი თუ პატარა ჰესების პროექტებზე. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელი, მანანა ქოჩლაძე 2021 წლის იანვრის ინტერვიუში განმარტავს, „ნამახვანჰესის“, ისე, როგორც წინა ჰესების პროექტების პრობლემა მათი განხორციელების ლოგიკაში მდგომარეობს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო მშენებლობის გადაწყვეტილებას პროექტის ავკარგიანობის დადგენამდე იღებს:

> *„თუ რამემ რეპუტაცია შეულახა ჰიდროელექტროსადგურებს, ეს იყო თვითონ ის ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ბოლო წლებში აშენდა. ნამახვანჰესის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება პირობითია, რადგან კვლევებმა, რომელიც კომპანიას არ წარმოუდგენია და მომავალში უნდა წარმოადგინოს, შეიძლება აჩვენოს, რომ ამ ადგილზე ასეთი პროექტის განხორციელება საერთოდ არ შეიძლება“*[37].

37 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/407461063837062/

„ნამახვანჰესის“ და სხვა ჰესების გარემოსდაცვითი ასპექტების განხილვას ასევე ეძღვნება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების“ ონლაინდისკუსიების ციკლის „საზოგადოებრივი გუშაგის“ არაერთი გადაცემა, სადაც გარემოსდაცვითი ექსპერტები დეტალურად განიხილავენ უკვე აშენებული ჰესების პროექტების (შუახევიჰესი, დარიალჰესი თუ სხვა) გამოწვევებს. 2014 წლიდან, ჰესების მოწინააღმდეგე მოძრაობებს სამართლებრივ საკითხებში ასევე ეხმარება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია). მათი კვლევების მიგნება, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ხელისუფლება სისტემატურად რიყავს ჰესების პროექტების შემუშავების პროცესში, სასამართლო კი მუდმივად აჭიანურებს დავების განხილვას, ასევე დამატებითი არგუმენტი ხდება „ნამახვანჰესის“ მოწინააღმდეგე ჯგუფებისთვის[38]. სოციალური სამართლიანობის ცენტრის (ყოფილი EMC) კვლევები სვანეთის ჰესების პროექტების შესახებ დამატებით ხაზს უსვამს ჰესების პროექტების ხელშეკრულებათა ხარვეზებს, ინვესტორებისთვის მინიჭებულ პრივილეგიებს, ჰიდროპროექტებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებებს[39] და სხვა. გარდა საქართველოს მაგალითებისა, მხარდამჭერი ჯგუფები იშველიებენ საერთაშორისო გამოცდილებებსაც, საუბრობენ ბალკანეთში ჰესების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკებზე, ჰესების პროექტების მძიმე შედეგებზე ინდოეთში და ა.შ.

ამ პერიოდში გენერირებული და გამოთქმული არგუმენტების უმეტესობა ყველაზე მეტად გარემოსდაცვით და ადამიანების უფლებების დაცვის საკითხებს ეხება. „ნამოხვანის სოლიდარობის ორგანიზების ჯგუფის“ – „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ პლატფორმის შეხვედრებზე, ამ პერიოდში უკვე განვიხილავდით ძირითად შიშს, რომ მიუხედავად ამ არგუმენტების სიმყარისა და მნიშვნელობისა, საზოგადოებას თავისებური იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული გარემოსდაცვით და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. სახელმწიფოსთვის საკმაოდ ადვილი იყო იმის მტკიცება, რომ განვითარების, მოდერნიზაციის, პროგრესისა და ეკონომიკური ზრდის სახელით რაღაც უნდა დავთმოთ. ამ ფართო მისიების სახელით, სახელმწიფო გამუდმებით ითხოვდა გარემოს/ბუნებისა და ადამიანების მსხვერპლშეწირვას და ჩვენი მაშინდელი შეფასებით, საკმაო წარმატებითაც ახერხებდა ამისთვის საზოგადოებრივი აზრის, უფრო სწორად, დედაქალაქში მცხოვრები საშუალო ფენების მხარდაჭერის მობილიზებას. ამ პერიოდში, სახელმწიფო ისევ იწყებს ამგვარი, ძირითადად ეკონომისტური არგუმენტების გამოყენებას და ასევე, ენერგოუსაფრთხოებაზე აპელირებას. შესაბამისად, ამავე პერიოდში, „ნამახვანჰესის“ მოწინააღმდეგე ჯგუფებიც ვიწყებთ ხარჯთსარგებლიანობის ანგარიშის არარსებობაზე ხაზგასმას და ეკონომისტური მსჯელობის საპასუხოდ, უკვე სოციალური – და რეალური ეკონომიკური არგუმენტების მობილიზებას. თავდაპირველად, ამ არგუმენტების ცენტრალური წყარო ჩვენთვის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაკვეთილი და მსოფლიო ბანკის მიერ შესრულებული კვლევა იყო, რომლის მიხედვითაც, თუ დაგეგმილი დიდი ჰესების პროექტები (ნენსკრას, ნამახვანისა და კორომხეთის ჰესები) განხორციელდებოდა, გაიზრდებოდა ელექტროენერგიის ტარიფი და სახელმწიფო ბიუჯეტს დააწვებოდა საგრძნობი (1.2 მილიარდი ლარის ოდენობის) ფისკალური ტვირთი[40],

38 https://bit.ly/3peUDxy

39 https://socialjustice.org.ge/ka/products/hesebis-mshenebloba-svanetshi-da-misi-zegavlena-adamianis-uflebebze

40 http://bit.ly/3aXk0PU

რაც კითხვის ქვეშ აყენებდა იმ ეკონომიკურ მიზნებს, რისთვისაც როგორც ლეჩხუმის, ისე მთელი საქართველოს მოსახლეობას მნიშვნელოვანი მსხვერპლი უნდა გაეღო.

სწორედ ამ პროცესის პარალელურად, იწყება კონკრეტულად ჰესების პროექტების წინააღმდეგ მობილიზებული არგუმენტაციის უკვე პოლიტიკურ ჭრილში განხილვა და ამ მაგალითებიდან გამომდინარე, განვითარების პოლიტიკის კრიტიკა. ეს პოლიტიკური შინაარსები უკვე იკვეთება სხვადასხვა პლატფორმის, მათ შორის „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ კოლექტივის მიერ ჩაწერილ და გავრცელებულ ვიდეომიმართვებშიც, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა წევრის კრიტიკასა და ანალიზს ასახავს. ამ შინაარსების გამაერთიანებელი და შემკრავი ჩარჩო – სარგებლის და ხარჯის არათანაბარი და უსამართლო გადანაწილებაა. ჰესის წინააღმდეგ აზრის დამფიქსირებელთა უმეტესობა ხაზს უსვამს, რომ რამდენიმე ადამიანის ეკონომიკურ მიზნებსა და მოგებას ეწირება გარემო, კულტურული მემკვიდრეობა და მოქალაქეების კეთილდღეობა:

> *„ნამახვანჰესის პროექტი, რომელსაც გვასაღებენ, რომ თითქოს ეს არის საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისთვის და განვითარებისთვის, პროგრესისთვის გამიზნული, სინამდვილეში ემსახურება მხოლოდ კერძო ინვესტორის პირად ინტერესს და არაფერს სხვას“*[41].

საუბარი იწყება განვითარების ალტერნატივებზეც, *„რომლებიც არ დააზარალებს საქართველოს გარემოს და რომლებიც მომგებიანი იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის. ჩვენ ვსაუბრობთ არა უბრალოდ რაღაცის (ჰესის) წინააღმდეგ, არამედ უკვე რაღაცისთვის (სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის!)“*[42].

ამავე პერიოდში იკვეთება, ასევე, რიონის ხეობის მცველების პროტესტის შეფასებაც, როგორც ბრძოლა ზოგადად სამართლიანობისთვის და კოლექტიური სიკეთისთვის. ჯერ კიდევ უწყვეტი პროტესტის დაწყებამდე გადაღებული დოკუმენტური ფილმის, „მიწა-წყლის“ თანაავტორი, ეკა წოწორია, მაკა სულაძის შეუპოვრობას სწორედ ზოგად უსამართლობასთან შეუგუებლობით ხსნის:

> *„მაკას, ისევე როგორც ახლა უკვე ჩვენ, იმდენად კარგი და ღრმა წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რამდენად დიდი ბოროტებაა ეს (ნამახვანჰესის) პროექტი, არა მხოლოდ მისთვის, როგორც ერთი ადამიანისთვის, არამედ მართლა საქვეყნო მასშტაბის ბრძოლაა იქ, უგუნურ, ბრმა, უპასუხისმგებლო წინსვლასთან კომერციული პროექტის, რომელიც არავისთვის სასარგებლო არ არის, ერთი-ორი ადამიანის გარდა, ვინც ამაზე ფულს აკეთებს. უსამართლობა, რომელსაც ასე ცხადად ხედავ, არ გაძლევს იმის საშუალებას, რომ რამე არ გააკეთო. და არ გაძლევს იმის საშუალებას, რომ უბრალოდ დანებდე“*[43].

41 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/707585833279258/

42 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/233059481518265/

43 https://business.facebook.com/creatorstudio/published?content_table=POSTED_POSTS&post_type=ALL

სახელმწიფოს, კომპანიის და ჰესების ლობისტების სტრატეგია: პროექტის საჯარო დაცვა და დისკრედიტაციის დასაწყისი

როგორც ვთქვით, 2020 წლის ბოლოს და 2021 წლის დასაწყისში, მთავრობა ცდილობს, რეპრესიების გზა დროებით აირიდოს და საზოგადოება დაარწმუნოს ჰესის სიკეთეებში. მაშინ, როცა ჰესის მოწინააღმდეგეებს ამ პერიოდში უკვე შემუშავებული აქვთ როგორც კომპლექსური არგუმენტები, ისე უსამართლობის სახელდების ზოგადი ჩარჩოები, ხელისუფლება და ჰესის სხვა მხარდამჭერები ჰესის სასარგებლოდ საკმაოდ სწორხაზოვან და, შეიძლება ითქვას, პრიმიტიულ არგუმენტებს გამოთქვამენ. მიუხედავად ამისა, მათ უდიდესი უპირატესობა აქვთ საინფორმაციო ველზე წვდომის თვალსაზრისით. ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციას გამუდმებით ფარავენ, ინტერვიუების ფორმით კი მათ და სხვადასხვა ლობისტს საჯარო სივრცეში არგუმენტირების საშუალებას მუდმივად აძლევენ მეინსტრიმული ტელევიზიები, განსაკუთრებით, ტელეკომპანია „იმედი“, გადაცემა „ქრონიკასა“ თუ „ნამდვილ რიცხვებში“. მიუხედავად ერთი შეხედვით ნეიტრალური პოზიციონირებისა, ასევე საკმაოდ ტენდენციურად, სახელმწიფო პოზიციებს აშუქებს ენერგეტიკისა და გარემოს ეროვნული ასოციაციის ფეისბუკგვერდი „ენერგოპლატფორმა“[44]. 7 დეკემბერს, ოფიციალურ ფეისბუკის და ასევე ვებგვერდს აარსებს კომპანია „ენკაც“, რომლის დაფინანსებული პოსტები მალევე ექცევა ჰესების მოწინააღმდეგეების ყურადღებისა და კრიტიკის ქვეშ.

ხელისუფლების, „ენკასა“ და „ნამახვანის“ თუ სხვა ჰესების ლობისტების დისკურსი ეკონომისტურ და, უფრო არაპირდაპირი ფორმით, გეოპოლიტიკურ საკითხებს ეხება. ამ პერიოდში წამოჭრილი საკითხები, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოს მიერ მანამდე, პრინციპში, ყველა სხვა ჰესის შესახებ არსებულ დისკურსს იმეორებს და „ნამახვანის“ შემთხვევაშიც, დღემდე ცენტრალურ და ყველაზე ხშირად განმეორებად საკითხებად რჩება. ჰესის მხარდამჭერები, განსაკუთრებით მთავრობის წარმომადგენლები და კონკრეტულად ეკონომიკის მინისტრი, ნათია თურნავა, პირველ რიგში, აპელირებენ „დიდი ინვესტიციის“ მნიშვნელობაზე:

> *„ნამახვანი“ არის 800 მილიონი დოლარის ინვესტიცია, პოსტპანდემიურ პერიოდში ნამდვილად უნდა გავუფრთხილდეთ ასეთ მეგაპროექტებს“*[45].

თურნავას ეს განცხადება, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ამ პერიოდიდან „ნამახვან-ჰესის“ პროექტის მხარდაჭერის ცენტრალური ლაიტმოტივია მეორე მნიშვნელოვან საკითხთან, „ენერგოდამოუკიდებლობასთან“ ერთად. ენერგოდამოუკიდებლობის არგუმენტს (რომელიც ხშირად, მთავრობის წარმომადგენლებს ენერგოუსაფრთხოებაში ერეოდათ) და ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისების საჭიროებას, დეკემბრის დასაწყისში გამოთქვამს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, დავით თვალაბეიშვილიც:

44 https://www.facebook.com/energyplatform, გვერდის აღწერა: პლატფორმის მიზანია ფართო აუდიტორიას გააცნოს ინფორმაცია საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის შესახებ, გაუწიოს საზოგადოებრივი ლობირება ენერგეტიკულ დარგს, ხელი შეუწყოს ენერგოსექტორის როლის წარმოჩენას ქართულ ეკონომიკაში, შეისწავლოს და გააშუქოს ენერგეტიკის საკითხები პოპულარული ენით.

45 https://www.interpressnews.ge/ka/article/634410-natia-turnava-namaxvani-aris-800-milioni-dolaris-investicia-postpandemiur-periodshi-namdvilad-unda-gavuprtxildet-aset-mega-proektebs?fbclid=IwAR2U9ro89_HYsXzAYihoN9l6B86qJdsaZBmlTNc4wwT6SiVrhmEW9sV9uOY

„ადგილობრივი რესურსების ათვისება და გამოყენება ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის წინაპირობაა. აღნიშნული ხელს შეუწყობს იმპორტირებულ რესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას და მაქსიმალურად გაზრდის განახლებადი ენერგიების წილს მთლიან ენერგეტიკულ ბალანსში, რაც, თავის მხრივ, ევროკავშირის ვალდებულებების შესრულებასაც მოახდენს“[46].

არც თავად მინისტრი თურნავა ან მისი მოადგილე და არც სხვა ლობისტები, ამ პერიოდში ჯერ ღიად არ აპელირებენ დამოუკიდებლობის გეოპოლიტიკურ ასპექტებზე, კონკრეტულად კი, რუსეთზე დამოკიდებულების საფრთხეებზე, თუმცა ჰესების მშენებლობის მნიშვნელობა ქვეყნის ცივილიზაციური არჩევანის – ევროპასთან დაახლოების თვალსაზრისით, უკვე იკვეთება. რაც შეეხება ეკონომისტურ არგუმენტებს, მთავრობას აშკარად არ მიაჩნია საჭიროდ, განმარტოს დიდი ინვესტიციის კონკრეტული შედეგები და მნიშვნელობა – მისთვის დიდი ინვესტიცია თავისთავად სიკეთესა და განვითარებას ნიშნავს, მის მოცულობაზე მუდმივმა ხაზგასმამ კი, მისი ეჭვქვეშ დაუყენლობის, უპირობო მიღების სამუშაო უნდა შეასრულოს.

მთავრობის წარმომადგენლები, ამ პერიოდში, ასევე თავს იკავებენ რიონის ხეობის მცველების პირდაპირი დემონიზებისგან. თუ რამდენიმე თვეში ისინი პროტესტის მონაწილეებს ხან მართულად, ხან ქსენოფობად და ჰომოფობად, ხან კი გულწრფელ, თუმცა გულუბრყვილო ძალებად მოიხსენიებენ, 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2021 წლის თებერვალში მსგავსი შეფასებებისგან ჯერ კიდევ თავს იკავებენ. გამონაკლისია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილის 29 იანვრის ინტერვიუ იმედის „ქრონიკასთან“, სადაც მინისტრის მოადგილე არა თავად მცველებს, არამედ „ნამახვანჰესის“ მოწინააღმდეგე ექსპერტებს უწუნებს ქცევას. მისი თქმით, ექსპერტები, ერთი მხრივ, „კატასტროფულ დიაგნოზებს“ აკეთებენ პროექტზე, მეორე მხრივ კი, წუწუნებენ, რომ კვლევები საჯაროდ არ დევს. *„თუ კვლევები არ არის გაზიარებული“,* კითხულობს თანდილაშვილი, „მაშინ რაზე დაფუძნებით აკეთებენ დასკვნებს?“[47]. ამ პერსპექტივის მანიპულაციური ხასიათისა და იმის მიუხედავად, რომ მინისტრის მოადგილე ან არ გასცნობია, ან განზრახ არ ახსენებს „ნამახვანჰესის“ კრიტიკოსთა დასაბუთებულ დასკვნებს (რომლებიც, ერთი მხრივ, „ენკას“ მიერ საჯაროდ არსებული კვლევების ნაკლოვანებებზე, მეორე მხრივ კი, დამატებითი სავალდებულო კვლევების არარსებობაზე მიუთითებდა), თანდილაშვილი, ისევე როგორც ამ ეტაპზე მთავრობის სხვა წარმომადგენლები, თავს იკავებს პროტესტის წევრების პირდაპირი სტიგმატიზებისგან.

თუმცა, რასაც პირდაპირ არ ამბობს მთავრობა, ამბობენ სამთავრობო მედია და კომპანია „ენკა“. თანდილაშვილთან ინტერვიუში, „ქრონიკის“ წამყვანი გურამ ნიკოლაიშვილი, რომელიც შემდგომ „ნამახვანჰესის“ პროექტის სიკეთეებს ფართო ანალიტიკურ გადაცემებს უძღვნის და სოციალურ ქსელშიც პროექტის ერთ-ერთ აქტიურ დამცველად გვევლინება, პირდაპირ ეჭვქვეშ აყენებს პროტესტის გონივრულობას, როცა მინისტრის

46 https://www.facebook.com/namakhvanihpp/photos/a.110001184293226/119067853386559/
47 https://www.youtube.com/watch?v=aCJRL2gWXSE&ab_channel=TVIMEDI

მოადგილეს ეკითხება, თუ რა დაინახა მან პროტესტის წევრების არგუმენტებში „რაციონალური და დისკუსიის ღირსი“[48]. თავად ნიკოლაიშვილი ამავე გადაცემაში არ ერიდება პროტესტში ჩართული ორგანიზაციების პირდაპირ კრიტიკას (ან, შეიძლება ითქვას, ცილისწამებას):

> *„ბოლო წლებში მკაფიოდ გამოიკვეთა არასამთავრობოების ქსელი, რომელთა პირდაპირი მიზანიც პირდაპირ მიმართულია მშენებლობების გაჩერების, პროექტების ჩაგდებისა და ენერგოსექტორის დარგის დემონიზებისაკენ“*[49].

26 დეკემბრის გადაცემაში გურამ ნიკოლაიშვილი ასევე პირდაპირ გზას უხსნის „ენკას“ წარმომადგენელს, კომპანიის მთავრობასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, ელენე ღუბიანურს, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ხეობის მცველების პროტესტი. მათზე საუბრისას, ნიკოლაიშვილი კითხულობს: *„ეს არის ადგილობრივი მოსახლეობა თუ ეს არის ადგილობრივი ჯგუფები?“*[50]. სწორედ აქ იწყებს ელენე ღუბიანურიც მცველებისა და ზოგადად პროტესტის მარგინალიზებას და ხაზს უსვამს, რომ საპროტესტო გამოსვლებში მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი ადამიანი ამოიცნო, დანარჩენებს კი პოლიტიკოსებსა და სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ ადამიანებს უწოდებს.

სოციალურ ქსელში საკუთარ ახლად შექმნილ გვერდზე „ენკას“ პირველივე პოსტი პირდაპირ „მიზანმიმართულ დეზინფორმაციას“ არქმევს ჰესის მოწინააღმდეგეთა პოზიციას[51] და მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას „მითებს“ უწოდებს. დამატებით სათქმელს, რასაც თავად „ენკაც“ კი არ ამბობს ღიად, „ენკასვე“ მხარდაჭერილი, „ნამახვანჰესის“ პროექტის დასაცავად ერთი შეხედვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნილი ჯგუფი, „რიონის ხეობის ახალგაზრდული მოძრაობა“ ახმოვანებს. ეს ჯგუფი მომავალში რიონის ხეობის მცველების დემონიზებისა და პირდაპირი ლანძღვის პლატფორმა გახდება, დეკემბერ-იანვარში კი იწყებს მცველების არაცივილურობასა და ძალადობრივ ხასიათზე ხაზგასმას. ერთ-ერთ პირველ პოსტში, გვერდი ხეობის მცველებს სოფლის აბრის განადგურებაში, ვანდალიზმში, ცილისწამებასა და მოსახლეობის დაშინებაში ადანაშაულებს. ასევე ხაზს უსვამს რეგიონის განუვითარებლობას თუ ჩამორჩენას და ჰესის მშენებლობას ამ მდგომარეობის შეცვლის პერსპექტივად ხატავს:

> *„სკოლებში ბავშვი აღარ არის, ახალგაზრდას ვერ ნახავ. განადგურებულია ხეობა. ადვილია ქუთაისიდან, თბილისიდან და სხვადასხვა ქალაქებიდან თბილ ოთახებში კომენტარების წერა?! ჩვენ გვინდა უკეთესი მომავალი და ზუსტად ამისთვის ვიბრძვით“*[52].

იგივე ჯგუფი 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის იანვარში ჰესის მხარდამჭერი რამდენიმე აქციასაც უწევს ორგანიზებას. ეს აქციები, მიუხედავად იმისა, რომ ბრძო-

48 https://www.youtube.com/watch?v=aCJRL2gWXSE&ab_channel=TVIMEDI

49 https://www.youtube.com/watch?v=aCJRL2gWXSE&ab_channel=TVIMEDI

50 https://www.facebook.com/watch/?v=251345366333672

51 https://www.facebook.com/namakhvanihpp/photos/a.110001184293226/110466410913370

52 https://www.facebook.com/RioniValleyYouth/photos/a.106201464745614/106190544746706/

ლის შემდგომ ეტაპზე და ხეობის მცველების მიერ ფართო მხარდაჭერის მობილიზების ფონზე აღარ გაგრძელებულა, მაინც ძალიან საგულისხმოა, რადგან კარგად ასახავს, თუ რა სახის იმედებს აჩენდნენ „ენკა“ და საქართველოს მთავრობა ხეობის მოსახლეობის ნაწილში ან როგორ მუშაობდნენ მათ მოსასყიდად თუ გადასაბირებლად. დასაქმების შესაძლებლობებისთვის აქტიური პოპულარიზაციის გაწევის გარდა, ამ აქციებზე გამოსული ადგილობრივი მცხოვრებლები ხანგრძლივ ინფრასტრუქტურულ დეგრადაციასა და საბაზისო საჯარო სერვისების – გზების, სკოლების, სავადმყოფოების – არარსებობაზე საუბრობდნენ. ფაქტობრივად, ისინი საუბრობდნენ და წუხდნენ სახელმწიფოს მიერ ცენტრალური ფუნქციების შეუსრულებლობაზე, საიდან გამოსავლადაც სწორედ კერძო კომპანიის ჩართულობა წარმოედგინათ.

მსგავს იმედებს ამ პერიოდში ნამდვილად ხელს უწყობენ „ენკაც“ და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებიც. ერთი მხრივ, „ენკა“ აანონსებს სამუშაო ვაკანსიებს და ამბობს, რომ ადგილობრივებს დასაქმების დროს პრიორიტეტი მიენიჭებათ[53], მეორე მხრივ კი, პოპულარიზაციას უწევს ზოგიერთ კონკრეტულ, ზოგ კი ბუნდოვან, ეგრეთ წოდებულ სოციალურ პროექტს. მაგალითად, „ენკა“ ამაყობს ადგილობრივი მეფუტკრეებისგან 4000 კილოგრამზე მეტი თაფლის გამოსყიდვის ერთჯერადი პროექტით, თუმცა ამ ქმედების მდგრადობა ან მიზანი ბუნდოვანია. კომპანია მოსახლეობას კიდევ მრავალ პროექტს ჰპირდება:

> *„“ENKA“-სა და “რიონის ხეობის განვითარების ასოციაციის“ მიერ სხვა მრავალი ერთობლივი პროექტია დაგეგმილი, რომელიც მიზნად ისახავს რიონის ხეობის განვითარებასა და მოსახლეობის ხელშეწყობას“.*[54]

არც მაშინ და არც შემდგომში, ამ, როგორც თვითონ უწოდებდა, „კეთილი ნების“ პროექტების[55] ხასიათი „ენკას“ არ დაუკონკრეტებია. მეორე მხრივ, მთავრობაც, კერძოდ, ნათია თურნავა, ასევე აპელირებდა „ენკას“ მიერ სოციალური პასუხისმგებლობის აღებაზე:

> *„თვითონ ინვესტორმაც ძალიან ბევრი გააკეთა ამ მიმართულებით, ბევრი კვლევა ჩაატარა, სოციალურ პროექტებსაც ახორციელებს და მჭიდრო კომუნიკაციაში მუშაობს ხეობის მოსახლეობასთან, მეფუტკრეობის, მეღვინეობის თუ ინფრასტრუქტურის მიმართულებით“*[56].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთავრობისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა იმის აღიარება, რომ მისივე ათწლეულების განმავლობაში შეუსრულებელი პასუხისმგებლობების კერძო კომპანიის მიერ აღება მათთვის განვითარების მისაღები კურსია.

53 https://www.facebook.com/namakhvanihpp/photos/pcb.126404319319579/126393295987348

54 https://www.facebook.com/namakhvanihpp/photos/a.110001184293226/125130306113647/

55 https://namakhvani.enka.com/about-us/about-namakhvani-hpp/

56 https://www.interpressnews.ge/ka/article/634410-natia-turnava-namaxvani-aris-800-milioni-dolaris-investicia-postpandemiur-periodshi-namdvilad-unda-gavuprtxildet-aset-mega-proektebs

ამავე პერიოდში იკვეთებიან „ნამახვანჰესის“ მხარდამჭერი ექსპერტებიც[57][58], რომლებიც ძირითადად ირეკლავენ, ამყარებენ ხელისუფლების ეკონომისტურ დისკურსებს და მომავალში „ნამახვანჰესის“ დაცვის სახეებად იქცევიან. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 14 ნოემბრის დარბევიდან – მეორე, უკვე 30 იანვრის დარბევამდე, მაშინ, როცა სახელმწიფო აქტიურად იწყებს პროექტის გარშემო საჯარო მხარდაჭერის მობილიზებას, მას სამი სტრატეგია აქვს: (საბაზრო) ეკონომისტური და გეოპოლიტიკური არგუმენტები, მოწინააღმდეგეების ირიბი სტიგმატიზაცია და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდამჭერ ნაწილში ჰესის აშენების შემთხვევაში სოციო-ეკონომიური კეთილდღეობის ზრდის არარეალისტური იმედების გაღვივება.

57 https://www.interpressnews.ge/ka/article/638188-andria-gvidiani-engurhesis-gacherebam-kidev-ertxel-dagvanaxa-rom-axali-hesebis-mshenebloba-sasicocxlod-mnishvnelovania/https://www.interpressnews.ge/ka/article/638188-andria-gvidiani-engurhesis-gacherebam-kidev-ertxel-dagvanaxa-rom-axali-hesebis-mshenebloba-sasicocxlod-mnishvnelovania/

58 https://business-partner.ge/energetika/ratom-unda-ashendes-namakhvanhesi-davit-mirtskhulavas-argumentebi

5. გრძელვადიანი ომი: პროტესტის აღმასვლა და გაფართოება რეპრესიისა და მოლაპარაკების ცრუ მცდელობების წინააღმდეგ (30 იანვარი – 24 აპრილი)

30 იანვრის დილას, სოფელ ჟონეთში დაბანაკებული რიონის ხეობის მცველები პოლიციისა და სამშენებლო ტექნიკის მობილიზაციის ფონზე იღვიძებენ. პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პროტესტის კარვები კომპანია „ენკას“ საკუთრებაში მყოფ მიწაზეა განთავსებული და უნდა დაიშალოს. პოლიციელები, მათ შემდეგ კი მთავრობის წევრები, დარბევას კანონიერ უფლებად ასაღებენ და ამბობენ, რომ ხელისუფლებას პასუხისმგებლობა აქვს აღებული, კომპანიის მშენებლობის შესაძლებლობა უზრუნველყოს. ამ დღის შემდეგ, – რომელსაც ხელისუფლების მხრიდან მოლაპარაკების პირველი ცრუ მცდელობა უძღოდა წინ – იწყება პროტესტის ყველაზე აქტიური და მოვლენებით კიდევ უფრო დატვირთული პერიოდი. ამ პერიოდის ყველაზე ცხადი მახასიათებელი მთავრობის მხრიდან, კერძოდ, თურნავას მოგვიანებით, 2021 წლის 9 მარტს გაკეთებული განცხადებაა „ნამახვანჰესის“ საკითხის საპარლამენტო მოსმენაზე ალექსანდრა არეშვილის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხად: *მზად არის თუ არა მთავრობა, ენერგეტიკის სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე, რომელმაც უნდა დაასაბუთოს პროექტის საჭიროება, გამოაცხადოს მორატორიუმი აღნიშნულ პროექტზე? – „მორატორიუმი შეუძლებელია, გაჩერება შეუძლებელია, განვითარების შეფერხება შეუძლებელია“*[59], თუმცა, მინისტრის ეს პოზიცია ცხადი იყო საკომიტეტო მოსმენამდეც. არა ამდენად პირდაპირ, თუმცა ასეთივე შინაარსის განცხადებებს ხეობის მცველების მხრიდან გრძელვადიანი ომის დაანონსება მოჰყვა. როგორც ვარლამ გოლეთიანი 28 თებერვალს, ქუთაისში გამართულ ერთ-ერთ მრავალრიცხოვან აქციაზე აცხადებს: „ჩვენ უნდა მივეჩვიოთ გრძელვადიან ომს“[60]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის პოლიტეკონომიკურ ელიტებსა და აქამდე სუბალტერნულ მოძრაობას შორის პოზიციების ყველაზე მწვავე შეჯახების პერიოდი.

2021 წლის დადგომისთანავე, სახელმწიფო ააქტიურებს მრავალფეროვან სტრატეგიას: იწყებს რეპრესიებს, პროტესტის ინფრასტრუქტურის განადგურებას და ხეობის მცველების პროტესტის სივრცეებიდან – ჯერ ჟონეთიდან, შემდგომ კი – აპრილის დასაწყისში უკვე სოფელ ნამოხვანიდან განდევნას. რეპრესიების ყოველ მომდევნო ტალღას წინ უძღვის მთავრობისა და ზოგჯერ კომპანია „ენკას“ სხვადასხვა წარმომადგენლის მხრიდან მოლაპარაკებების მცდელობები. ყველა მოლაპარაკების მცდელობის ცენტრალური მიზანია პროტესტის შეწყვეტა და დისკუსიის დახურულ კარს მიღმა გადატანა კომპანია „ენკასთვის“ მშენებლობის გაგრძელების საშუალების მისაცემად, მაშინ როცა მცველები მუდმივად საუბრობენ პროექტზე საჯარო, შინაარსობრივი განხილვის მოწყობის აუცილებლობაზე. პერიოდულად აკავებენ პროტესტის წევრებს სხვადასხვა, სუსტად დასაბუთებული მიზეზით. ამ პერიოდში მთავრობა, კომპანია „ენკა“ და ჰესის სხვადასხვა ლობისტი იწყებენ პროექტის უფრო აქტიურ დაცვას, ამჯერად რიონის ხეობის მცველებისა და მათი მხარდამჭერების – ანუ რიონის ხეობის გადარჩენისთვის ფართო მოძრა-

59 http://bit.ly/30nAhHo

60 https://www.facebook.com/watch/?v=722234771825887

ობის პირდაპირი დისკრედიტაციის გზით. სწორედ ამ დროს იწყება დისკრედიტაციის სხვადასხვა მეთოდის გააქტიურება – მოძრაობის წევრების „მოღალატეებად“, „რუსეთის აგენტებად“, „დაბალი ცნობიერების მქონეებად“, „ჰომოფობებად“ და „ქსენოფობებად“ შერაცხვა. მომავალში, თბილისის აქციების დაანონსების შემდეგ, ყველა ეს დისკურსი კიდევ უფრო აქტიურად და მეინსტრიმული მედიის კიდევ უფრო მეტი ჩართულობით მობილიზდება. მთავრობის ამ სამმაგი სტრატეგიის – მოლაპარაკების ცრუ მცდელობის, რეპრესიებისა და დისკრედიტაციის – პარალელურად, იანვრიდან აპრილის ჩათვლით მუდმივ აღმასვლას განიცდის თავად პროტესტი. ამ დროს ყალიბდება, ფართოვდება, ზუსტდება და უფრო და უფრო მეტად ექცევა საჯარო საინფორმაციო ველში ბრძოლის ფილოსოფია, პროტესტის მხარდაჭერა თუ წინააღმდეგობის საფუძვლების არგუმენტაცია.

უნდა ითქვას, რომ 2021 წლის თებერვლის დასაწყისიდან ყოველი დღე უამრავი სახის ინფორმაციითა და ემოციით არის დატვირთული. მე – ისევე, როგორც პროტესტის ბევრი თანამოაზრე, განსაკუთრებით კი, თავად ხეობის მცველები – ალბათ თითო წიგნს დავწერდი ამ პერიოდის თითოეულ დღეზე. ჩემი შეფასებით, ეს თვეები, განსაკუთრებით კი, თებერვლიდან – აპრილის ჩათვლით, მთლიანობაში პროტესტის ერთი კონკრეტული – განმეორებითი რეპრესიებისა და პროტესტის აღმასვლის თუ გაფართოების – ეტაპია. სწორედ აპრილის ბოლოს იკვეთება, რომ ამ ეტაპმა – მოლაპარაკებების მცდელობებმა მოწინააღმდეგეებსა და მთავრობას შორის – თავი ამოწურა, ამ მოლაპარაკებების მთავრობის მხრიდან სწორედ რომ მოჩვენებითი ხასიათიდან გამომდინარე. რეპრესიები ამის შემდეგ არ ჩერდება, უბრალოდ შედარებით სტაბილურდება. რიონის ხეობის მცველებს, ისევე როგორც ხელისუფლებას, აპრილის შემდეგ, მიდგომები სხვა ეტაპზე გადაჰყავთ. მცველები აანონსებენ თბილისის აქციებს, მანამდე კი იწყებენ სხვადასხვა ქალაქში აციების ჩატარებას და დამატებით სოლიდარული ადამიანების ძიებას, კავშირების გაბმას. ამ დროს, მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ არ აჩერებს რეპრესიებისა და დისკრედიტაციის მანქანას, იწყებს შეცდომების აღიარებას და მოლაპარაკებებში მესამე, ნეიტრალური მხარის ჩართვის ძიებას. ვინაიდან ამ პერიოდში პროტესტის რეპერტუარი, ისევე როგორც მისი ფილოსოფია ან, როგორც თავად მცველები ამბობენ – სულისკვეთება, მთავრობისა და „ენკას“ ინიცირებული მკვეთრი ნაბიჯების საპასუხოდ ფართოვდება, ზუსტდება და იკვეთება, შემდეგ ქვეთავს სწორედ ჰესის მხარდამჭერთა სტრატეგიების აღწერით დავიწყებ.

სახელმწიფოს, კომპანიისა და ჰესების ღობისტების სტრატეგია: მოლაპარაკება, რეპრესია, დისკრედიტაცია

პირველი წრე: დისკრედიტაცია კრიტიკოსთა ცოდნის დელეგიტიმაციით და მოლაპარაკება, როგორც ქუჩური გარჩევა

30 იანვრის დარბევას წინ უძღოდა სახელმწიფოს მხრიდან მოლაპარაკების შეთავაზების პირველი მცდელობა. იანვრის ბოლოს იკვეთება, რომ მთავრობაც და კომპანიაც შეწუხებული არიან მშენებლობის შეფერხებით. ამ დროს, შესაძლოა, მათ ასევე ჰგონიათ, რომ პროტესტის დისკრედიტაციის უკვე გამოყენებულმა სტრატეგიებმა საზოგადოებას მზაობა გაუზარდა მცველების მორიგი ძალადობრივი დაჩაგვრისთვის. 26 იანვრის საღამოს, ხეობის მცველებს სამინისტროს წარმომადგენლები ხვდებიან და მათ დისკუსიების ფორმატში ჩართვას პროტესტის შეწყვეტის – ანუ მშენებლობის პროცესის აღდგენის – საფასურად სთავაზობენ. ამასთან, სამინისტროს წარმომადგენლები უარს ამბობენ შეხვედრის პირდაპირ, ცოცხლად გაშვებაზე, რის გამოც, შეხვედრის ჩანაწერებსა და შინაარსს დაინტერესებული მოსახლეობა დეტალურად შემდეგ დღეებში ეცნობა[61] „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ გვერდზე. 27 იანვარს თავად ჟონეთში, კარვების ადგილას ცხადდება იმერეთის გუბერნატორი ზვიად შალამბერიძე, ისევ პროტესტის შეწყვეტის მოთხოვნით. მთავრობა ამჯერადაც უარს იღებს მცველებისგან დახურული მოლაპარაკებების პროცესში ჩართვასა და მშენებლობის აღდგენის მოთხოვნაზე. ზვიად შალამბერიძის ჟონეთში ვიზიტის ამსახველი ვიდეომასალა ბრძოლის ისტორიას შემორჩება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ძველბიჭური, ქუჩური გარჩევისა და პროტესტის წევრების დამცირების მცდელობის კლასიკური კადრები[62].

თავისი ნებით პროტესტის დაშლაზე მცველებისგან უარის მიღების შემდეგ, მთავრობა საპოლიციო ძალების მობილიზებით შლის პროტესტს და საპროტესტო კარვებს 30 იანვარს[63], იმავე ღამეს კი, მცველების მიერ პროტესტის სიმბოლოდ აღმართულ ჯვარსაც ჩამოხსნის. ამ ძალადობრივი აქტის კანონიერების დასადასტურებლად, პოლიცია წარმოადგენს პროტესტის ტერიტორიის 2019 წელს „ენკას“ საკუთრებაში გადაცემის დოკუმენტს, რასაც მომდევნო დღეებში მოჰყვება რიონის ხეობაში კომპანიისთვის 600 ჰექტრამდე მიწის, სამუდამოდ ან ნაწილის – 99 წლით გადაცემის ფაქტის გამომჟღავნება, რაც, შესაბამისად, როგორც პროტესტის საფუძვლების, ისე მისდამი მხარდაჭერის გაფართოებას იწვევს. მიწის გასხვისებაით გამოწვეულმა და საჯაროდ გამოხატულმა

61 https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=442556810218483

62 https://www.facebook.com/watch/?v=238458334431990

63 ამ დარბევის დროს პოლიცია ჯერ მოითხოვს, თვითონ ხეობის მცველებმა დაშალონ კარვები, და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ თვითონვე იწყებენ კარვების დაშლას. ნახეთ ამონარიდი ვიდეოჩანაწერიდან:
პოლიციელი: „რა გავაკეთო, კანონიერი მფლობელია ამ მიწის, რა ვქნა ეხლა?“
ხეობის მცველი: „ორი დღით ადრე რო მოსულიყო შეტყობინება, რა მოხდებოდა? თქვენ ამ დილით რომ მოხვედით, ხომ არ გქონდათ ეს საბუთები?“
პოლიციელი: „რა მნიშვნელობა აქვს?“
ხეობის მცველი: „აქვს მნიშვნელობა! საბუთები წარმოადგინეთ ეს წუთია. ვერ დავშლით (კარავს) ჩვენ დღეს. თუ გინდათ, დაწვით! ვერ დავშლით, ჯერ ერთი, კომენდანტის საათი იწყება, შეშაა მოსაგვარებელი, დაგლეჯაზე გვაქვს ნერვები. ასი დღეა ვდგავართ და ერთი დღით ადრე არ მოგიციათ შეტყობინება, რომ სხვისი ტერიტორია იყო. მე ვერ დავშლი!“ https://www.facebook.com/watch/?v=705756290127352

აღშფოთებამ ხელისუფლება და „ენკა“ თავდაცვის პოზიციაში ჩააყენა, ამის საპირწონედ კი, თებერვლის დასაწყისში, ჰესის მხარდამჭერები პირდაპირი, არაეთიკური და ცილისმწამებლური დისკრედიტაციის მექანიზმების ამუშავებას იწყებენ. გადამწყვეტია თავად პროექტის ყველაზე აქტიური დამცველის, მინისტრ ნათია თურნავას განცხადება, სადაც ის პირველად აჟღერებს შემდგომში მრავალჯერ გამეორებულ მუქარას, რომ პროექტისთვის ხელის შეშლა „სოლიდურ მატერიალურ ზიანთან“ არის დაკავშირებული (უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს ხელშეკრულება ჯერ კიდევ გასაიდუმლოებულია და ჩვენ არ ვიცით, თუ კონკრეტულად რა მოცულობის ზიანზეა ლაპარაკი, ისევე, როგორც არ ვიცით ის, რომ ამ ზიანის საფუძველი მთავრობის მიერვე დადებული, უკიდურესად კაბალური ხელშეკრულებაა). რაც მთავარია, თურნავა პროტესტის წევრებს „ელექტროენერგიის იმპორტის ლობისტებს“ უწოდებს, ხოლო მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას – „ცრუს“, „არასწორსა“ და „ტყუილს“:

> *„ერთ-ერთი ასეთი ტყუილი არის, რომ თითქოს მთელი ხეობა გადაცემული აქვთ ინვესტორებს და თითქოს ზურგზე მოიკიდებენ ისინი ამ მინა-წყალს და წაიღებენ სადღაც. ჯერ ერთი, ვფიქრობ, რომ 21-ე საუკუნის საქართველოში ალბათ საჭირო არ არის იმის ახსნა, თუ რა სიკეთე მოაქვს უცხოელ ინვესტორს და უცხოურ ინვესტიციას. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც ცნობილია თავისი საუკეთესო საინვესტიციო გარემოთი სწორედ იმის გამო, რომ ყველაფერს ვაკეთებთ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ტოლერანტულები ვართ სხვადასხვა ქვეყნის უცხოელი ინვესტორის მიმართ“*[64].

ამ განცხადებაში იკვეთება, ერთი მხრივ, მთავრობის ერთ-ერთი ცენტრალური ბრალდება, რომელსაც თავად თურნავაც და სხვა აქტორებიც მომავალში არაერთხელ გამოიყენებენ მცველების წინააღმდეგ – პროტესტის წევრების ქსენოფობიურობა და უცხოელების შიში. ასევე, იკვეთება მთავრობის ორთოდოქსული, შეიძლება ითქვას, რწმენად გადაქცეული მიდგომა განვითარებაზე. როგორც უკვე ვახსენეთ, მთავრობის აზრით, კერძო უცხოური ინვესტიციის სარგებელი იმდენად კითხვადაუსმელი ჭეშმარიტება უნდა იყოს, რომ ამ სარგებელს მოსახლეობისთვის განმარტება და დასაბუთებაც კი არ სჭირდება. ეს პოზიცია კარგად აჩვენებს, თუ რამდენად მყარი ჰგონია ხელისუფლებას **ლიბერალური** იდეების და აქტორების **ჰეგემონია** – ანუ ლიბერალური განვითარების პოლიტიკის, რესურსების პრივატიზაციისა და კერძო ინვესტორების ინტერესების დაცვის დომინანტურობა საჯარო, პოლიტიკურ დისკურსში.

მიუხედავად იმისა, რომ წინა პერიოდთან შედარებით, ამ პერიოდში უკვე თავად მთავრობაც ღიად ლანძღავს პროტესტის მონაწილეებს, მთავრობის წევრებზე კიდევ უფრო მწვავე ცილისწამებებს აჟღერებენ „ენკა“ და გვერდითი აქტორები, მაგალითად, ზოგიერთი პირდაპირ რუსეთის აგენტობას აბრალებს ჰესის მოწინააღმდეგეებს: *„ისე, ყველგან რუსეთის კვალს რომ ვეძებთ. ჰესების წინააღმდეგ აგორებული კამპანიის უკან რატომ არ ვეძებთ?“*[65]

64 http://bit.ly/2Ki5hnL

65 https://ipress.ge/new/thornike-sharashenidze-qhvelgan-rom-rusethis-kvals-vedzebth-hesebis-tsinaaghmdeg-agorebul-kampaniashi-ratom-ar-vedzebth/?fbclid=IwAR3JzOu39uVyT-NcViiz8gkx92ZXGCTbZjvdBx1CtlaVuAnx0MDrsfmlUaA

ასევე, ზოგიერთი მედია პირდაპირ ხაზს უსვამს პროტესტის წევრების თურქოფობიურობას[66]. ამავე პერიოდში იკვეთება (და მომავალში არაერთხელ დადასტურდება), რომ არა მხოლოდ მთავრობა, არამედ მთავრობისავე ეკონომიკური პოლიტიკის მომხრე ოპოზიციაც პროტესტის წინააღმდეგ არის განწყობილი. მაგალითად, პარტია „გირჩის“ დამფუძნებელი ზურაბ ჯაფარიძე ჰესების წინააღმდეგ განწყობას „სისულელეს“ უწოდებს[67].

ჰესის ლობისტი ეკონომისტები თუ ენერგეტიკოსები ასევე ღიად უწოდებენ პროტესტს „სპექტაკლს“[68] და „პროპაგანდას“[69]. ეკონომისტი ანდრია გვიდიანი „ნამახვანჰესის“ მოწინააღმდეგეებს „კონკრეტული ძალების მიერ მართულ“, სახელმწიფო ინტერესების დამაზიანებელ, არაცივილურ და მოძალადე ძალად ხატავს:

> *„სინამდვილეში, მიმდინარე აქციას არანაირი კავშირი არ აქვს არც გარემოს დაცვასთან, არც პატრიოტულ მოტივებთან, არც ენერგოპოლიტიკასთან ან სხვა რამესთან. როდის იყო, გარემოზე შეწუხებული ხალხი თოფებით და დუბინკებით დარბოდეს გარემოს დასაცავად?!“*[70].

თავად კომპანია „ენკა“ კი ვანდალიზმსა და მისი საწყობისთვის ცეცხლის გაჩენაში სდებს ბრალს ჰესის მოწინააღმდეგეებს[71]. ეს ბრალდებები გამოძიებას არ დაუდასტურებია. თუმცა, ამ პერიოდში, ანუ თებერვლის დასაწყისში, უკვე პირველად იკვრება პროტესტის ესკალაციის პერიოდში ძალაუფლების მფლობელების სტრატეგიის პირველი წრე – ცრუ მოლაპარაკება, რეპრესია, დისკრედიტაცია.

მეორე წრე: დისკრედიტაცია პროტესტის ქსენოფობიურობაზე ხაზგასმისთ და შეხვედრიდან გაპარული მინისტრი

პირველი, ისევე როგორც მომდევნო წრეების მისია ხეობაში კომპანია „ენკას“ კვლავ ამუშავებაა. შესაბამისად, მომდევნო კვირებში ხეობაში განსაკუთრებით იძაბება მდგომარეობა, მიმდინარეობს მუდმივი დაპირისპირება მცველებსა და კომპანიაში დასაქმებულებს შორის. პოლიცია აფერხებს აქტივისტების გადაადგილებას, „ენკა“ კი სამშენებლო პროცესის განახლებას ცდილობს და სხვა ზომებთან ერთად, იმ მთის ფერდობსაც აფეთქებს, სადაც ხეობის მცველებს ჯვარი ჰქონდათ აღმართული. ამ ვითარებას თან ერთვის ჰესის პროექტის თურქი მენეჯერის, ზეკი ქოჯაუღლოს გამოცხადება პროტესტის ადგილას, სადაც ის პროტესტის წევრებს უყვირის, დასცინის და შეურაცხყოფას

66 https://civil.ge/ka/archives/394699

67 http://bit.ly/3slvXyC

68 https://reportiori.ge/inside.php?menuid=101&id=146837&fbclid=IwAR36ICfIPm-ssczWedRo3kHz9gneJG48FOGAj7oFBw7rbyr8JmIfsz2P4nA

69 https://bm.ge/ka/article/ra-unda-daupirispiros-mtavrobam-hesebis-sawinaagmdego-ganwyobebs---archil-mamatelashvilis-rcheva-/74106

70 https://imedinews.ge/ge/ekonomika/185420/andria-gvidiani-es-aris-kargad-dagegmili-mizanmimartuli-da-tanmimdevruli-protesti-saqartvelos-interesebis-tsinaagmdeg?fbclid=IwAR3wYhmBh9OgM-X6N37gEiQKnFDjmgulgy9hSwYjoAxoS9MzRh2bvpdHcX8

71 https://www.facebook.com/namakhvanihpp/photos/a.110001184293226/139316348028376/

აყენებს[72]. ეს კადრები ხვდება მოძრაობის ცოცხალ ჩართვაში და ფართო საზოგადოებისთვის ხდება ცნობილი. მასში ვარლამი შეკრებილ ადამიანებს სთხოვს, არ აჰყვნენ ზეკის პროვოკაციას. როცა რეპრესიის, დამცირებისა და დისკრედიტაციის ეს კომბინაცია პროტესტს ვერ აჩერებს, ასევე, მას შემდეგ, რაც რიონის ხეობის მცველები მრავალათასიან აქციას მართავენ ქუთაისში, იწყება მეორე, უფრო გრძელი წრე.

„ქართული ოცნების" წარმომადგენლები დროებით ასუსტებენ დისკრედიტაციის დისკურსს და შექმნილ კონფლიქტს „კომუნიკაციის პრობლემად" ნათლავენ. ამ კომუნიკაციის პრობლემის მოსაგვარებლად – და როგორც დეპუტატი ბექა დავითულიანი ამბობდა – ადგილობრივი მოსახლეობისთვის პროექტის „პლუსების"[73] საჩვენებლად, 5 მარტს, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის დავალებით, რიონის ხეობაში ამჯერად უკვე თავად ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ჩადიან[74]. ისინი ჯერ საჯარო შეხვედრას მართავენ ცაგერში, მოგვიანებით კი, ჟონეთში ჩადიან რიონის ხეობის მცველებთან სასაუბროდ და მათთან ქუთაისში შეხვედრას თანხმდებიან. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ, 9 მარტს, რიონის ხეობის მცველები, ისევე როგორც მოძრაობის სხვა მხარდამჭერები და ექსპერტები, ესწრებიან დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკისადა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების ერთობლივ სხდომას პარლამენტში, სადაც მინისტრი თურნავა კვლავ პროტესტის ღია დისკრედიტაციის სტრატეგიას მიმართავს და აცხადებს, რომ ჰესის მოწინააღმდეგეების გამოწვევა არის: „ჰომოფობიური და ქსენოფობიური უცხოური ინვესტორის მიმართ და წინააღმდეგ მიმართული რიტორიკა"[75]. იმის მიუხედავად, რომ ქსენოფობია დაუსაბუთებელი ბრალდება იყო, ნაწილობრივ მაინც გასაგები იყო, თუ კონკრეტულად რა კონტექსტში იგონებდა ხელისუფლება მას, მაგრამ კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილი ჰომოფობიის ბრალდების ხსენებამ დარბაზში მსხდომნი მაშინ სრულიად დააბნია. „მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი ამბობდა, რომ სავარაუდოდ „ტერმინების აღრევასთან" გვქონდა საქმე. რეტროსპექტულად თუ შევხედავთ, ისე მოჩანს, თითქოს თურნავამ წინმსწრებად დააანონსა დისკრეტიდაციის ის მიმართულება, რაც მომავალში უფრო გააქტიურდებოდა. 12 მარტს, ქუთაისში დათქმულ, დაპირებულ შეხვედრაზე მინისტრმა თურნავამ ხეობის მცველებს და სხვა ჩართულ ორგანიზაციებსა თუ აქტივისტებს „ენკასთან" შეთანხმებული გეგმის პუნქტები წარუდგინა. რამდენიმეწუთიანი გამხსნელი მონოლოგის შემდეგ, კითხვების მოსმენისა და დისკუსიაში ჩართვის გარეშე, თურნავამ განაცხადა, რომ ჟურნალისტებთან კომენტარის გასაკეთებლად „ცოტა ხნით" დატოვებდა შეხვედრას, თუმცა აღარ დაბრუნებულა[76]. აქ საგულისხმოა არა მხოლოდ მინისტრის გაპარვა, არამედ ისიც, თუ რას სთავაზობდა მთავრობა პროტესტის წევრებს პროტესტის შეწყვეტის სანაცვლოდ. გარდა აქამდე შეთავასებული დისკუსიებისა და ქართველი ექსპერტე-

72 https://www.facebook.com/watch/?v=617077585809162

73 http://bit.ly/3uRHqOf

74 https://www.kutaisipost.ge/ka/akhali-ambebi/article/19964--vithom-eqspertebi-cdiloben-adgilobrivebis-grdznobebi-gamoiyenon-ra-gantsyobith-chadian-ministrebi-rionis-kheobashi

75 https://publika.ge/ar-vici-terminebis-arevastan-gvaqvs-saqme-tu-ra-homofobiuri-ganckhadebebi-ar-gaketebula-chipashvili/?fbclid=IwAR2CfNhcVgmOyknPCL8Ls460XHZZR6hZJcT8kpzmrq8jOghVsTERicmd_OA

76 https://www.facebook.com/watch/?v=952747468797879

ბის პროექტის განხილვაში ჩართვისა, ეს გეგმა ასევე ითვალისწინებდა ქსენოფობიაზე ხაზგასასმელად პროექტის თურქი მენეჯერის ქართველით ჩანაცვლებას და სოციალურ შემწეობას, ანუ „განვითარების ფონდს“, რომლის ღირებულება – 5 მილიონი ლარი – ამჯერად პირდაპირ დასახელდა[77].

მესამე წრე: დისკრედიტაცია, როგორც ქვეყნის მოღალატეობის დაბრალება და „ენკას“ მხრიდან მოლაპარაკების მცდელობა

ამ მოვლენების შემდეგ, პროტესტი კიდევ უფრო გამწვავდა. პროტესტის ახალ კერას სოფელ ნამოხვანში, ლალი ეფრემიძის მიწაზე ყოველდღიურად უფრო მეტი ადამიანი ემატებოდა და მშენებლობაც კვლავ ფერხდებოდა. ამჯერად, მოლაპარაკებების მცდელობას ისეთი ცხადი რეპრესია აღარ მოჰყოლია, თუმცა, მარტის ბოლოს მთავრობა და „ენკა“ პროტესტის გატეხვის მცდელობის მესამე წრეს იწყებენ და დისკრეტიდაციის კიდევ უფრო მძიმე ხერხებს მიმართავენ. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაიწყო პროექტის შესახებ საჯარო საუბარი და მისდამი მხარდაჭერის გამოხატვა. მისი აზრით, „ნამახვანჰესის“ პროექტი დიდი ხნის და კარგად ნაკვლევი პროექტი იყო, ჯერ კიდევ საბჭოთა დროის საუკეთესო ქართველი მეცნიერების მიერ შედგენილი. ამიტომაც, მისთვის ჰესზე „ატეხილი აჟიოტაჟი“ „აბსოლუტურად გაუგებარი“ აღმოჩნდა. ცილისმწამებლური ბრალდებების შემსუბუქებისა და გაბუნდოვანებისთვის, ღარიბაშვილმა გამოიყენა სტრატეგია, რომელსაც მანამდე თურნავაც იყენებდა. მან განაცხადა, რომ ამ პროტესტში გულწრფელად ჩართული ადამიანებიც არსებობენ, თუმცა, დანარჩენები: *„პოლიტიკურად ანგაჟირებული, უცხო სახელმწიფოების მიერ წახალისებული, ინსპირირებული მოქალაქეები“ არიან, „რაც არის საგანგაშო. დღეს ჩვენ ვხედავთ გამოკვეთილ ნიშნებს, პირდაპირ ვიტყოდი, ჰიბრიდული ენერგეტიკული ომისა – ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასთან“*[78].

ამ განცხადებით, პრემიერმა კიდევ უფრო ცხადი აპელირება დაიწყო გეოპოლიტიკურ საფრთხეებსა და ეგრეთ წოდებულ ჰიბრიდულ ომზე, ისევე, როგორც მის შემდეგ, არაერთმა ლობისტმა.

ეს მესამე წრე „ენკას“ პიარსვლების, საჯარო სივრცეში აქტიურობისა და მოლაპარაკებებში ჩართვის მცდელობების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდიცაა. მარტის ბოლოს, „ენკა“ ჯერ კონფერენციას მართავს, სადაც ჰესის ლობისტებთან ერთად იწვევს თურქეთისა და ნორვეგიის ელჩებს, რითაც პროექტის საერთაშორისო პოლიტიკურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს; აპრილის დასაწყისში კი ახალ, ქართველ პროექტის მენეჯერს გზავნის რიონის ხეობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან მოსალაპარაკებლად. თურქეთის ელჩი პროტესტის წევრებს ანტითურქულ გამოსვლებში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მათ არგუმენტები არ გააჩნიათ, მათ მიერ პროტესტის გახანგრძლივებას კი მეტი

77 https://www.facebook.com/watch/?v=892738371503041
78 https://formulanews.ge/News/47805

კომპენსაციის გამოძალვის მცდელობასთან აკავშირებს[79]. ნორვეგიის ელჩი ნაკლებად მკვეთრი ტექსტით[80], მაგრამ ეთანხმება თურქეთის ელჩის გამოსვლას და „ნამახვანჰესის“ პროექტის მხარდასაჭერად გვახსენებს, რომ ნორვეგიაში ენერგიის უდიდეს წილს ჰიდროელექტროსადგურები გამოიმუშავებენ[81]. ორივე ეს გამოსვლა, პირდაპირ თუ ირიბად, ხაზს უსვამს, რომ პროექტის შემსრულებელი უცხოური კერძო კომპანიების მიღმა, მათი სახელმწიფოების მხარდაჭერაც დგას. ამ პოზიციას თურქეთის ელჩი ფათმა ჯერენ იაზგანი იმავე დღეებში „ფორმულის“ ეთერშიც გააჟღერებს:

> *„ჩემი სამუშაო, როგორც ელჩის, არის თურქი ინვესტორების დაცვა და თქვენი დარწმუნება, რომ მათ არ აქვთ დამაზინებელი გეგმები. როცა ვსაუბრობთ რელიგიურ ნარატივზე, მაგალითად, ეს რომ ყოფილიყო ისრაელის, იტალიის კომპანია, ვინმე ჯვარს აღმართავდა? არ ვიცი, ამიტომაც მინდა ვკითხო ადამიანებს, რატომ შემოგაქვთ რელიგიური სიმბოლო?“*[82]

მოლაპარაკების შემდგომ მცდელობას, 3 აპრილს, „ენკას“ პროექტის ახალი მენეჯერი, მერაბ ლომინაძე იწყებს. უნდა აღინიშნოს, რომ „ენკაში“ მოსვლამდე, ლომინაძე ჭიათურაში მანგანუმის მომპოვებელი საწარმოს „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაციაში მუშაობს და ადგილობრივი მუშათა გაფიცვების „მოგვარებაში“ მონაწილეობს, რასაც ირონიულად ახსენებენ კიდეც ხეობის მცველები მათი პირველი შეხვედრისას[83]. ლომინაძის მისიაც მშენებლობის აღდგენაა. ის დილის საათებში, სპეცრაზმთან ერთად ჩადის ხეობაში და მცველებს ჟურნალისტების თანდასწრებით აფრთხილებს: *„მე ახლა მივდივარ, რომ დავათვალიერო ყველა ობიექტი და აქვე ვიძახი პირდაპირ, რომ მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყება“*[84]. შესაბამისად, ამ ჯერზე, მოლაპარაკების დაწყების ცრუ მცდელობის თანადროულად, იწყება ხეობაში რეპრესიული აპარატის მობილიზება. ამავე დღეს, ადგილზე მობილიზებული პოლიცია ტელეფონის სიგნალის ჩამხშობ აპარატურას იყენებს და ხეობაში მოძრაობის კონტროლს იწყებს. რომ პროტესტის კერამდე – ანუ სოფელ ნამოხვანამდე – პროტესტის მხარდამჭერებმა ვეღარ მიაღწიონ. რამდენადაც ლომინაძის მოლაპარაკების ინსცენირებაც უშედეგოდ მთავრდება, მომდევნო დღეებსა და კვირებში საქართველო მთავრობა იწყებს ამ პროტესტის ფარგლებში დღემდე ყველაზე აგრესიული და სისტემატური რეპრესიული იარაღების გააქტიურებას. პირველ დღეებში, პოლიცია იწყებს გადაკეტილ ხეობაში ნებისმიერი ადგილობრივი მცხოვრების მიერ გამოხატული პრეტენზიის საპასუხოდ არაპროპორციული, დამსჯელი ზომების

79 https://www.facebook.com/watch/?v=744076799804471

80 „ენკასაც“ კი იმდენად უხეში ეჩვენა თურქეთის ელჩის გამოსვლა, რომ სიტუაციის შესარბილებლად თავადვე გაავრცელა ნორვეგიის ელჩის გამოსვლის ვიდეო თანდართული ტექსტით: „გუშინ გავრცელდა თურქეთის ელჩის ნამახვანჰესის ფოკუს-სესიაზე გამოსვლის, კონტექსტიდან ამოვარდნილი, ჩანაწერი. შეხვედრის ჩანაწერი განკუთვნილი იყო კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისათვის. სრული გამჭვირვალობისთვის გთხოვთ ასევე იხილოთ ნორვეგიის ელჩის გამოსვლა“.

81 https://www.facebook.com/watch/?v=744076799804471

82 https://www.facebook.com/watch/?v=948515252557155

83 https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/videos/1949371765201194, https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/videos/164330398875328, https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/videos/562641768044445, https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/videos/166549028648573

84 https://publika.ge/mosamzadebeli-samushaoebi-ganakhldeba-namokhvanshi-akhali-menejeri-chavida/

მიღებას. დამსჯელი ზომები არა მხოლოდ პროტესტის წევრებს, არამედ ადგილობრივ მცხოვრებლებსაც ეხება. 7 აპრილს, პოლიცია ხულიგნობისა და დაუმორჩილებლობის მიზეზით აკავებს, შემდეგ კი ქუთაისის სასამართლო 1000-ლარიან ჯარიმას უწესებს სოფელ ზარათში მცხოვრებ მირიან მაღლაფერიძეს. მისი „ხულიგნობა" იმაში გამოიხატება, რომ პოლიციელებს უკანონოდ გადაკეტილ გზაზე გატარება სთხოვა. პოლიციასთან შეკამათების ამსახველ ვიდეომასალაში ვისმენთ, თუ როგორ სთხოვს მათ მირიანი, პურის საყიდლად გაუშვან სოფელ ოფურჩხეთში, უარის მიღების შემდეგ კი, სთხოვს, მაშინ თავად უყიდონ პური მშიერი შვილისთვის. ამ საუბრისთვის დაკისრებულ ჯარიმას მირიანი არც ასაჩივრებს და არც გადახდას აპირებს: *„არა, არ გამისაჩივრებია. ერთი ზარათელი კაცი ვარ, ოჯახი მყავს. ზედმეტი პრობლემები არ მჭირდება. არც ჯარიმის გადახდას ვაპირებ იმიტომ, რომ არ მეკუთვნის, თქვენც ხომ ნახეთ. უკანონოდ დამიწერეს"*[85].

თუმცა, მთავრობა მხოლოდ ხეობის გადაკეტვით არ კმაყოფილდება. 10 აპრილს, ლომინაძის ხეობაში ვიზიტიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კარვების ბანაკში ხდება ტრაგიკული შემთხვევა – პროტესტის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც რამდენიმე დღით ადრე ხეობის მცველების მხარდასაჭერად ნამოხვანში ჩავიდა, რიონში სავარაუდოდ თვითმკვლელობის მიზნით ხტება და ვერ პოულობენ[86]. 11 აპრილს, პოლიცია სოფელ ნამოხვანში პროტესტის კერას დაარბევს, მიზეზად კი რიონის სავარაუდო ადიდების შემთხვევაში გამოწვეული საფრთხის თავიდან აცილებას დააასახელებს. კარვების დარბევისას, პოლიცია, პროტესტის დამატებითი დისკრედიტაციისთვის, მონაწილეებს ლუდისა და არყის ბოთლებს ჩაუდებს. კარვებში მცხოვრებლები მოითხოვენ, ყველა სასწრაფოდ გადაიყვანონ ალკოტესტზე, რათა დადასტურდეს მათი სიფხიზლე, რაც კარვებში ცხოვრების ერთ-ერთი აუცილებელი წესი იყო, და გამოაშკარავდეს პოლიციის მიერ ჩადენილი დანაშაული[87]. მეორე დღეს, პროტესტის მოშლილ კერას, ლალი ეფრემიძის მიწას ტრაქტორებით გადახნავს კომპანია „ენკა" და გამოაცხადებს, რომ ეს მიწაც კომპანიის საკუთრებაა. ნამოხვანიდან ძალადობრივად გამოყრილი პროტესტის წევრები სოფელ გუმათში, პოლიციის კორდონის გვერდით ინაცვლებენ და ფაქტობრივად პროექტის არეალთან წვდომას კარგავენ[88]. ამ გამწვავებული რეპრესიების ფონზე შეკრებილ უამრავ მხარდამჭერს შემდეგ დღეებში პოლიცია მუდმივი ზეწოლით და შევიწროებით უმკლავდება და 13 აპრილს, „ენკას" ოფისთან გამართულ აქციას არბევს, სადაც გვესმის პოლიციის ალყაში მოქცეული მონაწილის სიტყვები: *„სად წავიდე? უკან არაა გზა, ხო არ გატყუებ? სად წავიდე, უკან არაა გზა!"*. სასოწარკვეთილი მონაწილის მიერ ამ სიტყვების თქმა და მეგაფონის თავში დაშენა ამ დარბევების ერთ-ერთ დასამახსოვრებელ ეპიზოდად იქცევა[89]. 14 აპრილს, ღამენათევი პროტესტის წევრები რკინის

85 https://mtisambebi.ge/news/people/item/1290-sashishi-prezedenti-rionis-xeobashi-kitxvis-dasmis-gamo-adgilobrivi-daakaves?fbclid=IwAR0FwWpo3yGLgO2b8OBU7kKAZIQ_fa-VQGgeRRtoS8b7g0o-Q-oTXhrxsto

86 https://reginfo.ge/people/item/21835-namoxvanshi-besis-saxinaagmdego-aqziis-ert-ertma-monaxilem-tavi-moikla

87 https://www.radiotavisupleba.ge/a/31198049.html

88 ხეობის გადაკეტვის შემდეგ, აქ, გუმათში უკვე იყო გაშლილი ერთი კარავი პროტესტის იმ მხარდამჭერებისთვის, ვისაც პოლიცია ნამოხვანთან არ უშვებდა. 11 აპრილს კი, პროტესტის მანამდე ნამოხვანში მყოფი ნაწილიც, მათ შორის, ადგილობრივი მოძრაობის ლიდერებიც, გუმათთან ინაცვლებენ.

89 https://www.facebook.com/watch/?v=1759273907584165

კედლის პირისპირ იღვიძებენ, რომელსაც პოლიცია „გუმათჰესთან“ აშენებს და ამით ხეობაში შესასვლელ გზას მთლიანად გადაკეტავს. მცველები პროტესტს კედელზე შეუჩერებელი ბრახუნით აგრძელებენ. პოლიცია მათ ხმაურს უკრძალავს და კედელს ძალით აშორებს, სოფელ გუმათში კი, ახალი კარვების ადგილას, ყოველდღიურად კიდევ უფრო დიდი რაოდენობით იყრიან თავს პროტესტის მხარდამჭერები საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან.

მეოთხე წრე: მთავრობასთან მოლაპარაკების რესურსების სრული ამოწურვა

მთავრობასა და მცველებს შორის პირდაპირი მოლაპარაკების ბოლო მცდელობას ისევ პრემიერ-მინისტრის მიერ გამოგზავნილი დელეგაცია ახორციელებს. 15 აპრილის საღამოს, ქუთაისის მერიასთან მხარდამჭერების მობილიზებისა და ინტენსიური შეძახილების ფონზე, მცველები სწორედ ამ დელეგაციას ხვდებიან და საკმაოდ იმედიანადაც ტოვებენ შეხვედრას, რადგან მასზე, მათი შეფასებით, მთავრობის წარმომადგენლებმა პირველად დააყენეს კითხვის ქვეშ ჰესის აუცილებლად აშენების საკითხი[90]. თუმცა, ეს ბოლო მცდელობა მალევე კრახით სრულდება. მოლაპარაკების გასაგრძელებლად შეხვედრაზე დაყენებული მოთხოვნების – სამუშაოების შეჩერება, ხეობაში მოძრაობის აღდგენა და პროტესტის ნამოხვანში დაბრუნება – შესრულებაზე მთავრობა უარს აცხადებს. 24 აპრილამდე ლოდინის რეჟიმში მყოფი მცველები, ამ დღის შემდეგ მორიგ აქციებს, მათ შორის უკვე თბილისში, 23 მაისს დიდ აქციას აანონსებენ.

ადგილობრივი პროტესტის ფილოსოფიის კონსოლიდაცია: მშვიდობიანობა, სამოქალაქო საზოგადოების ველში გადაზრდა და ფართო საჯარო დაფარვის დასაწყისი

დისკრედიტაციის ნიველირება

„თქვენივე იარაღით განგგმირავთ“[91], მიმართავს ვარლამ გოლეთიანი ერთ-ერთ აქციაზე გამოსვლისას ხელისუფლებას. ამ განაცხადს, შემდგომ მაკა სულაძეც განავრცობს: „ხელისუფლება, თავისი უგუნური ნაბიჯებით, გვაძლევს საშუალებას, რაღაც გონივრული გავაკეთოთ და აქეთ გვკვებავს მომავალი იდეებით“[92].

რეპრესიებისა და დისკრედიტაციის ამ პერიოდში რიონის ხეობის მცველები მართლაც ყველაზე თვალსაჩინოდ ახერხებენ საკუთარი პოზიციისა და ბრძოლის ფილოსოფიის ფორმირებას, კონსოლიდაციას და საზოგადოებასთან ამ საკითხების გარშემო საჯარო კომუნიკაციას. ადგილობრივი მოძრაობის ბრძოლის რეპერტუარი და ღირებულებითი ორიენტირები უფრო და უფრო ცხადი ხდება სახელმწიფოს მიერ

90 https://www.facebook.com/watch/live/?v=200855208244475&ref=watch_permalink

91 https://www.facebook.com/watch/?v=134412388633195

92 https://www.facebook.com/watch/?v=731844890811540

გამოყენებული დისკრედიტაციის მექანიზმების ამუშავების ფონზე. ხეობის მცველების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ერთი მხრივ, ნიველირებას უკეთებს მათზე მიტანილ იერიშებს – ქსენოფობიის, ძალადობრიობის, განვითარების მტრობის, დაბალი ცნობიერების ბრალდებებს; მეორეც მხრივ კი, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი ბრძოლის მორალური და ეთიკური საფუძვლების სიმყარის ჩვენებით, მცველები აშიშვლებენ მთავრობის პოლიტიკის მანკიერებებს, აჩვენებენ თავიანთ ცალსახა მორალურ უპირატესობას და ააშკარავებენ უზარმაზარ კონტრასტს მთავრობისა და მოძრაობის ღირებულებებს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, მცველები ხვდებიან, რომ არ უნდა გაამართლონ ის სტერეოტიპები, რასაც მთავრობა მათ წინააღმდეგ აწარმოებს, მეორე მხრივ კი, თავად აყალიბებენ ალტერნატიულ სააზროვნო პოლიტიკურ-ღირებულებით სივრცეს და თავად აწესებენ ამ სივრცის ერთგვარ, უფრო მაღალ სტანდარტს.

ამ პერიოდში კიდევ უფრო ცხადად იკვეთება მოძრაობის ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი ასპექტები: ბრძოლის მშვიდობიანი ხასიათი, ჭეშმარიტების ერთგულება, სიმრავლისა და გრძელვადიანი მობილიზაციის მნიშვნელობა, უნივერსალურ ფასეულობებსა და სამართლიანობაზე ორიენტირება, არსებული განვითარების პოლიტიკის კრიტიკა და დეკოლონიური ალტერნატივის არტიკულირება. ამ პერიოდში ასევე გაცხადდება, რომ რიონის ხეობის მოძრაობა ეცდება და მოახერხებს იბრძოლოს არა მხოლოდ **პოლიტიკური საზოგადოების,** არამედ უკვე **სამოქალაქო საზოგადოების** ველზეც, რითაც შეეცდება გადალახოს არა მხოლოდ ჯგუფის სტიგმატიზება, არამედ თავიანთი პრობლემის ლოკალიზებაც და პირველ ფართო, სახალხო მოძრაობად იქცეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

ბრძოლის სტრატეგიის ყველაზე დასამახსოვრებელ ასპექტად, პირველ რიგში, მშვიდობიანობა იქცა. ყველაზე მკაფიოდ მშვიდობიან სულისკვეთებაზე აქცენტს ვარლამ გოლეთიანი ქუთაისის პირველ ხალმრავალ აქციაზე, 28 თებერვალს აკეთებს:

> *„ჩვენ გვაქვს ამის საშუალება დღეს და თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ ამაზე, რომ როცა ამდენი ვართ, არ გვჭირდება არც სისხლისღვრა და არც ქვის სროლა! ჩვენ შეიძლება რაღაცის გადაწყვეტა სწრაფად გვინდა, მაგრამ ყველამ უნდა ვისწავლოთ გრძელვადიანი ომი!*
>
> *უნდა მივეჩვიოთ გრძელვადიან ომს, იმიტომ, რომ მარტო რიონის ხეობის პრობლემა არ არის ეს, და ჩვენ თუ სახე არ შევინარჩუნეთ, როგორც ადამიანებმა, ვერ ვიომებთ სხვანაირად, სხვადასხვა კუთხეებში! ქვის სროლით ყველგან ვერ მოგვარდება პრობლემა. ამიტომ, უნდა იცოდეს ხელისუფლებამ, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც სულისკვეთებით ვიგებთ ომს, მშვიდობით ვიგებთ, სიმრავლით ვიგებთ“*[93].

93 https://www.facebook.com/watch/?v=722234771825887

მშვიდობიანობაზე ხაზგასმა ხეობის მცველების კომპლექსური სტრატეგიის ნაწილია, რომლითაც ისინი მარგინალიზაციას და მხოლოდ **პოლიტიკური საზოგადოების** ველში დარჩენას ირიდებენ, აპროტესტებენ და გადალახავენ. მათ წინააღმდეგ მიმართულ დისკრედიტაციას მცველები მუდმივად უკან უბრუნებენ სახელმწიფოს და ხაზს უსვამენ, რომ ძალადობრიობა არა მათი, როგორც მოძრაობის დამახასიათებელი ნიშანი, არამედ მთავრობისთვის ხელსაყრელი იარლიყია:

> *„ყველანაირად ცდილობენ, რომ ძალადობრივად მოხდეს ეს პროცესები, ანუ შეტაკების პროვოცირებას ახდენს პირდაპირ ხელისუფლება, რომ დავეტაკოთ „ენკას“ და მოხდეს ქვის სროლა. ეს არავის არ გვინდა !“* [94]

მცველები, ასევე, მუდმივად ხაზს უსვამენ დიალოგის აუცილებლობას და პრობლემის ღრმა, შინაარსობრივ შესწავლაზე ორიენტირებულ მიდგომას. ჯერ კიდევ 2021 წლის 17 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე, სადაც პირველი მოსმენა გაიმართა ონისა და ნამოხვანის კასკადების წინააღმდეგ შეტანილი პეტიციის თაობაზე, ვარლამი პარლამენტარებს პარლამენტის კომიტეტის ტრიბუნიდანვე სთხოვს, არ მიიღონ მოძრაობის მოთხოვნები რადიკალურ პოზიციად და ამავე გამოსვლაში უსვამს ხაზს მოძრაობის მორალურ უპირატესობას მთავრობასთან მიმართებით:

> *„თქვენ შეიძლება ჩვენი მოთხოვნები რადიკალურ მოთხოვნებად მოგეჩვენოთ, და იკითხოთ, რას ქვია, რომ ჰესი არ აშენდეს და განვითარებას ხელი შეეშალოს, მაგრამ ნუ ჩათვლით ამას ცალსახა რადიკალურ ნაბიჯად. ჩვენ მზად ვართ ამაზე ვიმსჯელოთ, იმ პირობით, რომ სანამ საჯარო განხილვები არ დაიწყება და სანამ არ დავუბრუნდებით იმ ნულოვან ეტაპს, სადაც დავიწყებთ რეალურ საჯარო დისკუსიებს, მანამდე შეწყდეს ნამოხვანში მუშაობის პროცესი, რომელიც ამ წუთას ანადგურებს რიონის ხეობას“.*

> *„ჩვენ რომ ასე ერთმანეთს – თქვენ თბილისიდან და ჩვენ ნამოხვანიდან – რუსეთის აგენტები ვეძახოთ და ერთმანეთის დემონიზება მოვახდინოთ, ეს არ იქნება სწორი და დემოკრატიული მიდგომა. თუ ამ დემონიზებას გვერდით გადავდებთ და არსებითად, მართლა ჩავყვებით ამ პროცესების განხილვას, თუკი თქვენი მხრიდან იმ ფორმატის მზაობა იქნება, რასაც ჩვენ გთავაზობთ და მგონი სრულიად სამართლიან (განხილვის) გზას გთავაზობთ, ის პროტესტი აღარ იქნება.*

> *[დღეს] ჩვენ გვაქვს მორალური უპირატესობა, 100:0, შეიძლება ითქვას, მთავრობასთან მიმართებით. ამ მორალურ უპირატესობას თუ დაგვაკარგვინებთ, [რიონის ხეობაში] არავინ გაჩერდება ერთი წამითაც კი“*[95].

უნდა ითქვას, რომ კარვებით პროტესტის დაწყებამდე რამდენიმეწლიანი ბრძოლისა და თითქმის ორწლიანი უწყვეტი პროტესტის განმავლობაში, ხეობის მცველები

94 https://www.facebook.com/watch/?v=3743371045759384

95 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/332697138104648/

იყენებენ ყველა შესაძლებელ სამართლებრივ და, შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ველში არსებულ ფორმატს. მიმართავენ როგორც წარმომადგენლობით ინსტიტუტებს, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას და სასამართლოს[96]. მთავრობა, ისევე როგორც „ენკა“, არაერთხელ ცდის, მოლაპარაკებების მცდელობების ჩაშლაში პასუხისმგებლობა მცველებს დააკისროს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, მათ ყველა მორიგ მცდელობას მცველები იყენებენ ხელისუფლების არათანმიმდევრულობისა და საკუთარი „მორალური უპირატესობის“ გასაცხადებლად. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მომენტი იყო ნათია თურნავას გაპარვაც 12 მარტს გამართული შეხვედრიდან, რომლის შემდეგაც მცველები ამ ქმედებას საქართველოს თითოეული მოქალაქის მიმართ შეურაცხმყოფელ ქცევად აფასებენ:

> *„ბოლოს მინისტრებთან საუბარი იყო იმაზე, რომ კომუნიკაციის პრობლემა გვაქვსო და ეს რას ნიშნავს ეხლა?! ეს არის კომუნიკაციის პრობლემის აღმოფხვრა და მოგვარება?! არაერთი შეურაცხყოფა ავიტანეთ უკვე და დღეს ეს დაემატა, იმიტომ რომ შევთანხმდით შეხვედრაზე. მოვედით, რომ ჩვენი გულწრფელი კითხვები დაგვესვა მინისტრისთვის და თვითონ არ არის, წავიდა. ჩამოვიდა 10 წუთით თბილისიდან და გაბრუნდა უკან. ეს თუ ახლა მასხრად აგდება არ არის, თითოეული ქართველისთვის მიმინდია ამის გადაწყვეტა“[97].*

ასეთივე წარმატებით ახერხებენ მცველები დისკრედიტაციის დანარჩენი მექანიზმების ნიველირებასაც. თურქოფობიისა და ქსენოფობიის ბრალდების საპირწონედ, მუდმივად განმარტავენ, რომ მათთვის სტრატეგიული საჯარო რესურსების კერძო პირის ხელში გადაცემაა პრობლემა და არა კომპანიის წარმომავლობა. როცა ნათია თურნავა მცველებს „ენკას“ თურქი მენეჯერის ქართველით ჩანაცვლებას ჰპირდება, მარიტა მუსელიანი უპასუხებს:

> *„ჩვენ რას გვიწყვეტს, იქ ქართველი იქნება დირექტორი თუ არაქართველი?! კომპანიის ქართველი თანამშრომლები, ხშირ შემთხვევაში, ძალიან გამაღიზიანებლად იქცევიან, თურქზე არანაკლებად. პირიქით, თურქი დირექტორისგან გამიკვირდა, სხვა დროს ყოველთვის კორექტულები იყვნენ, ის ერთი შემთხვევა იყო მარტო, ალბათ ნერვებმა უმტყუნა. თორემ, დანარჩენ შემთხვევაში, სულ ქართველებთან გვაქვს საქმე და ნამდვილად არ გამოირჩევიან მაღალზნეობრივი დამოკიდებულებით მოსახლეობასთან“[98].*

9 მარტის პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და გარემოს დაცვის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, სადაც მინისტრი თურნავაც წარდგა, მარიტა მუსელიანი მთავრობის მიერ გამოყენებულ ყველა დისკრედიტაციის დისკურსს ზუსტად და კომპლექსურად აჯამებს და ცხადყოფს მსგავსი დემონიზების უსამართლობას:

96 https://publika.ge/sasamartlos-gadawyvetilebamde-namakhvanhesze-ministris-brdzanebis-shecherebas-moitkhoven/?fbclid=IwAR3tzuwa8sKWkniKWtMeEb3rbLD_Ep00_zPjHUxbrqRKakbE3sZD4H1qBxY

97 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/734722430738236/

98 https://www.facebook.com/watch/?v=769070170679695

„ერთი დავფიქრდი, თავი უნდა შემცოდებოდა თუ არა, მაგრამ არ შემეცოდა რატომღაც. ახლა ჩავინიშნე ტერმინები, რომლებზეც იყო ლაპარაკი – განვითარების წინააღმდეგი, ფობიებით შეპყრობილი, ცნობიერების ამაღლების პრობლემების მქონე, სოციალური დახმარების მთხოვნელი, ტყუილებსა და მიკერძოებულ აზრს აყოლილი – ჩვენ ახლა აქ ასეთები ნამდვილად არ ვართ და მე, ამდენად, თავი არ მეცოდება. მაგრამ ეს არ არის ის სასაუბრო ენა, რაც საერთოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო უფრო მაღლა და უფრო დაბლა მდგომებს შორის, არამედ საერთოდ ადამიანების სოციალურ ჯგუფებს შორის; ან ნებისმიერ შემთხვევაში – ასეთი ტონი არის ყოვლად მიუღებელი“[99].

მთავრობის ბრალდებების აბსურდულობის ცხადყოფის ამ პროცესში მცველებს უფრო და უფრო მეტად დასჭირდებათ სხვადასხვა ჯგუფთან დისტანცირება და გამიჯვნაც. მაგალითად, 2021 წლის მარტში ხეობის მცველები „ქართული მარშის“ მიერ დაანონსებულ აქციას ემიჯნებიან, რომელიც კონკრეტულად თურქების წინააღმდეგ არის მიმართული:

„ჩვენ არასდროს ვამბობთ, რომ ვინმე გავყაროთ, ვინმე გავდევნოთ და ა.შ. მაგ ლოზუნგებით ჩვენ არ ვიკრიბებით აქციებზე. ჩვენ გვაქვს კონკრეტული მოთხოვნები და მოთხოვნების შესრულებას ვითხოვთ. კომპანია ENKA-მ დატოვოს რიონის ხეობა, არ ნიშნავს, რომ „თურქებმა დატოვონ“. ჩვენს მოთხოვნას ქსენოფობიური შინაარსი არ აქვს“, ამბობენ მცველები და იქვე აფასებენ მსგავსი ჯგუფების გააქტიურებას, როგორც მათ წინააღმდეგ მიმართული დისკრეტიდაციის სტრატეგიის ნაწილს:
„ეგ სხვა მესიჯია აბსოლუტურად და მიზანმიმართული მესიჯია იმისკენ, რომ ჩვენი დისკრეტიდაცია, ჩვენი დაკავშირება მოხდეს ამ რადიკალურ ჯგუფებთან და მართლა ქსენოფობიურ ენასთან და ა.შ. არავითარი კავშირი ჩვენ მაგასთან არ გვაქვს. საერთოდ ვემიჯნებით მაგ ნარატივს თავიდან ბოლომდე“ [100].

ხელისუფლების მხილება და ალტერნატიული პოლიტიკის წარმოება

2021 წლის თებერვლიდან აპრილის ჩათვლით, ხეობის მცველები არა მხოლოდ დისკრედიტაციისთვის თავის არიდებას ახერხებენ, არამედ გვთავაზობენ ძალაუფლების კრიტიკის ახალ, იქამდე იშვიათად გამოყენებულ ჩარჩოებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოლიტიკის წარმოების ალტერნატიულ, დეკოლონიურ ხედვებსაც აყალიბებენ. ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურის მნიშვნელოვანი და საბაზისო მხილება – რეპრეზენტაციული, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების დისფუნქციურობის ჩვენებაა:

99 https://www.facebook.com/watch/?v=296584728490037

100 https://publika.ge/tavad-gaaaqtiures-radikaluri-jgufebi-goletianis-tqmit-qsenofobiur-aqciastan-kavshiri-ar-aqvt/?fbclid=IwAR3YYIPbZIqa8KRmnmM1Eh7-cHb8L0sL_G22Nk92Qycaw9IQBKlyF16bj9M

„რომელ დონეზე უნდა ელაპარაკო ამ ხალხს? სასამართლოში სარჩელია, პარლამენტში გამოვედით, გუბერნატორს შევხვდით. რა დონე არსებობს კიდევ, რა ინსტანცია არსებობს, იქნება გაგვაგებინონ და მივალთ იქ და მოვუყვებით“[101],

კითხულობს ერთ-ერთ ჩართვაში ვარლამი და პარლამენტის კომიტეტის სხდომიდან გამოსული ასევე აფიქსირებს, თუ რამხელა პრობლემაა პარლამენტის წევრების აღიარება, რომ აღნიშნული საკითხის შესაფასებლად, მათ კომპეტენცია არ ჰყოფნით:

„სამწუხაროდ, ასეთი რეალობა გვაქვს ქვეყანაში, კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი სონღულაშვილი, თავად ამბობს, რომ რესურსი არა გვაქვს, ეს საკითხი განვიხილოთო. რისთვის სხედან ამ პარლამენტში, საერთოდ გაუგებარია. რატომ ვუხდით ხელფასს ყოველთვიურად ჩვენი ჯიბეებიდან ამ ხალხს? ეს არის გასარკვევი! ის კი არა, ჰესი აშენდეს თუ არა აქ, რატომ ვუხდით იმ ხალხს ხელფასს, რომ რესურსი არ ქონდეთ, ის გაარკვიონ, ყიდიან თავის ქვეყანას თუ არა?“[102]

მაგრამ მცველების კრიტიკა არ სრულდება ხელისუფლების დისფუნქციურობისა და კომპეტენციის ნაკლებობის არტიკულირებით. მცველებს საჯარო დისკურსში შემოაქვთ სახელმწიფოს კრიტიკის უფრო ფუნდამენტური საკითხებიც, როგორიცაა მთავრობის მიერ კონსტიტუციური წესრიგის ჩამოშლა, უცხოურ ინტერესებზე დაქვემდებარება და ქვეყნის სუვერენიტეტისა და ავტონომიის გაუფასურება. აპრილის დარბევების შეფასებისას, მარიტა მუსელიანი ხაზს უსვამს, თუ რამდენად კონფლიქტში მოდის „ნამახვანჰესის“ პროექტის კონტრაქტი საქართველოს კონსტიტუციასთან. საზოგადოებისთვის უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ სახელმწიფოს უცხოელ ინვესტორთან აღებული პასუხისმგებლობა, რომლის თანახმადაც, ის ნებისმიერი გზით შეეცდება მისთვის მშენებლობის შესაძლებლობის გარანტირებას, პროტესტის შემთხვევაში რეპრესიული აპარატის გამოყენებასა და მოქალაქეებისთვის კონსტიტუციით მინიჭებული პროტესტისა და გამოხატვის უფლებების შეზღუდვაზე გადის:

„არჩევანი არის კონსტიტუციური უფლებების დაცვასა და კომპანიის ინტერესებს შორის... სახელმწიფომ გადაწყვიტა, დაიცვას კომპანიის ინტერესი და არ დაიცვას კონსტიტუცია“[103].

შემდეგ ინტერვიუში, მარიტა საქართველოს როგორც არსებულ, ისე წინა ხელისუფლებებს კოლონიურ ადმინისტრაციას ადარებს:

„დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ხელისუფლებები იქცევიან, როგორც კოლონიური ადმინისტრაცია! არ შეიძლება, კოლონიური ადმინისტრაცია ჩვენ აღვიქვათ, როგორც ეროვნული ხელისუფლება“[104].

101 https://www.facebook.com/watch/?v=221057199704560

102 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/4430194610329218/

103 https://www.facebook.com/watch/?v=894095771460932

104 https://www.facebook.com/watch/?v=456200075634245

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისთვის, საქართველოში კონკრეტულ, ვიწრო წრეებში უკვე გაჩენილია მთავრობის კოლონიურობის კრიტიკა, საინტერესოა მარიტას პარალელი კონკრეტულად კოლონიურ ადმინისტრაციასთან (და არა კოლონიურ მთავრობასთან), რომელიც თეორიულად მაინც, ადგილობრივი არჩევნების შედეგად ფორმირდება. სპეციფიკურად „ადმინისტრაციასთან" შედარებით, მარიტა ხაზს უსვამს, რომ მთავრობა იქცევა, როგორც გარედან ხელდასმული, მხოლოდ გარე, იმპერიულ ცენტრებთან ანგარიშვალდებული, ადგილობრივ ანგარიშვალდებულებასა და ლეგიტიმაციას მოკლებული აქტორი.

აქ ასევე იკვეთება, თუ რა სახის ალტერნატიულ, ჩემი შეფასებით, დეკოლონიურ პოლიტიკას სთავაზობს რიონის ხეობის მოძრაობა თანამოაზრეებსა და მხარდამჭერებს და, ზოგადად, ქვეყნის მოქალაქეებს. ამ ალტერნატიული პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედი დემოკრატიულობა, ღიაობა, თანამებრძოლებისა და ზოგადად თანამოქალაქეების ღირსეულ, სრულფასოვან, გადაწყვეტილების მიღების შემძლე ადამიანებად დანახვაა. ეს მიდგომა ყველა ნაბიჯით მჟღავნდება და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კონსტრატს ქმნის მთავრობის მიდგომასთან. თუ მთავრობა მუდმივად ცდილობს, მარტივ და უტყუარ ჭეშმარიტებად დახატოს, ექსპერტულ-ტექნოკრატიული ცოდნის ჩარჩოში ჩაკეტოს მის მიერ არჩეული განვითარების ნეოლიბერალური პოლიტიკა, ერიდება განმარტებასა და დისკუსიას, ხეობის მცველები არასდროს იზარებენ თანამოაზრეებსა და მხარდამჭერებს თანასწორუფლებიან და თანასწორი რესურსების მქონე აგენტებად მიუდგნენ, მუდმივად განმარტავენ საკუთარ სათქმელს და ცდილობენ პროცესის ღიაობის უზრუნველყოფას. ხეობის მცველები სისტემატურად ირიდებენ თავიდან ხელისუფლების წარმომადგენლებთან დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებას:

> *„ჩვენ პროტესტის დასაწყისიდანვე ამ ღია ფორმას და ყველას ჩართულობას მივმართავთ, რომ კონსენსუსით გადაწყდეს ხალხთან ერთად საკითხები და არა რამდენიმე ადამიანთან მოგვარების გზით. ამიტომ, თუ ხელისუფლებას სურს თავისი აზრი გვითხრას, მოვიდეს აქ და მედიის თანდასწრებით გავაკეთოთ ჩვენი შეფასებები და ორივე მხარემ ამის შემდეგ ვიმოქმედოთ"*[105].

რა თქმა უნდა, საჯაროობაზე აქცენტი მცველების სტრატეგიული სვლაცაა, იმისთვის, რომ აირიდონ დახურულ კარს მიღმა ძალაუფლებრივი უთანასწორობის მძიმე შედეგები, თუმცა, ეს არ ამცირებს მათ მიერ პროცესის ღიაობისა და ადამიანების ჩართულობის უზრუნველყოფისთვის ბრძოლის მნიშვნელობას. მოძრაობის ლიდერების ამ მცდელობებს აღიქვამენ და ხშირად უსვამენ მხარს ბრძოლის მხარდამჭერებიც. საინტერესოა, მაგალითად, მკვლევარ ლიკა ჯალაღანიას კომენტარი, რომელიც ხაზს უსვამს სააზროვნო და საკომუნიკაციო სივრცეში შექმნილ ძალაუფლებრივ იერარქიებს და აკვირდება, თუ როგორ ცვლიან ამ იერარქიებს რიონის ხეობის მცველები:

105 https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=1141200746323750

„რიონის მცველებმა კი ეს იერარქია სრულად ამოაყირავეს, ოღონდ არა მოსაუბრის ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოტივით, არამედ მათი გათანაბრებით, მსმენელისა და მოსაუბრის თანასწორად ქცევით. ამაზე მეტყველებდა მათი მუდმივად ღია კარი ყველა სტუმრისთვის ნამახვანის კარვებში და ამაზე მეტყველებდა მათი საუბარი მინისტრებისა თუ მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან პირდაპირ და არგუმენტირებულად, სწორედ ისე, როგორც ეს უნდა იყოს“[106].

მსგავს დაკვირვებას აკეთებს და კიდევ უფრო განავრცობს მწვანე პოლიტიკის მკვლევარი გიორგი ცინცაძეც, რომლის აზრითაც, ღია სააზროვნო სივრცის შექმნა რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის განსაკუთრებული მახასიათებელია და ეს ბრძოლას ჰესის პროექტთან წინააღმდეგობიდან ალტერნატიული სააზროვნო სივრცის შექმნამდე აფართოებს:

„რაც გამოარჩევს ამ მიმდინარე წინააღმდეგობის მოძრაობას სხვა ბევრი აქციისგან, არის ის, რომ ამ მოძრაობას არ უერთდებიან ადამიანები იმიტომ, რომ მათ წინასწარ ჩამოყალიბებულ პოზიციებს ემთხვევა ამ მოძრაობის მოწოდებები და მოთხოვნები – ეს წინააღმდეგობის მოძრაობა სულ თავიდანვე ჩამოყალიბდა და დაიწყო, როგორც რაღაც ტიპის კოლექტიური სააზროვნო სივრცე, რომელსაც ადამიანები უერთდებოდნენ არა იმიტომ, რომ მათ უკვე იცოდნენ, რომ იქ ეგულებოდათ თანამოაზრეები, არამედ იმიტომ, რომ იქ, ადგილზე, სხვებთან ერთად ჩამოეყალიბებინათ პოზიციები. ამ აქციებს სულ თავიდანვე ახასიათებს ის, რომ მათ შექმნეს სივრცე, სადაც ადამიანს შეეძლო, მოსულიყო და მეტი გაეგო არა მარტო ამ კონკრეტულ პროექტზე, არამედ საკუთარ თავზეც, და იმაზე, თუ სად დგას თვითონ პოლიტიკურად“[107].

დემოკრატიული ჩართულობის ხელშეწყობას მცველები, ერთი მხრივ, ხელისუფლებისგან ამ უფლების მოთხოვნით, მეორე მხრივ კი, თანამებრძოლების გამხნევებით, მათი არჩევანისა და ღირსების მნიშვნელოვნების ხაზგასმით ცდილობენ. მცველები მუდმივად ხაზს უსვამენ დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების ბედის გადაწყვეტაში მოსახლეობის კოლექტიური ჩართულობის მნიშვნელობას:

„ჩვენ შევაჯანჯღარებთ ხელისუფლებას, რომელიც თვლის, რომ მან ერთპიროვნულად უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც არის მხოლოდ და მხოლოდ კოლექტიური გადაწყვეტილების საგანი“[108].

მაგრამ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოძრაობის ლიდერები მუდმივად ხაზს უსვამენ თითოეული ადამიანის სამართლიანობისთვის ბრძოლის შემძლეობას. მაკა სულაძე ამას პირადი მაგალითის გაზიარებით აკეთებს:

106 https://bit.ly/3gh3jBx

107 https://www.facebook.com/Indigo.com.ge/videos/133538498841608/

108 https://publika.ge/tuki-motkhovnebi-ar-shesruldeba-shemdegi-aqcia-parlamenttan-chatardeba-goletiani/?fbclid=IwAR3HuO74-6KxpnbkB2ANRjQHFbEsNz8Ctyed8pS_wEWh6Q22hF8Th26QGeY

„ჩვენს ხელისუფლებას, რომელიც პატივს არ გვცემს, ჩვენს ინტერესებს არაფრად აგდებს, დავანახე, რომ მე, ერთმა უბრალო ქალმა, გადავწყვიტე ჩემი უფლებები დამეცვა და ჩემი ქვეყანა დამეცვა იმ პატარა მიწის ნაკვეთით და იმ უბრალო სახლით, რომელსაც კერა ჰქვია“[109].

მაკა ასევე მუდმივად ახსენებს და ახალისებს ყველას, რომ სამართლიანობისთვის ბრძოლაში მათ საკუთარი ადგილი, საკუთარი სათქმელი და აგენტობა აქვთ:

„ჩვენ არ ვითხოვთ, რომ დაგვიდგეთ გვერდში, ჩვენ ვითხოვთ, დადგეთ თქვენს ადგილას. ცარიელი ადგილი არ დატოვოთ იქ, სადაც თქვენ უნდა იდგეთ“[110].

ამ პროცესში, მცველები თანამოაზრეებსა და მხარდამჭერებს არა მხოლოდ ამხნევებენ, არამედ, ასევე, ჯგუფური იდენტობისა და ღირებულებების სახელდებას იწყებენ. ნამოხვანიდან გამოდევნის შემდეგ, გუმათში გამართულ ერთ-ერთ პირველ აქციაზე, ვარლამ გოლეთიანი ამბობს:

„ის, რაც მართულია, დროში ვერ გაძლებს, ხოლო ის, რაც ჭეშმარიტია – სწორედ ეს გაძლებს დიდხანს, ჭეშმარიტებას აქვს ასეთი თვისება – ის ვერ მოგწყინდება!

მილიონჯერ რომ მოგვიწიოს ერთი და იგივე ადგილზე დადგომა, უნდა დავდგეთ და სწორედ ამით გავტეხოთ ისინი: მათ მიაჩნიათ, რომ დრო მათზე მუშაობს, რესურსები მათ მხარესაა, მაგრამ ჩვენს მხარესაა ერთობა, სიმართლე, სამშობლოს სიყვარული, ერთმანეთის სიყვარული, არგუმენტირებული მსჯელობა და საღად მოაზროვნე და ღირებულებებით აღჭურვილი ადამიანები! მათ მხარეს – არის მხოლოდ ძალმომრეობა! [111]

დემოკრატიულ ჩართულობას ემბმის სოციო-ეკონომიკური მოწყობის შესახებ ალტერნატიული ხედვების სახელდებაც. მიწის გასხვისების, ისევე, როგორც კაბალური ხელშეკრულების კრიტიკისას, რიონის ხეობის მცველები იწყებენ დომინანტური განვითარების პოლიტიკის კრიტიკას. საინტერესოა, რომ ამ პროცესში, ერთი მხრივ, მათ უწევთ გაემიჯნონ ნაციონალისტურ დისკურსს:

„თუნდაც უცხოელი არ იყოს, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ხშირად ქსენოფობიასავით ჟღერს, როცა ვამბობთ – თურქი, მაგრამ ქართველიც რომ იყოს ინვესტორი, რომელიც ამდენი ხნით განკარგავს ამხელა და თან ისტორიულ მხარეს, ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის. შენ თუ ფეოდალივით ეპყრობი კომპანიას, რომელიც თვითონ გიწესებს თამაშის წესებს, შენი ენერგოდამოუკიდებლობა სად იკვეთება აქ?“[112]

109 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/260100249046886/

110 https://www.facebook.com/watch/?v=731844890811540

111 https://www.facebook.com/watch/?v=134412388633195

112 https://www.facebook.com/mautskebeli.ge/videos/182914139951064/

მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე უწევთ, თავი იმართლონ ზედმეტად სოციალისტური დისკურსის ქონის ბრალდებისგანაც:

> *„მინდა განვმარტო კოლექტიურ საკუთრებასთან დაკავშირებით ჩემი განცხადება, რამაც გარკვეულ წრეებში ღელვა გამოიწვია. თითქოს საბჭოთა სოციალიზმში ვაბრუნებთ ვიღაცებს. ჩვენ ვსაუბრობთ იმ საერთო სიმდიდრეზე, რასაც წარმოადგენს: მიწა, ტყე, მდინარე, რაც ყველას საკუთრებაა. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ საერთო საკუთრებას და არავის აქვს უფლება, ის, რაც საერთო საკუთრებაა, თავისი ვიწრო ინტერესების მიხედვით განკარგოს“*[113].

მსგავსი თავის მართლება პოსტსოციალისტურ კონტექსტში, სადაც ანტიკომუნისტური დისკურსი განსაკუთრებით ძლიერია, გასაკვირი არ არის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თავად უარყოფენ, ხეობის მცველების დისკურსი ნამდვილად ჰგავს ზოგადად მემარცხენე დისკურსებს. ოღონდ, უნდა ითქვას, რომ არა იმდენად აუცილებლად სოციალიზმს, არამედ უფრო ზოგად, დეკოლონიური პერსპექტივისთვის დამახასიათებელ მოთხოვნას საჯარო რესურსების ადგილობრივი მოსახლეობების სამსახურში ყოფნაზე.

ბრძოლის დეკოლონიური ხასიათი განსაკუთრებით მაშინ იკვეთება, როცა ხეობის მცველები უარყოფენ განვითარების დომინანტურ ეკონომისტურ ლოგიკას, უარყოფენ რესურსებისა და სოციალურ-ეკონომიური სივრცის ფასეულობის დათვლადობას, მისი კაპიტალისტური ეკონომიკის საჭიროებებში ჩართვის გამართლებულობას. ისინი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამენ, რომ არ შეიძლება, ყველაფერი ფასეული – ფულით იზომებოდეს:

> *„ამბობენ, 800-მილიონიანი ინვესტიციაო, ეს 800 მილიონი რა, საქართველოში იხარჯება? ან რომც იხარჯებოდეს, ფულით არ შეიძლება ყველაფრის გაზომვა, ჯერ კითხონ საზოგადოებას, იყიდებიან ისინი თუ არა“*[114].

მეორე მხრივ კი, ამბობენ, რომ ზოგიერთი ფასეულობა ფულად კომპენსაციაში ვერ გაიცვლება. განსაკუთრებით საინტერესოა მაკა სულაძის წერილი და ვიდეომიმართვა[115], სადაც იგი „ენკას“ თურქ მენეჯერს, ზეკი ქოჯაუღლოს ჩაიზე მიპატიჟებას უპასუხებს:

> *„თქვენ დაჯდებით აქ, იმ ყველა ადამიანთან ერთად, ვინც ჩაიზე მოგიწვიათ, ამ გარემოში, სადაც იგრძნობთ ამ ადგილის ფასს და სიმდიდრეს, რომელსაც თქვენი კომპანია ვერასდროს გამოისყიდის, რადგან თქვენი კაპიტალი არასდროს იქნება საკმარისი ამ სიმდიდრის საყიდლად. ვერავინ იყიდის ამ სიმდიდრეს. ეს ჩვენი ფასეულობაა, ჩვენი მიწაა, ჩვენი ღირსებაა და მას ყველამ პატივი უნდა სცეს“*[116].

113 https://bit.ly/2RNL24Z

114 https://bit.ly/2RNL24Z

115 https://www.facebook.com/maka.suladze.733/videos/1602042813326206

116 ავტორის თარგმანი ინგლისურიდან ქართულად, https://www.facebook.com/maka.suladze.733/videos/1602042813326206/

თუ მთავრობისა და კომპანიისთვის ეს კონკრეტული, უკვე ათწლეულების განმავლობაში ჰესის ასაშენებლად განწირული რიონის ხეობის მონაკვეთი სიცარიელეს, ჩამორჩენას, განუვითარებელ სივრცეს წარმოადგენს, ხეობის მცველებისთვის იგივე სივრცე სოციალური, კულტურული და ბუნებრივი ფასეულობებით არის სავსე. ამ ფასეულობებზე ხაზგასმას მცველები მაშინაც კი არ ივიწყებენ, როცა გამომჟღავნდება, რომ „ნამახვანჰესის“ პროექტი ვიწროდ ეკონომისტურ ლოგიკაშიც კი სახელმწიფოსთვის დამაზიანებელია.

დემოკრატიული ჩართულობის, საჯარო რესურსის განკარგვისა და მისი სარგებლის სახალხო გამოყენების მოთხოვნისას, მცველები ქმიან ბმას ადგილობრივ, საზოგადოსაქვეყნო და უნივერსალურ ღირებულებებს შორის. ერთი მხრივ, მოძრაობა ცდილობს კონკრეტულად ნამოხვანის პროექტზე კონცენტრირდეს, არა მხოლოდ პრობლემებზე საუბრისას, არამედ პროტესტის რეპერტუარის განსაზღვრის დროსაც. საგულისხმოა, რომ მცველები მუდმივად სიფრთხილეს იჩენდნენ პროტესტის კერის – ნამოხვანის თუ გუმათის – დატოვებისას, ქუთაისისა და შემდეგ, თბილისის აქციების დაანონსებისას. რაც მთავარია, დიდ ქალაქებში გამართული აქციების შემდეგაც, ისინი ყოველთვის პროტესტის მთავარ კერასთან დაბრუნებას სთხოვდნენ მხარდამჭერებს. ხეობაში ფიზიკური რესურსის მობილიზება და მშენებლობისთვის წინააღმდეგობის სიმრავლით გაწევა ბოლომდე ამ ბრძოლის ამოსავალი წერტილი იყო. თუმცა, მეორე მხრივ, ამავე პერიოდში ცხადად იკვეთება ბრძოლის უფრო მასშტაბური, სახელმწიფოებრივი და, ნაწილობრივ, ასევე, უფრო გლობალურ ჭრილში ხედვა[117]. სხვა, მიმდინარე ბრძოლებთან კავშირის გაბმას მცველები ოდნავ მოგვიანებით იწყებენ, თუმცა ამ დროისთვის, უკვე აცხადებენ, რომ მათი ბრძოლა სამართლიანობისთვის ბრძოლაა სახელმწიფო მასშტაბით:

> *„ჩვენ რამე კონკრეტულ პროექტს კი არ ვებრძვით, ჩვენ ვიბრძვით სამართლიანი სახელმწიფოსთვის ზოგადად, რომელიც ყველა ადამიანისთვის სამართლიანი იქნება!“* [118]

სახელმწიფოს კოლონიურ ადმინისტრაციასთან შედარებისას კი, ასევე იკვეთება გლობალური სოციო-სივრცითი უთანასწორობის გაცნობიერება. გლობალური უთანასწორობების და უსამართლობების ხაზგასმაა ასევე შრომით მიგრაციაზე წუხილიც:

> *„ახლა კიდევ იმას აკეთებენ, რომ წავიდეს საერთოდ ხალხი აქედან, ის 50 000-ზე მეტი ადამიანი, რომელიც მზად არიან გაუშვან ამ ქვეყნიდან, ეს არის გამოსავალი? ამისთვის ვწვალობთ თითოეული ჩვენთაგანი, რომ ამას მივაღწიოთ და ეს გვიხაროდეს? ეს გვიხაროდეს, რომ წავალთ აქედან და რა კარგია, ჩვენს ბოსტანში სხვამ იმუშაოს, სხვის ბოსტანში ჩვენ ვიმუშაოთ“*[119].

117 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/4430194610329218/

118 https://www.facebook.com/watch/?v=722234771825887

119 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/4430194610329218/

მხარდაჭერა და არგუმენტები „ნამახვანჰესის“ წინააღმდეგ

ნამოხვანის ბრძოლის ფართო მხარდაჭერა ყველაზე თვალსაჩინოდ თბილისის აქციების ირგვლივ, 2021 წლის მაისსა და ივნისში გამოჩნდება. მაგრამ, მომავალში ეს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატული მხარდაჭერა და ბრძოლის ყველაზე მკაფიო არგუმენტები სწორედ ბრძოლისა და რეპრესიის ყველაზე ინტენსიურ პერიოდში, თებერვალსა და აპრილს შორის ყალიბდება. ეს ის პერიოდია, როცა სუბალტერნული ბრძოლა გარდაიქმნება სამოქალაქო საზოგადოებად – ბრძოლა, რომელიც იქამდე, შეიძლება ითქვას, უფრო **პოლიტიკური საზოგადოების** ველში მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, იწყებს სუბალტერნული ჯგუფების მხარდაჭერის შემოკრებას, მეორე მხრივ კი, ე.წ. სამოქალაქო საზოგადოებაში უკვე დამკვიდრებული აქტორებისა და მედიის მხარდაჭერას და უპრეცედენტოდ ძლიერ, გასაკვირად ჰარმონიულ, შეიძლება ითქვას, იქამდე არნახულ ალიანსს აყალიბებს საკმაოდ მრავალფეროვან აქტორებს შორის. რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობა სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება, როგორც არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ, როგორც მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ჯგუფების მოძრაობა.

არგუმენტები მიწის გასხვისებასა და კაბალურ ხელშეკრულებაზე

სწორედ ამ პერიოდში (თებერვლიდან – აპრილამდე) მჟღავნდება ორი უმთავრესი და გადამწყვეტი საკითხი „ნამახვანჰესის“ პროექტის შესახებ: როგორც უკვე ვახსენეთ, მიწების სამუდამო, ან ნაწილის – 99 წლით კომპანიისთვის გადაცემა და სახელმწიფოს მიერ კომპანია „ენკასთან“ დადებული ხელშეკრულება. ხელშეკრულებისა და მიწების გადაცემის გამჟღავნების შემდეგ, იკვეთება ნამოხვანის ბრძოლის ყველაზე მკაფიო არგუმენტები და ფართოვდება ბრძოლის უსამართლობის სახელდების სივრცე, გარემოსდაცვითი და მოსახლეობის ჩართულობის საკითხებიდან – ეკონომიკური განვითარების საკითხებამდე. მარიტა მუსელიანი ამბობს:

> *„ჩვენ, მას შემდეგ, რაც გასაჯაროვდა ხელშეკრულება, გაგვიჩნდა აბსოლუტურად სხვა სივრცე იმისთვის, რომ გვქონოდა სხვა ხასიათის პრეტენზიები“*[120].

ამ მასალების გასაჯაროების შემდეგ, იწყება ფართო, შეიძლება ითქვას, იქამდე არნახული კრიტიკული ცოდნის წარმოება – იწერება სტატიები, ეწყობა პრესკონფერენციები, საჯარო დისკუსიები[121] [122] და სოლიდარობის აქციები საქართველოში თუ მის გარეთ. ამ ცოდნის წარმოებაში ერთვებიან (ნაკლებად მეინსტრიმული) მედიები, სამოქალაქო საზოგადოების წევრები, დამოუკიდებელი აქტივისტები, მკვლევრები (მათ შორის, ჩემ მსგავსად მიგრაციაში მყოფებიც). ერთი მხრივ, მათი არგუმენტები ეყრდნობა და ამყარებს რიონის ხეობის მცველების არგუმენტებს, მეორე მხრივ კი, ქმნის ცოდნას, რო-

120 https://bit.ly/32AWjrm

121 https://www.facebook.com/events/807062083244525/?ref=newsfeed

122 https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=278145250371127

მელსაც ასევე იყენებენ და მომხრეებს უზიარებენ მოძრაობის ლიდერები. ნამოხვანის ბრძოლაში ჩართულობით, უამრავი აქტორი იწყებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში, განვითარების არსებული პოლიტიკის გარშემო დაგროვილი კრიტიკული ანალიზისა და ცოდნის გამოყენებას და, რაც კიდევ უფრო მთავარია, ამ ცოდნის გაფართოებას როგორც ანალიტიკურად და შინაარსობრივად, ისე საზოგადოებასთან მიტანის თვალსაზრისით.

2021 წლის თებერვლის დასაწყისში ირკვევა, რომ მთავრობამ ხელშეკრულების დადებამდე და „ენკას" მიერ სავალდებულო კვლევების წარდგენამდე, 2019 წელს კომპანიას 575.6 ჰექტარზე მეტი მიწა სიმბოლურ ფასად, 1 705 ლარად გადასცა[123]. მიწის გასხვისების საკითხი ადგილობრივი,, ისევე, როგორც ფართო მოძრაობისთვის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად იქცევა. რიონის ხეობის მცველები მიწის გადაცემას „მთელი ხეობის გაყიდვას" ან „ხეობის გადაცემას" ეძახიან. როგორც ვნახეთ, ნათია თურნავა პრობლემის გადაფარვას იმის მტკიცებით შეეცადა, რომ ინვესტორი მიწას „ზურგზე ვერ მოიკიდებდა" და რომ მიწის გასხვისება ნორმალური და უკვე მრავალჯერ გამოყენებული პრაქტიკაა; კომპანია „ენკა" კი აცხადებდა, რომ არა „მთლიანი ხეობა", არამედ ჰესის პროექტისთვის საჭირო ტერიტორია შეიძინა. ამის საპირწონედ, მოძრაობამ კითხვის ქვეშ დააყენა არა მხოლოდ რიონის ხეობის მიწების გადაცემა, არამედ ზოგადად მიწის (და მდინარის აუზის)[124] სამუდამოდ გასხვისების გაუმართლებლობა; სუვერენულობის, ისევე, როგორც საჯარო რესურსის საჯარო ინტერესისთვის განკარგვის საკითხები[125]. ამასთან, ადგილობრივი მოძრაობის ლიდერებთან ერთად, რესურსების გასხვისებას უარს ეუბნებიან პროტესტის მხარდამჭერი და მონაწილე სხვა მოქალაქეებიც:

> *„არ აინტერესებთ მიწა, არ აინტერესებთ საერთო საკუთრება ადამიანების, სასიცოცხლო სივრცე, მდინარე, ხეობა, ადამიანები, ამ ადამიანების სოციალური გარემო და მზად არიან გროშებად დაახურდაონ ყველაფერი. და ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ არ იყიდება ის, რაც არის ჩვენი საერთო საკუთრება"[126].*

123 საკუთრებაში: 121 ლარად 2 937 648 კვ.მ ფართობი (აქედან ტყის ფართობი არის 1 535 975 კვ.მ); სარგებლობის უფლებით: წლიურ 16 ლარად, 99 წლით – 2 818 654 კვ.მ მიწის ფართობი (აქედან ტყე – 445 245 კვ.მ) (იხილეთ „პუბლიკის" სტატია სრულად: http://bit.ly/3oWj29S).

124 მაგალითად, ნინო ჩხობაძე აღნიშნავდა, რომ წყლის კალაპოტის გასხვისება უპრეცედენტო მოვლენაა: „არავინ ყიდის მდინარეს კალაპოტებით, ქვეყანა, რომელიც არის 21-ე საუკუნეში, საჯარო რეესტრში წერს ერთ რამეს: გადაეცა საკუთრებაში (საკუთრება წერია, არა აღნაგობა) მდინარე რიონი, ესეთი ჩანაწერი არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ არსებობს, დამეთანხმეთ, რომ თუ ეს ხდება კანონმდებლობით, პირველ რიგში, ეს კანონმდებლობაა გასაწორებელი".

125 მართალია, მიწის გასხვისების გამჟღავნებას თავიდანვე მოჰყვა წუხილი და ბრძოლის მხარდაჭერის ზრდა, მაგრამ ამ გასხვისების მასშტაბი, ის, თუ რას ნიშნავდა „ხეობის გადაცემა", ყველაზე თვალნათლივ 2021 წლის ივლისში პრემედიაციის პროცესში გამოჩნდა. ევროკავშირის ენერგოგაერთიანების მიერ წარმართული მედიაციის შემზადების ფარგლებში მთავრობა შეეცადა მცველების ერთ-ერთი ცენტრალური პირობის – პროტესტის თავდაპირველ კერასთან, ნამოხვანში დაბრუნების პირობის შესრულებას. ამ დროს გამოჩნდა რომ რიონის ხეობის დაახლოებით 50-კილომეტრიან მონაკვეთზე, და განსაკუთრებით სოფელ ნამოხვანთან სიახლოვეში, პატარა მიწის ნაკვეთიც კი არ არსებობდა, რომელიც უკვე „ენკას" საკუთრებაში არ იყო და სადაც საბაზისო ინფრასტრუქტურის გამართვა – ანუ კარვის გაშლა იქნებოდა შესაძლებელი.

126 https://www.facebook.com/caucasianhouse.ge/posts/4205957959437243

საჯარო, სტრატეგიული რესურსების გასხვისების წინააღმდეგ იქმნება დამატებითი ცოდნა[127] და მობილიზდება საერთაშორისო გამოცდილება იმის საჩვენებლად, რომ დასავლეთის ქვეყნების უმეტესობა, ისევე, როგორც კონკრეტულად „ნამახვანჰესის“ ინვესტორების სამშობლოები – ნორვეგია და თურქეთი – თავის საზღვრებს შიგნით რესურსებისა და სტრატეგიული ინფრასტრუქტურის უცხოელ ინვესტორებზე გასხვისების მომხრეები არ არიან. ნორვეგიაში ენერგეტიკული გენერაციის 90%-ს ან სახელმწიფო, ან ადგილობრივი სექტორი აკონტროლებს[128]. ისეთ ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკებშიც კი, როგორიც ამერიკაა, სტრატეგიული ინფრასტრუქტურები მხოლოდ ადგილობრივი მესაკუთრეების ხელშია, რაც კრიტიკული სექტორების გამძლეობის გარანტიად აღიქმება[129].

დამატებით, ასევე, ისმებოდა კითხვა, თუ რას იღებდა სახელმწიფო მიწის გასხვისების სანაცვლოდ:

> *„მოგება რატომ უნდა ნახოს ჩვენი სიმდიდრიდან რომლიმე კომპანიამ, და, მაგალითად, რატომ არ უნდა ნახოს სახელმწიფომ?“*[130]

მიწის გასხვისების წინააღმდეგ არაერთი არგუმენტი გაისმა, მაგრამ სუვერენულობის შერყევა, საჯარო რესურსების საბაზრო ლოგიკაზე დაქვემდებარება და სანაცვლო სარგებლის არარსებობა ქმნიდა ყველაზე დიდი წუხილის საფუძველს. ეს ბოლო ასპექტი – მიწის სიმბოლურ ფასად გადაცემა – ებმოდა ჰესის წინააღმდეგ მობილიზებული არგუმენტების მეორე უმთავრეს საკითხს – ხელშეკრულების ანალიზს[131]. მაშინ, როცა მთავრობა ამბობდა, რომ მიწის გადაცემა ნორმალური მოვლენაა, რომ ნამოხვანის პროექტი კერძო-საჯარო თანამშრომლობაა და ამ თანამშრომლობის ფარგლებში მიწის გადაცემა საქართველოს მხრიდან პროექტში ჩადებულ რესურსად და ინვესტიციად უნდა განვიხილოთ, ხელშეკრულების ანალიზი ავლენდა, რომ უმნიშვნელოვანესი საჯარო რესურსების – მიწის, წყლისა და ტყის რესურსების – ფაქტობრივად უფასოდ გადაცემის სანაცვლოდ, ქართული მხარე არაფერს იღებდა: არც მოგების წილს, არც ჰესის პროექტის განკარგვის უფლებას, არც გამომუშავებული ენერგიის შესყიდვაზე პრიორიტეტს. მეტიც, მიწების გამოსყიდვის საჭიროების დადგომის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას მოუწევდა (და, სავარაუდოდ, მართლაც მოუწევს) უფასოდ გადაცემული მიწის საბაზრო ფასად შესყიდვა.

ხელშეკრულების სხვა ასპექტების შესწავლამ „ნამახვანჰესის“ პროექტის შესახებ უამრავი სისტემური პრობლემა გამოავლინა, კითხვის ქვეშ დააყენა არა მხოლოდ პროექტის ეკონომიკური სარგებლიანობა, არამედ უფრო ფართოდ, პროექტის წვლილი ეგრეთ წოდებული ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაშიც. სწორედ კონტრაქტის

127 https://www.facebook.com/watch/?v=1122776284905704

128 http://bit.ly/3ckvTQs; https://bit.ly/3fcJlHG

129 https://bit.ly/2PlRjns

130 https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=3809776459069053&id=119369231443146

131 https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-namakhvanhesis-khelshekrulebit-mnishvnelovani-sakhelmtsifo-interesebi-datmobilia-kerdzo-kompaniis-sasargeblod

ანალიზის პროცესში გამოვლინდა ყველაზე ცხადად **სამოქალაქო საზოგადოების** მეტ-ნაკლებად უკვე დამკვიდრებული აქტორების რესურსებისა და მხარდაჭერის მნიშვნელობაც. თავად ხელშეკრულების მოპოვება ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ, კარვებით პროტესტის 96-ე დღეს, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი-ფაქტმა“ მოახერხა. მარტის დასაწყისში კი, „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“ გამოაქვეყნა ამ კომპლექსური დოკუმენტის საფუძვლიანი ანალიზი[132]. ხელშეკრულების ანალიზში ჩაერთნენ სხვა ორგანიზაციები და მედიასაშუალებებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოცემა „ნეტგაზეთის“ კვლევების სერიები ხელშეკრულების ირგვლივ, რომელიც არა მხოლოდ კვალიფიციური იურისტებისა და ეკონომისტების შეფასებებს განიხილავდა დეტალურად, არამედ მთავრობას მიმართავდა ყველა ბუნდოვანი საკითხის ირგვლივ განმარტებების გასაკეთებლად და სისტემატურად, ფართო მკითხველისთვის გასაგებად ფარავდა ხელშეკრულების არაერთ ბუნდოვან ასპექტს[133].

ხელშეკრულების ანალიზმა ცხადად აჩვენა, რომ კონტრაქტი მთავრობის როგორც ყველა ფუნდამენტურ, ისე წვრილმან დაპირებებსაც ეწინააღმდეგებოდა. ხელშეკრულება ვერ უზრუნველყოფდა უკეთეს ტარიფს, ენერგოუსაფრთხოებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას[134]. სამაგიეროდ, კომპანიას ბუნებრივი რესურსების განკარგვისა და გამოყენების შეუზღუდავი უფლებები ეძლეოდა, ქართულ სახელმწიფოს უზარმაზარი ფისკალური ტვირთი ადგებოდა ელექტროენერგიის 15-წლიანი გარანტირებული შესყიდვის პირობის გამო, ხოლო ნებისმიერი ფორსმაჟორული გარემოებისას დამდგარი ზიანისა და დანაკარგის ანაზღაურების ვალდებულება დამატებით, განუსაზღვრელ ფისკალურ რისკად აწვებოდა ქვეყნის ბიუჯეტს[135].

გარდა თავად ხელშეკრულების ანალიზისა, ამ პერიოდში იწყება დამატებითი არგუმენტების მობილიზება ხელისუფლების მთავარი დაპირების, „ენერგოდამოუკიდებლობის“ ირგვლივაც. თავად რესურსების გასხვისება უკვე ენერგოსექტორში ეროვნული კონტროლის დასუსტებას უკავშირდება:

> *„დიდი რაოდენობით მიწის, მდინარისა და ელექტროენერგიის წარმოების საშუალების უცხო ქვეყნისთვის გადაცემა ... ეწინააღმდეგება ყველა ამ სექტორის უშიშროებასა და ეროვნულ გამძლეობას“*[136].

ამ პერიოდში უკვე არაერთი კომენტატორი აღნიშნავს, რომ ელექტროენერგია საქართველოს საერთო ენერგომოხმარების შედარებით მცირე ნაწილს, დაახლოებით 20%-ს შეადგენს. შესაბამისად, *„მთლიანად რომ ჩავაბეტონოთ და გავაქროთ ყველა მდინარე, საკუთარი ნავთობისა და გაზის გარეშე, ენერგოდამოუკიდებლობას მაინც ვერ მივაღწევთ“*[137].

132 https://bit.ly/382HP6w
133 https://netgazeti.ge/news/545150/
134 https://bit.ly/3cikWNV
135 https://bit.ly/382HP6w
136 https://bit.ly/2PlRjns
137 https://bit.ly/3kYXmtj

მსგავსი ანალიზი, ასევე, ხაზს უსვამს, რომ კონკრეტულად ელექტროენერგიის გამომუშავების თვალსაზრისით, საქართველო საკმაოდ თვითკმარია. ბოლო წლებში იმპორტის ზრდა კრიპტოვალუტის წარმოებას უკავშირდება, ბიტკოინებისთვის მოხმარებული ენერგია კი საერთო მოხმარების 10-15 პროცენტია. მედია იწყებს მსოფლიო ბანკის კვლევის გაზიარებასაც, რომლის მიხედვითაც:

> *„კრიპტოვალუტის მოპოვებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარებაზე, რის გამოც ქვეყანა გადაიქცა წმინდა ექსპორტიორიდან ელექტროენერგიის წმინდა იმპორტიორად“.*

ბრძოლის მომხრეები, ასევე, კითხულობენ:

> *„რატომ უნდა შევწიროთ ჩვენი მდინარეები და ხეობები (გადასახადებისგან თავისუფალი) კრიპტოვალუტის მოპოვებით ინდივიდების და კომპანიების გამდიდრების მისიას?“*[138]

საკითხს კიდევ უფრო აფართოებს ზოგადად, ეკონომიკის პოლიტიკის დაგეგმვაზე საუბარი. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ენერგოპოლიტიკა და მისი დამოუკიდებლობა თუ უსაფრთხოება არ შეიძლება ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის გარეშე განისაზღვროს:

> *„სანამ არ არსებობს ეკონომიკის განვითარების გეგმა, ჰესის საჭიროებაზე საუბარი აზრს არის მოკლებული. ეკონომიკის ნაწილია ენერგეტიკა და არა ენერგეტიკის ეკონომიკა“*[139].

დაბოლოს, ჰესის მოწინააღმდეგეები ენერგოდამოუკიდებლობის პრობლემის გაჩენაში თავად არსებულ და წინა მთავრობებს ადანაშაულებენ:

> *„სახელმწიფო გვესაუბრება და ასეთ დამღუპველ პროექტებს ამართლებს ენერგოდამოუკიდებლობის სახელით და ესაა იგივე სახელმწიფო, რომელმაც ენერგოსექტორის ძალიან დიდი ნაწილი გაასხვისა რუსულ და სხვა უცხოურ კომპანიებზე და ეს არამხოლოდ ქართულმა ოცნებამ გააკეთა, არამედ ნაციონალურმა მოძრაობამაც, თავის დროზე. ეს სახელმწიფო, რომელიც ჩვენი უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულების, პერიფერიულ მდგომარეობაში შემყვანი ეკონომიკური პოლიტიკითაა ცნობილი, გვეუბნება, რომ ჩვენ ვართ ბნელები და რუსეთის ინტერესებზე ვასხამთ წყალს, მაშინ, როდესაც ჩვენ ვიცავთ ჩვენს წყლის რესურსებს, ტყის რესურსებს და მიწის რესურსებს!“*[140]

138 https://batumelebi.netgazeti.ge/news/332159/

139 https://www.facebook.com/beka.natsvlishvili/

140 https://www.facebook.com/watch/?v=863514464215461

საუბარი იწყება, ასევე, ენერგოსექტორში ჰიდროენერგიის მაქსიმალური ათვისების პოლიტიკის ალტერნატივებზეც. განსაკუთრებით აღსანიშნავია პარლამენტის ყოფილი დეპუტატის, ბექა ნაცვლიშვილის დაანგარიშებები ქარის ენერგიის შესახებ, რომლის გამომუშავება, ჰესებისგან განსხვავებით, ზამთრის პერიოდშიც სტაბილურია:

> *„რატომ ვაბეტონებთ რიონის ხეობას, ვანადგურებთ გარემოს, ვჩუქნით ასობით ჰექტარ მიწას ინვესტორს გაურკვეველი საბაბით, თუ პირველადი მიზანი ენერგოდამოუკიდებლობა და იმპორტის ჩანაცვლებაა, მაშინ, როდესაც შესაძლებლობა გვაქვს, ორ წელიწადში დავდგათ 500 მეგავატის ქარის სიმძლავრე გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის გარეშე, რომელიც რეალურად იქნება იმპორტის ჩანაცვლებისა და ენერგოდამოუკიდებლობისკენ გადადგმული ნაბიჯი?“*[141]

მოძრაობის წევრები ასევე მოიძიებენ და აქვეყნებენ თავად მთავრობის მიერ, 2021 წელის თებერვალში დამტკიცებულ, საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმას, რომელიც წყლის რესურსების შემცირების პირობებში ჰესების გენერაციის კლებას უსვამს ხაზს. თავად სახელმწიფო სტრუქტურები აღიარებენ, რომ *„საჭიროა განახლებადი ენერგიის წყაროების დივერსიფიკაცია, როგორც ჰიდრო, ასევე ქარის და მზის პოტენციალის ათვისება“*[142].

ნამოხვანის ბრძოლის ირგვლივ ცოდნის წარმოების ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალური ასპექტი ნამდვილად პროექტის გლობალური პროცესების ჭრილში დანახვაა. როგორც კრიტიკის სხვა ასპექტები, პროექტის პრობლემების საერთაშორისო დონეზე დაყენება არა მხოლოდ ჰესის ან ენერგოპოლიტიკის, არამედ ქვეყნის განვითარების პოლიტიკისა და გლობალური პოლიტეკონომიკური წესრიგის შესახებ სვამს ფუნდამენტურ კითხვებს. კრიტიკის განხილვამდე ისიც უნდა ითქვას, რომ გლობალური პროცესების ხედვა და, განსაკუთრებით, ევროატლანტიკური წესრიგის, ან თავად ევროკავშირის კრიტიკა ჰესის ან საქართველოს მთავრობის დასახული ენერგოპოლიტიკის ყველა მოწინააღმდეგეს არ აერთიანებს. აქტორების ნაწილისთვის ზუსტად ის არის პრობლემა, რომ საქართველო არ ჰგავს ევროპას, ან არ მიჰყვება ევროპის რჩევებს. მეორე ნაწილი კი სწორედ მსგავსი (და სამოქალაქო საზოგადოების შიგნით უფრო დომინანტური) დისკურსის წინააღმდეგ ქმნის ცოდნას და ამტკიცებს, რომ სწორედ დასავლეთისა და დასავლეთის გავლენის ქვეშ მყოფი საერთაშორისო ინსტიტუტების დამსახურებაა საქართველოს პერიფერიულ და დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოჩენაც და ამ მდგომარეობაში დარჩენაც:

> *„ქართველებმა უნდა ვიცოდეთ, რომ პრივატიზაციისა და დერეგულაციის პროცესი საერთაშორისო ბანკებისა და ინსტიტუტების დირექტივების, ექსპერტიზებისა და პირდაპირ დაკისრებული ვალდებულებების საფუძველზე მიმდინარეობს“*[143].

141 https://bit.ly/3kYXmtj

142 http://bit.ly/3bBEHkf

143 http://bit.ly/3uAn0ZT

ნამოხვანის პროექტის გლობალურ ჭრილში დანახვა ასევე ცხადყოფს საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნების წინაშე მდგარ სტრუქტურულ წნეხებს. იმის ასახსნელად, თუ რატომ დებს საქართველოს მთავრობა ნამოხვანის მსგავს კაბალურ ხელშეკრულებებს საერთაშორისო კომპანიებთან, მკვლევარი გიორგი ცინცაძე საინვესტიციო კაპიტალის მოსაზიდად განვითარებად ქვეყნებს შორის გლობალურ კონკურენციას ასახელებს და ხსნის, რომ ინვესტორების მოსაზიდად განვითარებადი ქვეყნების მთავრობები ცდილობენ ინვესტორებისთვის საუკეთესო, თუმცა ადგილობრივად დამღუპველი პირობების შეთავაზებას:

> *„შედეგად, გლობალური კონკურენცია მონაწილე ქვეყნებში ეკოლოგიურ ნორმებს, გადასახადებს და უსაფრთხოების სტანდარტებს ქვემოთ და ქვემოთ, ფსკერისკენ ექაჩება“*[144].

ამ ანალიზს კიდევ უფრო აფართოებს ალექსანდრა არეშვილის ანალიზი, რომელიც არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების, არამედ გლობალური მასშტაბით საბაზისო ბუნებრივი, ეკონომიკური, კულტურული კვლავწარმოების განადგურებაზე, ან, როგორც თავად უწოდებს, „სიკვდილის წარმოებაზე“ საუბრობს. მისი თვალსაზრისით, ნამოხვანის პროექტიც სწორედ სიცოცხლეზე გლობალურად მიტანილი იერიშის ნაწილია:

> *„სიცოცხლე დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეტევის საგანია თანამედროვე დომინანტური ეკონომიკური და ტექნოლოგიური სისტემების მიერ. ყველაფერი, რაშიც სიცოცხლეა – და ეს არ არის მხოლოდ გარემო, და არ არის მხოლოდ ადამიანები, ასევე არის, როგორც გუშინ მაკა სულაძემ უთხრა მინისტრს, ის მიკროკლიმატი, რომელსაც ადამიანები გარემოსთან ერთად ქმნიან ხეობებში თავიანთი ცხოვრებით და ამაში იგულისხმება ის სოციალური ურთიერთობები და ადამიანური კომუნიკაციის ფორმები და კულტურაც, ადგილობრივი და ეროვნული სული, რომელიც ამ ხალხში და ამ გარემოში ერთად არსებობს, – აი, ეს მთლიანი სიცოცხლე, როგორც კომპლექსურობა, დღეს მთელ მსოფლიოში სასტიკი შეტევის საგანია. [„ნამახვანჰესის“ და] მსგავსი პროექტები არის სწორედ ეკონომიკური ზრდის იმპერატივს დაქვემდებარებული ფინანსური პროექტები და არა სხვა რამე, არა – ჰესი ან ენერგეტიკისსექტორი“*[145].

დაბოლოს, გლობალური იერარქიების კრიტიკა იმასაც მოიცავს, რომ „ნამახვანჰესის“ მსგავსი პროექტების დაგეგმვისა თუ განხორციელების შედეგად წარმოქმნილი უთანასწორობა არა მხოლოდ დიდ და პატარა, ძლიერ და პერიფერიულ სახელმწიფოებს შორის განსხვავებებზე, არამედ (და უფრო მწვავედ) ამ სახელმწიფოებს შიგნით კლასობრივ უთანასწორობაზეც მეტყველებს. მსგავსი კრიტიკა არა მხოლოდ ჰესის წინააღმდეგ მობილიზებისთვის, არამედ, ასევე, საერთაშორისო სოლიდარობების გამოსაკვეთადაც გამოიყენება:

144 https://socialjustice.org.ge/ka/products/rbola-fskerisken-namakhvanhesis-khelshekrulebis-kvaldakval?fbclid=IwAR2YmAqmEhM_cp4VSbksjIo4IQjjCHRrn_8RiJ3pAdsPl87fnoA2lEWhJSc

145 http://bit.ly/3vMKADu

„ერდოღანის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კაპიტალი, ნედლეულის მოსაპოვებელ პერიფერიად განიხილავს თურქეთის ყველაზე ღარიბ მხარეს და იგივე მიდგომას ახორციელებს საქართველოზეც. მაშასადამე, ბრძოლის ველის ნამდვილი სურათის დასანახად, აუცილებელია სოლიდარობა, რომლის საზღვრებიც არცერთ რუკაზე არაა დატანილი"[146].

მხარდაჭერის ზრდა, ბრძოლის დისკრედიტაციისგან დაცვა და მომიჯნავე სუბალტერნული ხმების საჯარო სივრცეში შემოსვლა

იანვრის ბოლოს დაწყებული რეპრესიების შემდეგ, მომდევნო თვეებში არნახულად იზრდება რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობისადმი სოლიდარობა. ერთი მხრივ, ეს სოლიდარობა აძლიერებს თავად მოძრაობას; მეორე მხრივ კი, რაც, ჩემი აზრით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამის შედეგად გაზრდილი საჯარო ხილვადობის ფონზე, მოძრაობა პირდაპირ თუ ირიბად, ამ ხილვადობას უზიარებს მომიჯნავე სუბალტერნულ ჯგუფებს, წინ წამოწევს რა და პოლიტიკურ დატვირთვას აძლევს მანამდე დახშულ პოლიტიკურ მოსაზრებებს. თავად რიონის ხეობის მცველები იანვრის ბოლოს, სოფელ ჟონეთში კარვების დარბევისა და სოფელ ნამოხვანში გადასვლის შემდეგ, ყველაზე მეტად ფიზიკურ მხარდაჭერას, კარვებში მორიგეობას ითხოვენ თანამოაზრეებისგან. სოფელ ნამოხვანში ისინი ქმნიან შესაბამის ინფრასტრუქტურას, ორგანიზებას უწევენ მორიგეობას და მართლაც, მომავალ თვეებში, ნამოხვანის კარვებში დასარჩენად მობილიზდება არაერთი ჯგუფი და ადამიანი. ნამოხვანის პროტესტის კერა გარდაიქმნება დისკუსიისა და საჯარო განხილვების სივრცედ. დამატებით, სიტუაციის გამწვავებისას, მიმდებარე სოფლებიდან და განსაკუთრებით ქუთაისიდან, სწრაფად მობილიზდება ასეულობით ადამიანი და ბოლოს, ქუთაისში წინასწარ დაანონსებულ, ისევე როგორც სპონტანურ აქციებზე, მომავალ თვეებში იკრიბება ათასობით და ზოგჯერ ათიათასობით ადამიანი – როგორც ადგილობრივად, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. თითოეული საპროტესტო აქციის შემდეგ, რიონის ხეობის მცველები მხარდამჭერებს მოუწოდებენ, მათთან ერთად დაბრუნდნენ და დარჩნენ ნამოხვანში (შემდეგ კი გუმათში) კარვებში სამორიგეოდ თუ აქციებზე განხილულ საკითხებზე უფრო ღრმა და ვრცელი დისკუსიისთვის.

თავად რიონის ხეობაში მცხოვრები ადამიანებისგან მხარდაჭერის გამოხატვა მნიშვნელოვანი ხდება მთავრობისა და „ენკასგან" წამოსული მარგინალიზაციის ერთ-ერთი სტრატეგიის წინააღმდეგ. ჰესის მომხრეები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მუდმივად ცდილობენ რიონის ხეობის მცველების რაოდენობრივი სიმცირის ხაზგასმას და აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჰესს მიესალმება, რომ მათ უკვე ნებაყოფლობით გაყიდეს საკუთრება. შესაბამისად, მათი მტკიცების მიხედვით, მცველები უბრალოდ ახირებული, ცალკეული ინდივიდები არიან, რომლებიც საკუთარ პოზიციას – სხვა რეგიონებიდან და თბილისიდან მობილიზებული მხარდაჭერის ფონზე – თავს ახვევენ

146 http://www.mautskebeli.ge/?p=942&fbclid=IwAR0WOFepZKcH8hZyjEcZbmkfUFa6Ej3dCBvgYLM6Dx1AKFgQXkdYatxYFnI

ადგილობრივ მოსახლეობას. სწორედ ამ დისკურსის საპირწონედ იზრდება ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების გამოხატვაც. ცხადი ხდება, რომ ქონების გასხვისება არაერთი ადამიანისა და ოჯახისთვის სულაც არ ყოფილა ნებაყოფლობითი არჩევანი. სოფელ მექვენას ერთ-ერთი მცხოვრები, მაგული ბანძელაძე, „მთის ამბებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სოფლის დატოვების შიშზე საუბრობს:

> *„54 წელია აქ ვცხოვრობ და სად უნდა წავიდე ახლა მე? გული მწყდება კი არა, ხანდახან რომ დავჯდები, ტირილი მერევა. ამ მიწას შევაბერდი და ვიდრე დატბორავენ, ვაზს მაინც მოვუვლი. უარზე ვიყავი, მაგრამ ძალით მომაწერინეს ხელი. სასამართლოზე გიჩივლებთო და შემეშინდა, სასამართლო რად მინდოდა“*[147].

სოლიდარობას გამოხატავს, ასევე, მიმდებარე სოფლების მოსახლეობაც. ტვიშელი მეღვინეები საუბრობენ ღვინის უნიკალური ჯიშისთვის და მისი წარმოებისთვის შექმნის საფრთხეებზე. ასევე, ლაჯანურის ხეობაში მეწყრის ჩამოწოლის დროს, ხეობის მცხოვრებლები უარს ამბობენ კომპანია „ენკას“ შეთავაზებული დახმარების მიღებაზე[148]. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ცაგერის მოსახლეობის გამოსვლები 5 მარტს, ცაგერის კულტურის სახლში ეკონომიკისა და გარემოს დაცვის მინისტრებთან გამართულ შეხვედრაზე. ეს ის შეხვედრაა, რომელიც პრემიერ-მინისტრის დავალებით უნდა გამართულიყო. მასზე თავად რიონის ხეობის მცველები არ გამოცხადებულან, რადგან პროტესტის ადგილზე, ნამოხვანში ელოდებოდნენ მინისტრებს, მინისტრებმა კი ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებით სცადეს მათი გვერდის ავლა და შეხვედრა ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩაატარეს. მაგრამ მინისტრებს ცაგერისა და მიმდებარე სოფლების მცხოვრები ადამიანები სცემენ პასუხს. მათთან დისკუსიაში შემსვლელი მოსახლეობა ამჟღავნებს პრობლემის შესაშურ და დეტალურ ცოდნას:

> *„ხელშეკრულება, რომელიც გასაჯაროვდა, ნამდვილად, ქვეყნისთვის დამღუპველია, თუ თქვენ, ქალბატონო მინისტრო, გველაპარაკებით ენერგოუსაფრთხოებაზე და ენერგოდამოუკიდებლობაზე, მაგ ხელშეკრულებაში გარკვევით წერია, რომ 15 წლის განმავლობაში წელიწადში 8 თვე ინვესტორი ტოვებს ელექტროენერგიას 6,2 ცენტად და გვექნება ყოველწლიური 3%-იანი ზრდა, ელექტროენერგია გვიძვირდება, ახლაც კი გაძვირდება ელექტროენერგია 3%-იანი ზრდით. ამის შემდეგ 15 წლის განმავლობაში არანაირი ვალდებულება არ გააჩნია ინვესტორს, რომ ელექტროენერგია დატოვოს, როგორ შეიცვლება მდგომარეობა, სად არის ენერგოდამოუკიდებლობა ამ ჰესის აშენების შემდეგ, გამეცით კონკრეტული პასუხი და მეორე, რას იღებს საქართველო 99 წლით ამ მიწის გადაცემით ინვესტორთან, რაში დასჭირდა სახელმწიფოს 99 წლით მიწის გაცემა“*[149].

147 https://www.facebook.com/watch/?v=1110973065994459

148 https://www.facebook.com/watch/live/?v=273758020993170&ref=notif&notif_id=1617016931272071&notif_t=live_video_explicit

149 https://www.facebook.com/watch/?v=155126779763460

რაც კიდევ უფრო საინტერესოა, გამომსვლელები მინისტრებს ზედაპირულობაში, გულგრილობაში, საკუთარი მოქალაქეების მიმართ ქედმაღლურ პოზიციონირებაში ამხელენ. განსაკუთრებული სიმკაცრით პასუხობენ მინისტრების ბრალდებას, თითქოს რიონის ხეობის მცველები ან მათი თანამოაზრეები ვინმესგან მართული ან მანიპულირებული ადამიანები არიან:

> *„მთავარია მიდგომა ხელისუფლებისა რიგითი მოსახლეობისადმი. როცა თქვენ, მინისტრები, გუშინ განცხადებას აკეთებთ, რომ არის ჯგუფები, რომლებიც თამაშობენ ადგილობრივების გრძნობებზე, მაშინ დაასახელეთ, ვინ არიან ეს ჯგუფები და თან არ ამბობთ იმას, საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია, შეიძლება ითქვას, ეს ზემოდან ყურებაა. არავის ჭკუაზე, არავის დეზინფორმაციაზე ადგილობრივი მოსახლეობა ამას არ აკეთებს და იქ ვინც იყო მოსული ქუთაისში, იყო მაქსიმუმ 80%, რომელიც არც „ოცნების“ მხარდამჭერია, არც ე.წ რევოლუციის, იქ გამოვიდა ხალხი გულით, რომელსაც თავისი სამშობლოს სიყვარული დღემდე აქვს შენარჩუნებული ყოველგვარი ანგარების გარეშე“*[150].

> *„მე პირადად ვიყავი იმ აქციის მონაწილე, რომელიც „ნამახვანჰესის“ წინააღმდეგ გაიმართა და არავის უთხოვია ჩემთვის იმ აქციაზე მისვლა, არავის ინტერესებს არ ვიცავ, ჩემი ინტერესების გარდა“*[151].

სწორედ მსგავსი პრინციპული, ღირსეული, გონიერი და უშიშარი პოლიტიკური ხმების ამოტანა და ამ ხმებისთვის – დროებით მაინც – საჯარო ხილვადობის მინიჭება არის რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის დამსახურებაც და სიძლიერეც. სუბალტერნული ჯგუფების საზრუნავის გახმოვანების კიდევ ერთი და უკიდურესად მნიშვნელოვანი მაგალითი ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეების, განსაკუთრებით კი, ზრუნვის სფეროში ჩართული მიგრანტი ქალების აგენტობის გამოვლენაა. სწორედ ამ პერიოდში იწყებენ საქართველოდან წასული მიგრანტი ქალები, ერთი მხრივ, მცველებისთვის სახსრების მობილიზებას, მეორე მხრივ კი, თავად მობილიზდებიან, ქმნიან ფეისბუკჯგუფებს და მხარდამჭერ აქციებს მართავენ ევროპის უამრავ ქალაქში. პარიზი, ტულუზა, სტრასბურგი, ბერლინი, ფრაიბურგი, ესენი, იერუსალიმი, ვილნიუსი, ბარსელონა, ბურგოსი, ათენი, ლონდონი, დუბლინი, ამსტერდამი, როტერდამი, ჰაარლემი იმ ქალაქების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, სადაც მიგრანტებს 2021 წლის აპრილის ბოლოს უკვე ჩატარებული აქვთ არაერთი სოლიდარობის აქცია[152]. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოძრაობაში ჩაბმა უნიკალური მოვლენაა მიგრანტებისთვის, განსაკუთრებით მიგრანტი ქალებისთვის, რომელთა პოლიტიკური ხმა საქართველოს 30-წლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე ძალიან იშვიათად, ან არასდროს ისმის ქართულ პოლიტიკურ ველში. ერთი მხრივ, მიგრანტები ამ ჩართულობით გამოხატავენ ქვეყანასთან კავშირის შენარჩუნების სურვილს, ცდილობენ არ დაკარგონ ის ფასეულობები, რაც წასვლისას სამშობლოში დატოვეს, მეორე მხრივ კი, მოძრაობაში ჩართვა მათთვის საკუთარი მომავლის საქა-

150 https://www.facebook.com/watch/?v=535641564076085

151 https://www.facebook.com/watch/?v=155126779763460

152 https://cutt.ly/QvANWIG

რთველოსთან დაკავშირების მცდელობაცაა: სურთ დაბრუნდნენ ისეთ ქვეყანაში, სადაც ისევ შესაძლებელი იქნება მომავლისა და იმედის ქონა, რასაც მათ სწორედ რიონის ხეობის მოძრაობა უღვივებს.

ამავდროულად, გრძელდება ხეობის მცველებისთვის სოლიდარობის გამოცხადება საქართველოს არაერთი რეგიონიდან. როგორც წინა თვეებში, მათ ისევ სოლიდარობას უცხადებენ სხვა რეგიონებში ჰესის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები. ზოგ შემთხვევაში, მსგავსი ჯგუფები თავადაც იწყებენ მცველების სტრატეგიის – კარვებში ღამისთევის – გამოყენებას[153]. ამ ეტაპზე, დამატებით, რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობას სოლიდარობას კიდევ უფრო მრავალფეროვანი ჯგუფები უცხადებენ: ბუნებისა და შრომის სასტიკი ექსპლუატაციის წინააღმდეგ ტრადიციულად მებრძოლი მშრომელთა ჯგუფები, როგორიცაა ჭიათურის მაღაროელები[154]; ასევე, შრომის ექსპლუატაციისა და პრეკარულობის ახალი ფორმების პირობების წინააღმდეგ მებრძოლი – ვოლტის, გლოვოსა და ბოლტის კურიერები[155]. ამავე პერიოდში, ნელ-ნელა, სხვადასხვა საერთაშორისო სოლიდარობის გაჟღერებაც იწყება, იქმნება ცოდნა და იწერება სტატიები ინგლისურ, ისევე, როგორც სხვა ევროპულ ენებზე[156]. რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლის მიმართ მხარდაჭერას გამოთქვამს ევროპული პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი, „მწვანეების“ წევრი ჰაიდი ჰაუტალა, რომელიც მხარდაჭერას უცხადებს „ნამახვანი ჰესის“ წინააღმდეგ პროტესტს და აღნიშნავს, რომ მიესალმება *„საქართველოს მოსახლეობის ამ ახალი სახის მობილიზაციას ჩამორჩენილი და დესტრუქციული ეკონომიკური მოდელის წინააღმდეგ“*[157].

მოძრაობას მხარს უჭერენ პატარა სამოქალაქო ჯგუფებიც სხვადასხვა ქვეყნიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქეთის მწვანეების განცხადება, რომელიც, ქართველი მემარცხენე აქტორების ნაცვლად, მიანიშნებს სოლიდარობისთვის ერი-სახელმწიფოს საზღვრების შეზღუდულობაზე და ხაზს უსვამს საზღვრებს მიღმა კლასობრივი სოლიდარობის საჭიროებაზე.

> *„ჩვენ არ გავჩუმდებით იმის შემყურე, თუ როგორ აწერენ ხელისუფლებები ხელს მორიგ კორუფციულ, დახურულ კარს მიღმა გადაწყვეტილ, კერძო კაპიტალის ინტერესების დაქვემდებარებულ, პროექტებს. ჩვენ ვერ გავჩუმდებით მორიგი ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ!“*[158]

153 https://bit.ly/399x2rT

154 https://business.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/photos/pcb.184485430157605/184484540157694/?type=1&theater

155 https://business.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/photos/a.103815984891217/179100710696077/?type=3&av=102201981719284&eav=AfZKkp5njjiT4duevzmXqcNjv9sFEy9GrMzcEYDpSnLfWZOivi1aQrYLjfMQHLH3pRw

156 https://www.dinamopress.it/news/dalla-georgia-politica-energetica-dal-basso/?fbclid=IwAR2SOsAXWX9dxutlZlCRBP3222f-8JNMki13hKFiM-4-JVhQryL59oYn6ug

157 https://business.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/photos/a.103815984891217/183227666950048/?type=3&av=102201981719284&eav=AfYKbvYz7d-Rs_cc4RlFwJgUkYxbcrKZNK2n8BnLg98S9a-hxBcg5lF0831hqcvg9u0

158 https://business.facebook.com/yesillerpartisi/photos/a.338081144304987/459387062174394/?type=3&av=102201981719284&eav=AfYlN38mpqGVkg_RN9ELAxREZIvXY0LhykIOWMIn7AiTfabv0HY7jksXj3WiZHvuSbI

ეს მრავალფეროვანი მხარდაჭერა არ შემოიფარგლება არც მხოლოდ სოლიდარობის გამოცხადებით და არც ფიზიკურად რიონის ხეობასა თუ ქუთაისში აქციებზე ყოფნით. მხარდაჭერის ერთ-ერთი საგულისხმო ასპექტი რიონის ხეობის მცველების მიერ მთავრობის, „ენკასა“ და ჰესის ლობისტებისგან მომავალი დისკრედიტაციისგან სისტემატური დაცვაა. მცველებს დარტყმებს არიდებენ და ამ დარტყმებისგან იცავენ, ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების შედარებით უფრო დამკვიდრებული, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე აქტორები, მეორე მხრივ კი, უფრო სუბალტერნული ჯგუფებიც. მოძრაობა „ხმის“ (ხალხი მართალს ამბობს) მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში, „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი. მანანა ქოჩლაძე მცველებისთვის ქსენოფობიის დაბრალების აბსურდულობაზე საუბრობს:

> *„მე პირველად გავიგე ცხოვრებაში, რომ თუ ინვესტორის ეროვნულ წარმოშობას ასახელებ, ეს ყოფილა ქსენოფობია. 25 წელია საერთაშორისო ორგანიზაციებში ვმუშაობ, 25 წელია სხვადასხვა, ასეთი პროტესტების დროს ვმუშაობ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მართლა პირველად გავიგე ასეთი რამ. როცა ადამიანი ამბობს 'მე ვიცავ ჩემი მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწას' – ეს არის იმ ადამიანის იდენტობა. ჯერ ერთი, ასეთი გამოთქმა არსად ქსენოფობიად არ ითვლება. მეორეც, ადამიანის იდენტობებთან თუ ბრძოლას დავიწყებთ, არ ვიცი, სად დავასრულებთ“*[159].

„მწვანე ალტერნატივის“ სხვა წარმომადგენელი, ირაკლი მაჭარაშვილი ასევე უპირისპირდება მცველების რელიგიურობისთვის განკითხვას და ხაზს უსვამს, რომ ჯვრის აღმართვით საჯარო სივრცის დაცვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის თბილისში, მოქალაქეების ერთ-ერთი სტრატეგიაა იმ პირობებში, როცა საჯარო სივრცეების პრივატიზაციას ადამიანები სხვა სახის პოლიტიკური მობილიზაციით ვერ აჩერებენ:

> *„საჯარო სივრცეების დასაცავად, მოქალაქეებს სახელმწიფო მხოლოდ ამ გზას უტოვებს. თბილისში ბევრგან ნახავთ ასეთ სურათს – მოქალაქეები მწვანე სივრცეებს ასე იცავენ ახალი კორპუსების შემოტევისგან. იმედია, ამასაც არ დაუკავშირებს თურქეთის ელჩი მის სახელმწიფოსთან ბრძოლას“*[160].

მოძრაობის დასაცავ განცხადებებს აკეთებენ უფრო მარგინალიზებული, როგორც ხშირად უწოდებენ ხოლმე – უმცირესობის – ჯგუფებიც. ნათია თურნავას მიერ ჰომოფობიის ბრალდების გაჟღერების შემდეგ, ქვიარ უფლებების დამცველი ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობა“ არა მხოლოდ სოლიდარობას უცხადებს მცველებს, არამედ ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლას საკუთარ ბრძოლასთანაც აკავშირებს:

> *„მიგვაჩნია, რომ არსებული პროტესტი არის ჩვენი ბრძოლაც. ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ბიზნესინტერესებს დანარჩენი მოსახლეობის ინტერესებზე მაღლა აყენებს, ისევე მოქმედებს და რიყავს ლგბტქ+, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას“*[161].

159 http://bit.ly/3vFpfM2

160 https://business.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/photos/a.103815984891217/174624327810382/?type=3&av=102201981719284&eav=AfbOug2snt38lBxRmMkiGo0OmptilLkkewKc0zTGehM7M40L-_Cn4hW-abgDwmxZmPM

161 https://business.facebook.com/equalitymovementgeorgia/photos/a.222036087852273/367874959551422 1/?type=3&av=102201981719284&eav=AfbI0igJSgI9vKNoy5xQsJT492jQscSQFm9Ui03-v2GCQDgqzVvaljZ-jxcq79poXyE

მცველებს ქსენოფობიურობის ბრალდებიდან იცავენ პანკისელი თემის წევრებიც: „პანკისელებმა ჩვენს თავზე განვიცადეთ ის ტკივილი, რასაც დღეს რიონის ხეობის მცხოვრებლები განიცდიან და სოლიდარულები ვართ!"[162] და მიანიშნებენ იმაზეც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მსგავს ბრძოლებში ჩართულობა თავად ეთნიკური ნიშნით მარგინალიზებული ჯგუფებისთვის ამ მარგინალიზების გადასალახად:

> *„მე დღეს ვარ ქართველი! და იცით, რატომ? იმიტომ რომ მტკივა, ქართული მიწა რომ იყიდება!"*[163]

ამავე პერიოდში იზრდება ნამოხვანის ბრძოლაში მემარჯვენე, ან ზოგჯერ ცხადად გამოხატული ულტრამემარჯვენე თუ ულტრანაციონალისტური ჯგუფების მხარდაჭერაც. მართალია, ამ კვლევის ფარგლებში ულტრამემარჯვენე ჯგუფების შიგნით მიმდინარე ცოდნის წარმოებასა და მობილიზაციაზე გაცილებით ნაკლები ითქმის, ვიდრე სხვა ჯგუფების შესახებ, მაგრამ იმის ხაზგასმა ნამდვილად არის შესაძლებელი, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები რეგულარულად ჩნდებიან ხეობაშიც და დიდ აქციებზეც და განსაკუთრებით ერთ-ერთი მედიაპლატფორმის – „ალტ-ინფოს" საშუალებით, გარკვეულ ეტაპზე სისტემატურად ფარავენ ნამოხვანში მიმდინარე ბრძოლას. ისინი გადაცემაში ეპატიჟებიან როგორც ვარლამს, ისე სხვა დაინტერესებულ პირებს და ზოგჯერ – როგორც, მაგალითად, ლევან ვასაძესთან ინტერვიუში – სისტემატურად და კრიტიკულად აანალიზებენ ხელშეკრულებას და პროექტის სხვა ასპექტებსაც. მაგრამ ამ პერიოდში უკვე იკვეთება ისიც, რომ ზოგიერთი ულტრამემარჯვენე ჯგუფის პოლიტიკური დღის წესრიგი განსხვავებულია, არსებითად სხვაა ან ეწინააღმდეგება რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის მიზნებსა და ბრძოლის ფილოსოფიას. როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ამ ჯგუფების წარმომადგენლები იწყებენ ნამოხვანის ბრძოლის ირგვლივ პოლიტიკური დღის წესრიგირს შექმნას, მაგალითად, აქციების დაანონსებას ბრძოლის ადგილობრივ ლიდერებთან შეუთანხმებლად. შესაბამისად. სწორედ ამ პერიოდში და მომავალ თვეებში, მოძრაობის ლიდერები უფრო და უფრო მეტად გამოკვეთენ ბრძოლის ჩარჩოებს და ემიჯნებიან სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფების (მათ შორის, პარტიების) ინტერესებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთარი ავტონომიურობის დადასტურება მნიშვნელოვანი ხდება ხეობის მცველებისთვის უკვე 2021 წლის მარტსა და აპრილში და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება თბილისის აქციების დაანონსების შემდეგ.

162 https://www.facebook.com/watch/?v=478090073606510
163 https://www.facebook.com/watch/?v=478090073606510

6. სოლიდარობის და პოლიტიკური ნარატივის გაფართოება დისკრედიტაციის მანქანის ამუშავების ფონზე (24 აპრილი – 5 ივლისი)

აპრილის ბოლოს ცხადი ხდება, რომ მთავრობისა და „ენკასგან“ წამოსული ცრუ მოლაპარაკებების მცდელობებმა თავი ამოწურა. ამ პერიოდში, უკვე გუმათში დაბანაკებული რიონის ხეობის მცველები აანონსებენ აქციებს თბილისში. თბილისის აქციების სამზადისში ისინი კიდევ უფრო აზუსტებენ საკუთარი ბრძოლის ფილოსოფიას ამ პერიოდის მადისკრედიტირებელ დისკურსებთან გამიჯვნით. გარდა ამისა, იწყებენ დამატებითი ალიანსებისა და სოლიდარობის ქსელის მობილიზებას, სტუმრობენ ჭიათურას, სადაც მოშიმშილეთა აქცია მიმდინარეობს და მართავენ აქციებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. თბილისის აქციების პერიოდში, მოძრაობის მიმართ გამოხატული კიდევ უფრო გაფართოებული და კომპლექსური მხარდაჭერის, შეიძლება ითქვას, მოძრაობის პიკური სიძლიერის ფონზე, მთავრობა და კომპანია „ენკა“ რადიკალურად ცვლიან საკუთარ სტრატეგიებს. მთავრობა, ერთი მხრივ, წყვეტს მოძრაობის წინააღმდეგ დისკრედიტაციის მექანიზმების უშუალოდ გამოყენებას – თავად მთავრობის წარმომადგენლები პირდაპირ აღარ საუბრობენ მოძრაობის ჩამორჩენილობასა და რუსეთის აგენტობაზე. თუმცა, დისკრედიტაცია ამ პერიოდში სხვაგვარად ღრმავდება და ძირითადად უკვე მეინსტრიმული მედიისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან მოდის. მეორე მხრივ, მთავრობა იწყებს ამ პროექტთან მიმართებით დაშვებული შეცდომების საჯარო აღიარებას და მოძრაობასთან მოსალაპარაკებლად ევროკავშირის ენერგოგაერთიანების წარმომადგენლებს იწვევს. „ენკას“ პიარსვლები მოძრაობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ და განსაკუთრებით აქტიურია მაისის თვეში, სანამ თბილისის აქციები დაიწყება. ამ დროს, ჩვენამდე აღწევს ინფორმაცია, რომ „ენკა“ უკავშირდება სხვადასხვა, შედარებით ცნობილ ხელოვანს და ხეობაში მიმდინარე პროცესის მათთვის სასურველ ჩარჩოში ასახვის სანაცვლოდ, მნიშვნელოვან ანაზღაურებას სთავაზობს. გარდა ამისა, იმართება გაუხმაურებელი, დახურული და არაფორმალური შეხვედრები თბილისის ელიტურ, საუნივერსიტეტო თუ კულტურულ წრეებთან „ენკას“ მენეჯერის, მერაბ ლომინაძის მონაწილეობით, რომელთა მიზანიც თბილისის აქციებამდე პროექტის პოპულარიზაცია და პროტესტის მონაწილეთა მიმართ ამ ჯგუფების უარყოფითი განწყობის შექმნაა. ივნისის დასაწყისიდან კი, მას შემდეგ, რაც პროცესში ევროკავშირის ენერგოგაერთიანება ერთვება, „ენკა“ თითქმის ბოლომდე წყვეტს საჯარო სივრცეში პოზიციონირებას. როგორც მთავრობა, მოძრაობის დისკრედიტაციის მისიას „ენკაც“ უკვე სხვა, უფრო წვრილ აქტორებს უტოვებს. თავად მოძრაობისთვის ეს არის პერიოდი, როცა თავად ადგილობრივი ლიდერები, მაგრამ ასევე მოძრაობაში ჩართული სხვა ჯგუფები უკვე მოიმკიან გრძელვადიანი შრომის შედეგებს და მოიპოვებენ ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერას, სოლიდარობების გაფართოებას, „ნამახვანჰესის“ პროექტის პრობლემების მედიასა და საჯარო სივრცეში მუდმივ გაჟღერებას, თუმცა, მოძრაობის სიძლიერის ეს პიკური პერიოდი თავის თავშივე მოიცავს მისი შენელების, მნიშვნელოვნების შემცირების დასაწყისსაც. ბრძოლის ფილოსოფიის კრისტალიზაციის პარალელურად, რეპრესიის დინამიკის დასტაბილურებისა და ივნისიდან მშენებლობის დე ფაქტო შეწყვეტის ფონზე, ასევე სტაბილურდება და განმეორებითი ხდება პროტესტის ძირითადი რეპერტუარიც. იხვეწება და გამუდმე-

ბით გამოითქმის პროექტის წინააღმდეგ არსებული არგუმენტაცია, თუმცა, ნაკლებად იქმნება ახალი ანალიზი და არგუმენტები: სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღმასვლის პერიოდი ასევე პროტესტის თავისებური სტაბილიზაციის და საჯარო სივრცეში პროტესტის მნიშვნელობის შემცირების დაწყების, ანუ დაღმასვლის პერიოდიცაა.

სახელმწიფოს მოჩვენებითი უკანდახევა, ღიბერალური კონსენსუსი და დისკრედიტაციის დიფუზია

რიონის ხეობის გადარჩენისთვის დაწყებული მოძრაობის ზრდისა და მის მიმართ უპრეცედენტოდ გაზრდილი საჯარო მხარდაჭერის ფონზე, მთავრობა მაისის თვეში უმეტესწილად წყვეტს ხეობის მარგინალიზაციის საჯარო მცდელობებს და თბილისის აქციებს მდუმარედ ელოდება. მთავრობის წარმომადგენლები ძალიან იშვიათად აკეთებენ ნეგატიურ შეფასებებს. მაგალითად, თბილისის აქციების მიმდინარეობისას, პრემიერი ღარიბაშვილი მცველებს მხოლოდ ულტიმატუმის ენაზე საუბარს უწუნებს და აცხადებს, რომ ასეთი მიდგომა 90-იანი წლების გადმონაშთია[164]. მცველებს ასევე უწუნებენ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის ღონისძიებებზე დასწრების ნაცვლად, მოსახლეობისთვის „ნამახვანჰესის" პროექტის წინააღმდეგ გამართული აქციების დასწრებისკენ მოწოდებას, მაგრამ მსგავსი კრიტიკული შენიშვნები გაცილებით მსუბუქია წინა თვეებში ღიად მიმართულ დისკრედიტაციასთან შედარებით. მაისის აქციების შემდეგ, მთავრობის წარმომადგენლები საჯაროდ და პირდაპირ იწყებენ დაშვებული შეცდომების აღიარებას და პროექტის დაცვის მაგივრად, მის შეცვლაზე საუბარს. 10 ივნისს, პრემიერი ღარიბაშვილი პასუხისმგებლობას ირიდებს პროექტთან დაკავშირებით და პირობას დებს, რომ არსებული პირობებით ჰესი არ აშენდება:

> *„ნამახვანჰესის პრობლემა მე მემკვიდრეობით დამხვდა. ასევე მინდა გითხრათ, რომ ამაზე მე აქტიურად ვმუშაობ. იმ პირობებით, რა პირობებითაც ახლა ეს პროექტი არის, 100 წელი და ა.შ., მე შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი პირობებით ჩვენ არ გავაგრძელებთ პროექტს. ჩვენ ინვესტორს ველაპარაკებით და დიდი იმედი მაქვს, რომ ინვესტორს დავითანხმებთ, ჩვენი ქვეყნის სასიკეთო ინტერესებზე რომ წამოვიყვანოთ და კიდევ უფრო უკეთესი პირობებით ავაშენოთ ეს პროექტი, რომელიც იქნება საუკეთესო ინტერესების გამტარებელი მოსახლეობისთვის, მათ შორის, „ნამახვანჰესის" მოწინააღმდეგე მოქალაქეებისთვის"*[165].

რამდენიმე დღეში, პრემიერს ეკონომიკის მინისტრი თურნავაც უერთდება და, ფაქტობრივად, უკან იხევს, იმის გათვალისწინებით, რომ იქამდე პროტესტის მონაწილეთა მიერ პროექტის სიკეთეების გაუაზრებლობის მიზეზად მათი დაბალი ცნობიერების მოყვანის არგუმენტს გარკვეული აღიარებით ანაცვლებს, აბრალებს რა არსებულ ხარვეზებს მთავრობის გამოუცდელობას:

164 https://publika.ge/ultimatumit-saubari-bneli-90-iani-wlebis-gadmonashtia-gharibashvili-namakhvanhesis-protestze/?fbclid=IwAR3lGS0zubALacmaGJetMhSV3qp4OkKPrUwHbA-jgrT0K-Te2KfvpSpKZZ8

165 https://cutt.ly/unTlg8D

„ჩვენ მართლაც ვნახეთ, რომ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი არის საკმაოდ პრობლემატური და იწვევს სხვადასხვა კითხვებს მოსახლეობაში. აქამდე არ გვქონია ასეთი მსხვილი ენერგეტიკული პროექტის განხორციელების გამოცდილება. რამდენი ათწლეულია, ასეთი დიდი ობიექტი არ აშენებულა. აქედან გამომდინარე, ჩვენც ვსწავლობთ გზადაგზა, თუ როგორ შეიძლება დაიხვეწოს აქ კანონმდებლობა“[166].

მთავრობის საჯარო დისკურსის ასეთი რადიკალური ცვლილება იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ აღიქვა წინააღმდეგობის ძალა და მოსახლეობის პროექტის წინააღმდეგ განწყობილ ნაწილთან ღიად დაპირისპირებას პროცესის დეესკალაცია ამჯობინა. თავად კომპანია „ენკა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივნისიდან ფაქტობრივად წყვეტს საჯარო სივრცეში პოზიციონირებას და მშენებლობასაც აჩერებს. ხეობაში რეპრესიული პოლიტიკა გრძელდება, თუმცა მას აღარ გააჩნია სენსაციური ან დამატებით ესკალაციური სახე. ევროკავშირის ენერგოგაერთიანების მოწვევა მედიაციისთვის მთავრობის მხრიდან პირდაპირი კონფრონტაციის დასრულებისა და პროცესის დეესკალაციის სურვილზე მიანიშნებს, თუმცა ეს საჯარო პოზიციონირება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობას მართლაც აქვს პროექტის შეწყვეტის ან მნიშვნელოვნად შეცვლის სურვილი თუ შესაძლებლობა და არც დისკრედიტაციის შენელებას მოასწავებს. მთავრობა ხედავს, რომ მოძრაობის ღია მარგინალიზაციის პროცესში მარცხი განიცადა და პროექტის მიმართ მცირე საჯარო მხარდაჭერაც დაკარგა. ამიტომ, ის აღარ უნდა იყოს დისკრედიტაციის პირდაპირი აგენტი და ამ როლს სხვა აქტორებს უთმობს, ანუ იწყება დისკრედიტაციის აგენტების დიფუზია. მთავრობის ამ შემობრუნების ფონზე, რეალურად, ამ პერიოდში, ყველაზე მეტად მწვავდება და განსაკუთრებით მახინჯ სახეს იძენს მოძრაობის დისკრედიტაციის სხვა არხებიდან წამოსული მცდელობები. მთავრობასთან დაახლოებული თუ ოპოზიციური მედიასაშუალებები იმდენად ცხადად მიკერძოებულ გადაცემებს ამზადებენ, განსაკუთრებით კი, მაისის აქციების ჩატარებამდე, რომ „მწვანე ალტერნატივამ“ ეთიკის ქარტიასაც კი მიმართა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში მცდარი ინფორმაციის გავრცელებისა და ეთიკური ნორმების დარღვევების შესახებ[167]. თვეების შემდეგ, ეთიკის ქარტიამ მართლაც გააკეთა განცხადება, რომელშიც ჟურნალისტები ქარტიის პრინციპების დარღვევასა და ფაქტების განზრახ დამახინჯებაში დაადანაშაულა[168].

ამ პერიოდში მოძრაობის დისკრედიტაციას ორი პროცესი ასაზრდოებს: ერთი მხრივ, ქართული პოლიტიკური ელიტებისა და მათთან მიბმული მედიების **„ლიბერალური კონსენსუსი“**, ანუ ლიბერალური განვითარების პოლიტიკის, რესურსების პრივატიზაციისა და კერძო ინვესტორების ინტერესების დაცვის ირგვლივ პოლიტიკური ელიტების შეხედულებების სრული თანხვედრა; მეორე მხრივ კი, ულტრამემარჯვენე ჯგუფების გამძაფრებული მცდელობა, პროტესტი ან საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციონ, ან მოძრაობას მხარდაჭერა წაართვან.

166 https://bit.ly/3gu10tl

167 https://greenalt.org/mwvane-alternativam-etikis-qartias-eka-mishveladzisa-da-aleqsi-petriashvilis-winaaghmdeg-ganckhadebit-mimarta/?fbclid=IwAR21UZWZoUJyyaV4LdDEoi3epZWZ68b6Bd4cVpMHDXhACuxqS0PQM-nR2Mg

168 https://publika.ge/namakhvanhesis-shesakheb-gadacemashi-tv-pirvelis-wamyvanebma-qartiis-principebi-daarghvies-qartia/?fbclid=IwAR1jGkH_-rKiGvAU-GTvPeRfkf-e8pQ-XBr44gsyrM3KWXpaY7xODg446js

ქართული პარტიული ოპოზიციური სპექტრის უდიდესი ნაწილი რომ რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობას მხარს არ უჭერდა, აქამდეც ცხადი იყო, თუმცა, 2021 წლის მაის-ივნისში, უკვე სრული სიცხადით იკვეთება ოპოზიციური აქტორებისა და მათი მედიების სიახლოვე მთავრობის ცენტრალურ პოზიციებთან. გამონაკლისია მაისის თვეში ოპოზიციური მედიის მხრიდან რიონის ხეობის ბრძოლის შედარებით დიდი დაფარვა, რაც შეიძლება მოასწავებდეს ოპოზიციური პოლიტიკური აქტორების მხრიდან იმედის ქონას, რომ შეძლებდენ ნამოხვანის ირვლივ მობილიზებული მხარდაჭერის ოპოზიციის მიზნებისთვის გამოყენებას. თუმცა, როგორც კი ხეობის მცველების პარტიულ პოლიტიკასთან დისტანცირება ცხადი და მყარი ხდება, ოპოზიციური მედია, ისევე როგორც სამთავრობო მედია, ერთიანად ერთვება ბრძოლის მრავალმხრივი დისკრედიტაციის პროცესში. მოქმედი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები, ერთადერთი გამონაკლისი აქტორის – ანა დოლიძის – გარდა, სისტემატურად გმობენ პროტესტს ან ირიდებენ პასუხისმგებლობას. ყოფილი პრემიერი და „ნამახვანჰესის“ პროექტის ერთ-ერთი ხელმომწერი, გიორგი გახარია აცხადებს, რომ საერთოდ არ ახსოვს ეს კონტრაქტი და რომ, მისი აზრით, ეს ხელშეკრულება სხვა, მსგავს კონტრაქტებზე უარესი არც ყოფილა[169].

„ლიბერალური კონსენსუსის“ ყველაზე ცხადი გამოხატულება გიგა ბოკერიას პოზიციაა: მაისის აქციების მიმდინარეობის პერიოდში, სწორედ იმ დროს, როცა ოპოზიცია ხვდება, რომ მოძრაობა ოპოზიციის მხარდამჭერად არ და ვერ გადაიქცევა, ბოკერია მოსახლეობას პირდაპირ მოუწოდებს, არ შეუერთდეს „ნამახვანჰესის“ წინააღმდეგ პროტესტს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბოკერია მცველებს ჰეგემონიური ლიბერალური კონსენსუსის – ერთი მხრივ, კულტურული მიმღებლობის პოლიტიკის, მეორე მხრივ კი, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის – დარღვევაში, ამ კონსენსუსთან წინააღმდეგობაში ადანაშაულებს:

> *„სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ამ პროტესტის მთავარი გზავნილი, სულისკვეთება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ეს არის, ერთი მხრივ, ბრძოლა და კამპანია უცხოური ინვესტიციების წინააღმდეგ, უმრავლესობისაგან კამპანია მიუღებლობის და სიძულვილის განსხვავებული ადამიანების წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, კამპანია კერძო საკუთრების და თავისუფალი ეკონომიკის წინააღმდეგ – და არა კამპანია მთავრობის კორუფციისა ან ზოგადად მთავრობის წინააღმდეგ“*[170].

სწორედ ამ დროს, დამატებით იწყება პროტესტის დისკრედიტაციის მცდელობა განსაკუთრებით ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან. უნდა ითქვას, რომ მოცემულ კვლევას არ გააჩნია ცხადი მტკიცებულებები, პირდაპირ თქვას, რომ ეს ჯგუფები მთავრობის მიერ მართული არიან, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მოვლენისას, მათ შესაძლო ალიანსზე მუდმივად მიდის საუბარი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წრეებში და რამდენადაც არსებული კვლევები ცხადყოფს, წინა წლებში, ულტრამემარჯვენე ჯგუფების კონტრმობილიზაცია გაჩენილი სოციალური პროტესტის სამართავად მთა-

169 https://bit.ly/2RVczlp

170 https://netgazeti.ge/news/543961/?fbclid=IwAR0hPht7rMG2ZsZrd56WsahCVIn3sBRoR1DQKHiljBGfom-zWfNAigt-IqY

ვრობამ არაერთხელ გამოიყენა[171]. მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ჯგუფები ახლოს არიან ოფიციალურ ეკლესიასთანაც. ულტრამემარჯვენე ჯგუფები ჯერ კიდევ იანვრიდან გვევლინებოდნენ მოძრაობის მხარდამჭერებად, თუმცა, დროთა განმავლობაში, როცა ცხადი გახდა, რომ მოძრაობის ლიდერები ულტრამემარჯვენე დღის წესრიგთან და, განსაკუთრებით, მათ პოლიტიკურ ამბიციებთან დაახლოებას არ აპირებენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მაისის ბოლოს, ხეობის მცველებს პარტია „ქართული იდეის“ ლიდერებთან, მამა-შვილ ფალავანდიშვილებთან მოუწევთ შელაპარაკება, ულტრამემარჯვენე ჯგუფები სისტემატურად იწყებენ რიონის ხეობის დისკრედიტაციას. თუ მაისის თვეში დისკრედიტაცია უფრო მსუბუქია და ძირითადად გამოიხატება სოციალურ ქსელში სხვადასხვა გვერდის მომრავლებაში, რომელიც რიონის ხეობის სახელით საუბრობს ან მცველებს, განსაკუთრებით, ვარლამ გოლეთიანს ეროვნულ გმირად აფეტიშებს, რაც, თავისთავად, ასევე სტიგმატიზაციის მექანიზმი იყო, – ივნისის დასაწყისიდან, იგივე ჯგუფები იწყებენ მოძრაობაზე ორგანიზებულ შეტევას. დისკრედიტაციის მთავარი სარჩული ამ შემთხვევაში მცველების ლიბერალურ ელიტებთან სიახლოვის წარმოჩენა, მათი „სოდომისტებთან ერთად მდგომებად“ შერაცხვაა. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მედიით მსგავსი შეფასებების ტირაჟირებაში ეს ჯგუფები მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებსაც დებენ[172].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ პერიოდში ღრმავდება მცველების ლიბერალურ-კონსერვატიულ ჩიხში მომწყვდევა. ოპოზიცია მცველებს კონსერვატიულობაში ადანაშაულებს, ულტრამემარჯვენეები კი – ლიბერალობაში. ამ მომწყვდევის შედეგებს რიონის ხეობის გადარჩენისთვის ფართო მოძრაობა კულმინაციურად უკვე „თბილისი პრაიდის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების დროს, ივლისის დასაწყისში იწვნევს.

ადგილობრივი პროტესტის ფილოსოფია: ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად

2021 წლის მაის-ივნისი რიონის ხეობის მცველების ხილვადობის ყველაზე მეტად გაზრდისა და მათი ბრძოლის ფილოსოფიის კონსოლიდაციის პერიოდია. მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი შეფასებით, ივლისის დასაწყისში მცველები კონკრეტული გადაწყვეტილებით საკუთარი ფილოსოფიის წინააღმდეგ წავლენ და ვერ მოახერხებენ კონსერვატიულ-ლიბერალური ჩიხისგან თავის დაღწევას, მაის-ივნისის თვეებში მათ მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური ხედვები, შეიძლება ითქვას, საქართველოში პოლიტიკური ფიქრის განვითარებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა. როგორც ვთქვით, თბილისის აქციებისთვის მზადების პერიოდში – აპრილის ბოლოდან მაისის ბოლომდე, ხეობის მცველები სოლიდარობებს აფართოებენ: აწყობენ ონლაინშეხვედრებს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან[173], ჩადიან

171 https://gip.ge/wp-content/uploads/2021/06/Working-paper-15_Abzianidze.pdf

172 https://isfed.ge/geo/blogi/qartuli-ideis-koordinirebuli-qseli?fbclid=IwAR1hmu-VoXp6McLsTkqQXX_AAfJBe1dxJ6Zf8r7Bu2pIFp0EY_Vo9SDMiTE

173 https://business.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/photos/a.103815984891217/169876514951830/?type=3&av=102201981719284&eav=Afb38RUKEKpmi0LeKqShZlOen8vOzhtoht33SbI1QyI96qRAleK8jH0usc_GE3dwjVQ&theater

ჭიათურაში მოშიმშილეთათვის სოლიდარობის გამოსახატად[174] და ატარებენ აქციებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. როგორც ბრძოლის წინა ეტაპებზე, ამჯერადაც, ერთი მხრივ, საკუთარი ბრძოლის საზღვრებს ისინი მათ წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციის მანქანის საპირწონედ ავლებენ, მეორე მხრივ კი, თავიანთი ბრძოლის ფილოსოფიურ ასპექტებს გამოკვეთენ და აღრმავებენ.

ულტრამემარჯვენე ძალებთან გამჯვნის საჭიროების ზრდა

ამ პერიოდში მცველებს თავდაცვა უწევთ დეზინფორმაციის სხვადასხვა კამპანიისგან. 13 მაისს, მომხრეების გასაფრთხილებლად მცველები სპეციალურ განცხადებასაც ავრცელებენ. მათი თქმით, რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის სახელით არაერთი გვერდი იქმნება, რომლებიც *„მიზანმიმართულად ცრუ და დამაზიანებელ ინფორმაციას ავრცელებენ“* მოძრაობის წინააღმდეგ[175]. მცველები ემიჯნებიან ყველა საეჭვო გვერდს და მხარდამჭერებს სთხოვენ, მხოლოდ თავად მოძრაობის ერთადერთი ოფიციალური გვერდიდან მიღებულ ინფორმაციას ენდონ. მათ ასევე უწევთ, პასუხი გასცენ გამუდმებულ ბრალდებას, რომ მოძრაობა მართულია სხვადასხვა ძალაუფლების მქონე ჯგუფისგან:

> *„უსაფუძვლოა ნასროლი ტალახი, თითქოს ვიღაც გვმართავს, ეს რუსეთია, ეკლესია, ცალკეული სასულიერო პირი თუ სხვა პერსონა ან ძალები“*[176].

მოძრაობის დისკრედიტაციაში ჩართული აქტორები თბილისში აქციების ჩატარებისას მცველების მიერ სცენის დასადგმელად გაწეულ ხარჯებსაც მათი „მოსყიდულობის“ ან „მართულობის“ დასტურად იყენებენ. ამის საპასუხოდ, მოძრაობას უწევს განმარტოს, რომ მათი რესურსების უდიდესი წილი ემიგრანტების მიერ გადმორიცხული პატარა მოცულობის თანხებია და მოძრაობის ფინანსური აუდიტის გამოქვეყნებას აანონსებს. როგორც მარიტა მუსელიანი ივნისში ჩაწერილ ინტერვიუში ამბობს, მოძრაობას ძალიან გაუჭირდებოდა მიგრანტების მხარდაჭერის გარეშე არსებობა:

> *„რანაირი გულისამაჩუყებელი მომენტია თავისთავად, რომ ასე ლარ-ლარობით გროვდება თანხა. ეს ხალხი უკანასკნელ ლუკმას იღებს პირიდან. ჩვენ ხომ ვხედავთ ამას, და სულ ვცდილობთ, ზედმეტ რაღაცაში არ დაიხარჯოს“*[177].

როგორც აღვნიშნეთ, რიონის ხეობის მცველებს არსებულ, შედარებით ძლიერ პოლიტიკურ ძალებთან, ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრსა და ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან გამიჯვნა ერთდროულად უწევთ. მცველები უარყოფენ ოპოზიციასთან სიახლოვეს და პირიქით, მას „ლიბერალურ კონსენსუსში“ მონაწილეობაში ამხელენ:

174 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/1862351813939062/

175 https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/photos/a.235807560343508/866441243946800

176 https://www.facebook.com/mtisambebi/videos/462493081677065/

177 https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/videos/143827994451889/

„ახლა ვხედავთ იმას, რასაც სულ ვამბობდით, რომ ერთ ხაზზე დგას ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ამ ბრძოლაში. რამდენად რა გამოუვათ, არ ვიცი – მე ამის წინააღმდეგ საშუალებად ვხედავ იმას, რომ ჩვენ გავაგრძელოთ ჩვენი საქმე ისე, როგორც ამას ვაკეთებდით“ (მარიტა მუსელიანი)[178].

თუმცა, რამდენადაც არა ლიბერალური, არამედ ულტრამემარჯვენე ძალები ცდილობენ ყველაზე მეტად ბრძოლის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას, ნელ-ნელა სწორედ ამ ჯგუფებთან გამიჯვნა ხდება მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა. ამ ჯგუფებთან გამიჯვნის პროცესს მცველები საკმაოდ ფრთხილად უდგებიან. ამის მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ, მცველების გადმოცემით, ამ ჯგუფების გარკვეულ ნაწილს საკმაოდ საგულისხმო გავლენა აქვს საზოგადოების კონსერვატიულად განწყობილ მოსახლეობაზე და, მათ შორის, ემიგრანტებზე. როგორც ასეთი, მცველები არასდროს ეწინააღმდეგეებიან კონკრეტულ ჯგუფებს, მაგრამ აცხადებენ, რომ ხეობის მოძრაობის გაცხადებული პოზიცია პარტიული პოლიტიკისგან გამიჯვნა, პარტიულ პოლიტიკაში ჩაუბმელობაა. შესაბამისად, რადგან ულტრამემარჯვენე ჯგუფებს კონკრეტული პარტიული კუთვნილებები და მიზნები აქვთ, მცველებიც ყველაზე მეტად სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე ახერხებენ მათთან გამიჯვნას. თუმცა, ისინი ასევე პირდაპირ აცხადებენ, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან მათი დაკავშირების მცდელობები მოძრაობის დისკრედიტაციის მცდელობებიცაა. როგორც ვარლამი მაისის ერთ-ერთ ცოცხალ გამოსვლაში აცხადებს:

„კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ ის სპეკულაციები, თითქოს ვინმესთან ვერთიანდებით, და პირადად ჩემს ფოტოებს დებენ ხოლმე სინთეზში სხვადასხვა პერსონებთან, იცოდეთ, რომ ეს ჩვენგან არ მოდის. პირიქით, ეს ჩვენი დისკრედიტაციისთვის ხდება. არავისთან დაპირისპირებას არ ვცდილობთ, პატივს ვცემთ თავ-თავიანთ ადგილას ყველას. მაგრამ ჩვენს მოძრაობას კონკრეტული მიზნები აქვს, და ჩვენ, ხალხმა უნდა შევძლოთ ამ პროცესის წარმართვა, ვნახოთ, ვინ დარჩება ამ პროცესში გამარჯვებული“[179].

ორმაგი გამიჯვნის პოლიტიკა: ბრძოლის მხარდამჭერის წესების ფორმირება

თბილისის აქციების მიმდინარეობის პერიოდში მცველებს კიდევ უფრო პრინციპული პოზიციების დაჭერაც მოუწევთ. მამა-შვილი ფალავანდიშვილების მხრიდან მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტზე, რომელიც აქციაზე ლგბტ სამკლავურით იმყოფებოდა – თავდასხმის[180] საპასუხოდ, მცველები ყველა მხარდამჭერისგან, ერთი მხრივ, ნებისმიერი ძალადობრივი თვითგამოხატვისგან თავის შეკავებას, მეორე მხრივ კი, ნებისმიერი პარტიული თუ სხვა ჯგუფური იდენტობის გამომხატველი სიმბოლოების ტარების შეწყვეტას ითხოვენ. ამ სტრატეგიის ჩამოყალიბება მცველებმა თბილისის აქციებამდე

178 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/793824397938012/

179 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/290156059256637/

180 https://socialjustice.org.ge/ka/products/falavandishvilebis-mier-chadenili-danashaulebi-mqisier-samartlebriv-reagirebas-itkhovs

დიდი ხნით ადრე დაიწყეს, თავად რიონის ხეობაში ან ქუთაისის აქციებზე მრავალფეროვან ჯგუფებს შორის მოსალოდნელი კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად. ამ **ორმაგი გამიჯვნის** პოლიტიკით, მცველები ლიბერალურ-კონსერვატიული დაპირისპირების თავიდან არიდებას და, რაც უფრო მთავარია, ამ დაპირისპირების მოძრაობის გახლეჩად გათამაშების არიდებას ცდილობდნენ.

თბილისის აქციების დროს ამ სტრატეგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როცა მაკა სულაძე აცხადებს, რომ ბრძოლაში ჩართული ადამიანების შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია, დროებით ყველამ უარი თქვას საკუთარი იდენტობის სიმბოლოების ღიად დემონსტრირებაზე და სიმბოლური ჟესტით, თავის დიდ, ვაზისგან შეკრულ ხის ჯვარს მსვლელობაში აღარ გამოიყენებს, რომელიც ხეობაში მუდამ თან დაჰქონდა:

> *„მე დღეს იმ ჯვრით აღარ ვმონაწილეობ მსვლელობაში, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ყოველთვის ასე დარჩება. ის არა მარტო ჩემი რწმენის სიმბოლოა, არამედ ჩემი მიწის, ჩემი ცის და სულკურთხეული დედის სიმბოლოა. მაგრამ თუკი მე გვერდით მიდგას სხვა რელიგიის წარმომადგენელი და მან ეს არ იცის, შეიძლება ამით უხერხულობა შევუქმნა. ამიტომ, გადავწყვიტე.*
> *თბილისი მრავალეროვანი ქალაქია. დარწმუნებული ვარ, აქ სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც ბრძანდებიან, მათთვის ისეთივე ძვირფასია ქართული მიწა, როგორც ჩვენთვის. მე ჩემი ჯვრის ტარებით არ შევუქმნი მათ უხერხულობას. ეს არის მაგალითი მათთვის, ვისაც პრინციპულად უნდა, რომ რაღაც განსხვავებული ნიშანი ატაროს და ამით წარმოაჩინოს თავი. ძალიან გთხოვთ ყველას, ერთმანეთს ვცეთ პატივი, ვისწავლოთ ერთმანეთის შეგუება, ერთმანეთის სიყვარული და ამის შემდეგ გვექნება ისეთი ქვეყანა, როგორზეც ჩვენ ვოცნებობთ.*
> *გადავხედოთ ერთმანეთს და ნუ გამოვიკითხავთ, ვინ რომელი პარტიის წევრია, ვინ რომელი რელიგიის წარმომადგენელია და ვინ რას ფიქრობს, უბრალოდ ერთმანეთში დაინახეთ ადამიანი“*[181].

თბილისიდან რიონის ხეობაში დაბრუნების შემდეგ, მაკა სულაძე კიდევ უფრო მკვეთრად გაემიჯნება ულტრამემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენელ ფალავანდიშვილებს, როცა ისინი პასუხს სთხოვენ „ჯვრის გადადებაზე“. მაკა სთხოვს, შეწყვიტონ მხარდამჭერების დახარისხება და მათი კონტროლი და პირდაპირ მოუწოდებს, დატოვონ აქციები, თუ კონფლიქტების წამოწყებაზე უარის თქმა არ შეუძლიათ:

> *„ქვეყანა ხელიდან გამოგვეცალა და თქვენ კიდევ სამკლავურის გამო დასდევთ ხალხს. ამ საზოგადოებაში ყველას გვაქვს თანაბარი უფლება, დავიცვათ საარსებო გარემო. ... არ გვაქვს უფლება, საზოგადოება დავყოთ, ამას ევალება და ამას არ ევალება“* [182].

181 https://publika.ge/dghes-jvrit-aghar-vmonawileob-msvlelobashi-rata-ukherkhuloba-ar-shevuqmna-skhvebs-suladze/?fbclid=IwAR3s9jYisl6KalG01VSepiAWzMbPhasHjY4v_9FvlRskJLwfgKOectHr3IY

182 https://www.facebook.com/mtisambebi/videos/387118732549828

კოლონიურობის კრიტიკა, სახელმწიფოს კრიტიკა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე სწორება

უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში მცველები კიდევ უფრო ამყარებენ და აფართოებენ ბრძოლის ფილოსოფიის უკვე გამოკვეთილ მიმართულებებს, განსაკუთრებით ბრძოლის მშვიდობიანობასა და გრძელვადიან ხასიათს. ამავე პერიოდში, კიდევ უფრო მძაფრად იკვეთება მცველების კრიტიკა საქართველოში არსებულ კოლონიურ მდგომარეობაზე და მათი წარმოდგენები ზოგადად, სახელმწიფოებრიობაზე. გარდა ამისა, წინა პერიოდთან შედარებით, კიდევ უფრო ცხადი ხდება ბრძოლის უნივერსალური ხასიათი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე სწორება.

თბილისის აქციებზე ვარლამი პირდაპირ აკავშირებს ერთმანეთთან ძალაუფლების ინდივიდების ხელში კონცენტრაციას, ამ ძალაუფლების ადგილობრივი თუ საერთაშორისო კაპიტალის სასარგებლოდ მობილიზებას და ქვეყნის კოლონიურ ყოფას. ჭიათურის მაგალითის განხილვისას, იგი საუბრობს, რომ სახელმწიფო მინიმალური კომპენსაციის გაწევასაც არ ავალებს კერძო ინვესტორებს,

> *„რომ პრეცედენტი არ დაუშვან, რომ ბიზნესმა, ბიზნესინტერესმა, ცოტაოდენი მაინც დათმოს, და გვაცხოვრებენ კოლონიურ გარემოში, მაშინ, როცა ყველა რესურსი გაგვაჩნია იმისთვის, რომ მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად, ყველა სხვა ტიპის კეთილდღეობა გვქონდეს“*[183].

მაისის აქციებამდე, ჭიათურაში ჩასული მცველები ასევე საუბრობენ კოლონიურობაზე: „ფაქტობრივად, კოლონია არის ეს, ქვეყანა აღარ არის“, ამბობს მაკა სულაძე და ამატებს, რომ „ვერცერთი ხელისუფლება, რომელიც გადაწყვეტს, რომ მონური ფსიქოლოგიით გვმართოს, თავის საწადელს ვეღარ მიაღწევს“[184].

მარიტა მუსელიანი მაკას აზრს ავითარებს და აცხადებს, რომ ერთად ბრძოლის, ერთმანეთის განსაცდელში მხარდაჭერის მიზანი სწორედ კოლონიური სუბიექტებიდან მოქალაქეებად ქცევაა:

> *„ეს არის ალბათ ჩვენი მომავალი, თუ ხმას არ ამოვიღებთ – და ალბათ ამითაც არ დასრულდება, თუ ჩვენ ახლა თანადგომას არ გამოვიჩენთ ერთმანეთის მიმართ. ეს თანადგომა თუ არ გვინდა ჩვენ, საერთოდ ვინ ვართ მაშინ, რა ხალხი ვართ?! აქ წერია, არა მონობასო, და მეც მოგიწოდებთ, რომ მონები სახელმწიფოს ვერ შეადგენენ. სახელმწიფოს შეადგენს მოაზროვნე ხალხი, რომელსაც ჰქვია მოქალაქე. და არ შეიძლება მონური ფსიქოლოგიის ხალხს სახელმწიფო ჰქონდეს. სახელმწიფოებრიობა ასე ქუჩაში არ ყრია, ასე არ გდია, რომ აიღო და ვითომ არაფერს ნიშნავდეს“*[185].

183 https://www.facebook.com/watch/?v=361833135361296

184 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/4024866407604465/

185 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/1426397514370938/

მარიტა მუსელიანის სხვა გამოსვლებშიც არაერთხელ ვხვდებით სახელმწიფოს, სახელმწიფოებრიობისა და მოქალაქეობის თეორიზებას. ერთი მხრივ, მარიტა სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებას არ ემხრობა. როცა ივნისის დასაწყისში ვრცელდება ინფორმაცია, რომ პოლიციელები და სამხედროები სამსახურს ტოვებენ ხეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, მარიტა აცხადებს, რომ უმჯობესი იქნებოდა, პოლიციელებს საჯარო სტრუქტურების დატოვების ნაცვლად, მთავრობის ანტიკონსტიტუციური ქმედებების წინააღმდეგ კოლექტიურად ებრძოლათ:

> *„კარგი იქნებოდა, თუ ასე თანმიმდევრული და კონსტრუქციული იქნებოდა მათი მოთხოვნები, თორემ ჩვენ, რასაკვირველია, არ ვითხოვთ, რომ პოლიციამ ფორმა გაიხადოს, შეუძლებელია, რომ მოიშალოს ეს სტრუქტურა. რასაკვირველია, ჯობია, რომ სხვა ფორმა მოეძებნოს ამ ყველაფერს ისე, რომ არ მოხდეს დესტრუქტურალიზაცია სახელმწიფოსი და რყევა არ განიცადოს სახელმწიფომ. შეუძლებელია, რომ პოლიციამ სამსახური მასობრივად მიატოვოს ან ფორმა გაიხადოს ყველამ. უნდა მოხდეს ამის ფორმულირება უფრო ზუსტად – გასაუქმებელია ხელშეკრულება, რომელიც ამაში ავალდებულებს ამ ხალხს, და მერე დგანან იმის სამსახურში, რისი ფიციც მათ არ დაუდიათ“*[186].

მაგრამ, მეორე მხრივ, მარიტასთვის მიუღებელია პოლიტიკის წარმოების არსებულ, გაბატონებულ ფორმებში, განსაკუთრებით კი პარტიულ დღის წესრიგში ჩართვა, რადგან, მისი აზრით,

> *„პოლიტიკური პარტიები ამახინჯებენ დღეს მთელ პოლიტიკურ პროცესს. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვდისტანცირდებით პოლიტიკური პროცესისგან, ჩვენი ბრძოლა პოლიტიკურია, მაგრამ ვდისტანცირდებით პარტიული დღის წესრიგისგან. ჩვენ მიმართ პირდაპირი დაკვეთაა უამრავი ხალხისგან, რომ არ ვიყოთ პარტიული ძალა. ქართველ ხალხს ყელში ამოუვიდა ის, რაც პოლიტიკურ ველში ხდება პარტიების მიერ, ამიტომ, ჩვენ გვინდა გავაერთიანოთ ხალხი და მათ გაიკეთონ ის, რასაც პარტიები ვერ აკეთებენ“*[187].

შესაბამისად, მარიტასთვის – ისევე, როგორც ადგილობრივი მოძრაობის სხვა ლიდერებისთვის – გამოსავალი კოლექტიური მობილიზაცია, მოქალაქეების ერთობაა: „ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ გვყავდეს გაცნობიერებული მოქალაქეები. ვცდილობთ შევქმნათ ჭეშმარიტი მოქალაქეების დიდი ერთობა“[188].

დაბოლოს, ამ პერიოდში კიდევ უფრო ცხადი და მყარი ხდება რიონის ხეობის მცველების მიერ არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალურ ღირებულებებთან თავის დაკავშირება. თბილისის აქციების ერთ-ერთ გამოსვლაში ვარლამი ყველაზე დიდ ფასეულობად თავისუფლებას ასახელებს და რიონის ხეობის გა-

186 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/1772864739564788/
187 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/3973464356077332/
188 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/268811884925758/

დარჩენისთვის გრძელვადიან ბრძოლასაც სწორედ თავისუფლების მოპოვების მუდმივ პროცესად ხატავს:

> *„განცდა, რაც ყველაზე მთავარი განცდაა და ყველაზე მთავარი ღირებულებაა ადამიანისთვის – ეს არის თავისუფლება. თავისუფლების განცდა და დამოუკიდებლობის განცდა – ეს არის ისეთი ფუნდამენტური ღირებულებები ადამიანისთვის, რომლებსაც სჭირდება მუდმივად მოპოვება. ეს არ არის ერთხელ მოპოვებადი – ამას სჭირდება მუდმივად ბრძოლა“*[189].

კახა ასათიანისთვის კი სწორედ ამ ზოგადი, ადამიანური თავისუფლების მიღწევის გავლით შეიძლება სახელმწიფოს შენება:

> *„მხოლოდ ასე – მხოლოდ გათავისუფლებულებს და მონური სულისკვეთებიდან გამოსულებს, შეგვიძლია შევქმნათ სახელმწიფო, რომელზეც ამდენი ხანია ვოცნებობთ“*[190].

კახას დედისთვის, მაკა სულაძისთვის ცხადია, რომ ეს ბრძოლა არა მხოლოდ რომელიმე კუთხისა და ქვეყნისთვის, არამედ დედამიწისთვის ბრძოლაა:

> *„მე მაქვს ამბიცია, რომ ჩემს კუთვნილებად განვიხილავ არა მარტო კონკრეტულ ჩემს ეზოში, არამედ იმდენად ფართოდ, რომ მთელ დედამიწას მოიცავს. ჩემია დედამიწა და იქ რაღაც ადგილი მიჭირავს, რომლის დაცვა ჩემი მოვალეობაა“*[191].

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მაის-ივნისი რიონის ხეობის მცველების საარზოვნო აპარატის კონსოლიდაციის პერიოდია. ამ პერიოდში მცველებს განსაკუთრებული სიმწვავით უდგებათ ცრუ კონსერვატიულ-ლიბერალური დაპირისპირებიდან დასხლტომაზე, ამ ჩიხის არიდებაზე ზრუნვა და სწორედ ეს აიძულებთ, კიდევ უფრო გაამყარონ საკუთარი სააზროვნო ჩარჩო.

ბრძოლის მხარდაჭერის ზენიტი და სახალხო ბრძოლად ჩამოყალიბება

2021 წლის მაის-ივნისში ჰესის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები აღწევს სხვადასხვა მედიამდე, კეთდება ხელშეკრულების დამატებითი დეტალური ანალიზი[192], განიმარტება „ენკას“ წინააღმდეგ შეტანილი სარჩელების შინაარსი[193] და სხვა, თუმცა, წინა პერიოდთან შედარებით, განსაკუთრებული შემოტრიალება ან საკითხის გაღრმავება თითქმის აღარ ხდება. ყველაზე საგულისხმო მოვლენა, რამაც ხელშეკრულებაზე ჰესის მოწინააღმდეგე ჯგუფების უკვე გამოთქმული კრიტიკა დაადასტურა, ხელშეკრულებაზე

189 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/1203035536806028/
190 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/posts/220816936524454
191 https://www.facebook.com/mtsvaneebi/videos/306666057723149/
192 https://netgazeti.ge/news/545002/
193 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/3935245903230375/

იუსტიციის სამინისტროს დასკვნის გამოჟონვა იყო. ჩართული ორგანიზაციები თვეების განმავლობაში ითხოვდნენ იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების სავალდებულო გასაიდუმლოებული დასკვნების გასაჯაროებას. თბილისის აქციების მიმდინარეობისას, მედიასაშუალება „მთის ამბებმა“ იუსტიციის სამინისტროს დასკვნა მოიპოვა, სადაც ძალიან ცხადად იკვეთებოდა სამინისტროს მხრიდან პროექტის კრიტიკული, ღიად ნეგატიური შეფასება. სამინისტროს დასკვნის ამონარიდები „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ კრიტიკული ანალიზივით იკითხება, ხაზს უსვამს რა სახელმწიფოს მიერ აღებულ არაპროპორციულად დიდ რისკს ინვესტორის სრული დაზღვევის ხარჯზე:

> *„ვალდებულებათა აბსოლუტური უმრავლესობა ეკისრება საქართველოს მთავრობას და სახელმწიფო კომპანიებს, მაშინ, როცა, ამის საპირისპიროდ, მაქსიმალურად არის დაცული კომპანია „ენკა რინიუებლზის“ უფლებები და შეზღუდულია მისი პასუხისმგებლობა და ვალდებულებები“*[194].

აღმოჩნდა, რომ ამ დასკვნის დადებიდან ერთ თვეში და, როგორც ჩანს, მის გაუთვალისწინებლად, ხელშეკრულება მაინც გაფორმდა. მთავრობას დასკვნის შინაარსზე კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ კონტრაქტის თავიდან შესასწავლად საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის ძიება დაიწყო.

როგორც არგუმენტაცია, ისე საზოგადოებრივი მხარდაჭერა ამ პერიოდში თვისობრივად განსაკუთრებულად არ იცვლება, მაგრამ ფართოვდება. როგორც ვნახეთ, ამ მხარდაჭერის გამოხატვას კონტექსტი და გასაქანი თბილისში მაისში დაანონსებული აქციებისთვის სამზადისმა შეუქმნა. აქციების ერთი თვით ადრე დაანონსებამ უამრავ აქტორს მისცა სოლიდარობის დაფიქსირების საშუალება. ბრძოლის წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციის კამპანიის სიმწვავემ კი მსგავსი მხარდაჭერის გამოხატვის ცხადი საჭიროება დააყენა. როგორც წინა პერიოდში, სხვადასხვა აქტორის მხრიდან სოლიდარობის გამოსახატავად ზრუნვა ასევე გულისხმობდა სხვა შემთხვევებში პოლიტიკური ხმის არმქონე და თვითარტიკულაციის ნაკლებად შემძლე ან მოსურნე ჯგუფების მხრიდან საკუთარი პოლიტიკური რელევანტურობის აღქმასა და გამოყენებას (მაგალითად, ქუთაისის ქალთა საფეხბურთო კლუბის, „მართვეს“, ქუთაისის ტაქსის მძღოლების მხარდაჭერა). უკვე დამკვიდრებული მხარდამჭერი აქტორების – მიგრანტების, მაღაროელების და სხვა მშრომელების – გარდა, ამ პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ სტუდენტები, დაიწყეს თბილისში, „მზიურის“ სკვერში კარვებში მორიგეობა და კარვების ადგილიდან „ნამახვანჰესის“ შესახებ რეგულარული საჯარო დისკუსიების მოწყობა[195]. ასევე, განსაკუთრებით მობილიზდნენ კულტურის სფეროს წარმომადგენლები[196], მხარდაჭერას გამოხატავდნენ თეატრის კოლექტივები, მწერლები, მსახიობები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქართველი რეჟისორის, ალექსანდრე კობერიძის გამოსვლამ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც თავისი ფილმისთვის „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ“, კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერა-

194 https://bit.ly/3ujb5OM

195 https://www.facebook.com/102076735406007/videos/170206585111742/

196 https://www.facebook.com/mtsvaneebi/videos/222631052644968/

ციის (Fipresci) ჯილდო მიიღო. სიტყვით გამოსვლისას ბერლინალეს ეკრანზე რიონის ხეობის მოძრაობის ლოგო გაჩნდა, რეჟისორმა ნამოხვანის ბრძოლაზე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ისაუბრა და მიღებული ჯილდო რიონის ხეობის მცველებს მიუძღვნა:

> *„ადამიანებმა, რომლებიც იბრძვიან რიონის ხეობის გადასარჩენად, მათზე განხორციელებული ყოველდღიური ძალადობის მიუხედავად, უიმედო ადამიანებს იმედი აჩუქეს. მათ ჩემი ცხოვრების უდიდესი გაკვეთილი მასწავლეს: იმედი იბადება იქ, სადაც სიმართლეა. სიმართლე კი შემდეგია: მდინარემ უნდა იდინოს“.*

მხარდაჭერისა და სოლიდარობის განსაკუთრებით დასამახსოვრებელ მოვლენებს შორის, ცალკე აღნიშვნის ღირსია გრაფიკული დიზაინერისა და ილუსტრატორის, დათო სიმონიას ნამუშევრების ციკლიც, რომელიც დასთან, სალომე სიმონიასთან ერთად კარვებში თვეების განმავლობაში მოხალისეობრივად ცხოვრობდა და პირადი გვერდიდან საზოგადოებას ხეობაში განვითარებულ მოვლენებს ყოველდღიურ რეჟიმში უყვებოდა. სიმონიას ნამუშევრები განსაკუთრებულად დასამახსოვრებელ ფოტოებს, გრაფიკულ ნამუშევრებსა და ტექსტებს მოიცავს, რამაც, თვეების განმავლობაში მოძრაობის ისტორიის ვიზუალური თხრობის არქივი შექმნა. სიმონიას ეკუთვნის რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის ლოგოც - მწვანე ფონზე ამოზრდილი, ხის ტოტებში მოქცეული წარწერა „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“, რაც წინააღმდეგობის ოფიციალურ ემბლემად იქცა.

ფართო, სახალხო მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება იყო კამპანია „მე გადავრიცხე რიონის ხეობის გადარჩენისთვის“. მას შემდეგ, რაც რიონის ხეობის მცველების შემოსავლების შესახებ კითხვები გაჩნდა, ჩვენმა კოლექტივმა – სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის – გვერდის საშუალებით ყველა იმ მხარდამჭერის ფოტოების შეგროვება დაიწყო, ვისაც მცველებისთვის თანხა ჰქონდა გადარიცხული. *„ვაჩვენოთ, რომ რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლას ჰყავს ერთადერთი დამფინანსებელი და ეს არის ხალხი!“*[197], სთხოვდა განცხადება მხარდამჭერებს. მართლაც, კამპანიის დაანონსებიდან რამდენიმე დღეში რიგითი მხარდამჭერების ასობით ფოტო, ხელით დაწერილი სიები და ამაღელვებელი მხარდაჭერის წერილები შეგროვდა.

და ბოლოს, მოძრაობის მიმართ თავად თბილისის აქციების მიმდინარეობის დროს გამოხატული მხარდაჭერის შესახებ სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი არსებობს. არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება, თითქოს თბილისმა რიონის ხეობას მხარი არ დაუჭირა. მსგავსი აღქმა შეიძლება თავად ხეობის მცველების მხრიდან გაზვიადებული მოლოდინის შექმნამ და „აუღებელი აქციების“ დაანონსებამ გამოიწვია, ან, თბილისის მოსახლეობის მობილიზებით უკმაყოფილება, შესაძლოა, თავად იმ ადამიანების გაზვიადებული მოლოდინიდან ან თბილისთან დაკავშირებული სხვა საწუხარიდან გამომდინარეობდეს, ვისაც თბილისის მხარდაჭერა ეცოტავა. ძნელი სათქმელია, რა იქნებოდა საკმარისი ან სასურველი მხარდაჭერა, თუმცა იმის თქმაც ძნელია, რომ თბილისის აქციებზე სამი

197 https://www.facebook.com/media/set/?set=a.203539198252228&type=3

დღის განმავლობაში შეკრებილი ათასობით ადამიანის მხარდაჭერა ცოტა ან არასაკმარისია. ჩემი შეფასებით, თბილისის აქციებზე ადამიანების სიმრავლე და, რაც კიდევ უფრო მთავარია, სხვადასხვა ჯგუფის მიერ გაწეული თვითორგანიზება – კვების, ტრანსპორტირების, თბილისში ღამის გასათევი ადგილის მოძიების კუთხით – ყველა გონივრულ მოლოდინს აჭარბებდა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საკმაოდ უნიკალური პრეცედენტიც შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში და თავად თბილისშიც უკვე არსებობს პარტიული დღის წესრიგიდან დისტანცირებული პროტესტის გამოცდილება. მსგავს პროტესტებს შეიძლება მეტი ან ნაკლები წარმატებისთვისაც მიუღწევიათ, თუმცა ასეთი ხალმრავალი შეკრებები არაპარტიულ აქტივიზმს ან ძალიან იშვიათად, ან საერთოდ არ ახსოვს. ასევე, დამატებით უნდა ითქვას, რომ არა დედაქალაქში, არამედ მთიან რეგიონში წარმოქმნილმა პროტესტმა ამდენი და ასეთი მრავალფეროვანი მხარდაჭერის მობილიზება მოახერხა ქალაქში, რომელსაც რევოლუციური ამბიციების მქონე დიდი პოლიტიკური პროტესტის ან საშუალო ფენების მიერ წარმოებული, შედარებით ვიწრო დაფარვის ურბანული პროტესტის მიღმა, ურბანული სუბალტერნული ჯგუფების ფართო მობილიზაცია ფაქტობრივად არც გამოუცდია.

7. რიონის ხეობის მოძრაობისა და ხელისუფლების მარცხი და მიღწევები: „პრაიდი“, მედიაცია და „ენკას“ გასვლა (5 ივლისი – 25 ოქტომბერი)

2021 წლის მაის-ივნისი: თბილისის აქციები და აქციების შემდგომ ხეობაში დაბრუნება, შიშველი ხელებით უწყვეტი ხმაური ხეობაში აღმართულ რკინის ჯებირებზე და „ენკასთვის“ სამშენებლო სივრცესთან მიღწევის ყველა შესაძლო გზის კარვებით გადაკეტვა – 7 სხვადასხვა ადგილზე 24-საათიანი მორიგეობა და გამშვები პუნქტების შექმნა, რაშიც, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობა იყო ჩართული, რიონის ხეობის მოძრაობის აღმასვლის ზენიტად შეგვიძლია დავინახოთ. თუმცა, სწორედ შექმნილი მდგომარეობიდან – მშვიდობიანი პროტესტით „ენკასთვის“ მშენებლობის პროცესის საბოლოოდ შეჩერებიდან გამომდინარე, ივნისის თვეში რიონის ხეობის მოძრაობის ადგილობრივი ლიდერები, მოძრაობაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები და მოხალისეობრივი ჯგუფები მედიაციის შესამზადებელ პროცესში შედიან. 2021 წლის ივნისის ბოლო და ივლისის დასაწყისი მოძრაობის შედარებით დასუსტების, ინტენსივობის შემცირებისა და სენსაციურობის დაკარგვის ეტაპად შეგვიძლია დავინახოთ. მედიაცია მთავრობის ინიცირებით დაიწყო და ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დავების განხილვებისა და მოლაპარაკების ცენტრის ჩართულობით მიმდინარეობდა 2021 წლის ივნისიდან ამავე წლის ნოემბრის ჩათვლით[198]. დახურულ კარს მიღმა მიმდინარე მედიაციამ რიონის ხეობის მოძრაობას ბევრ სხვა გამოწვევასთან ერთად, მომხრეების ჩართულობის უზრუნველყოფა გაურთულა. გარდა მედიაციისა, ამავე პერიოდში გამწვავდა რიონის ხეობის მოძრაობის ლიბერალურ-კონსერვატიულ ჩიხში მომწყვდევა.

მაისის აქციების დროს რიონის ხეობის მცველების მხრიდან მკვეთრად გამოხატული ორმაგი – ლიბერალურ და კონსერვატიულ პოზიციებთან გამიჯვნის პოლიტიკა ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა მოძრაობის დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს. განსაკუთრებით მემარჯვენე ფრთისგან მოჰყვა მწვავე რეაქცია მაკა სულაძის განცხადებას, სადაც იგი ამბობდა, რომ პროტესტის სხვა მონაწილეებისთვის სიმბოლიკის თავიდან არიდების მოთხოვნის ფონზე თავადაც თავს შეიკავებდა მართლმადიდებლური სიმბოლიკით – ამ შემთხვევაში დიდი ვაზის ჯვრით – აქციებზე გამოცხადებისგან[199], რომელსაც ხეობაში მუდმივად თან ატარებდა. თუმცა, ყველაზე მძიმე გამოწვევა რიონის ხეობის ფართო მოძრაობისთვის, მისი ლიდერების მიერ „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება და 5 ივლისს, „პრაიდის“ დღეს, კონტრაქციის პარალელურად მიმდინარე პარაკლისზე გამოცხადება იყო. „პრაიდის“ წინააღმდეგ გამართული კონტრაქციის გამორჩეულად დაუნდობელი ხასიათი, არაერთ ჟურნალისტზე მიტანილი პირდაპირი იერიში და ოპერატორ ლექსო ლაშქარავას ტრაგიკული გარდაცვალება კონტრაქციის დროს სასტიკი ფიზიკური დაზიანებებიდან რამდენიმე დღის შემდეგ[200], მოძრაობის წევრებისა და მხარდამჭერების ნაწილისთვის შეუძლებელს ხდიდა რიონის ხეო-

198 https://reginfo.ge/environment/item/24448

199 https://tabula.ge/ge/news/667851-tkven-mascavlit-jvars-rodis-gadavdeb-maka-suladze

200 https://reginfo.ge/people/item/22850-operatori-leqso-lashqarava,-romelsaz-5-ivliss-sastikad-szemes,-gardaizvala

ბის მცველების კონტრაქციის პარალელურად და მის ნაწილად მიმდინარე პარაკლისზე გამოცხადების მიმართ მიმღებლობას.

5 ივლისის მოვლენების შემდეგ, რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლა ახალ ფაზაში შედის. მისი ცენტრალური გამოწვევა თავად ფართო მოძრაობის შიგნით შექმნილი განხეთქილებაა. თუმცა, კვლავ მიმდინარე ბრძოლის სხვა გამოწვევები თუ მიღწევები – მედიაციის პროცესის მიმდინარეობა და „ენკას“ გასვლის დაანონსება – ბრძოლაში ჩართული აქტორების რეკონფიგურაციას და თანამშრომლობის ახალი გზების გამონახვის მცდელობებსაც იწვევს. მთავრობა, ერთი მხრივ, და ნაწილობრივ, აღწევს თავის გრძელვადიან მიზანს, რომ ბრძოლა დაანაწევროს, სამოქალაქო საზოგადოების ველიდან განდევნოს და ისევ სცადოს მისთვის სუბალტერნული ადგილის მიჩენა. მეორე მხრივ, მისი ეს წარმატება, შეიძლება ითქვას, დაგვიანებულია და მისსავე შელახულ პოზიციებს ვეღარ აღადგენს. მოძრაობა, თუ მის ოფიციალურ ფეისბუკგვერდს დავეყრდნობით, მაინც ინარჩუნებს თავის ფორმასა და ფართო სახალხო მხარდაჭერას, თუმცა სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებული აქტორების გარეშე, რაც პროტესტის დაფარვასა და საერთო პოზიტიური სულისკვეთების შენარჩუნებაზე საგრძნობლად უარყოფითად მოქმედებს. 2021 წლის სექტემბერში კი, „ენკა“, რომელსაც ივნისიდან შეჩერებული ჰქონდა მშენებლობა მცველების მიერ სამშენებლო არეალთან მისასვლელი ყველა შესაძლო გზის უწყვეტი გადაკეტვის გამო, ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ აცხადებს და პროექტიდან გასვლას ითხოვს. ამ უდიდესი მარცხის წინაშე მთავრობა გარკვეულ დისკურსულ დათმობებზე მიდის, თუმცა აგრძელებს და აღრმავებს დისკრედიტაციის მცდელობებს – ამჯერად, უკვე ჩაშლილი პროექტის მძიმე ფისკალური შედეგების მოძრაობის ლიდერებზე გადაბრალებითა და საკუთარი პასუხისმგებლობის მთლიანად მოხსნით. უნდა ითქვას, რომ ბრძოლის ამ მნიშვნელოვანი ეტაპის გასაანალიზებლად, მომავალში უმნიშნელოვანესი იქნება ამ პერიოდის უფრო დეტალური და სისტემატური ანალიზი. თუმცა, შემდეგ ქვეთავებში მოკლედ მიმოვიხილავ ამ პერიოდში განვითარებულ რამდენიმე ძირითად მოვლენას და მათზე ძირითადი აქტორების რეაქციებს: 5 ივლისის და „თბილისი პრაიდის“ ირგვლივ განვითარებულ პროცესებს, მედიაციის პროცესს და „ენკას“ მიერ პროექტის ხელშეკრულების გაწყვეტის მოთხოვნას.

5 ივლისი, ორმაგი გამიჯვნის პოლიტიკა და კონსერვატიულ-ლიბერალური ჩიხის აჩიდების მარცხი

5 ივლისს დაანონსებული „თბილისი პრაიდი“ თითქოს რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობას არ უნდა შეხებოდა და პირიქით, თითქოს არც მოძრაობა უნდა შეხებოდა „თბილისი პრაიდს“. მეორე მხრივ, მინისტრ თურნავას მხრიდან ჯერ კიდევ 2021 წლის მარტში გაკეთებული წამოცდენა ჰომოფობიაზე თითქოს ნათელს ხდიდა, რომ მთავრობა ამ, მისთვის სასურველ იარლიყს საჭირო დროს მოძრაობის დისკრედიტაციისთვის გამოიყენებდა. გაზრდილი დაძაბულობა ქვიარ ადამიანებისა და, ზოგადად, არანორმატიული იდენტობების ირგვლივ თბილისის აქციებზე, ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან წამოსული ზეწოლა, თავად „თბილისი პრაიდის“ მხრიდან მოძრაობის ლიდერებისგან

ღია სოლიდარობის მოთხოვნა[201] (რაც, თავად „პრაიდის“ გარდა, არცერთ სხვა ქვიარ ჯგუფსა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციას არ მოუთხოვია, რადგან მხარდამჭერების ეს ნაწილი სრულად მიჰყვებოდა ხეობის ორმაგი გამიჯვნის პოლიტიკას), რა თქმა უნდა, ცხადყოფდა, რომ „პრაიდის“ ირგვლივ შექმნილი დაპირისპირებების ჩიხიდან დასხლტომა მცველებისთვის ადვილი არ იქნებოდა. „პრაიდის“ მოახლოებასთან ერთად, მცველებზე ზეწოლა „პრაიდის“ საკითხთან მიმართებით პოზიციის გამოსახატად მათი მომხრეებისგანაც იზრდებოდა. და მაინც, „პრაიდამდე“ რამდენიმე დღით ადრე, მისი ჩატარების, როგორც *„იქამდე კონსოლიდირებული ეროვნული ერთობისთვის საფრთხის შემქმნელი ქმედების“* წინააღმდეგ მოძრაობის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ და შემდეგ, 5 ივლისს, მცველების თბილისში, საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ პარაკლისზე ჩასვლამ და „პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციაზე გამოცხადებამ არაერთი მხარდამჭერი გააკვირვა. რამდენადაც შემდეგ გამოჩნდა, არც თავად მცველებს ჰქონიათ წინასწარი გადაწყვეტილება მიღებული 5 ივლისის პროცესებში თავიანთი ფიზიკური ჩართულობა-ჩაურთველობის შესახებ და, შესაბამისად, განვითარებული მოვლენების არაერთი ასპექტი მათთვისაც მოულოდნელი იყო.

5 ივლისს რიონის ხეობის მცველების გადაწყვეტილება და ფართო მოძრაობაში ჩართული რამდენიმე ორგანიზაციის საპასუხო რეაქცია არ შეიძლება ბრძოლის წინარე ისტორიისგან დისტანცირებულად განვიხილოთ. როგორც წინა თავები აღწერს, მთავრობამ, კომპანიამ და ჰესის ლობისტებმა მოძრაობის წინააღმდეგ დისკრედიტაციის მრავალმხრივი მექანიზმი აამუშავეს. ფართო მოძრაობა – პროტესტის ადგილობრივი ლიდერები, ერთგული მხარდამჭერები და ასევე სხვადასხვა ორგანიზაცია თუ მოხალისეობრივი ჯგუფი – დისკრედიტაციის სტრატეგიების მოგერიებას შესაშური წარმატებით ახერხებდნენ და მის თითოეულ ეტაპს ძალაუფლების გაშიშვლების მექანიზმადაც კი აქცევდნენ. დისკრეტიდაციისა და მარგინალიზაციის სტრატეგიებში ჰომოფობიის ბრალდება, როგორც ვნახეთ, პირველად მინისტრ თურნავას მხრიდან 2021 წლის მარტში გაისმა. მაშინ ის სრულიად არაადეკვატური და საკითხს აცილებული ჩანდა, თუმცა ეს წამოცდენა მთავრობის მხრიდან დისკრედიტაციის მორიგ სტრატეგიას თითქოს ავის მომასწავებლად ამხელდა. მაშინ, ეს ბრალდება ნამდვილად შემოტრიალდა ხელისუფლების წინააღმდეგ: როგორც უკვე ვახსენეთ, ის არა მხოლოდ რიონის ხეობის მცველებმა უარყვეს, არამედ ქვიარ ჯგუფებმაც გასცეს პასუხი მთავრობას, როცა არა მხოლოდ სოლიდარობა გამოუცხადეს ნამოხვანის ბრძოლას, არამედ თავად მთავრობის პოლიტიკის ჰომოფობიურობაც და მის მიერ სხვისი ჰომოფობიურობის ხაზგასმის თვალთმაქცობაც ამხილეს. მაგრამ ამჯერადაც, ისევე, როგორც დისკრედიტაციის სხვა მექანიზმების – ჩამორჩენილობის, განვითარების მოწინააღმდეგეობის, დაბალი ცნობიერების, ლიბერალობის თუ ქსენოფობიურობის – შემთხვევაში, ბრალდებები უკან არ წაუღია არც მთავრობასა და არც მოძრაობის დისკრეტიდაციის პროცესში ჩართულ სხვა მხარეებს და ეს მექანიზმები დღემდე მუშაობს „ნამახვანჰესის“ პროექტის ირგვლივ მიმდინარე პროცესების შეფასებისას (მაგალითად, „ენკას“ გასვლა და სახელმწიფოსთვის დამდგარი ზარალი დღესაც ვარლამ გოლეთიანს და უშუალოდ მოძრაობას ბრალდება

201 იგულისხმება სოციალურ ქსელში პრაიდის ერთ-ერთი ორგანიზატორის მიერ გამოქვეყნებული პოსტი, რომელიც ამჟამად აღარ იძებნება. თბილისი "პრაიდის" მიერ რიონის ხეობის მოძრაობისადმი იქამდე გავრცელებული განცხადება, სადაც ისინი პროტესტის ლიდერების ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან გამიჯვნას ითხოვდნენ, იხილეთ აქ.

და არა მთავრობას, რომელმაც კაბალურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი), ასევე, ჰომოფობიურობის ბრალდება არ გაქარწყლებულა 2021 წლის მარტსა და აპრილში.

ჰომოფობიურობის ბრალდების შესაძლებლობამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, განსაკუთრებული პოტენციალი შეიძინა მაისში, თბილისის აქციების დროს. ერთი მხრივ, ხეობის წინააღმდეგ განწყობილი პოლიტიკური ელიტა, ოპოზიციის ჩათვლით, მცველებს ანტილიბერალურობაში ადანაშაულებდა. ამ დადანაშაულებაში ჰომოფობია ერთ-ერთი, თუმცა არა ერთადერთი, ასპექტი იყო და ლიბერალური ელიტისთვის გასაკიცხ სხვა ასპექტებს – ინვესტიციებისა და საბაზრო განვითარების პოლიტიკის სიძულვილსაც მოიცავდა. მეორე მხრივ, სწორედ ამ პერიოდში განსაკუთრებით იზრდებოდა წნეხი ულტრამემარჯვენე ფლანგისგან, რომლის წარმომადგენლებიც, როგორც ვთქვით, აქციის ერთ-ერთ მონაწილეს ლგბტ სიმბოლიკის გამო დაესხნენ თავს და ამით პირდაპირ აიძულეს ხეობის მცველები, ღია პოზიცია დაეკავებინათ ისეთ საკითხზე, რომელზე აზრის გამოთქმასაც მანამდე თავს არიდებდნენ. თუმცა, როგორც თავად მცველები თბილისის აქციაზე და უკვე 5 ივლისის მოვლენების შემდეგ აცხადებდნენ, მსგავსი კონფლიქტები ან ამ კონფლიქტების მოგვარების მექანიზმების შემუშავება მათთვის სულაც არ ყოფილა ახალი მოვლენა. იმ დროისთვის უკვე ნახევარწლიანი პროტესტის მართვის პროცესში, მათ მუდმივად უწევდათ მრავალფეროვანი მხარდამჭერების მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფისთვის თანმიმდევრული შრომისა და მუდმივი ძალისხმევის გაწევა. მათი გრძელვადიანი შრომისა და კონფლიქტების დარეგულირების მიდგომის შინაარსს საზოგადოება განსაკუთრებული სიცხადით სწორედ მაისის აქციების დროს გაეცნო. ხეობის მცველებმა, ერთი მხრივ, ხაზი გაუსვეს მათი ბრძოლის მხარდაჭერაში ჩართვის უპირველეს წინაპირობას – მშვიდობიანობასა და ყველანაირი ძალადობრივი გამოხატვის უადგილობას, მეორე მხრივ კი, მხარდამჭერებისგან მოითხოვეს მათი შეხედულებებისა და ზოგჯერ იდენტობის საჯარო გამოხატვისგან თავის შეკავებაც, აქციებზე ამ იდენტობის გამომხატველი სიმბოლიკის გარეშე გამოცხადება – ანუ იდენტობის ხილვადობის შეზღუდვა, – მათი გადმოსახედიდან არსებულ მოცემულობაში შესაძლო დაპირისპირებებისგან თავის არიდების ერთადერთი ეფექტიანი მექანიზმი.

საკუთარი პოლიტიკური იდენტობების დათმობას ხეობის მცველები საერთო, უფრო ფართო ღირებულებების დაცვის სახელით ითხოვდნენ. მარიტა მუსელიანი 24 მაისის აქციის გამოსვლაში ხაზს უსვამდა, რომ არსებობს საერთო, სახელმწიფოებრივი საკითხები, რომლის მხარდასაჭერადაც ჯგუფურმა ინტერესებმა არ უნდა დაგვყოს:

> *„ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესი არ შეიძლება იყოს პირადი აზრის საგანი. არ შეიძლება ჩვენ ვთქვათ, რომ მე მაქვს ჩემი აზრი საერთო ინტერესთან დაკავშირებით. ჩვენ, მიუხედავად ყველა განსხვავებისა, უნდა გვქონდეს ერთი და იგივე აზრი ფუნდამენტურ საკითხებზე და საერთო, დიდ ღირებულებებზე. ეს არის არა ჩვენი უფლება, არამედ ჩვენი მოვალეობა“*[202].

ამასთან, როგორც უკვე ვახსენეთ, მაკა სულაძემ ვაზის ჯვართან დაკავშირებით იგივე სტანდარტი დაუწესა საკუთარ თავსა თუ მოძრაობის ლიდერებს და ისიც განმარტა, რომ

202 https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/560754065051728

ყველას თანაბარი უფლება აქვს საარსებო გარემოს გადარჩენისთვის ბრძოლაში. მაკას ამ ნაბიჯმა მოძრაობის მხარდამჭერების შედარებით კონსერვატიული ნაწილი შეაშფოთა, რაც „პრაიდის“ მოახლოებასთან ერთად, ზოგადი საზოგადოებრივი მღელვარების ზრდაზეც მიუთითებდა, მცველებს კი მომდევნო კვირებში მოუწიათ, რამდენჯერმე განემარტათ თავიანთი ორმაგი გამიჯვნის პოლიტიკისა და მაკას ჟესტის მნიშვნელობა.

არსებითია, რომ მოძრაობის მსგავსი მიდგომა ეწინააღმდეგებოდა სწორედ რომ პოლიტიკის როგორც არსებულ, ლიბერალურ, ისე კონსერვატიულ და ულტრამემარჯვენე მოსაზრებებს. ერთი მხრივ, ის უარყოფდა გაბატონებულ ხილვადობის პოლიტიკას, რომელიც მარგინალიზებული ჯგუფების უფლებების დასაცავად ბოლო ათწლეულებში ერთ-ერთ ცენტრალურ სტრატეგიად იქცა საქართველოშიც, აღმოსავლეთ ევროპაშიც და, ზოგადად, მსოფლიოს მასშტაბით; მეორე მხრივ კი, ეს მიდგომა ასევე უარყოფდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, ფიზიკურად დაეცვათ თავიანთი ქვეყანა და თანამემამულეები მათთვის მიუღებელი ღირებულებებისგან. ამ პოზიციის დაფიქსირების შემდეგ, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, ვინ დაესწრო თბილისის აქციებს მისი მიმდინარეობის ბოლო დღეებში, შეიძლება ითქვას, რომ მცველების ეს ორმაგი გამიჯვნა საერთო ღირებულებების სახელით, იმ ეტაპისთვის ყველა მხარემ მიიღო (გარდა ფალავანდიშვილებისა, რომლებმაც ერთ-ორ დღეში კვლავ უარყვეს მცველების შემოთავაზებული ალტერნატიული კონსენსუსი).

რიონის ხეობის მცველების ეს ორმაგად კონტრჰეგემონიური პოზიციონირება არ იყო ცალსახად სექსუალობისა და იდენტობის საკითხებისკენ მიმართული. ეს პოზიცია მოძრაობის უფრო ფართო ფილოსოფიის ნაწილი იყო, რომელიც გაბატონებული პოლიტიკური იდეოლოგიებისა და პოლიტიკის არსებული ინსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლას, ახალი და ცალკე მდგომი ღირებულებითი ერთობის შექმნას მოიაზრებდა. ამ განდგომით, მცველები ემიჯნებოდნენ არა მხოლოდ ქვიარების მხარდაჭერას ან ძაგებას, არამედ არსებულ მემარჯვენე ან მემარცხენე სპექტრზე პოზიციონირებასაც, პარტიულ პოლიტიკასაც და ლიბერალურ-კონსერვატიულ ჩიხსაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი – განდგომის, პოლიტიკის გარეთ გასვლით ახალი პოლიტიკური საწყისების გამოგონების ფილოსოფია, 5 ივლისის მოვლენების დროს თავადვე შევიდა ჩიხში და ამ მიდგომის ლიმიტებიც ცხადყო, იმ პერიოდისთვის, შეიძლება ითქვას, საკმაოდ საინტერესო ფიქრისა და თანაარსებობის ექსპერიმენტს გვთავაზობდა. საგულისხმოა, რომ კონსერვატიულ-ლიბერალურ დავაში აქტიურად ჩართული აქტორების გარდა, ბევრი მხარდამჭერისთვის მისაღებიც აღმოჩნდა მსგავსი კომპრომისი. გასაკვირი იყო, მაგალითად, რომ გენდერისა და სექსუალობის პოლიტიკაზე საკმაოდ ცხადი პოზიციისა და გამოცდილების მქონე პოლიტიკური სუბიექტებისთვისაც კი ეს მისაღები კომპრომისი იყო მოცემულ ეტაპზე. ბევრი ჩვენგანი ცხადად ხედავდა, რომ მცველების ლიბერალურ-კონსერვატიულ ჩიხში მომწყვდევა მიზანმიმართული დისკრედიტაციის ნაწილი იყო. საკუთარი პოზიციიდან თუ ვიმსჯელებ, შეიძლება, ჩემსავით ბევრი სხვაც მოწყურებული იყო ცრუ ლიბერალურ-კონსერვატიული დაპირისპირებიდან გასვლას და შეეძლო ხეობის მცველების შემოთავაზებულ ფორმატში საკუთარი, იქამდე არსებული პოლიტიკური ხედვების პირდაპირი არტიკულირებისგან თავის შეკავება. შეიძლება ითქვას, მცველებმა მხარდამჭერებისგან მსხვერპლის გაღება ითხოვეს სახალხო საკითხზე შედეგის მისაღწევად და მხარდამჭერების ნაწილი მზად იყო ამ მსხვერპლის გასაღებად.

როცა რიონის ხეობის მცველებმა „პრაიდის“ საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს, ჩვენი კოლექტივის შეფასებით, სწორედ ეს – მათივე ორმაგად კონტრჰეგემონიური პოზიცია დაირღვა. „პრაიდის“ საწინააღმდეგო განცხადების გაკეთების შემდეგ – ჩვენი კოლექტივის საპასუხო განცხადება ხეობას სწორედ საკუთარი პრინციპების დათმობაში ადანაშაულებდა და ამ პრინციპებთან დაბრუნებას სთხოვდა:

> *„მოვუწოდებთ რიონის ხეობის მცველებს, კარგად გაიაზრონ მათ მიერ დაშვებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეცდომის სიმძიმე და მოსალოდნელი შედეგები. არ დათმონ მათი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც სხვადასხვა ძალაუფლებრივი ჯგუფის მიერ შექმნილი პოლიტიკების ნაცვლად ხალხს საკუთარ პოლიტიკას სთავაზობდა, არ დააბრუნონ საკუთარი წევრები ამ ძალაუფლებრივი ჯგუფების გავლენის ქვეშ და არ დაივიწყონ საკუთარი სულისკვეთება მშვიდობით, სიმართლით (!) და სიყვარულით გამარჯვების შესახებ“.*[203]

აღნიშნულ განცხადებაში ჩვენ ასევე მოვუწოდებდით სხვა ჯგუფებსა თუ ადამიანებს, არ დაეთმოთ ამ მოვლენის გამო მოძრაობისადმი მიკუთვნებულობის განცდა და ეს საკითხები მოძრაობის შიგნით, არა მისგან გამიჯვნით, არამედ მასთან დიალოგით კრიტიკულ, შიდა დისკუსიის საკითხად ექციათ. თუმცა, უკვე 5 ივლისს, მცველების თბილისში გამოცხადებისა და რამდენიმე დღეში აქციაზე დაშავებული ტელეოპერატორის, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი კოლექტივისთვის ემოციურად და პოლიტიკურად კიდევ უფრო მძიმე პერიოდი დადგა და დამატებითი განცხადება აღარ გაგვიკეთებია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თავად შევასრულეთ ჩვენი განცხადების მოთხოვნა და ჩავებით კრიტიკისა და რეფლექსიის შიდა პროცესში, როგორც მოძრაობის ნაწილი და არა მისგან გვერდზე მდგომი აქტორი. თუმცა, განცხადებები გააკეთეს სხვა ჯგუფებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებმაც სხვადასხვა სიმწვავით, მაგრამ მაინც, რიონის ხეობის მცველებთან დისტანცირება და მოკავშირეობის გაწყვეტა დააანონსეს.

ამ გადაწყვეტილებისთვის რიონის ხეობას არა მხოლოდ ამ ორგანიზაციების მსგავსად ბრძოლაში ინტენსიურად ჩართული ჯგუფები, არამედ უამრავი სხვა ჯგუფი და ინდივიდუალური მხარდამჭერი გაემიჯნა და გაუნაწყენდა. ცხადი იყო, რომ ალაპარაკდნენ ისეთი აქტორებიც, ვინც არასდროს უჭერდა მხარს მოძრაობას, მაგრამ მათი მარგინალიზაციისა და ღიად ლანძღვისთვის პირველად მიეცა ნოყიერი ნიადაგი და მისი გამოყენებაც არ დააყოვნა. ჰომოფობიურობის ბრალდება თითქოს ამართლებდა მცველების წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციის – ქსენოფობიურობის თუ ჩამორჩენილობის – სხვა ასპექტებს. მსგავს მოსაზრებებს არა მხოლოდ ლიბერალური, მემარცხენე აქტორებიც გამოთქვამდნენ. ჩემთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მემარცხენე ფეისბუკპლატფორმის გვერდზე, ერთ-ერთი პოსტის ქვეშ, ჯგუფის მიმდევრის ერთი კომენტარი:

203 https://business.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/posts/225688892703925?__tn__=K-R

„ახლა მივხვდი, რომ არანაირი ეკონომიური/ფინანსური ბენეფიტები არ უნდა დავაყენოთ ადამიანის უფლებებზე მაღლა და თვალები დავხუჭოთ ქსენოფობიაზე, ჰომოფობიაზე და ათას უბედურებაზე. ეს შუა საუკუნეებში ჩარჩენილი სუნიანები მართლა“.

რა თქმა უნდა, ეს კომენტარი არ ასახავს მემარცხენე ჯგუფების პოზიციას, რომელთა უმეტესობა 5 ივლისის გამო არ გამიჯვნია ხეობის მცველებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ცხადყოფს ღრმა აროგანტულ, იერარქიულ სენტიმენტს, სადაც მცველების არაცივილურობა ისეთი დამამცირებელი ფორმითაც კი შეიძლება გამოიხატოს, როგორც ეს კომენტარში იყო გამოთქმული. ამ გულისწყრომაში, ავტომატურად მოყვა ჩვენი კოლექტივიც და ბრძოლის სხვა ერთგული მხარდამჭერებიც. შეიძლება ითქვას, ამ მოვლენებისგან დარტყმა არა მხოლოდ მოძრაობის ლიდერებმა, არამედ მოძრაობაში ჩართულმა ყველა აქტორმა მიიღო და გარკვეული ნაწილი თავის მართლების პოზიციაშიც კი ჩააყენა. ჩვენი კოლექტივისთვის განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა ზოგიერთი მემარცხენე პირის თუ ჯგუფისაგან წამოსული ღია, საჯარო შანტაჟის მცდელობა მოძრაობის მხარდამჭერებისადმი და მათი დადანაშაულება იმაში, რომ ვიყავით ნაივურები, რადგან წინასწარ ვერ განვჭვრიტეთ მცველების „ჰომოფობიურობა“ და „ჩამორჩენილობა“; ან პირიქით, რომ ჩვენ, როგორც ლიდერებთან დაახლოებული ადამიანები, მზად ვიყავით გვესაუბრა განვითარების პოლიტიკასა და საერთო, სახალხო სიკეთეებზე, მაგრამ არ შეგვეძლო ან თავიდან ვირიდებდით გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე საუბარს – ეს საჯარო ბრალდებები ავითარებდა ნარატივს, რომ რიონის ხეობის მოძრაობის გადარჩენისთვის შრომაში ყოველდღიურად ჩართული აქტორები არასწორი და/ან გაუბედავი პოლიტიკური აგენტები ვიყავით, რადგან ვერ მოვახერხეთ მოძრაობის გადაწერა ან ინსტრუმენტალიზება, ან, მეორე მხრივ, ვერ შევძელით მათი რეალური ბუნების ამოცნობა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი კოლექტივისთვის და, ალბათ, ამ ბრძოლაში ყოველდღიურ შრომაში ჩართული ნებისმიერი მონაწილისთვის ღიმილის მომგვრელი იყო ამგვარი ორმაგი დადანაშაულება და მემარცხენე ჯგუფების სისუსტეზე უფრო მიუთითებდა, ერთი მხრივ, ვერ ეპოვათ თავი ერთადერთ სახალხო მოძრაობაში და ამ მოძრაობის ყოველდღიურ შრომაში ჩაურთველობის გამო, მოკლებულიყვნენ მომხდარის რეალური საფუძვლების გაანალიზების შესაძლებლობას, რაც თავისთავად სამწუხაროა, და, ვფიქრობთ, ასევე ცალკე კვლევისა და ჩაღრმავებული ანალიზის საგანი უნდა გახდეს. მეორე მხრივ კი, უნდა ითქვას, რომ ჩვენი კოლექტივისთვის სრულიად მიუღებელი იყო და ყოველთვის დარჩება საკუთარი თავის ან აგენტობის ავანგარდისტული, ზეგავლენის მომხდენი ჯგუფის სახით წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივის წევრები ცალსახად მემარცხენე პოლიტიკურ ღირებულებებზე დგანან. ეს ბრალდებები და თავად ის დაშვება, რომ ხეობის ადგილობრივ ლიდერებსა და სხვა მოხალისეობრივ ჯგუფებსა თუ ორგანიზაციებს შორის არსებობდა იერარქია, სადაც ჩვენს მსგავს აქტივისტურ ჯგუფებს მცველების აღზრდა-განათლება შეეძლოთ და ევალებოდათ, ჩვენთვის მოძრაობაში ჩართულობის პირველივე დღიდან არა მხოლოდ მიუღებელი იყო, არამედ მსგავსი კრიტიკის გამომთქმელების ქედმაღლობაზე, მათი მხრიდან მდგომარეობის წინასწარ განსაზღვრული იერარქიებიდან და ცრუ დაპირისპირებებში გაჭედილ ხედვაზეც მიუთითებდა.

თუმცა, 5 ივლისის შედეგად წამოსული კრიტიკის ნაწილის არაადეკვატურობა არავისთვის ამცირებდა რეალური კრიტიკის საფუძვლებს და, ასევე, ხეობის მცველებსა და ფართო მოძრაობის სხვა მნიშვნელოვან აქტორებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის ტკივილსა და სიმძიმეებს. შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში, დისკრედიტაციის მანქანამ ნაწილობრივ, ან დროებით მაინც, მიაღწია თავის საწადელს – ფართო მოძრაობის დაქსაქსვას და სუბალტერნული მოძრაობისა და სამოქალაქო საზოგადოების კონტრჰეგემონიურ ნაწილს შორის კონფლიქტის გაჩენას. თუ ეს ალიანსი წინა პერიოდში ბრძოლის წარმატების ერთ-ერთი ცენტრალური წყარო იყო, მისი სიმყიფე ბრძოლის შეფერხების წინაპირობაც აღმოჩნდა. მსგავსად შეიძლება ითქვას, რომ თუ მცველების ორმაგი კონტრჰეგემონიური დისტანცირების პოლიტიკა და სხვა აქტორების მიერ ამ პოლიტიკის მიმღებლობა მანამდე მოძრაობის ძლიერებას განსაზღვრავდა, 5 ივლისს გამომჟღავნდა მსგავსი, დროებითი კონსენსუსის მსხვრევადობა და ლიმიტები. აქვე ვიტყვი, რომ ორმაგი დისტანცირების ექსპერიმენტის მნიშვნელობა ამ ლიმიტების დადგომით არც უქმდება და არც მცირდება. მეტიც, არც მათი დადგომაა პოლიტიკური ტრაგედია და პირიქით, ეს ლიმიტები ჩვენთვის, ყველასთვის სწორედ ახალი პოლიტიკური სამუშაოს გაწევის, ალიანსებისთვის ახალი საფუძვლების გამონახვის საჭიროებასა და სივრცეს ქმნის. 5 ივლისის მოვლენების პოლიტიკური ზიანით მიღებული, მათ შორის, პირადი ტკივილების გავლაც მხოლოდ სწორედ ამ შესაძლო პროდუქტიული სივრცის მოსასინჯად არის ღირებული.

თუმცა, მანამდე, მნიშვნელოვანია დასახელდეს ფართო მოძრაობაში გაჩენილი განხეთქილების მიზეზებიც, თუ ვის რა პოლიტიკური გათვლა თუ შეფასება ჰქონდა 5 ივლისის მოვლენებზე. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მცველები უარყოფდნენ მათი მხრიდან ორგანიზაციების გამიჯვნაზე წყენის არსებობას, მათი პასუხები სოციალურ მედიაში კრიტიკულ კომენტარებზე და მათი 5 ივლისის შემდგომი ცოცხალი ჩართვები გარკვეულწილად გამოხატავდა პირად თუ პოლიტიკურ წყენას და გულისწყვეტას. მცველებისთვის თითქოს გულსატკენი იყო, რომ მათი გადაწყვეტილების კრიტიკოსებმა არასერიოზულად მივიღეთ ის, რომ მათი პოზიცია „პრაიდის“ შესახებ ებმოდა მათი მხრიდან მთელი ბრძოლის განმავლობაში ღიად გაცხადებულ მოცემულობას – რომ მცველები ქრისტიანული, კერძოდ, მართლმადიდებლური, და კიდევ უფრო ზოგადად, თეოლოგიური აზროვნებიდან ამოზრდილი ან ამ აზროვნებასთან ახლოს მდგომი ადამიანები არიან. შესაბამისად, მათი მიმღებლობა ეკლესიის მხრიდან წამოსულ მოწოდებაზე, რომ თბილისში პარაკლისს დასწრებოდნენ, მათი აზრით, არ უნდა განკითხულიყო. მეორე, რაც ალბათ მცველების ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტია, მათ წინააღმდეგ წამოსული კრიტიკა გადაფარავდა და აუფასურებდა მათ მიერ თვეების განმავლობაში გაწეულ შრომას იმისთვის, რომ მათი პროტესტი მრავალფეროვანი იდენტობის ადამიანებისთვის უსაფრთხო, დაცული, მიმღებელი სივრცე ყოფილიყო. მათთვის წარმოუდგენელი იყო, რომ მათ მხარდამჭერებს შეეძლოთ მათი თანმიმდევრული და შრომატევადი მიდგომა მათ მიერ გადადგმული ერთი პოლიტიკური ნაბიჯის საპირწონედ დაევიწყებინათ. დაბოლოს, მცველების აზრით, ისინი, ვინც ადვილად და ერთი ხელის მოსმით გმობდა ამ გადაწყვეტილებას – ვერ ითვალისწინებდა და აღიქვამდა იმ ტვირთსა და პასუხისმგებლობას, რაც მათ მხარდამჭერების მიმართ ჰქონდათ აღებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი აზრით, ჩვენ ვერ ვხედავდით „პრაიდის“ ირგვლივ შექმნილი დაძა-

ბულობის მასშტაბებს მოძრაობის შიგნით და ასევე, იმას, თუ რა საფასურის გადახდა უწევდა მოძრაობას ამ დაძაბულობაზე საპასუხოდ. მათი შეფასებით, რაც უფრო მეტად 5 ივლისის შემდეგ ჩაწერილ მიმართვებში გამომჟღავნდა – ლიბერალური ექსტრემიზმი და ზეწოლა კონსერვატიული ექსტრემიზმისა და ზეწოლის საპირწონე, მსგავსი, ერთნაირი პოზიცია იყო, მცველების გადაწყვეტილება კი – ამ ორი, ექსტრემისტული მხარისაგან განდგომის მცდელობა.

მცველების ნარატივს თუ მივყვებით, შეიძლება ითქვას, რომ თუ თბილისის აქციების დროს მათ მიერ ორმაგი დისტანცირების მიდგომა ულტრამემარჯვენე ჯგუფების საწინააღმდეგოდ გათამაშდა; თუ იმ დროს მათ პოლიტიკურ ალტერნატივას ყველაზე მეტად სწორედ ულტრამემარჯვენე ჯგუფები ეწინააღმდეგებოდნენ, 5 ივლისის შემთხვევაში მცველების მიერ ნაპოვნ ბალანსს სწორედ „პრაიდის“ მოწყობა არღვევდა. მართალია, 2021 წლის მარტში ქვიარ ჯგუფებისგან წამოსული მხარდაჭერა უმეტესწილად არა „თბილისი პრაიდის“ – როგორც ორგანიზაციის – არამედ სხვა ქვიარ ჯგუფების, განსაკუთრებით „თანასწორობის მოძრაობის“ მხრიდან მოდიოდა, მაინც, „პრაიდის“ მოახლოებისას, მისმა წარმომადგენლებმა მცველებისგან ქვიარ ბრძოლის მიმართ „საპირწონე“ მხარდაჭერის გამოხატვაც ითხოვეს. სწორედ ასევე ითხოვდნენ ხეობის მხარდაჭერასა და მათგან ცხად პოზიციონირებას ამ საკითხზე ულტრამემარჯვენე ჯგუფებიც და, შესაბამისად, მოძრაობის არა მხოლოდ ლიდერებს, არამედ რიგით მონაწილეებსა და მხარდამჭერებსაც მოუწიათ ამ ორპოლუსიან დაპირისპირებაში პოზიციონირება. მოძრაობის ლიდერებისთვის „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორების პასუხისმგებლობის გამოკვეთა მსგავსი დაპირისპირების შექმნაში, რაც, ასევე, პარალელურ დაპირისპირებას ქმნიდა მოძრაობის მხარდამჭერებში, „პრაიდის“ პოლარული პოლიტიკის წარმოებაში მონაწილეობის მხილებას ნიშნავდა.

კრიტიკოსთა ნაწილი, რომელიც არც „პრაიდის“ და, მით უმეტეს, არც ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდაჭერი არ იყო, ასევე განაწყენებული იყო მცველების გადაწყვეტილებაზე. აქ ალბათ უნდა ითქვას, რომ მოძრაობის მხარდამჭერთა ეს „შუა“ ნაწილი, შესაძლოა, ვერ აღვიქვამდა „პრაიდის“ მძიმე შედეგებს მოძრაობის სიცოცხლისუნარიანობაზე, ისე როგორც მცველებიც ვერ აღიქვამდნენ, თუ ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და ოფიციალური ეკლესიის ორგანიზებით მარგინალიზებული ჯგუფების დევნის რამდენად მძიმე გამოცდილებები ჰქონდა გავლილი უამრავ ადამიანს. თუ მცველებს ეგონათ, რომ მსგავსი პოზიცია ბალანსის შენარჩუნებას უდრიდა, ამ ნაწილს მიგვაჩნდა, რომ ეს პოზიცია ბალანსს სრულიად არღვევდა. და, რაც ყველაზე მთავარია, არაერთ მხარდამჭერს, ვისთვისაც მცველების ეს გადაწყვეტილება ღრმა პირად და პოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენდა, არ ჰქონია არავითარი მოლოდინი, რომ მოძრაობას ან „პრაიდის“ მიმართ მხარდაჭერა გამოეხატა, ან „ჰომოფობია დაეგმო“, და არც იმისა, რომ ქვიარ ცხოვრება, როგორც ასეთი, მათი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, საჯაროდ მიეღოთ. აქ მნიშვნელოვანია და უნდა ითქვას, რომ „ჰომოფობია“ არც ყოფილა ამ კონფლიქტის საგანი, მიუხედავად იმისა, რომ მცველები ბევრმა სწორედ ჰომოფობიურობაში დაადანაშაულა 5 ივლისის შემდგომ. ცენტრალური პრობლემა მცველების მხრიდან ძალადობრივი ჯგუფების გვერდით აღმოჩენა და საკუთარი, უკვე მოპოვებული ავტორიტეტის წონის აღუქმელობა იყო. ჩვენ ვერ ვახერხებდით, მიგვეღო მათი არგუმენტი, რომ ისინი მშვიდობიანად იდგნენ ძალადობრივი აქციის გვერდით

და იქვე ცდილობდნენ ძალადობის არიდებას. ფართო მოძრაობაში აქტიურად ჩართულ თუ მოძრაობის მხარდამჭერ არაერთ ინდივიდსა და ჯგუფს უკვე ჰქონდა მიღებული საკმაოდ ხანგრძლივი პოლიტიკური გამოცდილება იმისა, თუ რას ნიშნავს მსგავსი ულტრამემარჯვენე მობილიზაცია და ჩვენთვის ცხადი იყო, რომ მსგავს აქციაზე მშვიდობიანად ვერავინ დადგება, მით უმეტეს, სოციალური კაპიტალისა და ავტორიტეტის მქონე ადამიანების ჯგუფი ვერ აირიდებს ძალადობის ხელშეწყობის პასუხისმგებლობას ძალადობრივ აქციაზე თუნდაც მშვიდად დგომის დროს. ამიტომ, ჩვენ ვერ ვუსხლტებოდით მცველების გადაწყვეტილების პირად უარყოფად მიღებას. აქედან გამომდინარე, უამრავი ადამიანისთვის რთული გახდა, მცველების მხრიდან „პრაიდის“ უარყოფა ზოგადად ქვიარ ადამიანების უარყოფისგან გამიჯნულიყო მართალია, მცველები თავად ყოველთვის აფიქსირებდნენ, რომ მხოლოდ „პრაიდს“ ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ „პრაიდის“ მიღმა მათთვის ქვიარ ადამიანების ცხოვრება მისაღებია თუ არა, ამ საკითხს სიცხადეს ვერ აძლევდნენ. თუ მანამდე ეს ბუნდოვანება მისაღები იყო, აღნიშნული ჯგუფების გვერდით დადგომის შემდეგ, ბუნდოვანება და ორმაგი გამიჯვნა აღარ იყო საკმარისი, თუმცა, გასაგები და ემპათიის გამომწვევი იყო მცველების მტკიცება, რომ თავადაც სტრუქტურულად განსაზღვრული დაპირისპირების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. მეორე მხრივ, ამ ნარატივის მიღება ძნელი იყო იმ პირობებში, როცა მცველები თავს არიდებდნენ საკუთარი წილი პასუხისმგებლობის აღებას განვითარებულ ძალადობრივ მოვლენებში თუნდაც მათი სურვილის წინააღმდეგ თანამონაწილეობაზე.

ფართო მოძრაობის შიგნით განსხვავებული და კონფლიქტური შეფასებების არსებობის მიუხედავად, ვფიქრობ, ყველა ჩართული მხარისთვის ცხადი რჩება, რომ რიონის ხეობის მცველები და ბევრი ჩვენგანი მათთან ერთად მოვყევით ქართული და გლობალური პოლიტიკის ლიბერალურ-კონსერვატიულ ჩიხში. თავისთავად, ამ ბრძოლის ჩათრევა ამ ჩიხში დიდხანს მზადდებოდა. თავად ეს ცრუ დაპირისპირებაც დიდი ხნის განმავლობაში შექმნილი სტრუქტურული გარემოებაა, რომლის განჯაჭვა და მხილება ბევრმა ჩვენგანმა – ნაწილობრივი მცდელობების მიუხედავად – ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ. ამიტომაც – თუ გავითვალიწინებთ იმას, რა მასშტაბის გეოპოლიტიკური ბრძოლები, რა მოცულობისა და სიძლიერის მქონე პოლიტიკური და ფინანსური რესურსები დგას ამ დაპირისპირების კვლავწარმოების მიღმა, გასაკვირი არც არის ჩვენი – არა მხოლოდ როგორც ჰესის მოწინააღმდეგე, არამედ უფრო ფართოდ კონტრჰეგემონიური მოძრაობის პრობლემა ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, ამ კონკრეტულ დროს (რეხვიაშვილი, 2019)[204]. იმის მიუხედავად, რომ ყველას, მათ შორის მცველებს და მეც, ან სხვა მხარდამჭერებსაც, ჩვენი წვლილი მიგვიძღვის ამ ჩიხთან დამარცხებაში, მნიშვნელოვანია, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებშიც კი შეგვეძლოს მსგავსი სტრუქტურული მიზეზებით გატანჯვის დანახვა. და, რაც ყველაზე მთავარია, 5 ივლისის მოვლენებმა ყველა ჩართულ აქტორს დაგვანახვა მცველების ორმაგი გამიჯვნის პოზიციის სიმყიფე და შექმნა ალტერნატიული პოლიტიკური ჩარჩოს შექმნის საჭიროება ნამოხვანისა და მსგავსი ბრძოლების ფარგლებში უკვე არსებულ და სამომავლოდ მოსალოდნელ კონფლიქტურ მდგომარეობებთან გასამკლავებად.

204 სექსუალობის პოლიტიკის და კონკრეტულად პრაიდის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე აღმოსავლეთევროპულ და კონკრეტულად ქართულ კონტექსტში, გირჩევთ ანა რეხვიაშვილის ზემოთ ციტირებული სტატიის გაცნობას.

როგორც ვთქვით, 5 ივლისის მოვლენებმა დიდი, მაგრამ არა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მოძრაობას, მის ადგილობრივ ლიდერებს, ჩართულ მოხალისეობრივ ჯგუფებსა და მხარდამჭერებს. გარდა ჩართული ორგანიზაციების დისტანცირებისა, მცველების ბრძოლის დაფარვა დროებით შეწყვიტეს ან შეანელეს ერთგულმა კრიტიკულმა მედიებმა, თუმცა მათი დისკრედიტაცია ორმაგი ძალებით გააგრძელეს როგორც ჰესების ლობისტმა მედიებმა, ისე ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა, სოციალური ქსელების გამოყენებით. ამ პროცესმა მოძრაობა გარკვეულ დროს კვლავ საწყის, სუბალტერნულ პოზიციასთან დააბრუნა. მოძრაობის სისტემატური საჯარო დაფარვა და ხილვადობა შემცირდა, თუმცა, ეს უკანასკნელი მხოლოდ 5 ივლისის მოვლენებით არ აიხსნება, არამედ, ზოგადად, პროტესტის პიკური მდგომარეობის გადავლასაც უკავშირდება. ზაფხულის თვეებში, კომპანია „ენკამ“ მშენებლობა არაოფიციალურად, მაგრამ მაინც შეწყვიტა. სახელმწიფო რეპრესია არ შეწყვეტილა, მაგრამ შედარებით დასტაბილურდა და სენსაციურობა დაკარგა. ამ განხეთქილების შედეგი ყველაზე ცხადად „ენკას“ მიერ 2021 სექტემბერში კონტრაქტის გაწყვეტის მოთხოვნის დროს ვიხილეთ. მართალია, ყველამ ვიცოდით, რომ სიფრთხილე გვმართებდა „ენკას“ ამ განაცხადთან და რომ ამით პროექტის ბედი სულაც არ იყო გადაწყვეტილი, მაგრამ მაინც, ამ ეტაპისთვის, პროექტის კითხვის ქვეშ დაყენებაც უზარმაზარი გამარჯვება იყო, რომელიც მოკრძალებულად, უხმაუროდ, მედიის მხარდაჭერისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ფართო მოძრაობის ერთობის გარეშე აღვნიშნეთ.

მეორე მხრივ, 5 ივლისის ზიანის მოშუშების პროცესიც მალევე დაიწყო. დანაკარგებისა და საჯარო ხილვადობის შემცირების მიუხედავად, მცველებს არ დაუკარგავთ ერთგული მხარდამჭერების ფართო ბაზა – რასაც მათი აქტივობის მიმართ განგრძობადი საზოგადო ყურადღება სოციალურ ქსელებში კარგად ასახავს. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, თავად ხეობის მცველებმა, მაგრამ ფართო მოძრაობის სხვა აქტორებმაც, გააგრძელეს თანმიმდევრული ბრძოლა „ნამახვანჰესის“ პროექტის წინააღმდეგ. ცხადია, რომ ადრეული კრიტიკის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც, პარაკლისზე გამოცხადებით მცველები ავტონომიას თმობდნენ და ულტრამემარჯვენე ჯგუფების ან ეკლესიის პირდაპირი გავლენის ქვეშ ექცეოდნენ, ეს ეჭვები და მოლოდინი არ გამართლებულა. ხეობის მცველები ამის შემდეგ არც განსაკუთრებით დაახლოებულან და არც დამსგავსებიან ულტრამემარჯვენე ჯგუფებს. 5 ივლისის მოვლენების შემდეგ, სამოქალაქო საზოგადოების წევრებისა და მედიის დისტანცირების განაცხადები სუბალტერნულ და სამოქალაქო ჯგუფებს შორის უპრეცედენტოდ ღრმა თანამშრომლობასა და დაახლოებას გამოხატავდა – და მანამდე ეს წარმოუდგენელი სიახლოვე რომ არ ყოფილიყო, არც არავის მოუწევდა დისტანცირება. თუმცა, ამ დისტანცირების შემდეგაც, მოძრაობის სხვადასხვა წევრმა და ჯგუფმა მოახერხა არა მხოლოდ რეკონფიგურაცია და ბრძოლის გაგრძელება, არამედ, შეიძლება ითქვას, უფრო დისტანცირებული, მაგრამ მაინც, თანამშრომლობის გაგრძელება. აღსანიშნავია, რომ საერთო სტრატეგია და ნარატივი, მათ შორის, თავად მცველების შემოთავაზებული გეგმა, რომელიც უკვე დამარცხებულ ორმაგი გამიჯვნის სტრატეგიას ჩაანაცვლებს, ჯერ არ გამოძებნილა. ურთიერთმიმღებლობის ახალი მეთოდების გამოჩენის საჭიროება კვლავ არსებობს და უფრო გამწვავდება, თუ პროცესი ამას მოითხოვს – თუ თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროება, ბრძოლიდან გამომდინარე, კვლავ დადგება. ამ შემთხვევაში, უფრო ცხადად გამოჩნდება 5 ივლისის განხეთქილების შედეგები და ჩართული აქტორების რესურსებიც თანამშრომლობისა და ურთიერთმიმღებლობის ახალი სტრატეგიის მოსაძებნად.

მედიაცია, როგორც ხელისუფლების ცრუ მოლაპარაკებების და რეპრესიული პოლიტიკის მარცხის აღიარება და პროექტის „ენკას“ მონაწილეობით გადარჩენის უკანასკნელი მცდელობა

ფართო მოძრაობის შიგნით დაპირისპირებების გაჩენა, პირველ რიგში, ყველაზე ცხადად, იმ დროისთვის მიმდინარე მედიაციის პროცესზე უნდა ასახულიყო. თუმცა, პროცესში ჩართულ ორგანიზაციებსა და რიონის ხეობის მცველებს მედიაციის პროცესი დაპირისპირებების ან გამიჯვნის გამო არ დაუზიანებიათ. სექტემბერში რიონის ხეობის მცველების პროცესიდან გასვლა გასაგები და გამართლებული აღმოჩნდა სამოქალაქო მხარეს ჩართული სხვა ორგანიზაციებისთვის. თავის მხრივ, მცველებისთვისაც მისაღები და სასურველი იყო ორგანიზაციების პროცესში დარჩენა დამოუკიდებელი კვლევების ჩატარების ხელშესაწყობად. თუმცა, უკვე 2021 წლის ნოემბრის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს კვლევები მედიატორების გადაწყვეტილებით აღარ ჩატარდება და მხოლოდ მაშინ დადგება მათი განხორციელების საკითხი, თუ ნამახვანჰესის პროექტი გაგრძელდება.

თავისთავად მედიაციის პროცესის შედეგების შეფასება რთულია, თუმცა, გარკვეული დაკვირვებების შეჯამება მაინც შეიძლება. პირველი ისაა, რომ მედიაციის პროცესის წამოწყება მთავრობის მხრიდან უნდა განვიხილოთ, როგორც აღიარება იმისა, რომ მათმა ცრუ მოლაპარაკებების, დისკრედიტაციისა და რეპრესიების პოლიტიკამ არ იმუშავა. როგორც რიონის ხეობის მედიაციის დატოვების განცხადებიდან ჩანს, მთავრობას სურდა, რეპრესიების გვერდის ავლით, მოლაპარაკების პროცესში მიეღწია თავისი მუდმივად პრიორიტეტული მიზნის – ჰესის მშენებლობის პროცესის აღდგენისთვის. ამიტომ, მცველებისა და ჩართული სამოქალაქო წარმომადგენლების მიერ, მედიაციის დასაწყებად დაყენებული ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა – მშენებლობის ოფიციალურად შეჩერება – არათუ არ შესრულდა, არამედ, მეტიც, მთავრობა არაოფიციალურად შეჩერებული მშენებლობის აღდგენას ითხოვდა. როგორც განცხადებაში ვკითხულობთ: „პირობების შესრულების სანაცვლოდ ხელისუფლებამ მოითხოვა, პროტესტის მონაწილეებს საჯაროდ დაგვედო პირობა, რომ კომპანიის მუშა პროცესს არ შევაფერხებდით“.[205]

მეორე ისაა, რომ რიონის ხეობის მცველებისთვის (პრე)მედიაციის დახურულ ფორმატში მონაწილეობა თავიდანვე გამოწვევა იყო. მაშინ, როცა მოძრაობა მუდმივად ინფორმაციის საჯაროობისა და პროცესის ღიაობისთვის იბრძოდა, მედიაციის პროცესში მას მოუწია, დაეთმო საკუთარი ბრძოლის სტრატეგიის ეს განუყრელი ნაწილი. მოძრაობამ, პირველ რიგში კი, თავად მცველებმა, მაგრამ ასევე ჩართულმა ორგანიზაციებმა, არაერთხელ ითხოვეს, თუმცა მუდმივად უარი მიიღეს მედიაციის პროცესის საჯაროობის გაზრდაზე. საბოლოოდ, მცველებმა თავიანთი უკმაყოფილება პროცესის დატოვებით გამოხატეს მედიაციის დაწყებიდან სამი თვის თავზე, რისი მიზეზიც *„არა მხოლოდ წინაპირობების შეუსრულებლობა, არამედ მთლიანობაში მიკერძოებულად, უსამართლოდ და გაუმჭვირვალედ წარმარმართული პროცესი“*[206] იყო.

205 https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/posts/944089622848628/
206 https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/posts/944089622848628/

შეიძლება ითქვას, ამ დახურულ პროცესში ჩართულობამ თავისებური ზიანიც მიაყენა მოძრაობას: მხარდამჭერთათვის ძნელი გასაგები იყო და გარკვეულ უნდობლობას იწვევდა დახურულ კარს მიღმა მიმდინარე, ტექნიკური ტერმინოლოგიით დატვირთული პროცესი. სავარაუდო უნდობლობაზე მეტად პრობლემური ის იყო, რომ ამ თვეებში მხარდამჭერების ჩართულობის, მათი აგენტობის სივრცეც შეიზღუდა. მცველების მხრიდან საჯაროობაზე აქცენტი არასდროს ნიშნავდა მხოლოდ პროცესის გამჭვირვალობას, არამედ, პირველ რიგში, სწორედ თანამოაზრეებისთვის პროცესის განსაზღვრაში აგენტობის გაზიარებას, მათი ჩართულობის მნიშვნელობის არტიკულაციას. ამიტომ, მედიაციის პროცესი განსაკუთრებულად პრობლემური გახდა მოძრაობის კვლავწარმოებისთვის. მცველებმა მაინც მოახერხეს, საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ თანმიმდევრულობა, პრინციპულობა და პრობლემის მოგვარების ყველა შესაძლებელი გზის მოსინჯვის სურვილი. მათ მიერ პროცესის დროულმა დატოვებამ, სავარაუდოდ, პროცესის ზიანის ნაწილობრივი დაბალანსება და ნდობის აღდგენაც გამოიწვია, თავად მედიაციამ კი მცველების გასვლით თითქმის სრულებით დაკარგა პოლიტიკური ხასიათი, საჯარო რელევანტურობა და სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკის გარე ჩართულობის ფონზე გარდაქმნის ან შენარჩუნების მორიგ მექანიზმად იქცა.

2021 წლის ნოემბრის ბოლოს მედიაციის პროცესი მედიატორების ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დასრულებულად გამოცხადდა. ამ პროცესის დასრულებისას პროცესის უმნიშვნელო შედეგებმა კიდევ უფრო გაამყარა მცველების გასვლის გადაწყვეტილების სისწორე. ევროკავშირის ენერგოგაერთიანების წარმომადგენლებმა ყველა ჩართულ მხარეს გაუზიარეს თავიანთი, როგორც მოლაპარაკების პროცესის ხელმძღვანელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ „ნამახვანჰესის“ პროექტზე დაგეგმილი საერთაშორისო, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შესასრულებელი ორი – გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ხელშეკრულების, ან, როგორც უფრო ფორმალურად უწოდებდნენ, პროექტის კომერციული შეფასების – კვლევა, რომელსაც მედიაციის პროცესში სამოქალაქო მხარემ მივაღწიეთ, აღარ შესრულდებოდა. ამის მიზეზად მათ „ენკას“ მხრიდან პროექტის დატოვების სურვილი დაასახელეს. მედიატორებმა ასევე განაცხადეს, რომ თუ „ენკა“ ან რომელიმე სხვა კომპანია გააგრძელებს პროექტს, ისინი დამოუკიდებელი შეფასებების პროცესს განაახლებენ. ეს დაპირება სახელმწიფოს გადაწყვეტილებებს დამატებით ანგარიშვალდებულებას სძენს, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მართლაც აღარ გაგრძელდება, გამოდის, რომ მედიაციის პროცესის შედეგად ვერაფერი მივიღეთ პროექტის შეფასების თვალსაზრისით – არავითარი ახალი, დამატებითი სიტყვა – არც კრიტიკა, არც თუნდაც პროექტის დადებითი შეფასება ამ 6-თვიანი პროცესის განმავლობაში არ გაკეთებულა. ცალსახაა, რომ მედიაციის პროცესმა ვერც უარყო და ვერც წინ წაწია ნამახვანჰესის პროექტის წინააღმდეგ ადგილობრივად წარმოებული ცოდნა, კრიტიკა და კონფლიქტი. ჯამში, ეს უსახური დასასრული, მედიაციის პროცესს სახელმწიფოს მხრიდან მდგომარეობის სტაბილიზაციის მორიგ მექანიზმად წარმოაჩენს.

უნდა ითქვას, რომ შედეგების სიმცირის მიუხედავად, მედიაციამ გარკვეულ შედეგებამდე მაინც მიგვიყვანა. მედიაციის პროცესის დახმარებით, საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის მომზადებაში ჩაერთვნენ დაინტერესებული სამოქალა-

ქო აქტორები. 2021 წლის ოქტომბრიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს მთავრობის, ევროკავშირის ენერგოგაერთიანების წევრები და დაინტერესებული ორგანიზაციები თუ სამოქალაქო პირები და, მათ შორის, ჩვენი კოლექტივის წევრები ესწრებიან. მცველებიც და სხვა ორგანიზაციებიც ამ შეხვედრების საჯაროობის გასაზრდელადაც იბრძოდნენ. 2022 წლის აპრილში, ამ შეხვედრების პირველი ციკლიც დასრულდა. მოძრაობამ ეს შეხვედრებიც დატოვა, ვინაიდან მომავალ გეგმაში კვლავ ჩაიწერა ნამახვანის, ხუდონისა და ნენსკრას ჰესების პროექტები, რომელთა საჭიროების დასაბუთებასაც შეხვედრებში ჩართული არაერთი მონაწილე პრინციპულად ითხოვდა. უნდა ითქვას, რომ როგორც ზოგადად „ენკას“ მიერ ხელშეკრულების გაწყვეტის დაანონსების შემდგომი პერიოდი კარვების პროტესტის ეტაპის დასრულებამდე, ისე მასში შემავალი „ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის“ შემუშავების პროცესის ანალიზიც ცალკე კვლევისა და ჩაღრმავების ნაწილია, ამიტომ, იმას, თუ რა როლს ითამაშებს მედიაციის წყალობით შექმნილი დიალოგის ფორმატები ენერგოპოლიტიკის შესაძლო გარდაქმნაში ან რეალურ დემოკრატიზაციაში, ღია და მიმდინარე საკითხად ვტოვებთ.

„ენკას“ მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა

2021 წლის სექტემბრის ბოლოს „ენკას“ მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა რიონის ხეობის გადარჩენისთვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ამ ინფორმაციიდან რამდენიმე თვის განმავლობაში, გაურკვეველი იყო პროექტისა და, ზოგადად, კომპანიის გასვლის ბედი. ერთი მხრივ, მთავრობა აცხადებდა, რომ კომპანიის გასვლა და დარჩენა, თანაბრად განიხილებოდა, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა ლობისტი თუ მეინსტრიმული ტელევიზია პროექტს ჩაშლილად აფასებდნენ და ამაში პირდაპირ მოძრაობას ადანაშაულებდნენ. ამ ბუნდოვანებაზე უფრო საგანგაშო, ამ თვეების განმავლობაში, რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის, განსაკუთრებით, მცველების და კონკრეტულად კი ვარლამ გოლეთიანის დისკრედიტაციის განახლებული და გამალებული მცდელობაა. მსგავსი იერიშების ყველაზე მახინჯი გამოვლინება საქართველოს სახელმწიფოს გამოუვალ მდგომარეობაში ჩადგებისთვის და სავარაუდო ფინანსური ტვირთის დაკისრებისთვის მოძრაობის დადანაშაულება და კაბალურ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მთავრობის მხრიდან პასუხისმგებლობის სრული ჩამორეცხვაა.

მოძრაობაზე იერიში კვლავ მიაქვთ სამთავრობო და ლიბერალურ მედიებს თუ ურბანული საშუალო ფენების წარმომადგენლებს. მათ განცხადებებში იკვეთება ბრაზი და სიმწარე ძალაუფლებრივი პოზიციების მარგინალური, სუბალტერნული ან ამ ჯგუფებისთვის დამახასიათებელი, დამამცირებელი ჟარგონებით რომ ვთქვათ, „პერიფერიული, სოფლელი, ბნელი და ჩამორჩენილი“ აქტორების მხრიდან ხელშესახები შევიწროებისა და ძირგამოთხრის გამო[207]. თუ ამ მოვლენებს შევაჯამებთ, დავასკვნით, რომ ამ აქტორებისთვის მათი ჰეგემონიური იდეებისა და ინტერესების შერყევა ადვილი გადასატანი არ არის და ისინი უფრო და უფრო უღირსი ფორმებით ცდილობენ წინააღმდეგობის ყველა

207 https://www.facebook.com/107490771649032/posts/122190616845714/?sfnsn=mo

ფორმის დისკრედიტაციას. მეორე მხრივ, მოძრაობას კვლავ უტევს ულტრამემარჯვენე ძალების ნაწილი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა რიონის ხეობის მცველების მხრიდან შქმერში დაწყებული ბრძოლისთვის სოლიდარობის გამოცხადების შემდეგ[208]. ცხადია, რომ სხვადასხვა ულტრამემარჯვენე ჯგუფს სურს არსებული და ახლად დაწყებული სუბალტერნული ბრძოლების საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა და ამ პროცესიდან ხეობის მცველების გარიყვა. ამ პერიოდში მცველების შემცირებული საჯარო ხილვადობა, მედიის მხარდაჭერის ნაკლებობა თუ პირდაპირი იერიშები კი მათ შედარებით დაუცველს ხდის სხვადასხვა სახის შეტევასთან გასამკლავებლად.

ამ ორმაგი შეტევის მიუხედავად, რიონის ხეობის მცველების მხრიდან ავტონომიური პოზიციის შენარჩუნება განამტკიცებს როგორც მათ რეპუტაციას, ისე მათი მსგავსი საზოგადოებრივი ძალის პოლიტიკური საჭიროების სიცხადეს. რიონის ხეობის მცველების არსებული პოლიტიკური ჩარჩოებისგან, განსაკუთრებით კი, ლიბერალურ-კონსერვატიული ცრუ დაპირისპირებისგან განგრძობითი თვითდისტანცირება მათ სანდოობას უნარჩუნებს სხვა სუბალტერნული ბრძოლებისა და, უფრო ფართოდ, საზოგადოების სუბალტერნული ფენების თვალში. კრიტიკულად განწყობილი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, თავის მხრივ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება 5 ივლისის ზიანის გადალახვა, რამდენადაც მცველები კვლავ რჩებიან სახალხო მხარდაჭერის მქონე ერთადერთ ავტორიტეტულ სამოქალაქო ძალად, რომელიც სასიცოცხლო გარემოს გადარჩენისთვის, მთავრობის, როგორც „კოლონიური ადმინისტრაციის“ წინააღმდეგ ბრძოლაში ცალსახად ნაციონალისტური და/ან ფაშისტური ჩარჩოებით არ ოპერირებს.

208 https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1268613564406 82&id=100582805735204

დასკვნა: სუბალტერნული ბრძოლა პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოების ველს შორის

7 მაისს რიონის ხეობის მოძრაობამ „ენკას“ მიერ ხეობის დატოვება აღნიშნა, კარვებში პროტესტის ეტაპი დაასრულა და ბრძოლის გაგრძელება დააანონსა. რიონის ხეობის მოძრაობის, ისევე, როგორც „ნამახვანჰესის“ პროექტის, ენერგოპოლიტიკისა და უფრო ზოგადად, განვითარების პოლიტიკის ბედი ჯერ კიდევ უცნობია, მაგრამ ამ თითქმის ორწლიანი უწყვეტი ბრძოლის ანალიზის შედეგად არასრულყოფილი, თუმცა საგულისხმო დასკვნებისა და დაკვირვებების გაკეთებაა შესაძლებელი.

პირველ რიგში, ამ ბრძოლის ისტორია ზედმიწევნით ავლენს, თუ რა გზებით ცდილობს სახელმწიფო და, ზოგადად, ლიბერალურ კონსენსუსზე დაყრდნობილი პოლიტიკური და მასთან მიბმული ეკონომიკური ელიტა, განვითარების არსებული პოლიტიკის კრიტიკის მოგერიებას, უარყოფასა და საჯარო სივრციდან განდევნას. ამ განდევნის ერთი ნაწილი სახელმწიფო ძალაუფლების ჩარჩოდან გასვლის ან სახელმწიფოს საბაზისო ვალდებულებების მიზანმიმართული შეუსრულებლობის გზით, მოქალაქეების ან მოქალაქეების ჯგუფების სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური მარგინალიზაციაა. საბაზისო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა, რეგიონების სოციო-ეკონომიკური პერიფერიზაციის ხელშეწყობა მარგინალიზაციის გრძელვადიანი სტრატეგიაა. ასევე, გრძელვადიანი სტრატეგიაა მოქალაქეებისთვის დემოკრატიული ჩართულობის ინსტიტუციური ფორმატების – მაგალითად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებების განხილვების – მიზანმიმართული გაუვნებელყოფაც. მოკლევადიან სტრატეგიად საპოლიციო ძალის გადაჭარბებული, არაკონსტიტუციური გამოყენება გვევლინება. თუმცა, ამ, შედარებით მატერიალური სტრატეგიების მიღმა, უმნიშვნელოვანესია მარგინალიზაციისა და დისკრედიტაციის დისკურსული სტრატეგიები. სწორედ აქ ვლინდება თეორიულ ჩარჩოში მოყვანილი სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური საზოგადოების დეფინიციების მნიშვნელობა. სახელმწიფო სტრატეგია მოქალაქეების სამოქალაქო საზოგადოების ველიდან განდევნის მცდელობაში გამოიხატება. ამ მცდელობით, პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა მოსახლეობის ჯგუფების დეჰუმანიზაციას მათი, როგორც უფლებების მქონე სამოქალაქო სუბიექტებად ყოფნის ეჭვქვეშ დაყენებით იწყებს. სწორედ ამისთვის სჭირდებათ და აქამდეც დასჭირვებიათ ჰეგემონიურ ჯგუფებს დისკურსული დისკრედიტაციის ბევრჯერ გამოყენებული მექანიზმების – ქსენოფობიის, მოძალადეობის, დაბალი ცნობიერების, ჰომოფობიის, განვითარების მოწინააღმდეგეობის, მოდერნულობისგან ამოვარდნილობის – გამოყენება, როგორც რიონის ხეობის მოძრაობის, ისე სხვა არაერთი მოძრაობის შემთხვევაში. თუ სახელმწიფო ახერხებს ამ დეჰუმანიზაციას და მოსახლეობის – სამოქალაქოდან პოლიტიკური საზოგადოების, სამოქალაქო და კონსტიტუციური უფლებების მიღმა, ექსტრაინსტიტუციურ ველში გადაყვანას, ამის შემდეგ, მას უადვილდება რეპრესიის მძიმე ფორმების გამოყენებაც და ამ რეპრესიის ლეგიტიმაციაც. მართალია, ამ სტრატეგიებს თანმიმდევრულობა ყოველთვის არ ახასიათებს, მაგრამ პირობითად შეგვიძლია, ისინი ამგვარი რიგითობით დავალაგოთ: პირველ რიგში, სახელმწიფო იწყებს მოსახლეობის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მარგინალიზაციას, მოსახლეობას უხშობს დემოკრატიული ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას. ეს სხვადასხვა მოძრაობას მხოლოდ ექსტრაინსტიტუციური მექანიზმების

გამოყენების საშუალებას უტოვებს (რისი კლასიკური მაგალითიცაა ხატზე დაფიცება სვანეთში, ან რიონის ხეობის მცველების შემთხვევაში, მართლმადიდებლურ სიმბოლიკაზე დაყრდნობა), რაც მხოლოდ **პოლიტიკური საზოგადოების** ველში ბრძოლას გულისხმობს. მეორე ისაა, რომ პოლიტიკური საზოგადოების ველში გადასაყვანად ან ამ ველში მათ ჩასატოვებლად, ხელისუფლება იყენებს დისკურსული დისკრედიტაციისა და დეჰუმანიზაციის სხვადასხვა მექანიზმს, მოსახლეობის პოლიტიკურ ხმას აქტიურად ახშობს და მათ სახავს, როგორც არსებული წესრიგიდან მოწყვეტილ ჯგუფებს. შეიძლება ითქვას, ეს სტრატეგია პოლიტიკური საზოგადოების ველში გადასულ მოძრაობებს რეალობიდან ამოგლეჯს, როგორც დროითი, ისე სივრცითი თვალსაზრისით. ამ ოპერაციის შემდეგ, ისინი თითქოს პრემოდერნულ ან არამოდერნულ დროს მიეკუთვნებიან, ეს დრო და ამ დროის ფიზიკური სივრცე კი სახელმწიფოს გადმოსახედიდან საერთოდ აღარ არსებობს. ბოლოს კი, მესამე ეტაპზე, როცა მოძრაობები უკვე განდევნილია არა მხოლოდ სამოქალაქო უფლებრივი სივრციდან, არამედ ზოგადად, დღევანდელობაში არსებობის უფლებიდან, სახელმწიფო იწყებს ექსტრაინსტიტუციური რეპრესიული მექანიზმების გამოყენებას. დეჰუმანიზებულ, დროსა და სივრცეში წაშლილ, დეპოლიტიზებულ სუბიექტებს სახელმწიფო სწორედ ასეთ სივრცეში, კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასული რეპრესიის მექანიზმებით უსწორდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მოძრაობების პოლიტიკური საზოგადოების ველში გადაყვანა სახელმწიფო სტრატეგიაა.** ეს სტრატეგია ყოველთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ არ მუშაობს (როგორც კარგად ვნახეთ ხუდონჰესისა და ნენსკრა ჰესის ირგვლივ არსებული ბრძოლების შემთხვევაში), რამდენადაც ამ ველის კონტროლი თავად სახელმწიფოსაც უჭირს, თუმცა, ფართო საზოგადოების თვალში, პოლიტიკური საზოგადოების ველში მებრძოლი მოძრაობების დელეგიტიმაცია და, შესაბამისად, საკუთარი განვითარების პოლიტიკის ჰეგემონიურ ცოდნად დატოვება მას ცალსახად უადვილდება. სახელმწიფომ რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის წინააღმდეგ ყველა ეს მექანიზმი ზედმიწევნით გამოიყენა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, მოძრაობამ უმეტესწილად მოახერხა ამ სახელმწიფო სტრატეგიის მძიმე შედეგების თავიდან არიდება.

რიონის ხეობის მოძრაობის უნიკალურობა სწორედ იმაშია, რომ ეს ბრძოლა სუბალტერნული, პოლიტიკური საზოგადოების ველზე მიმდინარე ბრძოლიდან გადაიქცა პარტიული პოლიტიკისაგან დისტანცირებულ, პერიფერიიდან წამოსულ, ფართო სახალხო მხარდაჭერის მქონე **სამოქალაქო საზოგადოების** ბრძოლად – პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ამ ბრძოლის უპრეცედენტო წარმატების ცენტრალური საზომი სწორედ სუბალტერნული ბრძოლის ძლიერ და ავტონომიურ სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლად გარდაქმნაა; სუბალტერნული აქტორებისა და სამოქალაქო საზოგადოების, და მედიის შედარებით კონტრჰეგემონიური ნაწილის უპრეცედენტო თანამშრომლობა, დაახლოება და შერწყმაა. სწორედ ამ თანამშრომლობის წყალობით მოხდა ურთიერთშემავსებელი რესურსების მობილიზება. კონტრჰეგემონიური სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის ფონზე, სუბალტერნულმა ბრძოლამ მოახერხა: [1] სახელმწიფოს ხელში არსებული ყველაზე ძლიერი იარაღის – ცივილურობის სივრციდან განდევნის, პოლიტიკური ხმის ჩამორთმევის – თავიდან არიდება; [2] პროფესიული ცოდნისა და არგუმენტების მობილიზება; [3] სამოქალაქო საზოგადოების ველში საბრძოლველად მონიშნული, სამართლებრივი ბრძოლის იარაღების კომპლექსუ-

რი გამოყენება და, ჯამში, [4] სუბალტერნულობის პოზიციიდან ემანსიპაცია, საჯარო პოლიტიკური ხილვადობის, ხმის გაზრდა და ამ პროცესში მომიჯნავე სუბალტერნული ჯგუფების ხმის გაძლიერება. მეტიც, თავის მხრივ, ამ სუბალტერნული პოზიციიდან ამოზრდილი, ფართო სახალხო მხარდაჭერის მქონე მოძრაობასთან შერწყმით, კონტრ-ჰეგემონიურმა სამოქალაქო საზოგადოებამაც მოახერხა მათ მიერ იქამდე წარმოებული ცოდნისა და პოლიტიკური შრომის პრაქტიკაში ხორცშესხმა და მისი რელევანტურობის წარმოუდგენლად გაზრდა; ერთი სიტყვით – სამოქალაქო საზოგადოების ვიწრო, არარეპრეზენტაციული, არადემოკრატიული ხასიათის გამო, მათი შრომის შედეგების სივიწროვის გადალახვა.

საბოლოოდ კი, რომ დავუბრუნდეთ საწყის კითხვას, თუ ვინ შეეწინააღმდეგება პერიფერიულ კაპიტალიზმს საქართველოში ან აღმოსავლეთ ევროპაში, ცხადია, რომ **ამ ორმაგი ძალით აღჭურვილი – კონტჰეგემონიური სამოქალაქო საზოგადოებისა და სუბალტერნული სახალხო ბრძოლის რესურსების გაერთიანება ქმნის სწორედ მოცემულ კონტექსტში, პერიფერიულ კაპიტალიზმთან არა ფსევდო, არამედ ფუნდამენტური დაპირისპირების შესაძლებლობას და ხსნის დეკოლონიური ალტერნატივების განხილვის სივრცეს.** მსგავსი დასკვნის გასაფართოებლად და ასახსნელად, მნიშვნელოვანია რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობის სხვა, მსგავსი მოძრაობების გამოცდილებებთან შედარება. როცა ამ კონკრეტული ბრძოლის უპრეცედენტობაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მოძრაობის პოლიტიკური საზოგადოებიდან სამოქალაქო საზოგადოების ველში გადაზრდა. ამ დოკუმენტში მოყვანილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ერთი მხრივ, გონივრული არგუმენტირებული მსჯელობა, მეორე მხრივ კი, ფართო მხარდაჭერის ღიაობით, დიალოგზე ორიენტირებით და საჯარო ჩართულობით მოპოვება ნამოხვანის ბრძოლის გმირებისთვის ბრძოლის დასაწყისიდანვეა დამახასიათებელი. თუმცა, მათი სამოქალაქო საზოგადოების ველში მყარი გადასვლის ყველაზე ცხადი ეტაპი 2021 წლის თებერვალსა და მარტში ბრძოლის მშვიდობიანი ხასიათის, როგორც ერთადერთი ეფექტიანი და, მათი შეფასებით – ღირებულებითად სწორი სტრატეგიის გამოკვეთის დროს დგება.

მშვიდობიანობაზე ხაზგასმა და მისი დაცვისთვის გამართული ყოველდღიური ბრძოლა არა მხოლოდ მოძრაობის ლიდერების პიროვნული და ჯგუფური ღირებულებითი არჩევანია, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტაქტიკაც, რომელიც აუცილებლად უნდა განვიხილოთ როგორც კოლონიური მთავრობებისა და, ზოგადად, დომინანტური პოლიტეკონომიკური ელიტების სტრატეგიების საპირწონედ, ისე უშუალოდ საქართველოში სხვა ჰესების მოწინააღმდეგე მოძრაობების გამოცდილებების გათვალისწინებით. 2020 წლის 28 თებერვალს, ქუთაისში გამართულ პირველ მრავალათასიან სახალხო აქციაზე, რომლის განხორციელების შესაძლებლობისაც საქართველოს მოქალაქეებს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე თითქმის აღარ სჯეროდათ, მშვიდობიანი ბრძოლის უალტერნატივობას ვარლამი მას მერე უსვამს ხაზს, რაც აქციაზე გამომსვლელი ერთ-ერთი აქტივისტი სვანეთიდან ახსენებს, რომ აქამდე არცერთი ჰესის პროექტი ფიზიკური შეწინააღმდეგების გარეშე არ შეჩერებულა. წინა წლებში, საქართველოს მთიან ნაწილში ჰესების წინააღმდეგ ბრძოლას საკმაოდ სისტემატურად ახასიათებდა ინსტიტუციურ-სეკულარული ჩარჩოებიდან გასვლა და მობილიზების ფუნდამენტის ტრადიციულ

ნორმებსა და ადათებზე, სვანეთის შემთხვევაში – ხატზე დაფიცების რიტუალზე დაყრდნობა (Antadze and Gujaraidze, 2021). ტრადიციულ რიტუალებზე დაყრდნობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ადგილობრივი პროტესტის წევრების პასუხი სამოქალაქო უფლებების სისტემატურ ჩამორთმევაზე. როგორც სვანი აქტივისტები იხსენებენ,

> *„ფიცის დადება გამოიწვია იმან, რომ იგნორირებულები ვიყავით ყველა ინსტანციიდან, აბსოლუტურად ირღვეოდა ჩვენი უფლებები“ ... „გვერდით იმდენად არავინ გყავს, შენს ტრადიციას უნდა მიმართო, რომელიც შეაჩერებს [მშენებლობას]“ (Qeburia and Chubabria, 2017, pp. 173-174).*

მაშინ, როცა სახელმწიფო, ისევე, როგორც ძალაუფლების მქონე სოციალური ფენები, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის დიდი ნაწილი, უარს ამბობს მოისმინოს და ლეგიტიმურ აქტორებად მიიღოს პროტესტის მონაწილე მთიანი რეგიონის მოსახლეობა – როცა მათ აქტიურად ჩამოერთმევათ სამოქალაქო საზოგადოების ცნებაში მოაზრებაც და სამოქალაქო უფლებებიც, მოსახლეობა პოლიტიკური საზოგადოების ველიდან იწყებს მობილიზებას. სვანი აქტივისტი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ სწორედ პოლიტიკური საზოგადოების ველში ბოლომდე გადასვლამ, ბრძოლის შეუპოვრობის ექსტრალეგალური საფუძვლების ჩვენებამ მიაღწევინა წარმატება არაერთ მოძრაობას.

თუმცა, რიონის ხეობის მცველებს უწყვეტი პროტესტის დაწყებისას უკვე თავისებურად გავლილი ჰქონდათ სხვა მოძრაობების მიერ განვლილი გზა. მათ იქამდე უკვე მოსინჯეს საჯარო შეხვედრებზე დასწრება, მცირე აქციების მობილიზება და დემოკრატიული ჩართულობის ამ მექანიზმების ლიმიტებსაც გადააწყდნენ. შესაბამისად, 2020 წლის ოქტომბრის ბოლოს, ისინი უფრო პოლიტიკური საზოგადოების ველში მებრძოლ პატარა მოძრაობას ჰგვანან. ის, რომ მცველები მაშინაც და ზოგადად, ყოველთვის ძირითადად დინჯი, გონივრული და მშვიდობიანი აქტორები არიან, სულაც არ ცვლის მათი პოლიტიკური საზოგადოების ველში ბრძოლის მდგომარეობას. მსგავსად მწყობრი და არგუმენტირებული პოზიციებით ცდილობდნენ სხვა ჰესების მოწინააღმდეგე მოძრაობებიც სახელმწიფო რეპრესიისა და აგრესიის არიდებას, თუმცა, დისკრედიტაციის მანქანის წინაშე დასუსტებულებს მხოლოდ სამოქალაქო უფლებების ჩარჩოდან გასვლა, ზოგჯერ ხატზე დაფიცების ტრადიციის გააქტიურება და ზოგჯერ ძალადობაზე ძალადობითვე პასუხის გაცემა უწევდათ. რიონის ხეობის მცველების მიერ ბრძოლის სუბალტერნულ მდგომარეობაში ყოფნისას, ანუ 2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში რელიგიური სიმბოლოების გამოყენება, პატრიარქის მხრიდან მხარდაჭერის მოთხოვნა, ჯაჭვში ჩაბმა – სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ველიდან გარიყვით სასოწარკვეთილი, პოლიტიკური საზოგადოების ველში მყოფი მოძრაობის მახასიათებლად შეგვიძლია აღვიქვათ. ბრძოლის ლიდერებისთვის ამ მექანიზმების ორგანულობა და მართლმადიდებელ ეკლესიასთან ღირებულებითი სიახლოვე საერთოდ არ ამცირებს ბრძოლის მსგავსი იარაღების აქტიური გამოყენების საჭიროების სამოქალაქო სივრციდან თანმიმდევრული გარიყვით ახსნას.

თუმცა, მათი სპეციფიკური მდგომარეობისთვის დამახასიათებელი შესაძლებლობებისა და ლიმიტებიდან გამომდინარე, მცველები 2021 წლის დასაწყისში სხვა მოძრაობების

საპირისპირო არჩევანს აკეთებენ – **ცდილობენ, არ დარჩნენ პოლიტიკური საზოგადოების ველში და შეინარჩუნონ სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ლეგიტიმურობა.** მათი არჩევანი თავიდანვე შეზღუდული იყო, რამდენადაც სვანების ან პანკისელებისგან განსხვავებით, ბრძოლის დაწყებისას, რიონის ხეობის მოსახლეობის უმეტესობას უკვე გაყიდული ჰქონდა მიწა და მათი ერთობაც უკვე მორღვეული იყო. შესაბამისად, მოძრაობას თავისთავად გაუჭირდებოდა სათემო ერთობის ტრადიციული რიტუალების გზით მობილიზება. მეორე მხრივ, რიონის ხეობის მცველებს უწყვეტი პროტესტის დაწყების და განსაკუთრებით სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის გააქტიურების შემდეგ, ასევე ეძლევათ ახალი შესაძლებლობები. მათ მხარს უჭერენ უკვე არსებული ჰესების მოწინააღმდეგე მოძრაობების წარმომადგენლები და გვერდში უდგანან კრიტიკული მედიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ველში მომუშავე ორგანიზაციები თუ მოხალისეობრივი ჯგუფები.

ამ ლიმიტების გათვალისწინებით და მხარდაჭერის რესურსების ათვისებით, რიონის ხეობის მოძრაობა ამ პერიოდში ცდილობს და წარმატებით ახერხებს სამოქალაქო საზოგადოების ველიდან ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზებას. ხეობის მცველები წინა მოძრაობების მაგალითზე აღიქვამენ, რომ პოლიტიკური საზოგადოების ველში დარჩენას, შესაძლო წარმატების მიუხედავად, დიდი გამოწვევები ახასიათებს. ამ ველში დარჩენა, გრძელვადიან პერსპექტივაში, მთავრობას და ზოგადად პოლიტიკურ-ეკონომიკურ ელიტებს ბრძოლის მარგინალიზაციას უადვილებს. გარდა ამისა, მხოლოდ ჰესის მშენებლობის შეჩერება არცერთ ეტაპზე არ ყოფილა რიონის ხეობის მოძრაობის საბოლოო მიზანი. გზადაგზა, პრობლემის სიღრმეების გაცნობიერებასთან ერთად, ისინი მუდმივად აცხადებდნენ, რომ მათ მოუწიათ არა კონკრეტული, არამედ სისტემური პრობლემის წინაშე დადგომა, რომლის გამოსასწორებლადაც ადგილობრივად მიღწეული შედეგი სრულიად არასაკმარისი იქნებოდა. სწორედ ამან განაპირობა მოძრაობის მხრიდან საზოგადოებაში იქამდე არსებული დაპირისპირებების ჭრილობების მალამოსებური მოშუშებაც – უფრო გრძელვადიანი მიზნებისკენ ორგანიზებისთვის მზაობის ჩვენებამ, მოქალაქეები გარკვეულ ეტაპზე მოძრაობის, როგორც ემანსიპატორული ძალის და არა როგორც კონკრეტული პრობლემის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის მხარდაჭერაში დაარწმუნა.

პოლიტიკურ საზოგადოებაში დარჩენის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან მარგინალიზაციის გაადვილების დასტური სწორედ ისაა, რომ მიუხედავად ნამოხვანის ბრძოლამდე წარმართული არაერთი მნიშვნელოვანი ბრძოლისა, 2020 წელს მთავრობა სწორედ იმავე დისკრედიტაციის ჩარჩოების გამოყენებას ცდილობს ნამოხვანის ბრძოლის წინააღმდეგ (ვიწრო ინტერესი, ცნობიერების ნაკლებობა, განვითარების და პროგრესის უარყოფა), რასაც წინა ბრძოლების წინააღმდეგ იყენებდა, თუმცა, თავად მოძრაობის განსხვავებული ხასიათი და არჩეული სტრატეგია ამ მექანიზმებს დიდი ხნის განმავლობაში თავის სასარგებლოდ გადაწონის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსგავს ბრძოლებს შესაძლოა შეეჩერებინათ ჰესის კონკრეტული პროექტები, მაგრამ ნაკლები წარმატებით ან საერთოდ ვერ ახერხებდნენ განვითარების გაბატონებული ლოგიკის კრიტიკის საჯარო განხილვის საგნად გადაქცევას. ნამოხვანის ბრძოლის შემთხვევაში, მცველები უარყოფენ მათთვის მიჩენილ დისკრედიტაციის იარლიყებს, იყენებენ უკვე არსებულ

საზოგადოებრივ მხარდაჭერას და ახერხებენ არსებული მხარდაჭერა ბრძოლის ლეგიტიმაციის რესურსად გადააქციონ.

თავის მხრივ, ხეობის ადგილობრივი ლიდერების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ველში, მის დისკურსსა და პრაქტიკაში დარჩენის დაჟინება, ხელს უხსნის კრიტიკულად განწყობილ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის დამკვიდრებულ აქტორებს, რომ მათ განსაკუთრებული სითამამით დაუჭირონ მხარი და, შეიძლება ითქვას, შეეზარდონ მოძრაობას. მცველები მუდმივად ცხადყოფენ მთავრობისა და, ზოგადად, ჰეგემონიური წესრიგის აქტორებისგან (ჰესის ლობისტების, სამთავრობო და ოპოზიციური მედიის, კერძო კომპანიის) წამოსული დისკრედიტაციის საფუძველმოკლებულობას და არა მხოლოდ თავად ხეობაში, არამედ არაერთ მრავალათასიან აქციაზე ახერხებენ ბრძოლის მშვიდობიანი პრინციპების დაცვას. შესაბამისად, მათი კონტრჰეგემონიური, მაგრამ მაინც სამოქალაქო საზოგადოების ჩარჩოში ჩაკეტილი მხარდამჭერებისთვის, ერთი მხრივ ადვილი, მეორე მხრივ კი, განსაკუთრებულად მიმზიდველი, შეიძლება ითქვას, აღმაფრთოვანებელიც კი ხდება მცველების თანმიმდევრული მხარდაჭერა, მათთვის ნასროლი ტალახის გაბათილებაში თანამონაწილეობა, მცველების პირდაპირი და პრინციპული დაცვისთვის საკუთარი რეპუტაციული და ცოდნითი რესურსების გამოყენება. როგორც უკვე ვახსენეთ, მსგავსი ჯგუფებისთვის რიონის ხეობის მოძრაობა განსაკუთრებულ შესაძლებლობას ქმნის, მათი წლების მანძილზე დაგროვილი შრომისა და ცოდნის ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მინიჭებით. აქ აუცილებელია ხაზი გავუსვათ, რომ ახლო თანამშრომლობის მიუხედავად, ხეობის მცველები მუდმივად ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ ავტონომიურობის შენარჩუნებას, ავლებენ მკვეთრ საზღვრებს მათსა და სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებულ აქტორებს შორის. მეორე მხრივ, მათ თანმიმდევრულ მხარდამჭერებად რჩებიან სამოქალაქო საზოგადოების სწორედ ისეთი აქტორები, რომლებსაც არც მიზნად აქვთ და არც უნებლიეთ ცდილობენ ავანგარდისტული, აღმზრდელობითი როლის თამაშს ბრძოლის განსაზღვრაში. როგორც ვნახეთ, რიონის ხეობის მცველები ბრძოლის ყველა ეტაპზე ბრძოლის ფილოსოფიის განსაზღვრის ცენტრალურ აქტორებად რჩებიან[209], დანარჩენი მონაწილეები კი არ იშურებენ პროცესში მნიშვნელოვანი ცოდნითი და სხვა რესურსებით ჩართვას, მაგრამ არცერთ ეტაპზე არ ცდილობენ ან, შეიძლება ითქვას, თუ უცდიათ, ვერც მოახერხებენ ბრძოლის საკუთარ ენაზე მოთარგმნას, რაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჯგუფისთვის მოძრაობაში აქტიურად ჩართულობის დატოვების საბაბიც გამხდარა. სწორედ მსგავსი ბალანსი, პირდაპირ რომ ვთქვათ, სუბალტერნული აქტორების პრინციპული ცენტრალურობა ბრძოლის ენის, გამოხატვის ფორმების, ტაქტიკების განსაზღვრაში და სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებული აქტორების მხრიდან მათ ხელთ არსებული რესურსების – ცოდნის, რეპუტაციისა და საინფორმაციო სივრცის მოპოვების – ავანგარდისტულ პოზაში ჩადგომის გარეშე გაზიარება – არის ამ კონკრეტული ბრძოლის წარმატების განმსაზღვრელი.

5 ივლისის მოვლენები და ფართო მოძრაობის შიგნით მომხდარი განხეთქილება ამ ალიანსის სიმყიფეს და მოწყვლადობასაც ცხადყოფს. ის, რომ ამჯერად ჯოხი გენდერისა

209 განსხვავებული მიდგომა აქვთ ულტრა-მემარჯვენე ჯუფებს, რომლებისთვისაც ბრძოლაზე გავლენის დამყარება და ასევე მსგავსი გავლენის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, გამოხატული მახასიათებელია.

და სექსუალობის საკითხებზე გადატყდა, მაშინ როცა ამ უცნაურმა ალიანსმა გაუძლო დისკრედიტაციის სხვა მექანიზმების – ჩამორჩენილობის, არაცივილურობის, ქსენოფობიურობის და კიდევ უამრავი ბრალდების წნეხს, ნათელს ჰფენს ამ კონკრეტულ ისტორიულ მომენტში, ერთი მხრივ, დასავლეთისკენ მზერამიპყრობილი ლიბერალური ჰეგემონიური დისკურსისთვის, მეორე მხრივ, ნაწილობრივ რუსეთისკენ, ნაწილობრივ კი მსოფლიოს სხვა, მათ შორის, ამერიკასა და დასავლეთში მობილიზებული ფაშისტური ძალებისკენ მზერამიპყრობილი რეაქციონერული ულტრამემარჯვენე ჯგუფებისთვის გენდერისა და სექსუალობის პოლიტიკის მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ცხადი ხდება გენდერისა და სექსუალობის პოლიტიკის ტრანსფორმაციისთვის ნაკლებად კოლონიური, მიმღებლობის ნარატივის წარმოების საჭიროება, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაპირისპირება გაცილებით გლობალური და მრავალშრიანია. დასავლელ ულტრამემარჯვენე, ნეოფაშისტურ ძალებს თუ დავაკვირდებით, ადვილად დავინახავთ, რომ მათი მობილიზაციის წყარო საკმაოდ სწრაფად იცვლება. თუ რამდენიმე წლის წინ ცენტრალური თემა გენდერისა და სექსუალობის საკითხები იყო, მიგრაციის ტალღის ზრდის შემდეგ, ეს მუსლიმების დემონიზება გახდა, დღეს კი უკვე პანდემიის უარყოფაა. ქართველი ულტრამემარჯვენეებისთვისაც მსგავსად იცვლება ცენტრალური საწუხარი და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალში, გენდერი და სექსუალობა, შესაძლოა, არც აღმოჩნდეს დაპირისპირების ცენტრალური საკითხი, რაც, თავის მხრივ, არ ცვლის დაპირისპირების ხაზების სიმწვავეს. ამ ცრუ ლიბერალურ-კონსერვატიულ დაპირისპირებაში მუდმივად უხერხულ მდგომარეობაშია კონტრჰეგემონიური სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც დღესაც და, სავარაუდოდ, მომავალშიც ლიბერალურ ჰეგემონიურ აზრსა და სააზროვნო ჩარჩოსთან ახლოს დარჩება. მაგრამ ასევე მოსალოდნელია, რომ მარგინალიზაციას ვერ ასცდეს სუბალტერნული ბრძოლებიც, თუ მათ ჰეგემონიურ წესრიგთან შეთამაშებული, სამოქალაქო საზოგადოების ენისა და სამართლებრივი მექანიზმების მცოდნე და, რაც მთავარია, საჯარო ინფორმაციის ფორმირებაში ჩართული აქტორების მხარდაჭერა არ ექნებათ.

სხვა სიტყვებით, ლიბერალურ-კონსერვატიული ჩიხის გადალახვის, ამ ჩიხის მიღმა პოლიტიკის წარმოების მაძიებელი სუბალტერნული ჯგუფებიც და სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული ნაწილებიც ერთმანეთთან თანამშრომლობის გზების გამონახვაზე დამოკიდებული რჩებიან. აქ შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს თავად გენდერისა და სექსუალობის პოლიტიკასთან მიმართებით სწორედ ამ ჩიხის მიღმა, განსხვავებული პოზიციების მიმღებლობის ან, უკეთეს შემთხვევაში, საერთო ჩარჩოში მოქცევის გზების პოვნა, განსაკუთრებით კი იმის ფონზე, რომ მცველების მიერ ორმაგი გამიჯვნისა და იდენტობის ხილვადობის შემცირების სტრატეგია აშკარა ჩიხშია შესული და ჯერ-ჯერობით, ბრძოლაში ჩართული ვერცერთი მხარე ამას ვერ ახერხებს. მეორე მხრივ, თანაბრად მნიშვნელოვანია ამ ჩიხის კიდევ უფრო ფართო ხასიათის გააზრება. ლიბერალურ ჰეგემონიასთან არსებული კონსერვატიული ულტრამემარჯვენე დაპირისპირება ლიბერალური ჰეგემონიის ალტერ-ეგოცაა, ცრუ ალტერნატივაც და მისი წარმატების ხელშემწყობიც. დიდი ვარაუდით, პოლიტიკურ ელიტას სწორედ ამიტომაც ეშინია ნამოხვანის მსგავსი ბრძოლების ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ულტრამემარჯვენე ჯგუფე-

ბის[210]. ჩიხის უფრო ფართო ხასიათისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების მოქნილობიდან გამომდინარე, სუბალტერნული ბრძოლისა და სამოქალაქო საზოგადოების ალიანსს – რიონის ხეობისა თუ სხვა, მომავალი ბრძოლების შემთხვევაში – სავარაუდოდ, „პრაიდისა“ და სექსუალობის საკითხების მიღმა, კიდევ არაერთი დაპირისპირების გადალახვა მოუწევს. საბედნიეროდ, რიონის ხეობის გადარჩენისთვის ფართო მოძრაობის ისტორია 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის ივლისამდე მსგავსი ჯგუფების დისკრედიტაციის ფორმების, სამოქალაქო საზოგადოების ველიდან გარიყვის მცდელობების ერთობლივად გადალახვის არაერთ მაგალითს იძლევა და, როგორც ვნახეთ, ამ ერთობლივმა ბრძოლამ დისკრედიტაციის არაერთ, საკმაოდ ჰეგემონიურ დისკურსთან შეძლო გამკლავება. განვითარების ლიბერალური დისკურსის კოლონიურობაში მხილება ამის ერთ-ერთი ცხადი მაგალითია. ცხადია, რომ ეს, ან ნებისმიერი სხვა მოძრაობა განვითარების პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან, პრივატიზაციასა და დერეგულაციასთან ბმას სრულად ვერ შეწყვეტს. როგორც ვიხილეთ, მსგავსი დისკურსის ჰეგემონიურობის საწარმოებლად და კრიტიკული ხმების ჩასახშობად, ძალაუფლების მპყრობელი და ამ ძალაუფლებასთან ახლოს მყოფი აქტორები უზარმაზარი რესურსებით იბრძვიან, მაგრამ მსგავს რესურსულ ჯგუფებთან შეწინააღმდეგება, საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა და იმედგაცრუებების სახელდება, პროგრესისა და განვითარების პოლიტიკის მანკიერებების მხილება ნამოხვანის ბრძოლის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. სუბალტერნულ სახალხო ბრძოლასა და სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკულ ნაწილებს შორის მსგავს სახიფათო ბრძოლაში ერთად ჩაბმის გამოცდილება კი სხვა საკითხებთან მიმართებითაც იძლევა ლიბერალურ-კონსერვატიული ჩიხიდან თავის დაღწევის შესაძლებლობის იმედს.

210 აქვე გავაკეთებ ორ დაზუსტებას. ერთი, მსგავსი პროცესები მიმდინარეობს ევროპის არაერთ ცენტრალურ თუ პერიფერიულ ქვეყანაში და ცხადია რომ არსებულ პოლიტიკურ ელიტებს გაცილებით ნაკლებად ეშინია ულტრა-მემარჯვენე თუ პირდაპირ ნეოფაშისტური ჯგუფების ვიდრე ამ ჯგუფებზე ბევრად უფრო სუსტი მემარცხენე ჯგუფების. მეორეც, სრულიად დასაშვებია რომ საქართველოს ხელისუფლებები ცდებიან როცა ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებს ადვილად სამართავ წრეებად განიხილავენ ვერ ხედავენ რამხელა ძალა შეიძლება მოიკრიბონ ამ ჯგუფებმა არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ საკმაოდ ავტონომიური ბრძოლის წარსამართად. თუმცა დღეისთვის ისიც ცხადია რომ არსებული მთავრობა და ოპოზიციაც კი მსგავს ჯგუფებს საკუთარივე ძალაუფლების გასამყარებლად, სხვა სოციალური მოძრაობების დასამარცხელად იყენებს, და ამ ჯგუფების დაუსჯელობისგან გამომდინარე რისკებს სათანადოდ ვერ აფასებს.

ბიბლიოგრაფია

Antadze, N., Gujaraidze, K., 2021. The role of traditional rituals in resisting energy injustice: The case of hydropower developments in Svaneti, Georgia. Energy Res. Soc. Sci. 79, 102152. https://doi.org/10.1016/j.erss.2021.102152

Bayat, A., 1997. Un-civil society: The politics of the "informal people." Third World Q. 18, 53–72. https://doi.org/10.1080/01436599715055

Bernhard, M., 1996. Civil society after the first transition: Dilemmas of post-communist democratization in Poland and beyond. Communist Post-Communist Stud. 29, 309–330. https://doi.org/10.1016/S0967-067X(96)80019-5

Certeau, M. de, 1984. The practice of everyday life. University of California Press, Berkeley.

Chandra, U., 2015. Rethinking Subaltern Resistance. J. Contemp. Asia 45, 563–573. https://doi.org/10.1080/00472336.2015.1048415

Chatterjee, P., 2004. The politics of the governed: reflections on popular politics in most of the world, Leonard Hastings Schoff memorial lectures. Columbia University Press, New York.

Foa, R.S., Ekiert, G., 2017. The weakness of postcommunist civil society reassessed. Eur. J. Polit. Res. 56, 419–439. https://doi.org/10.1111/1475-6765.12182

Gagyi, A., 2016. "Coloniality of power" in East Central Europe: external penetration as internal force in post-socialist Hungarian politics. J. World-Syst. Res. 22, 349–372. https://doi.org/10.5195/jwsr.2016.626

Gagyi, A., Ivancheva, M., 2019. The reinvention of "civil society": transnational conceptions of development in East-Central Europe, in: Funding, Power and Community Development. Policy Press, Bristol, UK.

Gramsci, A., 1992. Prison Notebooks: Volume 1. Columbia University Press.

Gramsci, A., Hoare, Q., Nowell-Smith, G., 2008. Selections from the prison notebooks of Antonio Gramsci. International Publishers, New York.

Hann, C., 2003. Is Balkan Civil Society an Oxymoron? From Königsberg to Sarajevo, via Przemyśl. Ethnol. Balk. 63–78.

Holston, J., 2009. Insurgent Citizenship in an Era of Global Urban Peripheries. City Soc. 21, 245–267. https://doi.org/10.1111/j.1548-744X.2009.01024.x

Howard, M.M., 2012. The weakness of civil society in post-communist Europe. Cambridge University Press.

Jacobsson, K., 2016. Urban grassroots movements in Central and Eastern Europe, Cities and society. Routledge, London.

Jacobsson, K., Korolczuk, E., 2019. Mobilizing Grassroots in the City: Lessons for Civil Society Research in Central and Eastern Europe. Int. J. Polit. Cult. Soc. https://doi.org/10.1007/s10767-019-9320-7

Katz, H., 2006. Gramsci, Hegemony, and Global Civil Society Networks. Volunt. Int. J. Volunt. Nonprofit Organ. 17, 333–348.

Kothari, A., Salleh, A., Escobar, A., Demaria, F., Acosta, A. (Eds.), 2019. Pluriverse: a post-development dictionary. Tullika Books, New Delhi.

Mikuš, M., 2018. Frontiers of civil society: government and hegemony in Serbia. Berghahn Books, New York.

Qeburia, T., Chubabria, T., 2017. Contentious Politics: Experiences and Perspectives. Human Rights Education and Monitoring Center, Tbilisi.

Rekhviashvili, L., 2018. Contentious politics, in: Tbilisi, Archive of Transition. niggli, imprint of Braun Publishing AG, Salentein, pp. 122–127.

Scott, J.C., 1989. Everyday Forms of Resistance. Cph. J. Asian Stud. 4, 33. https://doi.org/10.22439/cjas.v4i1.1765

Speer, J., 2021. Subalternity as displacement: Memoirs of homelessness and the struggle to be heard. Environ. Plan. Soc. Space 39, 627–644. https://doi.org/10.1177/02637758211028241

Suyarkulova, M., 2018. "Renegade research": hierarchies of knowledge production in Central Asia [WWW Document]. openDemocracy. URL https://www.opendemocracy.net/en/odr/renegade-research/ (accessed 5.6.22).

Svampa, M., 2019. The Latin American Critique of Development, in: Kothari, A., Salleh, A., Escobar, A., Demaria, F., Acosta, A. (Eds.), Pluriverse: A Post-Development Dictionary. Tullika Books, New Delhi, pp. 18–21.

Vangeli, A., Pavlićević, D., 2019. Introduction:New perspectives on China – Central and Eastern Europe relations. Asia Eur. J. 17, 361–368. https://doi.org/10.1007/s10308-019-00560-4

რეხვიაშვილი, ანა, 2019. ჰომონაციონალიზმი თუ ჰომოსექსუალობის პროპაგანდა? 17 მაისის გეო-პოლიტიკური ანალიზი.

STRUGGLE FOR THE RIONI VALLEY IN BETWEEN POLITICAL AND CIVIL SOCIETY TERRAINS: CONTESTED INFRASTRUCTURES AND DEVELOPMENT POLITICS

Lela Rekhviashvili
Translated from Georgian by Mariam Paichadze

Introduction

Who can resist capitalism today and how? Who can resist capitalism in Georgia or in other peripheral countries of Eastern Europe and Eurasia, where the supposed central agent of the resistance – civil society – according to mainstream/liberal or critical evaluators, is weak, divided, and alienated from local social concerns (Foa and Ekiert, 2017; Howard, 2012)?

In this book I tell a story of the struggle over Rioni river valley in western Georgia, in particular the detailed history of the anti-dam movement that took place between November 2020 and July 2021.[1] In doing so, I engage with this broad, yet continuously politically relevant question: who resists capitalism and how do they resist it? Based on the study of this unique struggle in the history of post-independence Georgia, and drawing on the concepts of **subalternity**, **civil** and **political society** by Antonio Gramsci and Parta Chatterjee, I discuss how hegemonic developmental politics are produced and contested. On the one hand, this research details the strategies of political-economic elites to legitimise the existing developmental politics and exclude resistances to it from the public sphere. On the other hand, it observes the possibilities to resist (even if temporarily or partially) the irreversible destruction or severe exploitation of humans and nature, local cultures and heritages and living environments. It explores existing attempts at identifying and fighting for alternative developmental paths countering the **hegemonic** developmental order.

Drawing on observations about the struggle for the Rioni valley, my main point is as follows: larger share of the resistances against existing development politics in Georgia, as well as probably in many other corners of Eastern Europe and Eurasia, takes place beyond civil society, on what Patra Chatterjee calls a **political society terrain**. Civil society, this alleged central avatar of the politics of resistance, is a kind of a battlefield in itself. Struggle over becoming a part of civil society, part of rights-bearing legitimate citizenry, or being excluded from it, is the central characteristic of the battlefield. This observation has a crucial importance for

1 The struggle was directed against the construction of the "Namakhvani Hydroelectric Power Plant. (HPP)" . The project was supposed to be one of the largest energy projects in the country, with proposed investment valued at up to 800 Million USD. For more information in English about the project see: https://lefteast.org/a-louder-periphery-guardians-of-the-rioni-valley-against-the-namakhvani-hydroelectric-power-plant-hpp/; https://www.opendemocracy.net/en/odr/why-hydroelectric-power-not-solution-georgia/

the existing literature, as well as, and more importantly, for ongoing political struggles in the post-socialist space and beyond. To this date, there is an ongoing debate about the reasons why civil society is so weak, elitist, and detached from the concerns of respective societies (Gagyi and Ivancheva, 2019). According to some authors working on the region, the concept of civil society should be set aside altogether. Others would rather broaden the concept of civil society so that it can include not only the actors that are recognized as civil society actors in the post-socialist public spaces – as NGOs or formal associations – but also the marginalised struggles and the forms of everyday resistance (Jacobsson, 2016; Jacobsson and Korolczuk, 2019). I argue that both approaches are theoretically and politically problematic.

Drawing on the experience of the Rioni valley struggle, I demonstrate that the exclusion of various groups from the civil society terrain, and the denial of the legitimacy of their struggle, are the main tools for the existing political and economic elites to maintain their hegemony. In other words, **the subalternity** of certain groups, their **epistemic displacement**, emphasising their non-compliance with the existing legal-institutional order, and suppressing their voices in the public space is carried out precisely by excluding them from the civil society terrain. Subalternity therefore, is not simply related to material deprivation, but is shaped in a specific historical context through material and discursive displacement of certain groups from the legal and moral parameters set by the hegemonic order, disconnection from knowledge production, and deliberate deprivation from the opportunity to articulate one's political voice and interests in the public space. Those kinds of excluded groups, that are denied access to conventional channels of democratic engagement and are stripped of civil rights, are left to organise on the **terrain of political society**, that is, on the terrain of alternative values, torn from the existing institutions and structures. Overcoming the delegitimization becomes the main challenge for subaltern groups and determines the strength of the resistance. In other words, **political society is a terrain of mobilisation for subaltern groups that are actively removed from the possibility to fight on civil society terrain**. Moving beyond the political society terrain, getting under the skin of civil society, and doing so, destabilising the very concept of civil society, instead of "strengthening" civil society or simply attaching this label to oneself, appears to be the way to confront the hegemonic order today. The two dominant academic approaches to the 'weak' civil society problem in post-socialist East, one rejecting the concept altogether, and the other one trying to stretch the concept to include marginalised, subaltern struggles, seem detached from current political realities. Both approaches ignore how the exclusion from civil society, or overcoming such exclusion, in itself becomes the decisive object of a struggle for many subaltern groups.

In what follows I attempt to summarise the chronology of the struggle for the Rioni valley, and flesh out the empirical base for these conceptual claims.

Observing the efforts of the government and the lobbyists to discredit the fight for Rioni valley clearly shows how hegemony and subalternity are produced; how the state and, more generally, political and economic elites operating within the liberal consensus, handle resistances against existing developmental politics.

Liberal consensus is a concept developed in this study as it helps to explain how various political forces which seem to be at odds with each other, remain in complete agreement when it comes to their views on developmental politics. Current political elites in Georgia, including the government and the opposition, as well as mainstream media and economic elites associated with them, univocally support an unregulated and (largely foreign) capital-driven market economy, alongside the brutal exploitation of labor and the environment that comes with such politics of development. Despite seeming political competition within such elites, they are firmly organised around the liberal consensus and consistently join forces to hamper and unroot any real opposition to the hegemonic socio-economic order.

For many years, the government bluntly ignored local populations' concerns and mobilisation against the construction of the Namakhvani Hydroelectric Power Plant (HHP) in the peripheralised region of Lechkhumi. The state's **strategy of ignoring** the discontent benefited from the marginality and invisibility of the struggle for the public and political sphere. Even though the locals had been protesting against the planned HHP project for more than a decade, the fact that the media started paying attention to the anti-dam mobilisation only since November 2020, by the time when the protest leaders put up tents at the protest site physically hampering the construction process, and faced repeated police raids, only attests to the marginality of the struggle. Below I will detail how peripheralization of regions and marginalisation and disempowering of the populations of such regions, is a result of the state's active, purposeful and continuous actions. The peripheralization of Rioni valley in Lechkhumi was based on the one hand, on the deprivation of the region from basic social infrastructures for decades, and on the other hand, the active denial of democratic participation and civil rights to the local population[2]. Until the moment when the population 's concerns reach the public sphere and gain public support, the government prefers to simply ignore the protest, and in extreme cases, to deal with it locally – in a context devoid of public visibility, using police force. While the state (re)produces subalternity of certain groups and their struggles by making it impossible for such struggles to use civil and political rights, hence to operate as civil society, such struggles take place in the political society terrain, and start relying on extreme or sometimes extra-legal means of mobilisation, for example physically hampering the construction process, or resorting to violence .

The struggle for Rioni valley is interesting and paradigmatic because it managed to grow out of the political society terrain, and importantly avoided becoming violent, despite the multifaceted and multiple usages of the above-mentioned strategy of the state. Once the resistance manages to mobilise public support and attention of leading media, and thus leaves the political society terrain, the state, existing political-economic elites, and mainstream media resort to **strategies of discrediting** the protest.

2 The latter is well demonstrated by the exclusion of the critically disposed population from mandatory public hearings of the project in 2019-2020, leaving their questions unanswered, and the secrecy of the documentation related to the project.

Although the movement for saving the Rioni valley was mostly successful in fending off such accusations, the mechanisms of discreditation , detailed in this book, are crucial for the production of hegemony and subalternity. The leading and most resonant message of the various accusations was to portray the groups involved in the protest as being against the extremely powerful imaginaries of development, progress, and modernization. Once the state deprives subaltern groups of their legitimacy by framing them as pre/or-anti-modern, and thus declares them as ineligible to civil and political rights, the expectation is that the **repression** of such groups won't cause much public anger. The state's expectation that they would succeed in demonising the movement, hence were free to use repressive means against it, didn't materialise in the case of the Rioni valley struggle for a long time. On the contrary, all manifestations of repression were followed by more powerful waves of protest and solidarity, which grew into a wide, diverse movement. However, the government continued relying on its' strategy of discreditation followed by repression with extreme effort and persistence. Before each wave of repressions, the state pretended to ask for **negotiation**. However, negotiations were played out to discredit the movement, to show the public the "disobedience and/or incivility" of the guardians of the Rioni valley.

When the failure of the state's tried-and-tested strategy became clear, on the one hand, the state continued its attempts to discredit the movement, and on the other hand, at the same time, it chose to **step back** publicly. High level officials, including the prime minister of Georgia, began admitting to their mistakes and relatively limited the use of direct repressive force. This was not the first time Georgian state backed away in the face of popular resistances, but it's clearly unprecedented in response to the protest of subaltern groups in a peripheral region[3]. The government also deployed yet another unprecedented strategy by inviting the representatives of European Energy Community to mediate the conflict with the movement[4].

The tide turned in favour of the government in early July 2021. The movement's local leaders' written statement against Tbilisi Pride and their appearance in Tbilisi in the proximity to the violent anti-pride demonstration on the 5th of July 2021 caused divides in the wider movement, and played an important role in the theoretical considerations presented in this book. The internal division allowed the government and all liberal consensus-producing forces to reapply the discreditation strategies, this time more successfully. The government and lobbyists failed to achieve the central short-term goal: the execution of the problematic project of Namakhvani HPP by the company Enka Renewables. Yet, they were able to substantially delegitimise the movement and to partially silence and downplay the criticism that the Rioni valley movement had articulated against the existing developmental politics. In other words, the state had deployed the discrediting mechanisms prepared long before the 5th of July, namely, bringing the movement to a liberal-conservative dead end.

3 There may be examples when the groups from the field of political society have stopped specific projects in such regions, but we haven't seen a public stepping back from the state before the Rioni valley struggle.

4 The government's goal in the mediation process for sure was to slow down the protests and restore the construction process of the HPP, but the initiation of this process clearly showed that the government perceived the limits of the existing strategies.

The liberal-conservative dead end is another concept developed in this book to show the false liberal-conservative cleavage of the current political sphere. I call this a "dead end", and call the liberal-conservative confrontation "false", because far-right groups mobilised in the name of conservative values don't represent an alternative to liberal hegemony, but its own uglier and more authoritarian alter ego. Neither in Georgia nor in other European contexts, are far-right/fascist groups fundamentally opposed to neoliberal hegemony. The existing political establishment is much more afraid of relatively weak left-wing forces than of easily mobilised far-right groups. In the case of the Rioni valley movement, the state tried to discredit it on one hand – by emphasising the conservatism of the movement, while on the other hand, with the help of far-right groups close to the church, to tarnish the movement as a liberal force. Discreditation for being a liberal is quite effective locally (and is often utilised by far-right groups), given a strongly negative public sentiment towards the anti-social liberal developmental politics. In turn, being labeled as conservative, and in this case primarily as homophobic, deprives the movement from the media and civil society support.

The fact that having been driven into the liberal-conservative dead end has, to a significant degree, damaged the Rioni valley movement is not surprising since this strategy tends to stall or fully stop many movements and social protests in Georgia (and not only). But what is interesting and even more surprising in this process is how the local leaders of the movement, together with the wider movement, managed to avoid the damage of the state's discreditation strategies prior to the 5th of July event. How did a small, subaltern local protest, excluded from the civil society terrain, grow into a large popular movement, how did it mobilise unprecedented support and solidarity, how did it manage to insert itself on the agenda of the mainstream media for many months? To go back to the broader questions of this research: how can the liberal hegemony and capitalism be opposed, even if tenuously and temporarily, and what lessons do we learn by analysing the successes and the limits of the Rioni valley struggle?

To begin answering this question, it must be said that the unprecedented success of the Rioni valley movement was shaped by similarly unprecedented close cooperation between two types of actors, the subaltern local population and the critical and (at least partially) counter-hegemonic parts of civil society or the media. This cooperation, based on mutual respect of each other's autonomy[5], enabled the movement to maintain its wide and popular appeal, to gain support of other subaltern groups and individuals (the unprecedented mobilisation of immigrants, otherwise systematically deprived of political voice in Georgian political landscape, is especially noteworthy here). At the same time, it also enabled the movement to enter the public sphere dominated by the liberal consensus, to gain wide media coverage and legitimacy.

5 It should be mentioned that these or other groups of critical civil society have repeatedly supported groups fighting in the field of subaltern and political society (Qeburia and Chubabria, 2017) although, in the case of the Rioni valley movement, the decisions of the leaders themselves and, probably, the experiences of previous subaltern struggles gave a much larger scale to this cooperation than we have seen before.

To maintain this dual success, to persevere in the face of government's discreditation mechanisms, including the above mentioned liberal-conservative dead end, the guardians of the Rioni valley (or the movement's local leaders) and all the other actors involved (including various civil society organisations, critical media, small informal collectives) – an alliance that came to be known as the broad movement to save the Rioni valley – relied heavily on **politics of double distancing**.

The politics of double distancing was an extension and a culmination of the movements' local leaders' continuous efforts to maintain their autonomy and distance themselves from any prominent political power. Unsurprisingly, over time, only those media and civil actors, that had no intention of having an avant-garde position in this struggle and who didn't try to subordinate it to their own, often narrow political interests, remained to be the supporters of the guardians and became an inseparable part of the struggle. The approach shaped protest spaces for months. On the one hand, it addressed the far-right groups, or more broadly, the share of the movement's supporters advocating for aggressive and/or violent solutions to the struggle, by demanding self-discipline and commitment to the peaceful character of the fight. On the other hand, it addressed the forms of self-expression locally associated with liberalism, particularly the groups supporting non-normative gender and sexual identities. The movement leaders asked from the latter to limit the visibility of their identity, in particular, to put aside the relevant symbolism (e.g not show LGBTQI flags) when participating in the protest.

The politics of double distancing became particularly sharp and articulate in response to especially heightened tensions around the liberal-conservative dead-end during protests in Tbilisi on May-23-25,2021. At this point Rioni valley guardians imposed a restriction upon themselves to show their commitment to the strategy. One of the key leaders of the movement, Maka Suladze, declared she would no longer show up on protests carrying her large vine cross. By refraining from displaying dominant (Orthodox) symbols as a counterweight to the limitation of non-dominant symbols, guardians of the valley clearly managed not only to distance themselves from the conservative groups, but also to stay away from the dominant liberal strategy for queer struggles, that is the visibility politics. Although this approach was more demanding on the counter-hegemonic media and civil society actors, the most intense opposition to the politics of double distancing was expressed not by these groups, but by the far-right ones. Over time, particularly since the 5th of July, the politics of double distancing faced its limits. Yet, for some time, the politics of dual distancing enabled an interesting precedent of cooperation between the subaltern struggle and counter-hegemonic civil society and media and allowed for peaceful coexistence of very diverse supporters in protest spaces.

As we talk about this cooperation between the local leaders and the critical part of the civil society or the media, it should be emphasised that the local leaders of the protest remained the leading strategists and were shaping the philosophy of the struggle. But, what's more important, quite unusual, and memorable for the Georgian political sphere, is that the po-

litical philosophy of the Rioni valley guardians did not stop at avoiding discreditation. The movement made sure to popularise well-researched and substantiated arguments against the Namakhvani HPP project, and frame those arguments in an accessible manner. Beyond naming injustices surrounding the power plant project, the guardians of the valley on the one hand developed critical tools for analysing and criticising state power, and on the other hand, elaborated decolonial ethical and normative alternative approaches to development, statehood, human social existence and coexistence with nature. Criticising the coloniality of the modern Georgian state, exposing its subordination to the interests of international capital, talking about public or common goods, resources, and values, and mainstreaming such discussions is not only unique, but, I argue, completely changes the space of political possibilities by bringing up previously tabooed critical positions and gaining public legitimacy for voicing them in the public sphere.

Based on the examination of the events leading up to July 2021, I argue that the combination of the resources of the counter-hegemonic civil society and subaltern groups, the capacity of such an alliance to speak to other subaltern groups as well as to shake up mainstream-liberal media space, in the given context created the possibility of not a pseudo, but a fundamental confrontation with peripheral capitalism and opened the space to discuss decolonial alternatives. In turn, the events of July 5 at Tbilisi Pride revealed the limits of the double distancing strategy of the guardians, as well as broader and one could say more systemic fragility and malleability of an alliance between the subaltern struggle and a critical part of civil society.

After the events of July 5, the Rioni valley movement became much more vulnerable to the discreditation machine that at any time in the history of its own struggle. Even though, the Georgian government itself regularly enables the violence coming from the far-right groups, the guardian's proximity to these groups on 5th of July allowed the same government to reinforce the narrative of the movement's 'backwardness' and 'uncivility'. This way the government drew the public attention away from all the social, environmental, technical and fiscal problems of the "Namakhvani HPP project" and placed the blame for the failure of the project solely on the anti-dam movement. The local movement leaders' decision to appear in the proximity of the violent anti-pride rally severely damaged the spirit of unity and trust that previously sustained the broad alliance against the dam project. The representatives of the media and civil society, who previously publicly and fiercely defended every move of the guardians, would not legitimise the guardian's decision during the anti-Pride events. In turn, as the guardians' legitimacy in liberal/mainstream media got compromised, the guardians' capacity to reach out to other subaltern struggles and mobilise a wide solidarity base had also largely declined .

Despite the severity of the damage, the alliance between the local leaders of the movement and the critical parts of the civil society was not completely destroyed by the events of July 5. Even if some of closely cooperating NGOs distanced themselves from close collaboration with the guardians, even they, as well other involved actors managed to coordinate collec-

tively on various crucial issues, including coordinating their positions in the scope of the Energy Community led mediation process. This process of partial reconciliation, shows the possibilities of overcoming the fragility of the alliance between subaltern groups and critical civil society actors. It also demonstrates a need for sustaining such alliances against all odds. While the government and the political-economic elites more broadly, were more successful in discrediting the movement since the July events, they still didn't manage to entirely displace the movement from operating on civil society terrain, or to return the subaltern local resistance to the terrain of political society. The visibility and legitimacy of the movement substantially decreased, but it was not entirely lost. Importantly, even under these conditions, the movement achieved its central aim: Enka Renewables asked for a cancellation of the deal in Autumn 2021 and the Namakhvani HPP project was put on halt by early 2022.

Overall, the experience of the struggle over Rioni valley created an example of unprecedented success of cooperation between subaltern groups and counter-hegemonic civil society. The central result of this cooperation was the growth of a subaltern movement from the political society terrain to the civil society terrain. This shift enabled mobilisation of broad solidarities and visibilised subaltern voices. Despite risks, challenges, and experiences of failures, this struggle as a whole, in the context of Georgia and beyond it, visibilised the power of collective mobilisation and developed the most systematic criticism of coloniality and injustices of peripheral capitalism in the recent history of Georgia.

Finally, I don't believe that all subaltern struggles either can or should necessarily grow into civil society struggles. This is not easily achieved in socially and spatially polarised places like Georgia. However, the more the struggles succeed in breaking through the layers of discreditation and delegitimization, the more they will destabilise existing narrow conceptions and boundaries of civil society, and allow the subaltern voices shake up the liberal consensus. I would hope that the experiences of the successes or failures of the broad movement for saving the Rioni valley against the liberal-conservative dead end will be useful for subaltern struggles, as well as for critical and counter-hegemonic parts of civil society, as we have many important, urgent, and inevitable struggles ahead of us.